240
1974

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის

# მოამბე

## XXX-B

«მეცნიერება»

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
**АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР**

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი
**ГОСУДАРСТВЕННЫЙ МУЗЕЙ ГРУЗИИ** им. акад. **С. Н. ДЖАНАШИА**

ეროვნული ბიბლიოთეკა

1974

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ВЕСТНИК

## ГОСУДАРСТВЕННОГО МУЗЕЯ ГРУЗИИ ИМ. АКАД. С. Н. ДЖАНАШИА

## XXX—B

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ
1974

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის

# მოამბე

## XXX—B

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1974

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

379.4(с 41)
069(47.922).082
მ 401

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის „მოამბის" XXX—B ტომში ქვეყნდება ნაშრომები საქართველოს არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ისტორიის საკითხებზე. აქვე მოთავსებულია მუზეუმის ისტორიის ამსახველი სტატიები, მუზეუმის „მოამბეში" გამოქვეყნებულ ნაშრომთა ბიბლიოგრაფია და მუზეუმის 1971—1972 წწ. ქრონიკა.

ამ ტომში იბეჭდება აგრეთვე 1967 წ. მაისში, საქართველოს მუზეუმის პირველი ექსპოზიციის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სესიაზე წაკითხული ზოგი მოხსენება (გ. ჩუბინაშვილის, გ. ჩიტაიას, ბ. პიოტროვსკის, დ. კაპანაძის, ი. აბულაძის, ი. დობროვოლსკის და ს. ბოლქვაძის).

В «Вестнике» Гос. Музея Грузии т. XXX-B, публикуются труды по вопросам археологии, этнографии и истории Грузии. Здесь же помещены статьи отображающие историю Музея, библиография опубликованных в «Вестниках» трудов и хроника Музея 1971—1972 гг.

В «Вестнике» публикуются также ряд докладов, прочитанных на юбилейной сессии, посвященной 100-летию первой экспозиции Музея Грузии (статьи Г. Н. Чубинашвили, Г. С. Читая, Б. Б. Пиотровского, Д. Г. Капанадзе, И. В. Абуладзе И. Г. Добровольского, С. С. Болквадзе).

რედაქტორი ლ. ჭილაშვილი
Редактор Л. А. Чилашвили.

1—6—2
154—73 აღვ.
М—607

© გამომცემლობა „მეცნიერება", 1974 წ.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

დ. თუშაბრამიშვილი

## მუსტიერული ხანის მასალა ხვირათიდან

(სოფ. სალიეთი, ჭიათურის რაიონი, საქ. სსრ)

მუსტიერული ხანის ნამოსახლარ ხვირათს მივაკვლიეთ 1958 წ. ყვირილის ხეობის არქეოლოგიური დაზვერვების დროს. ადგილი ხვირათი მდებარეობს ჭიათურის რაიონის სოფ. სალიეთის ტერიტორიაზე, მარმარილოს საბადოსა და რკინიგზის სადგურ სალიეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით 500 მ მანძილზე, უშუალოდ მდინარე ყვირილის მარცხენა ნაპირზე, კანიონისებურ ხეობაში; აღნიშნული ადგილი მოქცეულია ჭიათურა-ზესტაფონის რკინიგზის ძველ და ახალ ხიდებს შორის. იგი კონცხივითაა შეჭრილი მდ. ყვირილაში, რომელიც ერტყმის მას აღმოსავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და ჩრდილო დასავლეთიდან, ხოლო სამხრეთიდან მას ესაზღვრება ღურღუმელას ხეობა, რომელიც ერთვის მდ. ყვირილას მარცხენა მხრიდან. მხოლოდ მოგრძო ყელი აერთებს ადგილ ხვირათს სოფ. ჭილოვანის პლატოსთან. ამგვარად, აღნიშნული ადგილი წარმოადგენს ნახევარკუნძულისებურ ბორცვს, რომელიც სამი მხრიდან მდ. ყვირილითა და ღურღუმელას ხეობითაა შემოსაზღვრული. შესაძლებელია, რომ სახელწოდება „ხვირათი“ იმიტომ შეარქვეს აღნიშნულ ადგილს, რომ მდ. ყვირილა ამ მიდამოებში რამდენადმე უხვევს სამხრეთისაკენ და შემდეგ ისევ მიემართება სამხრეთ დასავლეთისაკენ.

როგორც აღვნიშნეთ, ადგილი ხვირათი წარმოადგენს ბორცვს. იგი მდ. ყვირილის ზედაპირიდან დაახლოებით 20 მ სიმაღლისაა, ბორცვის ძირი აგებულია გრანიტისა და პორფირიტების (?) ქანებისაგან. ადგილი ხვირათი დღეს ორგანაა გადაკვეთილი ძველი და ახალი სარკინიგზო ხაზებით (ძველი სარკინიგზო ხაზი ამჟამად საავტომობილო გზადაა გამოყენებული). ბორცვის ჩრდილოეთ განაპირას, სადაც რკინიგზის ახალი ხაზია გაყვანილი, ლიანდაგის დასაგებად აუღიათ დაახლოებით 15 მ სისქის ფენა. ჭრილში კარგად ჩანს ბორცვის ამგები ფენების თანამიმდევრობა და ხასიათი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბორცვის ძირი აგებულია გრანიტისა და პორფირიტების (?) ქანებით, მას თავზე ადევს მდ. ყვირილას ტერასის ნაშთები, წარმოდგენილი რიყის ქვისა და ქვიშის სახით. ამ უკანასკნელს გადაფარებული აქვს დაახლოებით 1 მ სიმძლავრის თიხნარი, ხოლო თიხნარს — შავნიადაგიანი ფენა. როგორც ჩანს, ჰუმუსოვანი და თიხნარი ფენები შეიცავდნენ ნეოლით-ენეოლითური და მუსტიერული ხანის მასალებს. კულტურული ფენები დღეს უკვე აღარ შეიმჩნევა, ვინაიდან იგი

განადგურებულია 2—3 ათეული წლის წინ აქ დასახლებულ მცხოვრებთა მიერ მიწის დამუშავების დროს. 1958 და 1964 წლებში ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ წარმოებული სამუშაოების შედეგად ადგილ ხვირათზე, მიწის ზედაპირზე და ძალიან მცირე რაოდენობით თიხნარი ფენის ჭრილში ნაპოვნი იყო მუსტიერული ხანის რამდენიმე ათეული ცალი ქვის ნივთი. მიწის ზედაპირზე მოპოვებული მასალა, ცხადია, ერთგვაროვანი არ არის. მასში მრავლადაა შერეული ნეოლით-ენეოლითური პერიოდის ქვის ინვენტარიც, წარმოდგენილი როგორც ანატკეც-ანამტვრევებით და კაჟის სხვადასხვა იარაღებით, ისე რიყის ქვისაგან დამზადებული გახეხილ-გაპრიალებული ნაკეთობებით. როგორც მოგვიანო, ისე მუსტიერული ხანის ინვენტარის ძალიან დიდი ნაწილი თურონ-სენონის იარუსის მაღალი ხარისხის კაჟის ქანისაგანაა დამზადებული. გარდა ერთეული ცალებისა მათ სრულებით არ ეტყობათ პატინა, რაც იმის მაუწყებელია, რომ აღნიშნული მასალა მიწის ზედაპირზე არც თუ ისე დიდიხანია რაც მოხვდა. მუსტიერული და მოგვიანო ხანის კაჟის ინვენტარის ურთიერთგამოყოფა მხოლოდ ფირფიტების ატკეცის, მათი დამუშავების ტექნიკის და იარაღთა ფორმა-მოყვანილობით ხერხდება. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მუსტიერული ხანის მასალის მნიშვნელოვანი ნაწილის ზედაპირს ახასიათებს სარკისებური სიპრიალე, ე. წ. „ლუსტრაჟი". აღნიშნული სიპრიალის გამომწვევი მიზეზები ჯერჯერობით საბოლოოდ დადგენილი არ არის.

როგორც ცნობილია, მიწის ზედაპირზე შეგროვებულ მასალაში, სადაც ერთმანეთშია არეული სხვადასხვა ეპოქის ქვის ინვენტარი და რომელიც ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან დაცულობის ხარისხით, ამა თუ იმ პერიოდის ქვის ნაკეთობათა გამოყოფა დიდ სირთულეს წარმოადგენს, ამიტომ, მკვლევარი არასოდეს არ არის დაზღვეული უზუსტობისაგან. ცხადია, რომ არც ჩვენ ვართ გამონაკლისი. ხვირათის მასალებში, რომელიც გამოვყავით როგორც მუსტიერული, შესაძლებელია სხვა პერიოდის მინარევიც გაიპაროს.

ხვირათის ნამოსახლარზე 1958 და 1964 წლებში სულ მოპოვებულ იქნა 1567 ნივთი, აქედან, 268 ცალი, ჩვენის აზრით, მუსტიერული პერიოდისა უნდა იყოს. დანარჩენი მასალა კი, წინასწარული განსაზღვრით, ნეოლით-ენეოლითს განეკუთვნება. აღნიშნული მასალა წარმოდგენილია უხეში ისრისპირით, ორმხრივ დამუშავებული შუბისპირების ფრაგმენტებითა და ნამზადებით, გახეხილ გაპრიალებული ქვის სათლელებით, ქვის კვირისტავით და კაჟის ნაკეთობებით (ნუკლეუსები, ანატკეც-ლამელები, საფხეკები და სხვ.). მოგვიანო ხანის მასალა ამჟამად ჩვენი კვლევის საგანს არ წარმოადგენს, ამიტომ მასალის აღწერას მუსტიერული ნუკლეუსებით ვიწყებთ.

პალეოლითურ ნამოსახლარ ხვირათზე მოპოვებული ნუკლეუსების ხასიათზე და მათ რაოდენობაზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ქვემოთ მოტანილი 1-ელი ცხრილი.

როგორც ვხედავთ, ნუკლეუსებს შორის წამყვანი ადგილი ერთფუძიან და ორფუძიან ლევალუაზურ ნუკლეუსებს უკავიათ — 23 ც.

ე რ თ ფ უ ძ ი ა ნ ი   ნ უ კ ლ ე უ ს ე ბ ი 20 ცალია. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადში ყველა ერთი ტიპისაა, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტო ზომებით და მოყვანილობით, არამედ მომზადების ხერხებით და სრულყოფითაც. ერთი მათგანი (ტაბ. I,1). ნაკეთებია მოყავისფრო კაჟის ფილისებურ ნატეხისაგან, რომლის ზურგი ბრტყელია და არ ეტყობა მნიშვნელოვანი შესწო-

რების კვალი. დარტყმის მოედანი ანუ ფუძე, მნიშვნელოვნადაა დაქანებული ზურგისაკენ და ქმნის მახვილ კუთხეს. ფუძე მიღებულია განივი ფირფიტის ამტვრევის გზით და შემდგომ შესწორებულია ფართო, მაგრამ არა ღრმა ფირფიტების ატკეცის მეშვეობით. ასევეა შესწორებული ნუკლეუსის მარცხენა კიდე და ბოლო. სამუშაო ზედაპირიდან ატკეცილია არანაკლებ სამი ფირფი-

ც ხ რ ი ლ ი 1

| №№ რიგ. | დასახელება | რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | ერთფუძიანი ნუკლეუსები | 20 |
| 2 | ორფუძიანი ცალმხრივი ნუკლეუსები | 3 |
| ა | ორფუძიანი ორმხრივი, ურთიერთსაწინააღმდეგო მხარეზე მდებარე ფუძეებით | — |
| 3ბ | ორფუძიანი ორმხრივი, ერთმანეთის გვერდზე მდებარე ფუძეებით, გრძივი და განივი მიმართულების ატკეცის კვალით | — |
| გ | ორფუძიანი ორმხრივი, სამკუთხა მოყვანილობის, მახვილი კუთხეებით მდებარე ფუძეებითა და ატკეცის კვალით | — |
| 4 | ორმხრივი მრავალფუძიანი | — |
| 5 | დისკოიდალური ცალმხრივი | 2 |
| 6 | დისკოიდალური ორმხრივი | — |
| 7 | გაურკვეველი (განუსაზღვრელი) | — |
| | | 25 |

ტა-ლამელა, რომელთა ნეგატივები საკმაოდ ღრმაა. ადგილი ხვირათზე მოპოვებულ ნუკლეუსებს შორის აღნიშნული ეგზემპლარი ყველაზე დიდია. მისი უდიდესი ზომებია: სიგრძე — 10,5 სმ, სიგანე — 8,6 სმ, სისქე — 3,0 სმ. პატინირებული არ არის.

მეორე ნუკლეუსი (ტაბ. I, 2). ნაკეთებია მოყავისფრო კაჟის კაჭრისაგან. მას ზურგის მხარის თითქმის ნახევარზე შერჩენილი აქვს კანი, მეორე ნახევარი კი გათლილია ორი ფართო ფირფიტის ატკეცის მეშვეობით ისე, რომ განივკვეთში სამკუთხა მოყვანილობას უახლოვდება. დარტყმის მოედანი (ფუძე) ოდნავ მორკალულია, მკვეთრადაა დაქანებული ზურგის მხარეს და ქმნის მახვილ კუთხეს სამუშაო ზედაპირთან. იგი მიღებულია ორი ფართო ფირფიტის ამტვრევით და შემდეგ შესწორებულია ქერცლისებური ფირფიტების ატკეცის გზით. სამუშაო ზედაპირიდან ატკეცილია არანაკლებ ოთხი მოგრძო ფირფიტალამელა. ატკეცის შედეგად მიღებული ნეგატივები საკმაოდ ღრმაა, განსაკუთრებით დარტყმის მოედანთან, ხოლო ნეგატივების გამყოფი ქედი მაღალია. ნუკლეუსის ზომებია: სიგრძე — 8,2 სმ, სიგანე — 7,7 სმ, სისქე — 4,2 სმ პატინირებული არ არის.

მესამე ნუკლეუსი (ტაბ. I, 3). ნაკეთებია მონაცრისფრო-მოთეთროხალებიან ღია მოყავისფრო კაჟის ფილისებრ ბრტყელ ნატეხზე, რომლის ზურგი სწორია და არ ეტყობა შესწორების კვალი. დარტყმის მოედანი ოდნავადაა დაქანებული ზურგისაკენ და საკმაოდ გულმოდგინედაა დამუშავებული. ნუკლეუსიდან ატკეცილია ერთი ძირითადი, საკმაოდ სწორი მოყვანილობის ფართო

ფირფიტა. ნუკლეუსის მარჯვენა კიდე ჩამომტვრეულია ძირითადი ფირფიტის ატკეცამდე და როგორც ჩანს, განკუთვნილი იყო ნუკლეუსის სამუშაო ზედაპირის მომზადებისათვის. ნუკლეუსის ზომებია: სიგრძე — 6,7 სმ, სიგანე — 6,7 სმ, სისქე — 2,0 სმ. პატინირებული არ არის.

ხვირათის ერთფუძიანი ნუკლეუსებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა მომზადების თვალსაზრისით ტაბ. I, 4. გამოსახული ეგზემპლარი (სიგრძე — 8,8 სმ, სიგანე—6,8 სმ, სისქე—3,1 სმ). იგი ნაკეთებია მოყავისფრო კაჟის კაჭრისაგან, რომლის ზურგი საგანგებოდაა დამუშავებული ფირფიტების გრძივი და განივი ატკეცის გზით. ნუკლეუსი სწორკუთხა მოყვანილობისაა. მისი ორივე კიდე წინასწარ, სამუშაო ზედაპირის მომზადების დროს არის ჩამომტვრეული ნუკლეუსის სამუშაო ზედაპირის ფართობის შევიწროების მიზნით, რათა მიეღოთ უფრო ვიწრო და სწორი მოყვანილობის ლამელები. ასევე გულმოდგინედაა შესწორებული ნუკლეუსის ფუძეც (დარტყმის მოედანი), რომელიც თითქმის სწორ კუთხეს ქმნის სამუშაო ზედაპირთან. ნუკლეუსიდან ატკეცილია სწორი მოყვანილობის ორი ლამელა და ერთი ლამელისებური ანატკეცი. მსგავსი ნუკლეუსები ჩვენ მიერ აღწერილია სოფ. ჭილოფანის მუსტიერულ ძეგლებიდან[1].

ორფუძიანი ნუკლეუსები. 3 ცალია და სამივე ცალმხრივია. ერთი მათგანი (ტაბ. I, 5). დამზადებულია მონაცრისფრო კაჟის კაჭარზე. ნუკლეუსის ზურგი წინასწარ არ არის მომზადებული, იგი მთლიანადაა დაფარული კაჭრის კანით. ფუძეები განლაგებულია გრძივი მხრის ორივე ბოლოს და მიღებულია ქერცლისებური ანატკეცების ამტვრევით. ორივე ფუძე დაქანებულია ზურგისაკენ და ქმნის მახვილ კუთხეს სამუშაო ზედაპირთან. ნუკლეუსი ბოლომდეა გამოყენებული, ამიტომ იგი ბრტყელია. სიგრძე — 7,5 სმ, სიგანე — 4,0 სმ, სისქე — 1,7 სმ. პატინირებული არ არის.

დისკოსებური ნუკლეუსები, 2 ცალია და ორივე ცალმხრივია. ერთი მათგანი (ტაბ. I, 6). მოყავისფრო კაჟისაა. ზურგის ზედაპირი, მიუხედავად იმისა, რომ კაჭრის კანით არ არის დაფარული, გათლილი არაა. შესწორებულია, მხოლოდ ნუკლეუსის კიდეები, წრიულად. სამუშაო ზედაპირიდან ატკეცილია მცირე ზომის, თხელი, ქერცლისებური ფირფიტები, ატკეცის შედეგად მიღებული ნეგატივები რადიალურადაა განლაგებული და ერთმანეთს ჰკვეთს. შესაძლებელია, რომ აღნიშნული ნუკლეუსიდან იარაღის -დისკოს გაკეთება უნდოდათ, რაზედაც მიუთითებს საკმაოდ ფაქიზი შესწორების კვალი (ქერცლისებური ფირფიტების ატკეცის შემდეგ) დისკოს კიდეების გასწვრივ, მაგრამ სამუშაო ბოლომდე არ მიუყვანიათ. მისი ზომებია: დიამეტრი დაახლოებით — 5,7 სმ, სისქე — 2,9 სმ. პატინირებული არ არის.

ანატკეცები და ლამელები, ხვირათის ნამოსახლარზე მოპოვებული მასალის შორის ყველაზე მრავალრიცხოვანია (240 ერთეული). უმრავლესობა მოყავისფრო ან მონაცრისფრო კაჟისაა. ობსიდიანის ანატკეცები ან მათზე ნაკეთები იარაღები სულ სამი ცალია. სხვა ქანისაგან მიღებული ანატკეც-ლამელები კოლექციაში არ გვხვდება. ანატკეცები და ლამელები ტიპოლო-

---

[1] იხ. დ. თუშაბრამიშვილი, მუსტიერული ხანის ძეგლები სოფ. ჭილოვანიდან (დასავლეთ საქართველო, ჭიათურის რ-ნი) საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XXVII—B, 1967, გვ. 11—12.

გიური თვალსაზრისით[2] იყოფა ორ ჯგუფად: 1) ლევალუაზურად (85 ც.) და 2) არალევალუაზურად (155 ც.)[3].

ა ნ ა ტ კ ე ც ე ბ ი   ლ ე ვ ა ლ უ ა ს   ტ ი პ ი ს 28 ცალია. ანატკეცების მნიშვნელოვანი ნაწილი ხასიათდება სწორი მოყვანილობით და დარტყმის მოედნის შესწორებით ნუკლეუსზე (23 ც.) ლევალუაზური ანატკეცების საშუალო სიგრძე 7,0 სმ, სიგანე — 5,2 სმ, ხოლო სისქე — 1,0 სმ. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი. ტაბ. I, 7. გამოსახული ანატკეცი მოყავისფრო კაჟისაა. მისი დარტყმის მოედანი გლუვია, ხოლო შესაბამისი ბურცული უმნიშვნელოდაა წამოზრდილი. ზურგის ზედაპირზე ეტყობა წინამორბედი სამი ფირფიტის ატკეცის კვალი. დაფარულია მკრთალი პატინით. ანატკეცის ორივე ზედაპირი სარკესავით პრიალებს, ე. ი. ახასიათებს „ლუსტრაჟი", მისი ზომებია: სიგრძე— 6,3 სმ, სიგანე — 5,3 სმ, სისქე — 1,5 სმ.

მეორე ანატკეცი (ტაბ. I, 8). ოვალური მოყვანილობის მოყავისფრო კაჟისაა. ზურგის ზედაპირის მარცხენა კიდეზე ნაწილობრივ შერჩენილი აქვს კაჟის კანი. ზურგზე ეტყობა წინამორბედი ფირფიტების ატკეცის კვალი ღრმა ნეგატივების სახით. ანატკეცების დარტყმის მოედანი ამოზნექილ ფაცეტირებულია; შესაბამის ბურცულს უკავია ქვედა სიბრტყის მესამედი და ზედაპირზე ეტყობა ნიჟარისებური წარმონაქმნი. ანატკეცის ბოლო ოდნავ შესწორებულია რეტუშით, ეტყობა, რომ იგი საფხეკად იყო გამოყენებული. ანატკეცს ახასიათებს მკრთალი „ლუსტრაჟი". მისი ზომებია: სიგრძე — 7 სმ, სიგანე — 5,1 სმ, სისქე — 1,3 სმ.

ამოზნექილი ფაცეტირებული დარტყმების მოედანი აქვს მოყავისფრო კაჟის ანატკეცს, რომელიც მოყვანილობით სამკუთხედს უახლოვდება (ტაბ. I, 9). დარტყმის მოედანი ქმნის სწორ კუთხეს ქვედა სიბრტყესთან და ზედაპირზე ეტყობა ნიჟარისებრი წარმონაქმნი. სიგრძე — 7,5 სმ, სიგანე — 3,8 სმ, სისქე — 0,8 სმ.

ლ ა მ ე ლ ე ბ ი   ლ ე ვ ა ლ უ ა ს   ტ ი პ ი ს, 57 ცალია. უმრავლესობა ხასიათდება სწორი, წაგრძელებული პროპორციებით. მათი საშუალო სიგრძე 6—7 სმ-ია, ხოლო სიგანე 3—3,5 სმ. ლამელების დიდი უმრავლესობა მიღებულია ერთფუძიანი ნუკლეუსებიდან, რაც კარგად ჩანს მათი ზურგის მოყვანილობიდან და წინამორბედი ფირფიტების ატკეცის კვალიდან. ლამელების დარტყმის მოედნები მომზადების თვალსაზრისით სხვადასხვა ხასიათისაა, მათ შორის სჭარბობს სწორად რეტუშირებული (ფაცეტირებული). თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ ზოგიერთი ლამელა. ტაბ. I,10. გამოსახული ლამელა მოთაფლისფერო, მოყავისფრო კაჟისაა. დარტყმის მოედანი გლუვი აქვს და რამდენადმე გვერდზეა ლამელის გრძივი ღერძისაგან. იგი ორფერდაა და როგორც ჩანს ატკეცილია ერთფუძიანი ნუკლეუსიდან. ფერდების გამყოფი ქედი შუა

---

[2] ანატკეცებისა და ლამელების, აგრეთვე დარტყმის მოედნების კლასიფიკაციის და ქვის გაპობის ტექნიკის სტატისტიკური ანალიზის დროს ვხელმძღვანელობდით ფრანსუა ბორდის მიერ შემუშავებული მეთოდით იხ. F. B o r d e s, 1) Principe d'une m'ethode d'étude des téchniques de de'bitage et de la typologie du paléolithiqu ancien et moyen. L Anthropologie, t. 54. № 1—2, Paris, 1950; 2) Typologie du paléolithique ancien et moyen. Publications de linatite de Bordeaux Mémoire. № 1. Bordeaux, 1963; 3) Les limons quaternaires du bassien de la Seines. Archives de L'institut de paléontologie humaine. Mémoire, 26, Paris, 1953.

[3] ლევალუაზურ და არალევალუაზურ ანატკეც-ლამელების საერთო რაოდენობაში შედის მათზე ნაკეთები იარაღებიც.

ნაწილამდე საკმაოდ მაღალია, ხოლო ბოლოში თხელი, წინამორბედი ფირფიტის ატკეცის შედეგად. ლამელის მარცხენა გვერდს ეტყობა მკრთალი რეტუში. მისი ზომებია: 7,4×3,1×1,3 სმ პატინირებული არ არის. გლუვი — შეუსწორებელი დარტყმის მოედანი აქვს ლამელას, გამოსახულს ტაბ. II, 1-ზე.

ლამელა, თეთრხალებიანი მოყავისფრო კაჟისაა (ტაბ. II, 2), სიგრძე — 11,2 სმ, სიგანე — 4,7 სმ, სისქე — 1,5 სმ. ორფერდა დარტყმის მოედანი მიღებულია ნუკლეუსზე შემხვედრი კუთხით ორი ფირფიტის ატკეცის გზით. იგი თითქმის სწორ კუთხეს ქმნის ლამელის ქვედა სიბრტყესთან. შესაბამისი ბურცული საკმაოდ რელიეფურია და უკავია ქვედა სიბრტყის მესამედი. ლამელის მარცხენა გვერდი მთელ სიგრძეზე დამუშავებულია მკრთალი რეტუშით. ლამელის ორივე ზედაპირს ახასიათებს მკრთალი „ლუსტრაჟი". პატინირებული არ არის.

სწორად რეტუშირებული დარტყმისმოედნიანი ლამელა მიღებულია მოყვითალოხალებიან მოყავისფრო კაჟის ერთფუძიანი ნუკლეუსიდან (ტაბ. II, 3). იგი სამფერდაა. ნეგატივების მოყვანილობიდან ჩანს, რომ მასზე ადრე ატკეცილი ფირფიტებიც სწორი პროპორციებით ხასიათდებოდნენ. დარტყმის მოედანი საკმაოდ გულმოდგინედაა შესწორებული ნუკლეუსზე წვრილფაცეტოვანი რეტუშით, შესაბამის ბურცულს უკავია ქვედა სიბრტყის თითქმის ნახევარი. პატინირებული არ არის. მისი ზომებია: 10,8×4,7×1,5 სმ ახასიათებს მკრთალი „ლუსტრაჟი". მეორე ლამელაც ერთფუძიანია ნუკლეუსიდანაა ატკეცილი, იგიც სამფერდაა. დარტყმის მოედანი სწორ კუთხეს ქმნის ქვედა სიბრტყესთან და სწორადაა შესწორებული ნუკლეუსზე (ტაბ. II, 4). პატინირებული არ არის, სამაგიეროდ დაფარულია მკრთალი „ლუსტრაჟით". მისი ზომებია 7,7×3,7×1,2 სმ.

ამოზნექილ რეტუშირებული (ფაცეტირებული) ლამელები სულ 12 ცალია. ერთი მათგანი (ტაბ. II, 5). მოყვითალო-მოყავისფრო კაჟისაა. ზურგის ზედაპირზე ეტყობა წინამორბედი ორი მოგრძო ლამელის ატკეცის კვალი, ხოლო მარჯვენა გვერდის გასწვრივ შერჩენილი აქვს კაჭრის კანი. დარტყმის მოედანი ამოზნექილ-მორკალულია და გულმოდგინედაა შესწორებული ნუკლეუსზე წვრილფაცეტოვანი რეტუშით. შესაბამისი ბურცული უმნიშვნელოდაა წამოზრდილი და ზედაპირზე ეტყობა ნიჟარისებური ანამტვრევის კვალი. ლამელა მკრთალი „ლუსტრაჟიანია". მისი ზომებია: სიგრძე — 8,9 სმ, სიგანე — 3,5 სმ, სისქე — 0,8 სმ.

ამოზნექილ-რეტუშირებული დარტყმისმოედნიანი მეორე ლამელა (ტაბ. II, 6). მოყავისფრო კაჟისაა და დაფარულია მოყვითალო-მოვარდისფრო მკრთალი პატინით. დარტყმის მოედანი ამოზნექილია, ქმნის სწორ კუთხეს ქვედა სიბრტყესთან და შესანიშნავადაა შესწორებული ნუკლეუსზე. შესაბამისი ბურცული რელიეფურია და ზედაპირზე ეტყობა ნიჟარისებრი წარმონაქმნი. ლამელის ორივე ზედაპირი სარკისებურად პრიალაა. ახალი გატეხილია.

თითქმის არაფრით განსხვავდება ზედაპალეოლითურისაგან (ტაბ. II, 7) გამოსახული მოყავისფრო კაჟის ლამელა. მისი სამფერდა ზურგის გამყოფი ქედები დაბალია, ხოლო ნეგატივები არა ღრმა. დარტყმის მოედანი პატარაა და შესწორებული, ქმნის სწორ კუთხეს ქვედა სიბრტყესთან. შესაბამისი ბურცული უმნიშვნელოდაა წამოზრდილი, მაგრამ ზედაპირზე ეტყობა ნიჟარისებრი წარმონაქმნი, რასაც ძლიერი დარტყმის შედეგად ღებულობს შესაბამისი ბურცული. ლამელის ორივე გვერდი ფაქიზადაა რეტუშირებული. შესაძლებელია

მას იყენებდნენ, როგორც მჭრელ იარაღს. მისი ზომებია: სიგრძე — 6,3 სმ, სიგანე — 2,2 სმ, სისქე დარტყმის მოედანთან — 0,6 სმ.

ანატკეცები და ლამელები არალევალუას ტიპის, სულ 155 ცალია. უმრავლესობა ხასიათდება მასიურობით, უწესო მოყვანილობით, დარტყმის დიდი მოედნით და რელიეფური შესაბამისი ბურცულით. მათი უმრავლესობის ზურგი დაფარულია კაჟრის კანით, მცირე ნაწილს კი კარგად ეტყობა წინამორბედი ფირფიტების რადიალურად ან კონვენგენტურად ატკეცის კვალი. არალევალუაზურ ანატკეცებს შორის გვხვდება საკმაოდ სწორი მოყვანილობის ცალებიც. ანატკეცები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან დარტყმის მოედნის ხასიათითაც. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

ანატკეცი მოყვითალოხალებიან მოყავისფრო კაჟისა, ორფერდაა, დარტყმის მოედანი გლუვი აქვს (ტაბ. II, 8), იგი სწორი კუთხითაა განლაგებული ქვედა სიბრტყესთან. შესაბამისი ბურცული რელიეფურია, უკავია ქვედა სიბრტყის ნახევარზე მეტი და ზედაპირზე ეტყობა ნიჟარისებრი წარმონაქმნი. ორივე ზედაპირი სარკესავით პრიალებს. პატინირებული არ არის. მისი ზომებია: 7,0×6,5×1,5 სმ.

დარტყმის მოედანი გლუვი აქვს აგრეთვე მეორე ანატკეცს, რომლის მთელი ზედაპირი დაფარულია მძლავრი პატინით. ანატკეცი მასიური და უხეშია (ტაბ. II, 9). ზურგის მარჯვენა გვერდი დაფარული აქვს კაჟრის კანით: დარტყმის მოედანი ქვედა სიბრტყესთან ქმნის მახვილ კუთხეს, შესაბამის ბურცულს უკავია ქვედა სიბრტყის ნახევარზე მეტი და კარგად ეტყობა ნიჟარისებრი ანამტვრევი. ანატკეცის ზომებია: 8×4,8×2 სმ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კოლექციაში არის რამდენიმე ანატკეცი და ლამელა, რომელთა მთელი ზედაპირი დაფარულია მძლავრი პატინით. შესაძლებელია აღნიშნული ნივთები ან გაცილებით ადრე მოხვდა მიწის ზედაპირზე დანარჩენ მასალასთან შედარებით, ან შესაძლოა რამდენადმე უფრო არქაულია და მოტანილია სხვა ადგილიდან ხვირათის ბორცვზე მცხოვრებ პირველყოფილი ადამიანის მიერ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არალევალუაზურ ანატკეცებს შორის გვხვდება თითო-ოროლა, რომელთაც საკმაოდ სწორი მოყვანილობა ახასიათებს. ერთ-ერთი მათგანი ატკეცილია მოთაფლისფრო კაჟის ორფუძიან თუ დისკოიდალურ ნუკლეუსიდან. მას ზურგზე ეტყობა წინამორბედი ფირფიტების ატკეცის კვა-

ლევალუაზური ანატკეცები და ლამელები — ცხრილი 2

| ნამზადები | დარტყმის მოედანი: გლუვი (შეუსწორებელი) | ორფერდა | სწორად რეტუშირებული (ფასეტირებული) | მოზნექილ-რეტუშირებული (ფასეტირებული) | დაზიანებული ან გაურკვეველი | წათლილი მეორადი დამუშავებით | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ანატკეცები | 5 | — | 13 | 7 | 1 | 1 | 27 |
| სამკუთხა ანატკეცები | — | — | — | 1 | — | — | 1 |
| ლამელები | 7 | 3 | 24 | 12 | 9 | 2 | 57 |
| | 12 | 3 | 37 | 20 | 10 | 3 | 85 |

ლი რელიეფური წიბოსა და ღრმა ნეგატივების სახით (ტაბ. II, 10). ქვედა სიბრტყისადმი სწორი კუთხით მდებარე დარტყმის მოედანი შესწორებულია ნუკლეუსზე. შესაბამისი ბურცული რელიეფურია და უკავია ქვედა სიბრტყის მესამედი. ანატკეცი არ არის პატინირებული. ზომები: 8,9×6,3×1,4 სმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვირათის ნამოსახლარზე მოპოვებული ანატკეც-ლამელების, აგრეთვე დარტყმის მოედნის კლასიფიკაციის ძირითადი ტექნიკური მაჩვენებლები გამოსახული ციფრებში კარგად ჩანს მე-2 და მე-3 ცხრილში.

ცხრილი 3

არალევალუაზური ანატკეცები და ლამელები

| ნამზადები | დარტყმის მოედანი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | გლუვი (შეუსწორებელი) | ორფერდა | სწორად რეტუშირებული (ფაცეტირებული) | ამოზნექილ რეტუშირებული (ფაცეტირებული) | დაზიანებული ან გაურკვეველი | წათლილ მეორადი დამუშავებით | სულ |
| ანატკეცები | 73 | — | 34 | 19 | 24 | 2 | 152 |
| სამკუთხა ანატკეცები | — | — | 1 | 1 | — | — | 2 |
| ლამელები | — | — | — | — | 1 | — | 1 |
| | 73 | — | 35 | 20 | 25 | 2 | 155 |

ზემოთ მოტანილი ცხრილების მოშველიებით შესაძლებელია გაკეთდეს ხვირათზე მოპოვებული მასალის ქვის გაპობის ტექნიკისა და დარტყმის მოედნების ხასიათის სტატისტიკური ანალიზი ინდექსების სახით.

ხვირათზე მოპოვებული ქვის მასალის ლევალუას ინდექსი (indice Levallois) ასეთია:

$$\frac{\text{ლევალუას ტიპის ნამზადების საერთო რაოდენობა} - 85 \times 100}{\text{ყოველგვარი ნამზადების საერთო რაოდენობა (ლევალუა არა ლევალუა)}\ 240} = 35{,}4$$

ამგვარად, ხვირათის მასალების ლევალუას ინდექსი უდრის 35,4, რაც იმის მაჩვენებელია, რომ იგი ლევალუაზურ ინდუსტრიას მიეკუთვნება.

ხვირათის ნამოსახლარიდან მრავლადაა ლამელები (65 ც.), რაც საკმაოდ მაღალ ინდექსს იძლევა: $1\ \text{Lam} - \frac{65 \times 100}{240} - 27{,}0$ აღნიშნული ციფრი მეტად დიდია, რაც სხვა მონაცემებთან ერთად იმის მაუწყებელია, რომ ხვირათის სახით საქმე გვაქვს მუსტიეს ეპოქის მოგვიანო ხანის საკმაოდ განვითარებულ ინდუსტრიასთან.

საყურადღებოა აგრეთვე დარტყმის მოედნების შესწორების ინდექსი, როგორც საერთო (ორფერდა, სწორად და ამოზნექილ რეტუშირებული), ისე ფაქიზი — ფაცეტირებული (სწორად და ამოზნექილ რეტუშირებული).

დარტყმის მოედნების შესწორების საერთო ინდექსი — 52,5-ია, რაც შეეხება ფაქიზად რეტუშირებულ, ანუ ფაცეტირებული დარტყმის მოედნების ინდექსს, იგი 51,0 უდრის. ამგვარად ხვირათის მუსტიერული მასალა ფაცეტირებულ ინდუსტრიას მიეკუთვნება. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ფაცეტირების მაღალი ინდექსი დამახასიათებელია პალესტინის გამოქვაბულების ლევალუა-მუსტიერული ხანის მასალებისათვის.

გარდა ზემოთ დასახელებული ნუკლეუსებისა და სხვადასხვა სახის ნამზადებისა, ხვირათის მუსტიერულ მასალაში საკმაო რაოდენობითაა დასრულებული იარაღები და რეტუშირებული ანატკეცები (სულ 41 ც.). იარაღებს შო-

რის წამყვანი ადგილი წვეტანებს (16 ც.) და სახოკებს (11 ც.) უკავიათ, დანარჩენი იარაღები მცირერიცხოვანია. თითქმის ყველა წვეტანა (15 ც.) ლევალუას ტიპის ლამელებზეა ნაკეთები, ხოლო სახოკები — არალევალუაზურ ანატკეცებზე. დასრულებული იარაღების უმრავლესობა (განსაკუთრებით წვეტანები) ხასიათდება საკმაოდ სწორი მოყვანილობით და სრულყოფილი დამუშავებით.

ხვირათზე მოპოვებულ იარაღებს შორის, ჩვენის აზრით, ყველაზე საყურადღებოა დაფნის ფოთლისმაგვარი ორმხრივ ბრწყინვალედ დამუშავებული *შუბის თუ სატევრის პირი* (ტაბ. III,1). იარაღი ნაკეთებია მონაცრისფრო, ალაგ-ალაგ მოყვითალო ელფერის კაჟის მასიურ ანატკეცებზე ან ლამელაზე, რაზედაც მიუთითებს მაღალი, რელიეფური ზურგი და სწორი ქვედა სიბრტყე. იარაღის შუა ნაწილის განივკვეთი სამკუთხედს უახლოვდება, ხოლო წვერთან და ბოლოში — სეგმენტს. შუბისპირს შერჩენილი არა აქვს დარტყმის მოედანი და არც შესაბამისი ბურცული. იგი მთლიანადაა ათლილი რეტუშის საშუალებით. ანატკეცისა თუ ლამელისათვის ჯერ მთლიანად დაუმუშავებიათ მუცლის ზედაპირი, ხოლო შემდეგ ზურგი, ამას ცხადყოფს დამუშავების თანამიმდევრობაზე დაკვირვება. კერძოდ, მუცლის (ქვედა სიბრტყის) დამუშავებისას გამოყენებული ურთიერთშემხვედრი მსხვილფაცეტოვანი, მაგრამ არაღრმა რეტუშირებისას მიღებული ნეგატივები უმრავლეს შემთხვევაში ჩამოქვეთილია იარაღისათვის გარკვეული ფორმის მიცემის დროს. ასევე მსხვილფაცეტოვანი რეტუშითაა დამუშავებული ზურგი. რეტუში რიგ შემთხვევაში საფეხურებიანია, მაგრამ შემდგომ იგი შესწორებულია თანამიმდევრული ფაქიზი რეტუშით, რომელიც იარაღის პირს გარშემო მიუყვება. განსაკუთრებით შესანიშნავადაა დამუშავებული სამუშაო წვერი, რომელიც ძალიან ბასრია. მუცლის მხრიდან შუბისპირის ბოლო მნიშვნელოვნადაა გათხელებული გათლის საშუალებით ისე, რომ იგი ზურგის ზედაპირისაკენაა აწრილი, რაც კარგად ჩანს პროფილში. შესაძლებელია ეს გაკეთებულია იარაღის ტარში უკეთ გაჭედვის მიზნით. შუბისა თუ სატევრის პირის ზომებია: სიგრძე — 13,1 სმ, სიგანე შუა ნაწილში — 3,5 სმ, მაქსიმალური სისქე — 1,7 სმ. პატინირებული არ არის. ახასიათებს მკრთალი „ლუსტრაჟი“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხვირათის მუსტიერული მასალა მიწის ზედაპირზეა მოპოვებული მოგვიანო ხანის ინვენტართან ერთად, სადაც საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი ორმხრივი დამუშავებული იარაღები, მათი ფრაგმენტები და ნამზადები, ამიტომ ბუნებრივია დაიბადოს კითხვა: ხომ არაა ზემოთ აღწერილი შუბისპირი მოგვიანო ხანის? შევეცდებით გავცეთ პასუხი: ხვირათის ნამოსახლარზე მოპოვებული გვიანი ხანის ორმხრივ დამუშავებული არც ერთი იარაღი ჩამოყალიბებული არ არის მასიურ ანატკეცებზე თუ ლამელაზე, ყველა მათგანი ნაკეთებია კაჟის მთლიანი გულგულისაგან, კაჟი მოყავისფრო-მოწითალოა. არც ერთს არ ახასიათებს დაფნის ან ტირიფის ფოთლისმაგვარი მოყვანილობა. არ ეტყობათ გათლა და საფეხურიანი რეტუში და საერთოდ დამუშავების ტექნიკის არქაულობა. მოგვიანო ხანის არც ერთ ნივთს არ ახასიათებს მინანქრისებრი პრიალი, ანუ „ლუსტრაჟი“. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მუსტიერულ კომპლექსში გვაქვს ორმხრივი სახოკი, რომელიც ნაკეთებია ზუსტად ისეთსავე კაჟისაგან, როგორზეც შუბისპირია. ჭიათურის რ-ის სოფ. კაცხიდან მოგვეპოვება მასიურ ანატკეცზე თუ ლამელაზე ნაკეთები მუსტიერული ხანის ორმხრივ დამუშავებული შუბისპირი, დაფარული მძლავრი

მოვარდისფრო პატინით, რომელიც დამუშავების ტექნიკით ხვირითის ანალოგიურია. ყოველივე ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ხვირათის შუბისპირიც მუსტიერული ფენიდან მომდინარეობს.

წ ვ ე ტ ა ნ ე ბ ი 16 ცალია. დიდი უმრავლესობა (15 ც.) ნაკეთებია ლევალუაზურ ანატკეცებზე და ლამელებზე. ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, როგორც მოყვანილობით, ისე დამუშავების სრულყოფითაც. სავარაუდებელია, რომ სხვადასხვა ტექნიკით დამუშავებული წვეტანები სხვადასხვა სახის სამუშაოსათვის იყო განკუთვნილი. ერთი წვეტანა (ტაბ. II, 11). ნაკეთებია მოყავისფრო კაჟის სამფერდა ანატკეცზე. ქვედა სიბრტყისადმი სწორი კუთხით მდებარე დარტყმის მოედანი ოდნავ ამობურცულ-დაკლაკნილია და ფაქიზადაა შესწორებული ნუკლეუსზე. შესაბამის ბურცულს უკავია ქვედა სიბრტყის მესამედი. ზედაპირზე ეტყობა ნიჟარისებური ანამტრევის კვალი და სხივებივით გაშლილი დაშაშრულობა. წვეტანა ფოთლისებური ყოფილა (წვერი ძველადვეა მოტეხილი), ორივე გვერდი აქვს დამუშავებული წვრილფაცეტოვანი რეტუშით, რომელიც კი არ აყალიბებს წვეტანის ფორმას, არამედ მისდევს ანატკეცის გვერდებს. პატინირებული არ არის. მისი ზომებია: 6,7×3,8×0,9 სმ.

წვეტანა, ნაკეთები მოყავისფრო კაჟის ორფერდა ლამელაზე (ტაბ. II, 12), თავი და ბოლო მოტეხილი აქვს ძველადვე. ლამელის მარცხენა ფერდი, მცირე ნაწილზე, დაფარულია კაჭრის კანით. მარცხენა გვერდი მთლიანადაა დამუშავებული სრულყოფილი რეტუშით, მარჯვენა კი მხოლოდ სამუშაო წვერთან. სიგრძე — 6,4 სმ, სიგანე — 2,4 სმ, სისქე — 1,1 სმ. არა აქვს არც „ლუსტრაჟი" და არც პატინა.

შესანიშნავად აქვს დამუშავებული წვერი თანამიმდევრული ვიწროფაცეტიანი რეტუშით წვეტანას (ტაბ. II,13), ნაკეთებს მოყავისფერო კაჟის ორფერდა ლამელაზე, რომლის მარჯვენა მხარე დაფარულია კაჭრის კანით. სამუშაო წვერი ფაქიზადაა შესწორებული და მახვილია. იარაღი გატეხილია ძველადვე. არა აქვს პატინა; მინანქრისებური პრიალა ზედაპირიანია. მისი ზომებია: 5,4×2,9×1 სმ.

ზედაპალეოლითური ტიპისმაგვარ ლამელაზეა ნაკეთები (ტაბ. II, 14). გამოხატული წვეტანა, რომელსაც დამუშავებული აქვს მხოლოდ სამუშაო წვერი და მარჯვენა გვერდი შუა ნაწილამდე. ლამელის ბოლო მოტეხილია. ორივე ზედაპირს, განსაკუთრებით სამუშაო წვერთან, ახასიათებს მინანქრისებრი სიპრიალე. პატინირებული არ არის. წვეტანის ზომებია: 5,7×2,2×0,6 სმ.

წვეტანა, მონაცრისფერო კაჟისა, ნაკეთები სამკუთხა მოყვანილობის სამფერდა ლამელაზე (ტაბ. III, 2). დარტყმის მოედანი სწორედ აქვს შესწორებული ნუკლეუსზე, შესაბამისი ბურცული არარელიეფურია. აღნიშნული წვეტანა განსხვავდება ზემოთ აღწერილთაგან დამუშავების ხერხებით. მათ გვერდები და წვერი დამუშავებული აქვთ ზურგის მხრიდან, აღნიშნულ ცალს კი მხოლოდ მუცლის ზედაპირიდან, თანაც ისე, რომ ზურგიდან სრულებით არ ეტყობა შესწორების კვალი. მუცლის მხრიდან მთლიანადაა დამუშავებული ბრტყელი რეტუშით მარცხენა კიდე და სამუშაო წვერი. რეტუშის საშუალებით ათლილია ქვედა სიბრტყეზე ატკეცის დროს წარმოქმნილი რელიეფური, ტალღისებური წამონაზარდები და შესაბამისი ბურცულის ნაწილი. დამუშავების მიზანი ყოფილა არა გარკვეული მოყვანილობის მიცემა იარაღისათვის, არამედ სამკუთხა ლამელის კიდეებისა და წვერის გასწორება-წამახვილება. კოლექციაში გვაქვს სამკუთხა მოყვანილობის არალევალუაზურ ანატკეცებზე ნაკეთები წვეტანა,

რომელიც მსგავსი ტექნიკითაა დამუშავებული. წვეტანის ზომებია: 7,2×3,0××0,8 სმ. პატინა არა აქვს. კაჟის ორივე ზედაპირი მკრთალ-პრიალაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვეტანა ასიმეტრიული (ტაბ. III, 3), ნაკეთები მოთეთრო- და მოყვითალოხალებიან მოყავისფრო კაჟის ლევალუას ტიპის ორფერდა ანატკეცზე. ანატკეცი მიღებულია ორფუძიანი ნუკლეუსიდან. დარტყმის მოედანი წამტვრეული თუ დაზიანებული აქვს. მორკალური მარცხენა გვერდი სამუშაო წვერთან დაბლაგვებულია რეტუშის საშუალებით, მარჯვენა გვერდი კი შედარებით სწორია, დამუშავებულია ფაქიზი რეტუშით და ქმნის მჭრელ პირს. აღნიშნული იარაღი, შესაძლებელია, დანის ფუნქციას ასრულებდა. სიგრძე — 7,2 სმ, სიგანე — 3,6 სმ, სისქე — 0,3 სმ. პატინირებული არ არის.

წვეტანა-საფხეკი (ტაბ. III, 4). ნაკეთები მოყავისფრო თეთრხალებიანი კაჟის მასიურ ლამელისებურ ანატკეცებზე თუ ლამელაზე, რომელიც პროფილში საკმაოდ მოხრილია. ფირფიტის დარტყმის მოედანი და შესაბამისი ბურცული წათლილია და ამ მხარეს შექმნილია წვეტანის სამუშაო წვერი, ხოლო საწინააღმდეგო ბოლო მორკალულია რეტუშის საშუალებით და საფხეკია ჩამოყალიბებული. აღნიშნული კომბინირებული იარაღი ირგვლივაა დამუშავებული ჯერ მსხვილფაცეტოვანი, ხოლო შემდეგ სრულყოფილი, თანამიმდევრული რეტუშით. იარაღის მარცხენა კიდეს, ზურგის მხრიდან, რეტუში არა აქვს, სამაგიეროდ იგი დამუშავებულია მუცლის ზედაპირიდან ბრტყელი რეტუშით. იარაღის ორივე ბოლოს, წვეტანასაც და საფხეკსაც, ეტყობა გამოყენების კვალი. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული იარაღი გამოირჩევა დამუშავების სრულყოფილი ტექნიკით. სრულებით არ არის პატინირებული. კაჟის ორივე ზედაპირი ოდნავ პრიალებს. წვეტანა-საფხეკის ზომებია: სიგრძე — 9,3 სმ, სიგანე — 4 სმ, სისქე — 1,6 სმ.

სახოკები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სულ 11 ცალია და უმრავლესობა ნაკეთებია არალევალუაზურ ანატკეცებზე. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ კოლექციაში გვაქვს 9 ცალი ანატკეცი და ლამელა, რომელთა გვერდები სწორი ან ჩაღრმავებული რეტუშირებულია და რომელთა გამოყენება შესაძლებელია საფხეკებად, მაშინ მათი რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზრდება. სახოკებს შორის სჭარბობს ოდნავ ამოზნექილი და სწორ სამუშაოპირიანები. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი. ტაბ. III, 5, გამოსახული სახოკი ნაკეთებია მოთეთრო და მოყვითალოხალებიან მოყავისფრო კაჟის არალევალუაზურ ანატკეცებზე. დარტყმის მოედანი ბლაგვ კუთხეს ქმნის ქვედა სიბრტყესთან და დაფარულია კაჭრის კანით. შესაბამისი ბურცული რელიეფურია და უკავია ქვედა სიბრტყის ნახევარი. სახოკის სამუშაო პირი ჩამოყალიბებულია ანატკეცის მარჯვენა გვერდზე და ოდნავ ამოზნექილია. რეტუში წყვეტილია და არა თანაბარი. პატინირებული არ არის. სიგრძე — 6,0 სმ, სიგანე — 7,0 სმ, სისქე — 1,2 სმ, შესაძლებელია უფრო დიდი ზომის იყო, მაგრამ ადრევეა გატეხილი. ანატკეცის ორივე ზედაპირს ახასიათებს მინანქრისებრი სიპრიალე.

ამოზნექილ სამუშაოპირიანი მეორე სახოკი (ტაბ. III, 6), ნაკეთებია ღია მოყავისფრო კაჟის არალევალუაზურ ანატკეცზე. სამუშაო პირი ჩამოყალიბებულია მსხვილფაცეტოვანი რეტუშით, რომელიც ღრმად გადადის ზურგზე და შემდეგ შესწორებულია ფაქიზი რეტუშით. ბრტყელი რეტუშითაა დამუშავებული ანატკეცის მუცლის ზედაპირი სამუშაო პირის გასწვრივ. რეტუშირებულია აგრეთვე მარჯვენა ბოლო ისე, რომ იგი ანატკეცის დარტყმის მოედნის შესწორებას მოგვაგონებს, თუმცა ანატკეცს შერჩენილი არა აქვს არც დარტ-

ტმის მოედანი და არც შესაბამისი ბურცული. იარაღის ზომებია: 5,9×4,7×1,4 სმ. პატინირებული არ არის, ორივე ზედაპირი მკრთალ-პრიალაა.

*სახოკი, ორმხრივი,* ნაკეთები მონაცრისფრო, ალაგ-ალაგ მოყვითალო ელფერის მქონე კაჟის არალევალუაზურ მასიურ ლამელისებრ ანატკეცზე (ასეთსავე კაჟზეა ნაკეთები ზემოთ აღწერილი შუბისპირი), რომლის დარტყმის მოედანი სწორადაა შესწორებული ნუკლეუსზე. ანატკეცის ორივე გვერდზე ჩამოყალიბებულია ოდნავ ამოზნექილ სამუშაოპირიანი სახოკი. რეტუში არ არის თანამიმდევრული, რიგ შემთხვევაში უფრო ღრმაა, ამიტომ სამუშაო პირი ოდნავ დაკბილულია. როგორც ჩანს, იარაღი უფრო გრძელი ყოფილა, მაგრამ ძველადვე გატეხიათ. სახოკის ზომები: 7,2×3,7×1,5 სმ. აქვს მკრთალ-პრიალა ზედაპირი (ტაბ. III,$_{8}$).

*სახოკი ირგვლივ რეტუშირებული,* ნაკეთები ღია მოყავისფრო კაჟის არალევალუაზურ ანატკეცზე (ტაბ. III,$_{7}$). ანატკეცი მიღებული უნდა იყოს დისკოიდალური ნუკლეუსიდან. დარტყმის მოედანი ნაწილობრივ წათლილია, დარჩენილი ნაწილი კი გლუვია. ანატკეცის ირგვლივ გაკეთებული დამაბლაგვებელი რეტუში არათანაბარია, ალაგ-ალაგ ღრმადაა შეჭრილი და ქმნის ოდნავ დაკბილულ სამუშაო პირს. იარაღის ზომებია: 5,3×5,4×1,3 სმ.

*სახოკი, ამოზნექილ-დაკბილულ სამუშაოპირიანი,* ნაკეთები მოყავისფრო კაჟის არალევალუაზურ ანატკეცზე (ტაბ. IV,$_{1}$). ანატკეცი მასიურია, დარტყმის მოედანი ქმნის სწორ კუთხეს ქვედა სიბრტყესთან და სწორადაა შესწორებული ნუკლეუსზე. შესაბამისი ბურცული ოდნავაა წამოზრდილი, მაგრამ ზედაპირზე ეტყობა ნიჟარისებური ორი ანატკეცის კვალი მიღებული ნუკლეუსის ფუძეზე მიყენებული ძლიერი დარტყმის შედეგად. ანატკეცის მარჯვენა გვერდი რეტუშირებული კი არ არის, არამედ ჩამომტვრეულია წყვეტილად, ერთმანეთისაგან მცირედი ინტერვალით და ქმნის დაკბილულ სამუშაო პირს. ანატკეცის მარცხენა გვერდი დაბლაგვულია საკმაოდ ფართო, მაგრამ თხელი ფირფიტების (ნეგატივები არ არის ღრმა) ატკეცის გზით და შემდეგ რეტუშირებულია. დარტყმის მოედნის საწინააღმდეგო ბოლო დამუშავებულია ორმხრივი გათლის წესით ისე, რომ იგი ქმნის მჭრელ სამუშაო პირს. მოყვანილობისა და დამუშავების ტექნიკის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს იყო უნივერსალური იარაღი, რომლის ფუნქციაში შედიოდა არა მარტო გაფხეკვა, არამედ გაჩეხვა და გაჭრაც. ანატკეცის ორივე ზედაპირს, დამუშავებული ადგილების ჩათვლით, ახასიათებს მინანქრისებური სიპრიალე ანუ „ლუსტრაჟი"; პატინირებული არ არის. სიგრძე — 11,1 სმ, სიგანე — 5,2 სმ, სისქე — 2,5 სმ.

*სახოკი, სწორსამუშაოპირიანი,* ნაკეთები ღია მოყავისფრო კაჟის სამფერდა ლამელისებურ ანატკეცზე (ტაბ. IV,$_{2}$). ანატკეცის დარტყმის მოედანი ვიწროა, სწორადაა შესწორებული ნუკლეუსზე და ქმნის სწორ კუთხეს ქვედა სიბრტყესთან. ანატკეცს ბოლოში შერჩენილი აქვს კაჭრის კანი. სამუშაო პირი ჩამოყალიბებულია მარცხენა გვერდზე წვრილფაცეტოვანი დამრეცი რეტუშით, რომელიც ბოლომდე არ გასდევს ფირფიტას. რეტუშის ხასიათით იგი მჭრელ იარაღს უფრო წააგავს ვიდრე სახოკს. პატინირებული არ არის. მისი ზომებია: 7,5×3,8×0,8 სმ.

*საფხეკი ამოღარული* (ტაბ. IV,$_{3}$), ჩამოყალიბებული მოყავისფრო კაჟის არალევალუაზურ ანატკეცზე. დარტყმის მოედანი გლუვია და ქმნის სწორ კუთხეს ქვედა სიბრტყესთან; იგი ანატკეცის ცენტრალური ღერძიდან

გვერდზე, ბლაგვი კუთხით მდებარეობს შესაბამისი ბურცული რელიეფურია და უკავია ქვედა სიბრტყის ნახევარი, ზედაპირზე კარგად ეტყობა ნიჟარისებრი ანამტვრევის კვალი. მარცხენა გვერდი ამოღარულია რეტუშით. ანატკეცის მარჯვენა გვერდი, დარტყმის მოედანთან, მორკალულია და დამუშავებულია ციცაბო რეტუშით ისე, როგორც ეს მოგვიანო ხანის ოვალურ სამუშაოპირიან საფხეკებს უკეთდებათ. არ არის გამორიცხული, რომ ეს იარაღი მართლაც მოგვიანო ხანის იყოს. პატინა არა აქვს. სიგრძე (ცენტრალური ღერძის გასწვრივ)— 3,6 სმ, სიგანე — 4,2 სმ, სისქე — 1,0 სმ.

დ ა ნ ა ს ა ფ ხ ე კ ი, ნაკეთები მოთეთრო-მოყვითალოხალებიან მოყავისფრო კაჟის ლევალუას ტიპის სამფერდა ლამელაზე (ტაბ. IV, 6). დარტყმის მოედანი ვიწრო და გლუვია, შესაბამისი ბურცულიც პატარაა, მაგრამ ზედაპირზე ეტყობა ნიჟარისებური ანამტვრევის კვალი და დაშაშრულობა. ლამელა ერთფუძიანი ნუკლეუსიდანაა ატკეცილი. ლამელის მარჯვენა გვერდი თითქმის მთლიანადაა დამუშავებული მთელ სიგრძეზე. მარცხენა, განსაკუთრებით კი მარჯვენა გვერდი დარტყმის მოედნის მახლობლად, რამდენადმე დაბლაგვებულია. ლამელის ბოლო ნაწილი კი დამუშავებულია ფაქიზი, თანამიმდევრული რეტუშით და ქმნის მჭრელ პირს. აღნიშნული იარაღი, შესაძლებელია ასრულებდა, როგორც დანის, ისე საფხეკის მოვალეობასაც. მისი ზომებია: 10,3×4,2×1,5 სმ. პატინირებული არ არის.

დ ა ნ ა ნაკეთებია არა ლევალუას ტიპის ლამელისებურ ანატკეცზე (ტაბ. IV, 4). დარტყმის მოედანი ამოზნექილ-რეტუშირებულია, შესაბამის ბურცულს, რომელიც საკმაოდ რელიეფურია, უკავია ქვედა სიბრტყის მესამედი. ანატკეცის მარჯვენა გვერდი მთლიანადაა დამუშავებული თანამიმდევრული დამრეცი რეტუშით და ქმნის სწორსა და მჭრელ სამუშაო პირს. ანატკეცის მარცხენა გვერდი, დარტყმის მოედნის ახლოს, დაბლაგვებულია, ალბათ ხელში უკეთ დაჭერის მიზნით. იარაღის ორივე ზედაპირს მინანქრისებური სიპრიალე ახასიათებს. მისი ზომებია: 8,3×3,7×1,3 სმ.

ხ ე ლ ნ ა ჯ ა ხ ი მ ი ნ ი ა ტ უ რ უ ლ ი, სამკუთხა მოყვანილობისმაგვარი, ორმხრივ დამუშავებული (ტაბ. IV, 7). ნაკეთები მონაცრისფროხალიან მოყავისფრო კაჟის მთლიანი გულგულისაგან. იარაღის ორივე ზედაპირი გათლილია მცირე ზომის, მაგრამ საკმაოდ სქელი ფირფიტების ამტვრევის გზით, თანამიმდევრულად ხან ერთ და ხან მეორე ზედაპირიდან ისე, როგორც ჩვეულებრივ ამუშავებდნენ ხელნაჯახებს აშელის ეპოქაში; იარაღის ბოლო თანდათანობით სქელდება ქუსლისაკენ და მიღებულია ორმხრივი გათლის მეშვეობით. ხელნაჯახის სამუშაო პირი, ცალი მხრიდან, შესწორებულია რეტუშით. თხელია და პროფილში იძლევა ტეხილ ხაზს. აღნიშნული იარაღი მოყვანილობით და დამუშავების ტექნიკით იმეორებს აშელურ ტრადიციებს. იარაღის ზომებია: სიგრძე — 6,0 სმ, სიგანე ქუსლთან — 3,3 სმ, სისქე — 1,8 სმ. პატინირებული არ არის.

მეორე ხელნაჯახი (ტაბ. IV, 8) ნაკეთებია მოყავისფრო კაჟის მასიურ, უხეშ ანატკეცზე, რომლის ორივე ზედაპირი ბრტყელია. ქუსლი დაფარულია კაჟის კანით და თითქმის არ არის შესწორებული. ხელნაჯახის ერთი ზედაპირი (წვერთან) დამუშავებულია ურთიერთშემხვედრი ფირფიტების ატკეცის გზით, მეორე ზედაპირი კი მხოლოდ უხეშადაა გამოთლილი. იარაღს სამუშაო წვერი არა აქვს, იგი სწორია და დაფარულია კაჟის კანით. აღნიშნული ხელცული დაუმ-

12498



კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკ. ბიბლიოთეკა

თავრებლის შთაბეჭდილებას ტოვებს. მისი ზომებია: 9,3×6,8×2,6 სმ. პატინირებული არ არის.

როგორც ვხედავთ, ხვირათზე მოპოვებული ქვის იარაღები საკმაო მრავალფეროვნებითა და უმრავლეს შემთხვევაში დამუშავების სრულყოფით ხასიათდებიან. კოლექციაში წარმოდგენილია ბრწყინვალედ დამუშავებული შუბისპირი, სხვადასხვა ტიპის წვეტანები, სახოკ-საფხეკები, მჭრელი იარაღები, ხელცულები და სხვ. რაც მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ხვირათის ნამოსახლარზე მცხოვრებ მუსტიერული ხანის ადამიანებს თავისი საქმიანობის სხვადასხვა დარგისათვის უკვე შექმნილი აქვთ სპეციალური, გარკვეული დანიშნულებისათვის განკუთვნილი იარაღები, რაც მეურნეობის რიგი დარგებისა და ქვის დამუშავების ტექნიკის მნიშვნელოვანი განვითარების მაუწყებელია. მიუხედავად იმისა, რომ ხვირათის ნამოსახლარიდან ფაუნისტური ნაშთები არ მოგვეპოვება, რაც კულტურული ფენის არ არსებობით უნდა აიხსნას, მაინც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა მონადირეობა და მისგან გამომდინარე საოჯახო, შინა საქმიანობა (ტყავეულობის დამუშავება და სხვ.), რაზედაც მიუთითებს შუბისპირის, მრავალფეროვანი წვეტანებისა და სახოკ-საფხეკების არსებობა.

შუბისპირებთან და საერთოდ ორმხრივ დამუშავებულ იარაღებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოურ ლიტერატურაში რიგი მკვლევარის მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც სოლუტრეული კულტურის წარმომავლობის ფესვები უნდა ვეძიოთ ქვის დამუშავების ტრადიციებში, ე. ი. მუსტიერული ხანის იმ ძეგლებიდან, სადაც გაბატონებული იყო ორმხრივი დამუშავების ტექნიკა, განვითარდა სოლუტრეული კულტურა, ხოლო იმ ძეგლებიდან, სადაც ცალმხრივი დამუშავების ტექნიკის ტრადიციები იყო — სოლუტრეს თანადროული ორინიაკის კულტურა[4]. ა. ა. ფორმოზოვის მიხედვით, კავკასიის მუსტიეს ეპოქის ძეგლებში ძირითადად გაბატონებულია ცალმხრივი დამუშავების ტექნიკა, ამიტომ აღნიშნულ ტერიტორიაზე სოლუტრეული კულტურის საფეხური არ არის წარმოდგენილი[5]. უკანასკნელ წლებში მოპოვებული მასალების შესწავლა საშუალებას გვაძლევს გადავხედოთ ა. ა. ფორმოზოვის მტკიცებას, რომ კავკასიის მუსტიესათვის არ არის დამახასიათებელი ორმხრივ დამუშავების ტექნიკა. კავკასიაში ბოლო წლებში გამოვლენილ რიგ ძეგლებში და ადრე მოპოვებულ კოლექციებშიც წარმოდგენილია შუბისპირები თუ წვეტანები, რომლებიც ორმხრივი ტექნიკითაა დამუშავებული. ასეთებია ზემოთ აღწერილი შუბისპირი ხვირათიდან; წონის მღვიმის მუსტიერულ ფენაში ნაპოვნი ოპსიდიანისაგან ნაკეთები მსგავსი იარაღი; შუბისპირი საკაჟიას კოლექციიდან (კოლ. № 2—55—2361)[6]; სოფ. კაცხის ტერიტორიაზე, ადგილ აცხუნათაზე ჩვენ მიერ ნაპოვნი შუბისპირი; ორმხრივ დამუშავებული შუბისპირის ფრაგმენტი და პიკისებური იარაღები სოფ. სკინდორის მუსტიერულ სადგომებიდან (ჭიათურის რაიონი); მინიატურული ხელცულები ხვირათის, ბეხნარის მუსტიერულ ძეგლებიდან, შუბისპირი ახშტირის ქვედა მუსტიერულ ფენიდან[7]. შუბისპირი ქ. ორჯონიკიძის მიდამოებიდან (ჩრდილო-

[4] А. А. Формозов, Пещерная стоянка Староселье и ее место в палеолите, МИА СССР, 71, 1958, стр. 117—120.

[5] А. А. Формозов, დასახ. ნაშრომი, გვ. 119.

[6] С. Н. Замятнин, Палеолит Западного Закавказья I, Сборник музея антропологии и этнографии, т. XVII, 1957, стр. 476—477.

[7] С. Н. Замятнин, Очерки по палеолиту, М.-Л., 1961, стр. 116, ტაბ. L,1 2.

ეთ ოსეთი)[8] და სხვ. მოტანილი ფაქტებიდან გამომდინარე ჩვენ მართებულად გვეჩვენება ვ. პ. ლუბინის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ ორმხრივ დამუშავების ტექნიკის მხრივ კავკასიის მუსტიე უფრო მეტად იხრება ყირიმისა და სამხრეთ რუსეთის თანადროულ კულტურისაკენ, ვიდრე წინა აზიის სინქრონულ ძეგლებისადმი[9]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ორმხრივი დამუშავების ტექნიკა უცხო არ ყოფილა ჯრუჭულის, აგრეთვე კუდარო I[10] გვიანი მუსტიერული ხანის ადამიანებისათვის. აღნიშნულ ძეგლებში მოპოვებული წვეტანების და შუბისპირების მნიშვნელოვანი რაოდენობა დამუშავებულია როგორც ზედა, ისე ქვედა სიბრტყიდან, თუმცა არა მთლიანად. ამის შესახებ ჯერ კიდევ 1963 წ. ვწერდით, რომ „...ჯრუჭულის გამოქვაბულში კი (ისევე როგორც საქართველოს და საერთოდ ამიერკავკასიის შუა და გვიანი მუსტიერული ხანის თითქმის ყველა ძეგლში) ორმხრივ დამუშავებული იარაღები ნაკეთებია მხოლოდ და მხოლოდ ანატკეცებზე, და დამუშავებულია ნაწილობრივ, იარაღის გამახვილებისა (გაბამრებისა) და შემსუბუქების მიზნით“[11]. საინტერესოა აღინიშნოს, რომ რამდენადმე მსგავსი ტექნიკით, ნაწილობრივ ორმხრივდამუშავებული ფოთლისებური მოყვანილობის შუბისპირები თუ წვეტანები საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი კოსტიონკის ტიპის ძეგლებში, როგორიცაა ტელმანი[12], კოსტიონკი I[13] და სხვ. ჯრუჭულას, კუდარო I მუსტიერულ სადგომებში და ზემოთ დასახელებულ ზედაპალეოლითურ ნამოსახლარებში აღმოჩენილი ფოთლისებური მოყვანილობის ნაწილობრივ ორმხრივ დამუშავებული წვეტანები თუ შუბისპირები მსგავსია არა მარტო მოყვანილობით, არამედ რამდენადმე დამუშავების ხერხებითაც. როგორც ჯრუჭულის წვეტანებს, აღნიშნულ იარაღებსაც შესწორებული აქვთ სამუშაო წვერი, როგორც ზურგის ისე მუცლის მხრიდან, ნაწილობრივ ან მთლიანად რეტუშირებული აქვთ გვერდები მჭრელი და სწორი პირის შექმნის მიზნით, ხოლო შესაბამისი ბურცული რიგ მათგანზე ათლილია. დასახელებული იარაღების მოყვანილობასა და დამუშავებას ტექნიკაში არსებული მსგავსებიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ ტელმანის, კოსტიონკი I და სხვა მსგავს ძეგლებში ნაწილობრივ ორმხრივდამუშავებული ფოთლისებური მოყვანილობის იარაღები თავისი წარმომავლობის ფესვებით ჯრუჭულის მსგავს კულტურას უკავშირდება და მისი ტრადიციების გაგრძელება უნდა იყოს. ამაზევე უნდა მიუთითებდეს ის გარემოება, რომ როგორც ჯრუჭულის და მის მსგავს ძეგლებში, ისე კოსტიონკის ტიპის ნამოსახლარებში ფოთლისებური მოყვანილობის იარაღები ნაკეთებია ლამელებზე და არა მასიურ ანატკეცებზე.

---

[8] В. П. Любин, Мустьерский наконечник копья из Северной Осетии, СА, М., 1967, стр. 286, სურ. 1.

[9] В. П. Любин, К вопросу о методике изучения нижнепалеолитических каменных орудий, МИА, СССР, 131, М.-Л., 1965, стр. 68.

[10] В. П. Любин, Высокогорная пещерная стоянка Кударо I (Юго-Осетия), Изв. ВГО, т. 91, 1959, стр. 180. სურ. 5, 7, 9.

[11] ლ. მ. თუშაბრამიშვილი, ჯრუჭულის გამოქვაბულში 1960—1961 წლებში ჩატარებული გათხრების შედეგები. საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები. სპელეოლოგიური კრებული. № 2, 1963, გვ. 105.

[12] П. П. Ефименко и П. И. Борисковский, Тельманское палеолитическое поселение (раскопки 1937 г.), МИА СССР, 59, 1957. სურ. 13, 5, 8, 11; სურ. 14, 7, 10, 12, 13.

[13] П. П. Ефименко, Костенки I, М.-Л., 1958. სურ. 64, სურ. 65, 2, 3, 4, 5.

რაც შეეხება ხვირათის ნამოსახლარის მუსტიერული ინვენტარის ასაკს, იგი, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, თითქმის ანალოგიურია ჯრუჩულის, წონის, კუდარო I გვიანი მუსტიერული ხანის ქვის ნაკეთობების და ქრონოლოგიურადაც მათთან ახლოს დგას, ამიტომ ხვირათის მასალებიც გვიანი ლევალუა მუსტიეს ეპოქით უნდა დათარიღდეს.

Д. М. ТУШАБРАМИШВИЛИ

## МУСТЬЕРСКИЙ КОМПЛЕКС ИЗ ХВИРАТИ

### (селение Салиети, Чиатурский р-н, Груз. ССР)

Резюме

Мустьерский памятник Хвирати расположен на левом берегу каньионообразного ущелья Квирилы. Памятник представляет собой плоскую возвышенность с трех сторон окруженную рекой. Он находится на северо-восточной окраине железнодорожной станции Салиети (Чиатурский р-н, Груз. ССР). Высота холма около 20 метров. Он сложен (снизу вверх) из гранитовых и порфиритовых пород, террасовых остатков реки Квирила, коричневатых суглинков и чернозема. Очевидно кремневый инвентарь происходит из суглинков, но культурный слой здесь уже нигде не прослеживается, т. к. около 20—30 лет назад поселившиеся здесь жители во время строительства домов, хозяйственных строений, обработки почвы полностью разрушили и перемешали не только чернозем, но и верхний горизонт суглинков. Кремневый материал был собран в основном на поверхности обработанной почвы и лишь некоторые изделия были найдены непосредственно в суглинках. Кроме мустьерского инвентаря, на местонахождении Хвирати, в большом количестве были найдены каменные изделия более позднего (неолитического?) облика и шлифованные каменные орудия.

В 1958 — 1964 годах на поселение Хвирати археологической экспедицией Квирильского ущелья, собрано несколько десятков мустьерских нуклеусов, отщепов и пластин, в основном, леваллуазского облика (таб. I, II). Индекс леваллуа составляет 35,4, а индекс пластин 26,0. Эти показатели очень высокие. Среди орудий ведущее место занимают остроконечники и наконечники, изготовленные на леваллуазских отщепах и пластинах (таб. II, рис. 11—14, таб. III, рис. 1—4). Характерной чертой обработки наконечников и остроконечников является применение техники как частичной, так и полной двухсторонней обработки. По форме и по приемам техники, эти орудия почти аналогичны подобным орудиям Джручульской пещеры. Все это позволяет датировать мустьерский комплекс из Хвирати поздней эпохой леваллуа-мустье.

ტაბულა I

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ტაბულა II

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

Г. Н. ЧУБИНАШВИЛИ

# ХУДОЖЕСТВЕННАЯ ХАРАКТЕРИСТИКА И ДАТИРОВКА ФРАГМЕНТОВ ДВУХ СЕРЕБРЯНЫХ КРЕСТОВ ИЗ СЕЛА БАЛТА

По словам доставившего в Музей Грузии С. Г. Джиоева на эти фрагменты наткнулись 2-го января 1967 года на кладбище селения Балта (Знаурского района) при рытье могилы. Так как он пообещал поискать и другие фрагменты крестов, то можно заключить об утечке части находки, как это часто имеет место при подобных обстоятельствах[1]. Никаких дополнительных сведений о составе, положении и о сохранности фрагментов при их обнаружении не имеется.

Наличные фрагменты позволяют считать четыре больших пластины, сплошь покрытых узорами, частями выносного креста; а две прямоугольных гладких, только с двумя фигурами каждая, и примыкающие к ним пластины от главы, частями другого креста типа предалтарных. Из числа мелких обломков можно только восполнить левый нижний угол поперечены выносного креста.

Характерные особенности исполнения обоих крестов объединяют их, как произведения одного времени и одной мастерской. Серебряные пластины имеют выделенными пятнами отштампованные фигурные изображения, которые покрыты позолотой; если фигура имеет рамочку, то все изображение, включая рамочку; если же оно не обрамлено, то по контуру фигуры и ее подписи. Эти яркие позолоченные штампованные фигуры бросаются сильно в глаза среди серебряного без позолоты фона[2].

Другая техническая особенность пластин обоих крестов состоит в том, что каждая отдельная пластина имеет по обе стороны припаянные с оборота серебряные петельки (табл. 2). На каждой пластине выносного креста их по две пары, как у вертикальных, так и у горизонтально расположенных пластин (у последних вверху и внизу, т. е. петельки не могли служить для каких-либо украшающих подвесок, как на ряде известных западно-европейских крестах, например, на crux Vaticana Юстина II и других). Пластина перекрестья имеет еще и в углах по петельке; а пластины предалтарного креста имели по три пары петелек. Мне кажется, что петельки эти служили для закрепления пластин на деревянной основе.

Наконец, пластины выносного креста, для объединения каждого рукава с центральной пластиной, имеют по небольшому выступающему на последней штифтику, выбитому на краю из самой пластины: на

[1] Впрочем нужно отметить, что пластина нижнего тябла около обломанной части с оборота имеет рядом с трещиной припаянную пластинку серебра, что говорит о повреждении в древности, еще до того, как части крестов попали в землю.

[2] Кроме фигурных штампов позолочены как бы лучи на полушарии в перекрестьи выносного креста, увенчанном еще и красным камнем в позолоченной оправе.

штифтики надевался край боковых и вертикальных пластин рукавов. Тоже имеется дырочка внизу нижней пластины, что указывает на некоторое продолжение нижней части креста.

ქსნის ხეობაში ვენახი სოფელ საძეგურამდე აღწევს. დიდი ხანი არ არის, რაც საძეგურში კოლმეურნეობამ ახალი ვენახი გააშენა. გადმოცემით, ძველად პირველ საძეგურში კარგი ვენახები ჰქონიათ. ვენახები, როგორც ჩანს მაღლარიც ყოფილა და დაბლარიც. მაღლარ ვენახს აქ ბაბილოს უწოდებენ. თუ ვენახი ტყეშია, ველურ მდგომარეობაში, იმაზედაც ბაბილოს იტყვიან, ოღონდ უმატებენ „ტყის ბაბილოაო". დღეისათვის ვენახები აქვთ: პირველ საძეგურს, კორინთას, ყანჩაეთს, ალევს, ქურთას, წირქოლს, იკოთს, ბოლს (ქვემო და ზემო), ერედას, გარეუბანს, ახალდაბას, ბექანთკარს, მორბედაანთ, ვაშლოვანს, ახმაჯს, მოსაბრუნს, ლენინგორს, ოძისს, ქსოვრისს, ლამისყანას, თეზს. მუხრანსა და ქსნის ხეობის ბარის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროებზე განლაგებულ ყველა სოფელს. ლენინგორის რაიონის ფარგლებში 200-მდე ჰა ვენახია გაშენებული. აქედან ქსნის ხეობაზე ამის ნახევარი მოდის. მდ. ქსნის ზემო წელზე ხეობის დავიწროებისა და მევენახეობისათვის სოფლების ზღვის დონიდან შეუფერებელ სიმაღლეზე მდებარეობის გამო ვენახი არ ხარობს, თვით ლენინგორი ზღვის დონიდან 800 მეტრზე მდებარეობს, ასე რომ ვენახის გავრცელების ბოლო პუნქტი საძეგური 1000 მეტრს აღემატება.

ქსნის ხეობა მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების თვალსაზრისით ქართლში ერთ-ერთ საუკეთესო კუთხედაა მიჩნეული. მევენახეობა-მეღვინობის გავრცელება-განვითარებას მხრივ ქსნის ხეობას ორ მიკრორაიონად ყოფენ. პირველში აქცევენ ქსოვრისის ქვემოთ მდებარე სოფლებს, რომელთაც საერთო სახელად მუხრანის მიკრორაიონს უწოდებენ (შედიან სოფლები: ქსოვრისი, ძალისი, ლამისყანა, თეზი, ოკამი, მუხრანი, წეროვანი, წილკანი, ქანდა, ციხისძირი და სხვ.), ხოლო მეორეში ქსოვრისის ზემოთ ქსნის ხეობის აყოლებით ვიდრე საძეგურამდე, რომელსაც ლენინგორის მიკრორაიონში აერთიანებენ (შედიან სოფლები: ლენინგორი, იკოთი, კორინთა, წირქოლი, ქვემო ბოლი, ზემო ბოლი, ოძისი და სხვა)[1], ვახუშტის მიხედვით, ქსნის ხეობაში ალევის მთის ცხვირი ქსანს ავიწროებს, ქვემოთ მტკვრამდე არის ვენახოვანი, ხილიანი და მოსავლიანი. ამ კლდეს ზეით იწროდამ, მჭიდრო, უვენახო, უხილო, ძწირი, ვითარცა სხვანი მთის ალაგნიო"[2]. აღნიშნული გეოგრაფიული პუნქტი სოფელ კორინთასთან მდებარეობს და, როგორც ჩანს, ვახუშტის დროს მევენახეობას ამ პუნქტის ზემოთ უმნიშვნელო ადგილი ეჭირა.

---

[1] ნ. კ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, მეღვინეობა, I, 1961, გვ. 37.
[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 68.

ქსნის ხეობაში გავრცელებული ყოფილა ვენახის შემდეგი ჯიშები: რქაწითელი, თავკვერი, ჭყაპა, თითა, ცხენისძუძუ, გორული მწვანე, ფრანგულა, ბუზა, ბუდეშური, საფერავი, ჩინური ანუ საბატონო, ალიგოტე; დასახელებული ჯიშებიდან მუხრანის მიკრორაიონში გავრცელებული იყო: გორული მწვანე, ჩინური, ჭყაპა, თავკვერი, საფერავი, ბუდეშური, რქაწითელი და სხვ. ლენინგორის მიკრორაიონში: ჩინური, გორული, რქაწითელი, გორული მწვანე, საფერავი, თავკვერი, ბუზა, რქაწითელი, ჭყაპა და სხვ.

ამ ორი მიკრორაიონის შიგნით კიდევ იყო პატარა მიკრორაიონები, სადაც ვენახი და მისი ყურძნიდან მიღებული ღვინო მეორე მიკრორაიონისაგან გამოირჩეოდა თავისი შაქრიანობით, სიცქრიალით, ბუკეტით, არომატითა და სიმაგრით. მაგ., გამოყოფილია ლამისყანის ღვინო. თვით ლამისყანაში ვენახი ორ ზონაში იყო გაშენებული, ლამიანში, ორბელიანთ ჭალებში და ურწყავებში. ურწყავებში მოწეული ყურძნის ღვინოს ლამიანების ღვინოზე უფრო მაღალ თვისებებს მიაწერდნენ. ასევე გამოიყოფოდა ძალისური და დამპალას ღვინო, მეზობელი სოფლების ღვინოებისაგან. ლენინგორის მიკრორაიონში გამოჰყოფდნენ წირქოლის და ზემო და ქვემო ბოლის ღვინოს. აღსანიშნავია, რომ როგორც წირქოლის, ისე ბოლის ვენახები გაშენებულია წაბლა და თიხნარ ალუვიურ ნიადაგებზე, მზის ექსპოზიციისაკენ მიმართული რაც ვენახისათვის კარგ პირობად ითვლება.

ქსნის ხეობაში, როგორც აღვნიშნეთ, ვენახი დღეისათვის საძეგურამდე ვრცელდება. საძეგურის კოლმეურნეობას 5 ჰა ალიგოტეს ჯიშის ვაზი აქვს გაშენებული. საკარმიდამო ნაკვეთებში გლეხებს ვენახი არა აქვთ. ზოგიერთს ეზოში თითო ოროლა ვაზი აქვს დარგული. როგორც აქაურებმა გადმოგვცეს, სოფელს ძველად ჰქონია ვენახი, შემდეგ გადაშენებულა და სოფლის გაღმა გაველურებულ მდგომარეობაში დარჩენილა რამდენიმე ბაბილო. მთხრობელთა გადმოცემით, ვენახის ზოლი უფრო ზემოთაც მიდენილა, ასე მაგალითად, საძეგურიდან 5 კილომეტრის მოშორებით ცხავატის ხეობაში ვენახები ჰქონიათ. ცხავატურას ხეობის მარჯვენა მხარეზე დღემდე შემორჩენილია ტერასების ნაშთები. ადგილობრივთა ჩვენებით, მათ წინაპრებს ტერასაზე ვენახები ჰქონიათ გაშენებული. ცხავატას ტერასებზე სათანადო დაკვირვება უწარმოებია (1937 წელს) გ. ჩიტაიას, რომელიც მიუთითებს, რომ ქსნის ხეობაში მიწის სიმცირის გამო „მოსახლეობა საუკუნეების მანძილზე იძულებული იყო ბუნებისაგან გამოეგლიჯა საყანედ გამოსადეგი მიწის თითოეული ნაკუწი... ცხავატურის ხეობის ზვარეებში დღესაც ჩანს ტერასისებურად აგებული ყორეები, რომლებიც ფერდობებში ნიადაგის დაქანების წინააღმდეგ ყოფილა მიმართული“[3].

მთხრობელთა გადმოცემით, ცხავატურას ხეობის ზვარე ტერასებზე ძველად ვენახები ყოფილა გაშენებული. ცხავატურას ხეობაში ვენახების არსებობაზე მიუთითებს ხეობის ზედა წელში განლაგებული სოფლის მოხუც მთხრობელთა გადმოცემები. მაგ. „ჩვენს წინაპრებს უთქვამთ, წავიდეთ ცხავატში, ჩავიდეთ, ყურძენი ვჭამოთ“. როგორც ეთნოგრაფიული მასალებიდან ირკვევა, ცხავატი ქსნის ხეობაში უნდა ყოფილიყო ბოლო პუნქტი, რომლის ზემოთაც ვენახი აღარა ხარობდა. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ცხავატს ქვემოთ მდებარე სოფლები და მდინარე ქსნის სანაპიროს სოფლები მისდევდნენ მევე-

[3] გ. ჩიტაია, ქსნური მთის გუთანი, ენიმკის მოამბე, V—VI, 1940, გვ. 485.

ნახეობას, მთის თითქმის ყველა სოფელს ეკლესიის თუ ხატის ან ციხის კარზე საკმაო რაოდენობით გააჩნდა ღვინის შესანახი საზედაშე ქვევრები, რომელიც ბარიდან მოტანილი ტკბილით ივსებოდა ხოლმე. ზედაშე სათანადო დანიშნულებით იხარჯებოდა, ქსნის ხეობის მთის ისეთ შორეულ სოფლებსაც კი, როგორიც ელოიანი, ბაგინი, პავლიაანთკარი, შველიეთი და სხვა, ბარში ვენახები გააჩნდათ. დ. გვრიტიშვილის გამოკვლევით დადგენილია, რომ ბერციხის ტერიტორიაზე, რომელიც სოფელ ბაგინის ძირასაა განლაგებული, სათანადო მარანი ყოფილა მოთავსებული დღემდე შემონახული ქვევრებით[4]. სოფ. ბალააანში 80 წლის ლექსო ბალაშვილის გადმოცემით „სოფელში ციხე-კოშკია, რომელსაც გვერდით მიდგმულ-მიშენებული აქვს „ცეცხლის ჯვრის ხატი“. ეს იყო პატარა მარანი, შიგ 5 ქვევრი იყო 8—9-კოკიანი. აქ იყო არყის დასაყენებელი ქვევრიც“. სოფ. ლევანაანთში კვირაცხოველის ხატის კარზე მრავალი საზედაშე ქვევრი იყო დაცული, ასევე ბელოსაში. სოფ. ლევანაანთში მცხოვრებ ილურიძეებს ვენახები ჰქონიათ სოფ. ბოლში, ილურიძე დავითის სხვა ნაგებობებთან ერთად მარანიც ჰქონია. მარანი ჰქონია, აგრეთვე, სოფ. ელოიანში მცხოვრებ რეზო ბეროს ძე ელოშვილს (72 წლის, 1969). თვით სიტყვა მარანი ქსნის ხეობის მთის სოფლებში საკმაოდ ფეხმოდგმული ტერმინია და ნიშნავს სამეურნეო ნაგებობის იმ განყოფილებას თუ ნაწილს, სადაც ქვევრებს ინახავდნენ და ღვინოს ათავსებდნენ. სოფ. ალეველებს ვენახები ჰქონიათ და ახლაც აქვთ სოფ. კორინთასთან, ქსნის პირას, ისინი იქვე წურავდნენ და კოლოტებით მიჰქონდათ ტკბილი.

სოფელ შველიეთში მცხოვრებ მათე რუსიტაშვილს (80 წლისა, 1969) და მის წინაპრებს ვენახები ჰქონიათ სოფ. იკოთში და ბოლში. მისივე გადმოცემით, შველიეთში 25 კომლი ცხოვრობდა. ყოველწლიურად შველიეთელებს 100 კოკაზე მეტი ტკბილი ამოჰქონდათ და მის დადუღება-დაღვინებას ადგილზე აწარმოებდნენ. ნაწილს სახლში ინახავდნენ სახარჯოდ იყენებდნენ. ნაწილს კი ეკლესიის კარზე მოთავსებულ საზედაშე ქვევრებში.

ქსნის ხეობაში მევენახეობა ორი მიმართულებით ვითარდებოდა, საკულტო დანიშნულებით და პირადი, საოჯახო მოხმარებისათვის. ხატ-სალოცავებს და ეკლესია-მონასტრებს ვენახები და სავენახეები საკმაო რაოდენობით გააჩნდათ. მარტო წირქოლის თეთრი გიორგის ეკლესიის კარზე 10-მდე ნაქვევრალი ადგილი მოვითვალეთ. გადმოცემის მიხედვით, ეკლესიის ახლომახლო მიწები ხატის ვენახებს წარმოადგენდა. ამ ვენახიდან მოწეული ყურძენი მთლიანად ხატის კარზე იწურებოდა და იქვე ისხმოდა ქვევრებში. ქვევრები ხატის კარზე ყველგან ღია ცისქვეშ იყო მოთავსებული. აქვე ჩანს ქვითკირის საწნახელის ნაშთები.

სახატე მევენახეობა-მეღვინეობა, ქსნის ხეობის მასალების მიხედვით, შემდეგი სახით იყო წარმოდგენილი. სოფელ წირქოლს თეთრი გიორგის ხატის სახელზე 4 ნაჭერი ვენახი გააჩნდა, რომელიც ორ დღიურს შეადგენდა. ხატის ვენახის დამუშავების ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა ორი მნათე. მნათეებს სოფელი ირჩევდა თითო წლით. მნათეები ვენახის სამუშაოებზე სოფელს გამოიყვანდნენ, გაასხვლევინებდნენ, დააბარვინებდნენ, სარს შეუდგამდნენ, შეყელავდნენ. დამწიფებისას დეკანოზი და მნათეები შეიკრიბებოდნენ, მოკრეფდნენ,

---

[4] დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, 1955, გვ. 65.

ჩაწურავდნენ და გარეცხილ-გასუფთავებულ საზედაშე ქვევრებში ჩააყენებდნენ. ხატის კარზე მოთავსებული მარანი (წირქოლის მაგალითის მიხედვით) ღია ცის ქვეშ არის მოთავსებული. ქვევრების რაოდენობა საკმაოდ ბევრი ყოფილა, დაღვინების შემდეგ მარნის მეთვალყურეობა სოფლის ყველა მცხოვრების მოვალეობად იყო ქცეული. განსაკუთრებული ყურადღება მაინც მნათეებს ეკისრებოდა. ისინი ვალდებული იყვნენ, როგორც ხატის ღვინის წესიერად დაყენებაზე, ისე მის შემდგომ შენახვა-დაცვაზე და მის გეგმაზომიერად მოხმარებაზე. წირქოლელები ხატის ღვინოს სამ სხვადასხვა დღეობაზე ხარჯავდნენ, აღდგომას, კვირაცხოვლობას და ამაღლებას. ხატის მარანი, როგორც აღვნიშნეთ, ღია ცისქვეშ იყო, ადგილობრივნი მარნის სიახლოვეს ვერ გაივლიდნენ. მაგრამ ყოფილა შემთხვევები, როცა სხვა სოფლებიდან ღვინის მოსაპარავად მოსულან და ქვევრი მოუხდიათ. ასეთი შემთხვევა დაგვისახელეს სოფ. შველიეთში და სოფ. წირქოლში. მაგრამ ხალხის რწმენა ხატის მარანთან მორიდებულად ყოფნის თაობაზე იმდენად დიდი იყო, რომ თუ ვინმე ქურდულად ხატის ღვინოს დალევდა, მას ან „ჭკუაზე შეშლიდა ან დაამიზეზებდა“[5]. წირქოლელთა გადმოცემით „ერთხელ თურმე ღამით ყანჩაველთელებმა მოიპარეს ხატის ღვინო. ქურდმა, რომ ჩაჰყო ხელი ქვევრში ღვინის ამოსაღებად, ხელი გაუჩერდა, ვეღარ ამოიღო. მეორე ქურდმა წირქოლელებს დაუძახა: „წირქოლელებო, თქვენი ღვინო მოიპარესო“. ხალხი მოსულა, ქურდებს ხატისთვის შეუთქვიათ, ქვევრიდან ხელი ამოუღიათ. ამის შემდეგ ხატის ღვინის ქურდებს საამაღლებოდ ხატის კარზე ქადები და სასმელი მოჰქონდათ თურმე“.

სოფელი ქურთა ხატის ვენახიდან 20 კოკამდე ღვინოს აყენებდა. ვენახის დამუშავება ისეთივე წესით მიმდინარეობდა, როგორც წირქოლში, იმ განსხვავებით, რომ ქურთაში 4 მნათე ჰყოლიათ ყოველწლიურად არჩეული. ხატის ვენახის სამუშაო საქმიანობას დეკანოზი და მნათეები უწევდნენ ხელმძღვანელობას, მოსავლის აღებამდე რაც სამუშაოები იყო ჩასატარებელი სასოფლოდ სრულდებოდა. ხატის ვენახში სამუშაოდ გასვლა დათქმული იყო აღდგომის შაბათს. თუ რომელიმე ხატის ვენახში სამუშაოდ გასვლაზე უარს იტყოდა, დეკანოზი და მნათეები უფლებამოსილი იყვნენ მისი სახლი დაერბიათ და ნარბევი ნივთები საჯაროდ გაეყიდათ. შემოსავლით ღვინოს ყიდულობდნენ და „სასოფლოდ“ ხარჯავდნენ. ხატის ვენახის დაკრეფა და ყურძნის დაწურვა მნათეებისა და დეკანოზის უშუალო ფუნქციად იყო ქცეული. სოფ. ქურთას ხატის ვენახი ზემო ქურთაში მდებარე წმინდა გიორგის ხატის სახელზე იყო, რომლის დეკანოზობა პაპიაშვილების გვარს მოუდიოდა. მთხრობელმა ვასო ზაქარიას ძე ბერიანიძემ (67 წ. 1968 წ.) მხოლოდ სამი დეკანოზი დაასახელა. პაპიაშვილი ზაქარია, რომლის შემდეგ დეკანოზობდა მისი შვილი ფიდო, ფიდოს გარდაცვალების შემდეგ ფიდოს ბიძაშვილი ლექსო პაპიაშვილი. აღსანიშნავია, რომ ქურთას წ. ა. გიორგის და წირქოლის თეთრი გიორგის დღეობებთან დაკავშირებულ სამეურნეო საქმიანობაში (ვენახის მოვლაში მისი პროდუქტის დამუშავება-გამოყენებაში) მღვდელი არ ერეოდა.

ხატის ვენახიდან დაწურული ყურძნის ჭაჭიდან არაყს ხდიდნენ და ისიც „სასოფლოდ“ იყო გამოყენებული. ხატის ვენახის ნასხლავი წალამი კი სოფელ ქურთაში ხატის მარნის გადასახურავად გამოუყენებიათ. სოფ. ქურთას — ხატის მარანი წირქოლის მარნისაგან განსხვავებით წალმით გადახურული ქოხის

[5] თ. ს ა ხ ო კ ი ა, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, III, 1955, გვ. 192.

სახით ყოფილა წარმოდგენილი. სოფელ ქურთაში თიბათვეში ხატობის დროს ღვინის დასალევად დიდი ბადია ჰქონიათ. ბადია სამლიტრიანი ყოფილა, თიბათვის ხატობას ბადიობასაც უწოდებენ. ბადიაში დასხმულ ღვინოს მას შემდეგ რაც დეკანოზი დაილოცებოდა, სუფრაზე ჩამოატარებდნენ და ვისაც რამდენი შეეძლო და სურდა იმდენს მოსვამდა. როგორც ჩანს, ბადია ამ შემთხვევაში რიტუალური მარნის ანალოგიურ ფუნქციას ასრულებდა. კოლექტივის თემის საერთო ჭურჭლიდან საზიარო სითხის მიღებით ამ თემის წევრთა განწმენდა ხდებოდა და ურთიერთობა მტკიცდებოდა. ისტორიულ ხანაში ბარის დიდ სოფლებშიც ყოფილა სახატო ვენახები. ასე მაგ., სამთავისის ტაძარს გააჩნდა არამარტო ვენახები, მას საკუთარი მარანი და საწნახელიც ჰქონდა, ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონია ადგილი ყანჩაეთში და რიგ სხვა სოფლებშიც.

ჩვენ შევჩერდით ხატის ვენახებზე. ორიოდე სიტყვით შევეხებით საერო მევენახეობასაც. ვაზის ჯიშებზე ზემოთ უკვე აღნიშნული იყო. სავენახედ ტრადიციულად მზიან-ზვარე ადგილს ირჩევდნენ. ვენახის გასაშენებლად მიწა ორგზის ღრმად უნდა მოხნულიყო ან ბარით ორი ბარის პირზე, ე. ი. ბარის პირის ორმაგ სიღრმეზე უნდა გადაებრუნებინათ. ვაზს აშენებდნენ უბრალოდ, ვაზის რქით, ვაზის რქას ოთხ, ხუთ მუხლზე აყენებდნენ და მიწაში ისეთ სიმაღლეზე ათავსებდნენ, რომ ერთი ან ორი მუხლი ჰაერზე დარჩენილიყო. ვაზის რქის წყალში დიდხანს გაჩერება იცოდნენ, რომ დაფესვიანებულიყო და დახარება გაადვილებულიყო. რქის ზრდა-განვითარებას თავიდანვე დიდი ყურადღებით ეკიდებოდნენ, თუ სავენახე ადგილი სარწყავი იყო ვაზს სინესტე არ უნდა გამოლეოდა და დროულად მორწყულიყო. ურწყავ ვენახში ვაზის რქის ნაზარდებს იმდენს ტოვებდნენ, რომ მისი კვება ახალ გატანილ ფესვებს არ გაძნელებოდა.

ჩაყრილი რქა მეორე გაზაფხულზე უნდა გაესხლათ და ორ-სამ კვირტზე დაეყენებინათ. აქედან გამოტანილი სამი ღეროდან ერთი სათადარიგო იყო, რომელსაც „გაფურჩქვნის დროს, თუ ვაზს ძლიერი წანაზარდები ჰქონდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუნარჩუნებდნენ, ხოლო თუ ვაზი სუსტად იზრდებოდა, მაშინ ორ ღეროს შეუნარჩუნებდნენ. მესამე წელს ვაზს სარი უნდა შედგმოდა, ორ რქაზე გაფორმებულიყო და მცირე რაოდენობით კვირტები შეენარჩუნებიათ. ჩვეულებრივად ვაზს ნიშანი მესამე წლიდან მოჰქონდა და ამ დროიდანვე იწყებოდა ვაზისადმი გაძლიერებული ყურადღება. ახალი ვენახი მეოთხე წლიდან თანდათან ძალაში შედიოდა. ვაზის დაფესვიანების გაძლიერების მიზნით, ვაზი ორ წელიწადში ერთხელ უნდა დაბარულიყო.. ხოლო თუ მწკრივები ვაზთა შორის მეჩხერი იყო, მაშინ გადაწიდნვის საშუალებით ან რქის ჩაყრით უნდა შევსებულიყო. ვაზთა შორის მანძილს ერთ ადლს ტოვებდნენ. ქსნის ხეობაში ვაზის გამრავლება თითქმის ერთნაირი წესით წარმოებდა. გასაბჭოების შემდგომ პერიოდში ფართოდ გავრცელდა ვაზის ამერიკულ საძირეზე მყნობის მეთოდი. ამავე პერიოდში მევენახეობის მიმდევარმა სოფლებმა ორიენტაცია აიღეს ვაზის სამრეწველო ჯიშებზე, რამაც გამოიწვია ძველი ადგილობრივი ვაზის ჯიშების (თითა, ბუდეშური, თავკვერი, ხარისთვალა) სამეურნეო ხასიათის დაქვეითება და შემცირება. სამაგიეროდ ვაზის სამრეწველო ჯიშების გავრცელება-მოყვანის საფუძველზე გაიზარდა კოლმეურნეთა და კოლმეურნეობათა შემოსავალი და დაინტერესება, აღნიშნული სამრეწველო ჯიშებისადმი. ამიტომ ბოლო დროისათვის ვაზის გამრავლების და საერთოდ ვენა-

ხის გაშენების ძველი წესის გარდა პრაქტიკაში დაინერგა ნამყენი ვაზის გამრავლება სათანადო აგროწესების დაცვით.

ქსნის ხეობის ვაზის ანატომიას ასე გადმოგვცემენ: „ვაზი შედგება ღეროს, ძირის, ფესვის, რქის, ფოთლის, კვირტის მუხლისა და ასკანისაგან. ამ აღწერილობიდან ჩვენთვის საინტერესო ტერმინია ასკანა, რომელსაც ზოგ სოფელში მასკანასაც უწოდებენ. ასკანას ვაზის ულვაშს უწოდებენ. საბასთან გვაქვს მასკნე. საბას მიხედვით „მასკნე ესე არს ვაზთა და აყიროთა და მის თანათა ძაფივით რომ აქვს ხეზე შესახვეველადო“. ამ ტერმინის წარმომავლობა ივ. ჯავახიშვილმა დაუკავშირა ნასკვს, იგი წერს, „მასკნე ცხადია სკუნა სახელზმნისაგან ნაწარმოები მიმღეობაა... თავდაპირველად უნდა შემკვანძელის, შემკვრელის აღმნიშვნელი ყოფილიყოს[6]. ჩვენის აზრით, რადგან ქსნის ხეობაში მოხერხდა მისი ორი ვარიანტით დამოწმება: მასკანა და ასკანა ეგების აქ ერთ-ერთი ვარიანტი უფრო ძველი ყოფილიყო. სახელდობრ ეზეკიელთან, რომელსაც საბა საილუსტრაციოდ უთითებს, ხოლო ივ. ჯავახიშვილს მოტანილი აქვს კონტექსტები, ერთგან იხსენიება „მასკუნე“ (17-ში), მეორეგან „მასკნე“ (17). როგორც ჩანს, მაშინაც, ე. ი. როცა დაბადების ტექსტი ითარგმნებოდა (V საუკ.), მასკნე ორ ვარიანტად დაუწერიათ მასკნედ და მასკუნედ. თუ იმთავითვე ვაზის ორგანოს გამოსახატავად სიტყვა მასკნე ასე ორი სახით დაუწერიათ, ადვილი წარმოსადგენია თუ ზეპირმეტყველებამ რატომ გაამარტივა და მასკნე-მასკუნე-მასკანა ასკანამდე ჩამოვიდა. თუ ამ ტერმინის განვითარება-გამარტივება ამ გზით წარიმართება და ჩვენი მსჯლობა სწორია, მაშინ ადვილად შეიძლება აიხსნას ხალხური საკულტო ლექსის შინაარსი, რომელიც ვენახის ნაყოფიერების ღვთაება აგუნას საგალობელს წარმოადგენს, სახელდობრ, ამ ლექსში ასკანა და ბახვიაა მოხსენიებული.

„აგუნა, აგუნა, გადმოიარეო,
ბახვი ასკანა, გადმოიტანეო,
ჩვენს ვენახს ბევრი ყურძენი
სხვის ვენახს ბევრი ფურცელიო“.

ი. ჩანობაშვილი იმოწმებს რა — ერმილე ნაკაშიძის სიტყვებს აღნიშნული აქვს, რომ ხალხურ ლექსში მოხსენებული ბახვი და ასკანა გურიაში ღვინის შესანიშნავი ადგილებიაო[7]. ამით ავტორი, ალბათ, ვარაუდობდა, რომ სოფლების ბახვისა და ასკანის ბარაქის გადმოტანაზეა ლექსში საუბარი. ჩვენის აზრით, ლექსში მოხსენიებული ასკანა სოფელს კი არ უნდა გულისხმობდეს, არამედ ვაზის იმ ორგანოს, რომლის უხვად გამოტანა უხვი მოსავალის ნიშნად იყო მიჩნეული. ჩვენს მოსაზრებას მხარს უჭერს საახალწლო რიტუალში აგუნას მისამართით წარმოთქმულ ტექსტებში მევენახეობა-მეღვინეობასთან კავშირში მყოფი ტერმინების ჩამოთვლა. მაგ., ვ. ბარდაველიძეს ნაშრომში „აგუნა-აგუნა“ მოტანილი აქვს რაჭა-ლეჩხუმური მასალა, რომლის მიხედვით რაჭა-ლეჩხუმში ოჯახის ერთ-ერთი წევრი ახალწელს ვენახს გარშემო შემოუვლიდა და ხმამაღლა გაიძახოდა „ანგურამ ჩამეიარა ილითა და მილითა, ორშიმო და ხრიკითა, ჩვენი მამული ჩეიარა. წივი გეიტეხა, ღვინის ღვარი ააყენა, იხა, იხა,

---

[6] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. II, გვ. 301.
[7] ი. ნანობაშვილი, ვაზის ძველი კულტურა ქიზიყში, 1960, გვ. 143.

გამოღმა ყურძენი გაღმა ფურცელი“[8]. ამ კონტექსტში, ისე როგორც წინა ტექსტში, კარგად ჩანს ვენახისა და ღვინის საჭიროებანი. ამიტომ ხალხურ ლექსში მოხსენიებული ასკანა — იგივე მასკანა უნდა იყოს. რაც შეეხება ბახვს სავარაუდოა არც ეს სიტყვა გამოხატავდეს სოფელს. დასახლებული ადგილებისათვის სახელის მიჩენა უფრო გვიანდელ მოვლენად მიგვაჩნია ვიდრე მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები და მასთან დაკავშირებული ტერმინები. ცნობილია, რომ ბახვა რაჭაში გავრცელებული შავი ყურძნის ჯიში ყოფილა. ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, რომ ბახვას გურიის სოფელ ბახვიდან ვაზის ამ ჯიშის რაჭაში გადმოტანის ნიადაგზე უნდა შერქმეოდა ბახვა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბახვი—ბახვა საქართველოში ყურძნის ზოგადი სახელი უნდა ყოფილიყო, ქართულში ბახვიდან ნაწარმოები სიტყვების შემონახვა ნაბახუსევი, ნაბახურევი, სოფლის სახელები: ბახვი, ნაბახტრები, ადამიანის სახელები: ბახვა, ბახო, ბახა უნდა მიუთითებდეს ადრეულ ხანაში ბახვა ვაზის ჯიშის ფართოდ გავრცელებაზე, აგუნას საგალობელში „ბახვის და ასკანას გადმოტანა“ სოფლების „ბახვის და ასკანას გადმოტანას კი არა, არამედ ვაზის ჯიშის ბახვის და მისი დოვლათის გამომხატველი ასკანის გამოტანას უნდა გულისხმობდეს.

აგუნას საგალობელს ჩვენ საგანგებო ყურადღება იმიტომ დავუთმეთ, რომ მასში შემონახული ტერმინები ხალხში დღესაცაა ხმარებაში, რაც უთუოდ ხაზს უსვამს ქსნის ხეობაში მევენახეობის კულტურის სიძველეზე.

ვენახის დამუშავება წლიური ციკლის მომცველია. ვენახს სისტემატურად სჭირდებოდა ყურადღება. პირველი სამუშაოები მოსავლის აღებიდანვე იწყებოდა. სახელდობრ, ახალ მოკრეფილ ვენახს სარს გამოუყრიდნენ, სარს ან ხეზე შედგამდნენ ან ვენახის ისეთ ადგილს დაახორავებდნენ, რომ სარის შედგმის დროს მოხერხებულად გადაეტანათ და ვაზზე განაწილების დროს მიწა ზედმეტად არ დატკეპნილიყო.

გაზაფხულზე პირველი რიგის სამუშაოს სარის დაჩეკვა წარმოადგენდა. სარის დაჩეკვა ნიშნავდა სარის მიწაში ნადგომი დამპალი ნაწილის ჩამოცლას და ახალი წვერის წამახვას. ამ პროცესს ასრულებდნენ ქართული წალდის საშუალებით. ძველი სარის ნაცვლად ახალს ჩაუნაცვლებდნენ. სარის სიგრძე ორი, ორნახევარი მეტრი უნდა ყოფილიყო. თუ სარი ტირიფისა იყო, ყოველწლიურად 20—25 სმ მაინც კარგავდა, ასე რომ 2,5-მეტრიანი სარი 4—5 წელიწადს მაინც მუშაობდა. სარის სიმსხო საშუალოდ კაცის მაჯის სიმსხოსი უნდა ყოფილიყო. უფრო მსხვილი სარი ვაზს დაჯაბნიდა, ფესვების მუშაობას ხელს უშლიდა, ფოთლებს და ყლორტებს მეტ ჩრდილს მიაყენებდა და ამიტომ სარის სიგრძე-სიმსხოს საგანგებო ყურადღება ექცეოდა. იგი სწორტანიანი უნდა ყოფილიყო, როგორც მაღლა ისე დაბლა თანაბრად ნაზარდი.

ქსნის ხეობის ბარის სოფლები, რადგან ტყიდან შორს იყვნენ, ამიტომ სასარეს ვენახის ირგვლივ იჩენდნენ, ღობეში ტირიფს დაბელავდნენ, რომ სასარე მასალა ჰქონოდათ.

მთხრობელთა გადმოცემით „სარად იფნი ჯობდა, დიდხანს სძლებდა, აგრეთვე, ტვია და თრიმლი, ურთხლის სარი 60—80 წლამდეც სძლებს. არის ჭალის ჯღლარდა, იმის სარი ისეთია, რომ ყოველ წელს გაჩეკვა არ უნდა. არის წითელგულა, იმის სარს თავის დღეში გაჩეკვა არ უნდაო (მოლოდინი, დავით

[8] ვ. ბარდაველიძე, აგუნა-აგუნა, „ძეგლის მეგობარი“, № 16, 1968, გვ. 13.

მიხეილის ძე, 73 წ., 1969 წ. სოფ. ქსოვრისი). იყენებდნენ აკაციის, ხოლო მთისძირა სოფლებში თხილის ხის სარსაც. გვიან შემოდგომით, ან ადრე გაზაფხულზე იწყებოდა ვაზის გასხვლა და წალმის გატანა ვენახის ველზე. გასხვლას მოსდევდა დაბარვა, ბარვა მიმდინარეობდა ჩვეულებრივი წესით. ვენახს სათუთი მოვლა სჭირდებოდა. დიდი მნიშვნელობა აქვს მის ფესვთა სისტემისა და კვირტების დაუზიანებლად შენარჩუნებას. ამიტომ მევენახე ყოველთვის ცდილობდა ვენახში თუ რამე სამუშაო იქნებოდა შესასრულებელი, ამ საქმეს უშუალოდ გასძღოლოდა, უკიდურეს შემთხვევაში მიმართავდა ვენახში დაქირავებული მუშის ან სანაცვლო მუშის შეყვანას. ვაზს ყველა ერთნაირად არ უფრთხილდება, ვაზის ძირთან ჩაბარვით შეიძლებოდა ფესვები დაზიანებულიყო, ხოლო მოგვიანებით დაბარვის ან დაჩერკვნის დროს კი კვირტები. დაქირავებული მუშა ფესვებისა და კვირტის მიმართ სიფრთხილეს არ იჩენდა. ეს გარემოება ხშირად ზღუდავდა ვენახის სამუშაოებზე დიდი რაოდენობით მუშახელის გამოყენებას. მაგრამ ადრე გაზაფხულზე ვენახის დაბარვის მიზნით ურთიერთდახმარება რამდენიმე კაცის თავშეყრით მაინც ხორციელდებოდა, რასაც რიგრიგას ან ნაცვალგარდას უწოდებდნენ. გარდა ამისა, იცოდნენ ურთიერთდახმარება ჩერკვნაზე, შეყელვაზე, გასხვლაზე. აქაც შრომის ორგანიზაციის გამოსახატავად ხმარობდნენ ტერმინ რიგ-რიგას, მუშას, ნაცვალგარდას და დახმარებას. ზოგჯერ „მუშაში“ ივარაუდებოდა დროებითი ხასიათის თავშეყრა და ერთი რამელიმესადმი დახმარება ანაზღაურების გარეშე. ნაცვალგარდობა იწყებოდა ადრე გაზაფხულზე და ხანგრძლივდებოდა იმის მიხედვით, თუ რამდენი კაცი იყო გაერთიანებული. ზოგჯერ წევრთა რიცხვი 10 კაცსაც აღწევდა. რიგრიგის თუ ნაცვალგარდის წევრები დღეში სამჯერად იკვებებოდნენ — სადილი, სამხარი და ვახშამი. ვახშამს ყოველთვის ღვინის სმა ახლდა. დღისით კი სასმელს მადის გასახსნელად მხოლოდ თითო სასმისს ღებულობდნენ. სამხრად ძირითადად ლობიოს შეჭამადი უნდა ყოფილიყო, დილით კი დოს შეჭამადი, რძის შეჭამადი, ღოლოშეჭამადი და სხვა. ბარვა შრომატევად სამუშაოდ ითვლებოდა, რადგან ბარვასთან ერთად სარის შედგმაც მიმდინარეობდა. ამიტომ ზოგჯერ ბარვის დროს სარის შედგმას ოჯახის ხანშიშესული პირები აწარმოებდნენ. გასხვლისას გამოყენებული იყო ვაზის ფორმირების ქართული ვარიანტი, ვაზის ორ რქაზე დაყენება. სამუშაო რქა და სადედე. სამუშაო რქა ანუ საკავებელი რქა ჩინურისა და გორული მწვანესათვის 7—8 კვირტზე იჭრებოდა, თაკვერისას კი 9—11 კვირტს ტოვებდნენ. სადედე რქა ანუ ნეკი, როგორც აქ უწოდებენ, 3—4 კვირტზე იჭრებოდა. ვენახს ორ წელიწადში ერთხელ ბარავდნენ. დაბარვისთანავე ვაზს სარს შეუდგამდნენ და აპრილში დაიწყებდნენ შეყელვას. სარის შედგომისას გათვალისწინებული იყო ქარის მოქმედება ვაზზე, ამიტომ სარს ქარის მიმართულებით უნდა ჰქონოდა წვერი. ვაზი სარზე ქარის მხრიდან იყო მიკრული. ხეობაში ძირითადად დასავლეთის ქარებია და სარიც დასავლეთის მხრიდან იყო შედგმული, საკავებელი რქის მოჭრა და რგოლის სახით მისი მიკვრა სარზე აპრილზე უფრო ადრე პერიოდში სიცივეების გამო ძნელი ყოფილა. საინტერესოა ხალხური დაკვირვება სამუშაო რქის მოხრილი სახით სარზე მიკვრის თაობაზე. როგორც გადმოგვცეს, თუ ვაზის რქას სწორად გააკრავენ, მაშინ კვირტების განვითარება არათანაბრად მიმდინარეობს, ყველაზე მეტად ვითარდება თავის კვირტი. ვაზი ძალას იქ მეტს აწვდის, დანარჩენი კვირტები კი იჩაგრება. როდესაც რქა მოხრილია, მაშინ ძალა თანაბრად ნაწილდება, თუმცა რქის წვერთან მდებარე კვირტი, ძირთან ახლო

მდებარე კვირტთან შედარებით, ნაკლებად ვითარდებაო. ეს დაკვირვება, საერთოდ ხანგრძლივემპირიულ ცოდნაზეა დამყარებული და ვაზის სარზე ფორმირების და მორიგ წელს ვაზის მოსავლიანობისათვის ძალის თანაბარი განაწილების საქმეში დიდ როლს ასრულებს. საქმე იმაშია, რომ ვაზის სიმაღლე, რომლიცა ის სარზე მუშაობს, გარკვეულ დონეზე უნდა იდგეს. მისი სამუშაო კვირტები მაგარ და ღონიერ ძირს ახლო უნდა უკავშირდებოდეს. უამისოდ ვაზმა შეიძლება ერთ რომელიმე წელიწადს მაღალი მოსავალი მოიტანოს, ხოლო მორიგ წლებში ის დაიჩაგრება, სიმაღლეში წავა, მეზობელ ვაზებს დაჩრდილავს, მოსავალს თანდათან შეამცირებს და ბოლოს გადაგვარდება. გადაგვარებული ვაზები კარგავენ თავის პირვანდელი ჯიშისათვის დამახასიათებელ თვისებებს. გვიან იწყებენ შემოსვლას ან საერთოდ დამწიფებას ვერ ასწრებენ. ამ გზით გადაგვარებულ ვაზს სოფელ ქორდში ვლადიმერ სიმონის ძე ჯალაბაძის გადმოცემით „ავჯაგი“ რქმევია. იტყვიან ვაზი გაავჯაგდაო. ვაზის გაავჯაგებას იწვევდა აგრეთვე, ვენახის ხეხილისაგან დაჩრდილვა ხანგრძლივი დაუბარავობა.

ვაზის სარზე აკვრა, ანუ როგორც ქართლში უწოდებენ შეყელვა შემდგომი სამუშაო ეტაპია: პირველი ზედმეტი ფოთლების შეცლა. ამას როგორც მთხრობლები გადმოგვცემენ, განსაკუთრებით თხოულობს ჩინური. ჩინურ ვაზს ჩახურება სცოდნია. მას ყვავილობამდე თითოეულ ტოტზე ძირიდან ორი ფოთოლი უნდა მოეცალოს, რომ ჰაერმა თავისუფლად იაროს, მზის სხივები კარგად გაუნაწილდეს. მზისა და ჰაერაციის საკითხს ხეობის მევენახეები დიდ ყურადღებას აქცევენ. ქსოვრისელი მთხრობლის დავით მიხეილის ძე მოლოდინის დაკვირვებით, „ვაზს რო სარი წაექცევა ისე უნდა წამოაყენო, როგორც იყო შედგმული, მზის მხარე ისევ მზის მხარეს უნდა მოექცეს, თუ არა და მზეზე შეუჩვეველი გვერდი მოეხარშებაო“. ძველი მევენახეები ვაზის შეწამვლას არ მიმართავდნენ. შეწამვლის პერიოდს ახლა ძირითადად აგროწესების შესაბამისად იცავენ. აწარმოებენ აგრეთვე, გოგირდის შეფრქვევას. ვაზის შეფურჩქვნას ასე ეწოდება ვაზის ზედმეტი ტოტების არამსხმოიარე ნამხრევის და ყლორტების შეცლის პროცესს, რომელსაც ვიდრე ყურძენი დამსხვილდებოდეს სისტემატურად მიმართავენ.

დაყვავილების შემდგომ პერიოდში ბოლო მტევნიდან ორი კვირტის იქით ტოტიდან წვერებს აჭრიან, რომ ყურძენი უკეთესად დამსხვილდეს. ამ პროცესს „ცის გახსნას უწოდებენ“.

დიდი ვენახის პატრონები ხშირად აწყობდნენ მეზობელი ან ნათესავების მოწვევას ან ე. წ. ულამსაც მართავდნენ, რომ ვენახი ზედმეტი ტოტებისაგან დროულად განეტვირთათ.

ქსნის ხეობაში ვენახში ან საერთოდ არაფერს არ დათესდნენ, ან მხოლოდ ლობიოს. ადგილობრივთა დაკვირვებით „ვაზისათვის ლობიოს თესვა კარგი შედეგის მომტანი ყოფილა. სიმინდი კი ვენახს ძალას ართმევსო“.

ქსნის ხეობაში ყურძნის შემოსვლა სხვადასხვა დროს იწყება. ყველაზე ადრე ყურძენი შემოდის აგვისტოს დასაწყისში ქსნის ქვედა ტანზე, მუხრანის მიკრორაიონში და თეზი, ოკამი, ლამისყანის მიდამოებში. შემდეგ თანდათანობით ზემოთ მისდევს. ყურძნის დამწიფება და რთველი სექტემბერ-ოქტომბერში მიმდინარეობს. რთვლის ორგანიზაცია ყურძნის შემოსვლიდან იწყება. პირველ რიგში ამზადებენ ყურძნის საკრეფელა კალათებსა და გოდრებს. რეცხავენ ქვევრებს; საწნახელს და ქვევრებსა და მარანში გოგირდს ახრჩოლებდნენ. ქვევრებს რეცხავდნენ, როგორც ტყის ბლის ქერქისაგან დამზადე-

ბული სარცხით, ცოცხით, ისე კრაზანით, რომელიც უმზადებიათ ღვიისაგან. ღვიისაგან დამზადებულ ქვევრის სარეცხ კონებს მცხეთელები და მცხეთის ახლო მდებარე სოფლელები აკეთებდნენ. ღვიის ცოცხებს ბაზარზე ყიდიდნენ. ბლის ქერქისაგან დამზადებული სარცხები ქსნის ხეობის მთის სოფლებში უკეთებიათ, რომელიც შემოდგომისპირზე ბარის სოფლებში ჩამოჰქონდათ ხოლმე და, ან ჭირნახულზე ყიდიდნენ ან ფულზე.

ქვევრის რეცხვის ორი ხერხი არსებობს, ზეზე დგომით ქვევრის ზემოდან რეცხვა და ქვევრში ჩაჯდომით. პირველი ხერხით მცირე ზომის ქვევრებს რეცხავდნენ, ხოლო მეორე ხერხი დიდი ქვევრების გასარეცხად იყო გამოყენებული.

ქვევრს სამჯერ და ზოგჯერ ოთხპირ ახალ წყალს ამოავლებდნენ. ერთჯერად გარეცხვად ითვლებოდა ქვევრში წყლის ჩასხმა და ირგვლივ სარცხით ან კრაზანით ყველა ადგილის შემოხეხვა წყლის მოსმით. ამას პირველი ხელი ეწოდებოდა. პირველი ხელის შემოვლის შემდეგ განარეცხ წყალს ამოღვრიღნენ ხაპირითა და მაწაწურის გამოყენებით. ჩაასხამდნენ ახალ სუფთა წყალს და მეორედ შემოხეხავდნენ, ამას მეორე ხელი ეწოდებოდა. ქვევრს ჩვეულებრივ სასმელი სუფთა წყლით რეცხავდნენ. თუ ქვევრი აშმორებული იყო, მას პირველ ხელს თბილი წყლით ამოავლებდნენ. ხალხის გადმოცემით ღვიით რეცხვის დროს ღვიის ცოცხი ქვევრის შმორს თავისი სუნითაც ძალავს და ქვევრს მალე აცილებს მთხლისა და ობის სუნს. ქვევრი გარეცხილად ითვლებოდა თუ საბოლოო ხელის შემდეგ სუფთა წყალი ამოვიდოდა და ქვევრსაც შმორის სუნი აღარ ექნებოდა. შმორიან ქვევრში იცოდნენ კომშის ფოთლის ნახარშის ამოვლება. გარეცხილ ქვევრს კარგად ამოაშრალებდნენ, მასში გოგირდს აახრჩოლებდნენ და ტკბილს ჩაასხამდნენ. ყველაზე რთულ სამუშაოს ახალი ქვევრის ხმარებაში შეყვანა წარმოადგენდა. ქსნის ხეობაში ქვევრის დამზადების ადგილობრივი კერებიც იყო და გარედანაც შემოდიოდა. ადგილობრივი კერამიკული წარმოების დიდ კერას სოფელი ცხავატი წარმოადგენდა მაგრამ ცხავატში ორ-სამ კოკიანზე დიდი ზომის ქვევრებს არ ამზადებდნენ. როგორც ჩანს, ცხავატელ მეჭურჭლეთა ხელოვნებაში მცირე ზომის ქვევრების დამზადება, გამოწვეული უნდა ყოფილიყო საურმე გზების უქონლობით, დიდი ზომის ქვევრებს ისინი ცხენით ვერ გადაიტანდნენ. ქსნის ხეობის მევენახეობა კი ამთავითვე ქვევრების დიდ რაოდენობას თხოულობდა. ამიტომ დიდი ზომის ქვევრები შემოჰქონდათ იმერეთიდან. ყოფილა შემთხვევები, როცა მექვევრეები რომელიმე სოფელში ამა თუ იმ მეურნის დაკვეთით რამდენიმე დიდი ზომის ქვევრს ადგილზე აშენებდნენ და ადგილზევე ახდენდნენ მათ გამოწვას. სოლომონ პავლიაშვილის გადმოცემით (87 წლისა) „სოფ. ლამისყანაში საქვევრე მიწა ყოფილა, მის მამა-პაპას იმერელი მექვევრეები მოუყვანია, ქვევრები ადგილზე აუშენებიათ და აქვე გამოუწვამთ“. იგი ახლაც ასახელებს იმ ქურის ნადგომ ალაგს თავისი სახლის ახლოს, სადაც ქვევრები გამოუწვამთ. მისივე გადმოცემით ცხავატელებს მხოლოდ ქოცოები ჩამოჰქონდათ. ქოცოს ერთ კოკიანზე მომცრო ქვევრებს უწოდებენ, კოკიანი და კოკაზე ზემოთ კი ქვევრია.

ახალი ქვევრი ვიდრე ხმარებაში შევა სანთლით ან ძროხის ქონით უნდა გაიხიზოს. საამისოდ საჭირო იყო ქვევრის თანაბარ დონეზე გათბობა ისე, რომ ქონის მოსმის დროს ფორებში კარგად გამჯდარიყო, რომ შემდეგ ქვევრიდან ღვინოს არ გამოეჟონა. ქონის მოსმის დროს ქვევრის გადახურება ფორებში

შესულ ქონს სწვავდა და გახიზვა აღარ მოხდებოდა. სცოდნიათ ქვევრის გახიზვა სანთლითაც. გახიზვა ხდებოდა ჩვეულებრივ შიგნიდან. სცოდნიათ ქონით ან სანთლით გახიზვა გარედანაც. ბოლო ხანებში გარედან გუდრონით ხიზავენ. იცოდნენ ქვევრების შემოკირვა. შემოკირვა უფრო დიდი ზომის ქვევრებისა იცოდნენ (5-კოკიანი და უფრო ზემოთ). შემოკირვა წარმოებდა როგორც მიწის ზემოთ, ისე მიწაში ქვევრის ჩაგდებისთანავე. თუ შემოკირვას მიწის ზემოთ აწარმოებდნენ მაშინ ქვევრს ჯერ პირზე დადგამდნენ, შემდეგ შუა ადგილიდან თანდათან იწყებდნენ მაგარი კირის დუღაბის შემოსხმას და შიგადაშიგ რიყის ქვების ჩაყოლება-შემოწყობას, დუღაბი მუცელზე რომ არ დაცურებულიყო, შემოუჭერდნენ თოკს და ფიჩხის ტოტებს შემოუდებდნენ. როცა დუღაბს ძირზედაც მოუსვამდნენ, ზედ ძირზე ერთ ბრტყელ ქვას დაადებდნენ, რომ შედუღებულიყო და ასე დატოვებდნენ რამდენიმე დღე, რომ დუღაბი გამშრალიყო და გამაგრებულიყო. ერთი კვირის შემდეგ ქვევრს გადმოაბრუნებდნენ და ახლა დანარჩენ ნაწილს მოაშენებდნენ. ამის შემდეგ ქვევრს მიწაში ჩაუშვებდნენ და ყელამდე ჩამარხავდნენ. თუ ქვევრი გატეხილი იყო იცოდნენ მისი მკურნალობაც. აიღებდნენ გაცრილ ნაცარს, გადაადუღებდნენ თხის ქონში და გატეხილ ქვევრს მოუსვამდნენ და ამოავსებდნენ გატეხილ ადგილებს. კოწიწის ერთი სახეობა ასეთიც სცოდნიათ: დანაყავდნენ აგურს, კვერცხის გულში აურევდნენ, უმატებდნენ რძეს და ბამბასთან ერთად ნაყავდნენ, ცოტა სანთელსაც ურევდნენ და დააგლესავდნენ, იცოდნენ სხვანაირი კოწიწის დამზადებაც, აგურს, შემდეგ ძროხის ქონში გადაადუღებდნენ და იმით ავსებდნენ გატეხილებს. აგურის ნაფხვენს ადუღებდნენ, აგრეთვე სანთელში, ესეც ერთ-ერთი მაგარი ხსნარი გამოდიოდა.

ქვევრი, როგორც მთხრობლებმა გადმოგვცეს, სხვადასხვა თვისებების თიხისაგანაა დამზადებული და ყველას სხვადასხვა მოქმედება აქვს ღვინის დაყენებაზე. ზოგი ქვერი ისეთია, რომ ღვინოს შმორის სუნს აძლევს, ეს იმით არის გამოწვეული, რომ საქვევრე თიხა სუფთა წყლით არა ყოფილა იმთავითვე დაზელილი. ზოგ ქვევრს ღვინის მომატება ახასიათებს, ზოგს კი დაკლება. საკვლევ ხეობაში ბევრმა დაგვიდასტურა მატებელა ქვევრების არსებობა. რამდენიმე ცალი თვითონაც დავათვალიერეთ. სოფელ ლამისყანაში სოლომონ ივანეს ძე პავლიაშვილმა (97 წლისა) თავის მარანში საწნახელის წინ მდებარე ქვევრი გვაჩვენა და გადმოგვცა, რომ „ამ საწნახელში 10-ზე მეტი ქვევრია, რომელთაგან მხოლოდ ორი ქვევრია მატებელა. როცა ამ ქვევრებიდან ღვინოს ამოვაკლებთ, ნაკრულს ვტოვებთ. ერთი თვის შემდეგ კვლავ მოვხდი და ქვევრი შევსებული მხვდებაო“. მსგავსი ცნობა მოგვაწოდა სოფელ ქსოვრისში მცხოვრებმა დავით მიხეილის ძე მოლოდინმა (73 წლისა), მან აღნიშნა „ერთი ქვევრი მაქვს, იმას რომ ამოვრეცხავ, გავა რამდენი დრო, ავხდი სარქველს და შიგ სამ ჩარექამდე წყალი მხვდება. ღვინოს სამ თითზე ნაკრულს დავაყენებ ხოლმე, ავხდი და სავსე მხვდება, მის გვერდში სხვა ქვევრებიც არიან, მაგრამ ეს მხოლოდ ერთ ქვევრს ემართება“. მატებელა ქვევრის შესახებ ცნობა მოგვაწოდა, აგრეთვე, გორის რაიონის სოფელ ქორდის მცხოვრებმა ვლადიმერ სიმონის ძე ჯალაბაძემ (73 წლისა, 1969). მან აღნიშნა „ძმასთან გაუყრელად როცა ვცხოვრობდი ერთი დიდი ქვევრი გვქონდა, 9 კოკა ამოდიოდა (აქაური კოკა 80 ლიტრია), ერთ წელიწადს ყურძენი ცოტა მოგვივიდა, ქვევრი ვერ შევავსეთ და ნაკრული დავატალახეთ, გავიდა 5 თვე და მოვხადეთ ქვევრი, სავსე დაგვხვდა. ჩვენ შეგვეშინდა შიგ წყალი ხომ არ ჩაუდგაო, მაგრამ ქვევრში ჩვეულებრივი ღვი-

ნო იდგა. ის ქვევრი მაშინ სახლის აივნის გარეთ იყო ჩაგდებული ცის ქვეშ. ის ქვევრი ახლაც მაქვს, ახლა აივნის ქვეშ არის მოთავსებული და ღვინის მომატება აღარ შემიმჩნევიაო“. მატებელა ქვევრის თაობაზე საგარეჯოს რაიონის სოფელ ხაშმშიც ჩავიწერეთ. „მარანში გვაქვს მატებელა ქვევრი, თუ ორკვირაში ერთხელ არ მოვაკელით, ღვინო ქვევრიდან გადმოიღვრებაო“, გადმოგვცა 78 წლის მოხუცმა სოსია სიმონის ძე ყვარელაშვილმა (1966 წ. სოფ. ხაშმი). მატებელა ქვევრებზე ანალოგიური მასალა ჩვენს მიერ მოპოვებული იქნა იმერეთშიც. აღსანიშნავია, რომ იმერეთში ქვევრში ღვინის მომატებას, ღვინის გადაბრუნებას უკავშირებენ. ქართლშიც ღვინის მომატების საიდუმლოება დაკავშირებულია ნესტიან მარანთან, სადაც ღვინის დადუღება გახანგრძლივებულად მიმდინარეობდა.

ღვინის ღირსება ბევრად იყო დამოკიდებული ქვევრში მიმდინარე ქიმიურ პროცესებზე. თუ ქვევრი კარგად არ იყო გარეცხილ-გასუფთავებული, ტკბილის სწრაფი დუღილი იწყებოდა, რაც მომავალში ღვინოს სიკეთეს არ უქადდა. მომავალში მოსალოდნელი იყო ღვინის ან „მომჟავება“ ან „მოძმარება“. დუღილის აჩქარებას იწვევდა, აგრეთვე, შეყოლილი მიწა, რომელიც შემდეგში ღვინოს აშავებდა და „მოალაბავებდა“.

ქვევრების დასახელება იცოდნენ ტევადობის მიხედვით ან სადაუროპის, ან კიდევ იმის სახელს შეარქმევდნენ, ვისგანაც იყიდეს. ღვინის ზომის ერთეულად აღებული იყო კოკა და თუნგი. ორკოკიანზე ზევით თუნგობით აღარ იანგარიშებოდა. თუნგი და კოკა ქსნის ხეობაში სხვადასხვა მიკრორაიონების მიხედვით სხვადასხვა ტევადობით იანგარიშება. მაგ., ქსოვრისული თუნგი 6 ლიტრია. ასევეა ლამისყანაში და თეზში, ძალისში; დამპალოსა და მუხრანში 5 ლიტრია. მუხრანული კოკა 65 ლიტრია. ქსოვრისში, ლამისყანაში, თეზში, ახალგორის მიდამოებსა და ახლო სოფლებში კი 72 ლიტრი. თუნგისა და კოკის შესაბამისად იტყოდნენ ქვევრის მოცულობას. ხუთკოკიანი, 13-თუნგიანი და სხვა. ან ცხავატური, იმერული, ვანოსეული ქვევრი, ნიკასეული ქვევრი და სხვა.

თითოეულ ოჯახს ბარის სოფლებში ერთი ან ორი მცირე ტევადობის ქვევრი ზედაშედ ჰქონდა. მას საზედაშე ქვევრი ეწოდებოდა. საზედაშე ქვევრში ინახებოდა ამა თუ იმ სალოცავი ხატის სახელზე აღებული ღვინო, რომლის მასალას საწნახელიდან გამოშვებული პირველი ტკბილი წარმოადგენდა. საზედაშე ქვევრს მარანში ყოველთვის განსაკუთრებული მოვლა ჰქონდა. მის ახლომახლო სამეურნეო ინვენტარს არ მოათავსებდნენ, სუფთად ინახავდნენ.

საღვინე ქვევრები ქსნის ხეობაში ჩვენ მიერ აღწერილ იქნა სხვადასხვა გარემოში: ხატის კარზე, ღია ცისქვეშ (სოფ. წირქოლი, მუხრანი, შველიეთი), ხატის კარზე — გადახურული ქოხის ქვეშ (სოფ. ქურთა), ვენახებში საწნახელებთან გამართულ კარაპნებსა და მარნებში. ამ პირობების მიხედვით ღვინის სახლის წარმოქმნა-განვითარებაც ამ გზას ემორჩილება. პირველ ხანებში ვენახი და ღვინო შესაძლებელია სათემო სახატო იერარქიის ხელდებულ საკუთრებად იყო მიჩნეული, რომელიც დროდადრო თემის წევრთა მიერ საერთო დანიშნულებით მოიხმარებოდა. შემდგომ სტადიაზე ვენახში მოწეული პროდუქტის დაუნჯება ღვინის სახით ვენახშივე უნდა მომხდარიყო. ქსნის ხეობის სოფლებში ვენახებში ხშირი იყო, როგორც საწნახლები, ისე საწნახელთან არსებული წალმით გადახურული სამეურნეო ნაგებობანი, რომელშიაც იყო საწნახელი, თაღარი და საღვინე ქვევრები. ამ ნაგებობაშივე ინახებოდა სხვა სახის სამეურნეო იარაღები. ზოგან ამ ნაგებობას საწნახელს უწოდებენ, მუხრანში

კი მას კარაპანს უწოდებენ. საბას განმარტებით კარაპანი სომხური ყოფილა. ქართულად არდგმული რქმევია და კალოს სახლს ნიშნავსო. ქსნის ხეობაში ტერმინი არდგმული ჩვენ არ შეგვხვედრია. სამაგიეროდ, ამ ხეობაში კარაპანის ორი დანიშნულებით ხმარება დავამოწმეთ. ერთ შემთხვევაში იგი ვენახში მოწყობილ საწნახელ-მარანს გამოხატავს და მეორე შემთხვევაში პურის შესანახ სახლის ანუ იგივე საბასეულ კალოს სახლთან არის კავშირში. მუხრანელი მთხრობლების აღწერით კარაპანი ხშირად ფიცრული ნაგებობა ყოფილა, იმერულ სახლსა ჰგავდა, მისი გადახურვა პატრონის შეძლებაზე იყო დამოკიდებული, იყო კრამიტით გადახურული, წალმითა და ჩალით.

მუხრანში ვანო მიქელოვის კარაპანი, ქვითკირით ნაგები მოგრძო ფორმის ქოხია, რომელსაც ბანიც გააჩნია. სახურავი სიგრძეზე წალმით გადახურულია ორფერდად, შიგნით მოთავსებულია: საწნახელი, თაღარი, ქვევრი, სამწნილე კასრები და მიწაში კიდევ ორი ქოცო. ყურძნის ჩაწურვა დღემდე კარაპანში წარმოებს. აქვე ხდებოდა კასრებში ჭაჭის დამჟავება არაყის გამოსახდელად. სამეცნიერო ლიტერატურაში კარაპანში სახლის აივნისებური ღია გადახურვა ივარაუდება, სადაც მოთავსებული ყოფილა სამეურნეო დანიშნულების იარაღები[9]. კარაპანის საბასეულ განმარტებასთან ძალზე ახლოა სოფ. ქსოვრისში ჩაწერილი მასალა. „კარაპანი წინათ ქვითკირით იყო აშენებული. თაღიანი იყო, დუღაბით გადახურული. იმას გვერდიდან ჰქონდა პურის ჩასაყრელი და პატარა კარები ჰქონდა გვერდიდან. კარების სიმაღლე 90, ხოლო სიგანე 80 სანტიმეტრი იქნებოდა. შიგნიდან უგდულივით ჰქონდა კარი, კედლის გაყოლებით გაიწეოდა და გამოიწეოდა. სიმაღლე კარაპანისა იყო 2,00 მეტრი, სიგრძე 2,5 მეტრი, სიგანე 1,5 მეტრი“[10]. მთხრობელი დავით მიხეილის ძე მოლოდინი ქსოვრისში ჩამოსულია ბაზალეთიდან და მისი თქმით, ასეთი კარაპნები გამოყენებული ყოფილა ბაზალეთში. აქეთ კი, მისივე გადმოცემით, ხორბლეული ორმოებში, ხის ბეღლებსა და ნაქელით გალესილ გოდრებში შეუნახიათ. სამეურნეო ნაგებობის ეს ელემენტი ჩვენს ეთნოგრაფიულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღწერილი არა ყოფილა და, ვფიქრობთ, იგი მომავალში ბევრ სიახლეს შეიტანს დასახლებების ნასოფლარ ნასახლარების და ზოგიერთ ნასოფლარებზე მიტოვებული ამ ტიპის ნაგებობების შესწავლაში.

საკვლევი რაიონის ღვინის შესანახი ჭურჭლის ძველისძველი სახეობა ქვევრია, რომელიც მზადდებოდა ადგილობრივი ნედლეულის (თიხების ბაზაზე), ქვევრების მეტი წილი ხეობაში გარედან შემოდიოდა. ქვევრის თავმოყრის დახურული ნაგებობის ორი ტიპი არსებობდა, კარაპანი და მარანი. მარანი დღემდე კიდევ დასტურდება სახლის კომპლექსს გარეთ, ცალკე სამეურნეო ნაგებობად. საცხოვრებელი ნაგებობის კომპლექსში მარნის შეტანა გვიანდელი მოვლენა ჩანს. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს, როგორც ქსნის ხეობის მასალები, ისე მისი მიმდებარე რაიონების მონაცემები. 1954 წელს ჩვენ მუშაობა გვიხდებოდა მდ. ხეკორძულას ხეობაში, სადაც მარნების მრავალი ნიმუში ვნახეთ ვენახებში. სოფელ ძეგვის ვენახებში დღემდე დაცულია ასეთი მარნის ნაშთები. ზოგიერთ მარანს წარწერიანი ქვებიც კი ამშვენებს. მარანმა, როგორც ღვინის შესანახმა ნაგებობამ, ბოლო დროისათვის ცალკე ნაგებობის სახე დაკარგა და შეერწყო საცხოვრებლის კომპლექსს. ეს ერთგვარი გარღატეხა იმანაც გა-

[9] თ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, ამიერკავკასიის ხალხურ საცხოვრებელ ნაგებობათა ისტორიიდან, 1967, გვ. 76, 122, 215.

[10] ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული ექსპედიციის 1969 წლის დღიური.

მოიწვია, რომ ცალკეულ კომლთა მფლობელობაში ვენახის ფართობები ძალიან შემცირდა. თუ გასაბჭოებამდე ზოგიერთი გლეხი ორ-სამ დღიურს და უფრო მეტს ვენახის ფართობს ამუშავებდა, დღეისათვის 0,25 ჰა ან 0,10—0,15 ჰა ვენახს ამუშავებს. გლეხი, იმის გამო, რომ პირუტყვის ნაკელი ვერ შეაქვს, დაბალ მოსავალს ღებულობს და ამდენად მარნის საჭიროება თანდათან იხსნება. ეს ბოლო წლებისათვის იმანაც გააძლიერა, რომ საკვლევი რაიონის ყურძნის მოსავალს სახელმწიფო იბარებს შამპანური ღვინის მასალად საკმაოდ მაღალ ფასებში. კოლმეურნე გლეხი თანდათან ხელს იღებს მამაპაპურ, ტრადიციულ მეღვინეობაზე. მცირე რაოდენობით დარჩენილი ყურძნის წვენს ნაცვლად ქვევრებისა, ხშირად კასრებში აყენებს და ღვინის დაყენების ქარხნებიდან გადაღებულ ახალ წესებს მიმართავს.

საკვლევი ხეობის მევენახეობა-მეღვინეობა საკმაოდ მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდება. ძველი წესი ღვინის დაყენებისა ასეთი თანამიმდევრობით წარიმართებოდა. ვენახის კრეფა უნდა დაწყებულიყო ძველი სტილით ენკენისთვის ნახევრიდან ხეობის ქვედა ზოლში, ხოლო მთისძირა მიდამოებში სექტემბერ-ოქტომბერში. ადგილობრივთა გადმოცემით „ძველად გლეხები ადრე იწყებდნენ ყურძნის კრეფას. ბატონები კი ვიდრე ვაზს ფოთოლი არ დასცვიოდა არ დაკრეფდნენო. ზოგჯერ ბატონის რთველში ყურძენი ისე ცივი იყო, რომ ვენახში ცეცხლი გვენთო და გაყინულ ხელებს ვითბობდითო". მთხრობელთა გადმოცემით გვიან დაკრეფილი ყურძნის წვენი უფრო ტკბილი იყო და მაგარი ღვინო დგებოდა. საგულისხმოა, რომ დასავლეთ საქართველოშიც ვაზის ზოგიერთი ჯიში იანვარშიც კი მოუკრეფიათ. გვიან დაკრეფილი ყურძნის წვენი გრილ მდგომარეობაში ნელი ტემპით ხანგრძლივად დუღდა, რაც შესაძლებელია დადებითად მოქმედებდა ღვინის ტექნოლოგიურ მხარეზე. შესაძლებელია ეს მაჩვენებელი გარკვეულ როლს ასრულებდა მთიელთა მეღვინეობაზედაც, რომელთაც ტკბილი ბარიდან აჰქონდათ და ღვინოს მთაში აყენებდნენ. მთიელები ხომ დღესაც ქებით მოიხსენებენ მთაში დაყენებული ღვინის ღირსებას.

ძველი ღვინოების სიკეთე იმითაც იყო გაპირობებული, რომ საწნახელი ვენახში იყო მოწყობილი და მოკრეფილი ყურძენი მაშინვე იწურებოდა. სამეცნიერო ლიტერატურაში სწორედ ქართლის ვაზის ჯიშებისათვის მოკრეფილი ყურძნის გაჩერება ორ საათზე მეტხანს არ უნდა ხდებოდეს[11]. ეს გარემოება, როგორც ჩანს, გლეხობას ემპირიულად ჰქონდა გამომუშავებული და ამის შესაბამისად ყურძნის დაწურვას მოკრეფის შემდეგ არ ახანებდა, რომ ყურძენი არ ჩახურებულიყო, წვენში ძმრის ბაქტერიები არ შეპარულიყო და ღვინო მჟავე არ გამოსვლოდა.

ყურძნის დაწურვა მიმდინარეობდა ქვითკირის საწნახლებში. ზოგიერთს ხის ნავები და ხის ერთიანი მორისაგან გამოთლილი საწნახელებიც გააჩნდა. საწნახელში ძირზე ჯერ ხიდებს ჩადგამდნენ, შემდეგ მასზე ლასტს დადგამდნენ და ამის შემდეგ ყურძენს ჩაყრიდნენ. ყურძენს წურავდნენ შიშველი ფეხით. წურვის დროს სცოდნიათ ურთიერთდახმარება. ამას წურვაზე შველას უწოდებდნენ. ბოლო ხანებში წურვის დროს რეზინის ჩექმებს იცვამენ. ფეხით გამოწურული ყურძნის ჭაჭა საქაჯავში გადაჰქონდათ. საქაჯავში გამოწურულ ტკბილს ცალკე ჭურჭელში ათავსებდნენ და ადრეულ სახარჯო დანიშნულებით იყენებ-

[11] ნ. კ ე ც ხ ო ვ ე ლ ი, მეღვინეობა, I, 1961, გვ. 143; შ. ა ვ ა ლ ი ა ნ ი, მეღვინეობის ტექნოლოგია, 1945, გვ. 17.

დნენ, მას საშემოდგომო სასმელად ხმარობდნენ. მთხრობელთა გადმოცემით „ნაქაჯი ღვინო ლობიოს შეჭამანდს უხდებოდა“. დარჩენილ ჭაჭას ძველად ღორებს უყრიდნენ. ცოტა მოგვიანებით ჭაჭისაგან არყის გამოხდა დაუწყიათ. როგორც კი წურვა დაიწყებოდა მაშინვე პირველი გამონადენი ტკბილით საზედაშე ქვევრებს გაავსებდნენ. ამის შემდეგ იწყებოდა დანარჩენი ქვევრების გავსება. ქვევრებში ტკბილის ჩაშვებამდე გოგირდს აღრჩოლებდნენ. ქვევრებში ტკბილი ისე უნდა ჩაესხათ, რომ დუღილის დროს არ გადმოსულიყო.

ქსნის ხეობაში ღვინის დაყენების რამდენიმე მეთოდს იყენებდნენ. თუ ტკბილი ღვინის დაყენება უნდოდათ მაშინ ტკბილს ჭაჭას არ მისცემდნენ. ასეთი ტკბილი ქვევრში 3—4 დღის შემდეგ იწყებდა დუღილს. დადუღების შემდეგ ქვევრის თავს მოასუფთავებდნენ: ქვევრის პირზე ჯვარედინად მანეულის ჩხირებს დააწყობდნენ და ვაზის ფოთლებს დააფარებდნენ, შემდეგ ქვის სარქველს დაადებდნენ, ხოლო სარქველს გარშემო ტალახს შემოადებდნენ. ზოგს ზემოდან ქვიშის დაყრაც სცოდნია.

მეორე წესით, როცა ტკბილი დაიდუღებდა, მერე მისცემდნენ ჭაჭას. ჭაჭის მიცემა ხდებოდა კოკა ტკბილზე ორი კილოგრამის ვარაუდით. მთხრობელთა გადმოცემით: „ჭაჭა ისევე მოქმედებს, როგორც პურის მოზელისას პურის საფუარის მიცემა. ჭაჭა ღვინოს სიმწარეს აძლევს. ღვინოს სიმწარე უნდა ჰქონდეს, ისე დასალევად არ ვარგაო“. ტკბილისათვის ჭაჭის გარკვეული დოზის მიცემას *საფერავის* მიცემას უწოდებენ. სიტყვა საფერავი, *საფუარიდან* უნდა მომდინარეობდეს, რადგან თვით პროცესი ჭაჭაზე დაყენებისა ფერის მიცემის მიზნით კი არ ტარდება, არამედ ტკბილის ღვინოდ ქცევის მიზნით. დიდ ქვევრებში საფერავად მიცემული ჭაჭა ქვევრს ყელში ქუდივით მოეცობა ხოლმე. დუღილის დროს საჭიროა დღეში ორ- სამჯერ ყელში მომდვარი ჭაჭის დარევა, თუ ეს პროცედურა არ ჩატარდა, მთხრობელთა აზრით „ღვინო დაიხრჩობა“, რაც შეიძლება იმაში გადაიზარდოს, რომ ღვინო მოძმარდეს. ქვევრის ყელში მოცობილ ჭაჭას ბუზი ეხვევა და ძმრის ბაქტერიები ეტანება, რაც ღვინოს საფრთხეს უქადის. დასარევ ჯოხს, რომელიც ან სამკაპას სახით არის ან ჯოხზე დაგებული პატარა ფიცრის სახით, საკვლევ რაიონში იხსენიებენ *ფარსაკოდის*, *ჭაჭის დასარევი* ჯოხის სახელით. დუღილის შემდეგ ჭაჭა დაბლა მიდის. ქვევრს დაატალახებენ და 2-დან 6 თვის შემდეგ მას გადაიღებენ სხვა ჭურჭელში, რომ ლექი გამოაცალონ. ზამთარში იცოდნენ ქვევრის მოხდა და ღვინის შემოწმება. ქვევრიდან ჭაშნიკისათვის რამდენიმე ლიტრს მოაკლებდნენ. ქვევრის ნაკლულად დატოვება არ შეიძლებოდა ამიტომ შევსების მიზნით ქვევრში ყინულის ნატეხებს ჩაუშვებდნენ. გადმოცემით — „ყინული ღვინოზე კარგად მოქმედებს, ღვინოს ასუფთავებსო“.

ღვინის დაყენების თავისებური წესი ჰქონიათ ხეობის მთისძირა სოფლების მევენახეებს. ქვევრში როცა ტკბილს ჩაასხამენ, რასაც თავზე მოიგდებდა იმას მოხდიდნენ. ავსებული ერთ დღეს უნდა ყოფილიყო, მეორე დღეს ერთი ხელის დადებაზე მოაკლებდნენ. ჭაჭას მისცემდნენ წნელს დაგრეხდნენ და სარქვლის ქვეშ დააყოლებდნენ, რომ დუღილის დროს წნელს ჰაერი ამოჰყოლოდა და სარქველდაფარებულ მდგომარეობაში უნდა ედუღა. ე. ი. დატალახებულმდგომარეობაში, ორი თვის შემდეგ ღვინოს გადაიღებდნენ.

ზოგი მთხრობელის დაკვირვებით ღვინო დუღილს ერთ თვესაც აგრძელებს. ქსოვრისელი მთხრობელი დავით მოლოდინის დაკვირვებით ღვინო ზოგ შემთხვევაში გადაღების შემდეგაც „აგრძელებს ჩუჩუნს“.

ღვინის დაყენების წესების შესაბამისად და ვაზის ჯიშების მიხედვით, ხეობის სხვადასხვა მიკრორაიონებია წარმოქმნილი — ხეობის ქვედა ტანზე ლამისყანის, მუხრანის, ძალისის, დამპალოს, ქსოვრისის და ოძისის, ხეობის შუა ტანზე კი ახმაჯის, ერედვის და წირქოლის.

მთხრობელთა დაკვირვებით „ჭყაპა და ჩინური ყურძნისაგან მიღებული ღვინოები ადგილის ღვინოებია. ისინი მგზავრობას ვერ უძლებენ. რქაწითელის ღვინო ადგილის ღვინოც არის და საგარეოცა".

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ღვინით ვაჭრობამ ხეობის მოსახლეობა დიდად დააინტერესა. ამ ინტერესის შედეგი უნდა იყოს ის დიდი ზომის მარნები, რომელიც ჩვენ ვნახეთ სოფელ მუხრანში, ოძისში, ლამისყანაში, ძალისსა და ქსოვრისში.

ზოგიერთ მარნებში მოთავსებული ქვევრები 100-კოკამდე და მეტი ტევადობის რაოდენობას აღწევს. რაც მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების კაპიტალიზმის ხანის შესაბამის სტადიას პასუხობდა. სოფლად დიდი ვენახის პატრონი იყო ამავე დროს ძლიერი მეღვინე, რომელიც ტენდენციას იჩენდა სირაჯობისაკენ. დიდ სოფლებში, მუხრანში, ახალგორში, ქსოვრისში ჩნდება ღვინის სავაჭრო დუქნები, სადაც გამოაქვთ, როგორც თავისი საკუთარი ღვინო, ისე მეზობელთაგან შეძენილი. ამ გზით ზოგიერთი სოფლის შეძლებული გლეხი XIX ს. მიწურულსა და XX საუკუნის პირველ მეოთხედში მევენახეობას ღვინით ვაჭრობით აგვირგვინებს, რაც სოფლად სავაჭრო კაპიტალის დაგროვების საუკეთესო წყაროსაც წარმოადგენდა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი საჩივრის წიგნი, რომელიც ოძისელ ივანე შენგელიძეს ეკუთვნის. საჩივრის წიგნში აღნიშნულია, რომ ლევან ერისთავის შვილი ნიკო დიდად ავიწროებს მის ოჯახს, რომ 1867 წლის 3 აპრილს, ნიკო ერისთავი თავისი მსახურებით ახალგორში მის დუქანს დაესხა. კარში გამოუყარა პროდუქტები და დაუპრა ღვინის რუმბები[12].

1887 წელს დუშეთის მაზრის უფროსი საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ მაზრაში სამი სავაჭრო ცენტრია: დუშეთი, ახალგორი და მუხრანი, მარტო საანგარიშო წელს მაგარი სასმელებისა და სხვა პროდუქტების გაყიდვაზე გაცემული იყო 195 პატენტი[13]. როგორც პირველ ისე მეორე დოკუმენტში აშკარად ჩანს თუ მევენახეობის პროდუქტები: ღვინო, არაყი რამდენად დიდ შესაძლებლობას აძლევდა გლეხობას, რომ ჩათრეულიყო სავაჭრო საქმიანობაში, გაჰყოლოდა კაპიტალიზმის ხანის შესაბამის მოთხოვნებს.

ქსნის ხეობაში მევენახეობის განვითარების საქმეს დიდად შეუწყო ხელი მუხრანბატონების მეურნეობამ, სადაც მევენახეობის და მეღვინეობის საქმე მეცნიერული ცოდნის ნიადაგზე იყო დანერგილი. ცნობილია, რომ ამ მეურნეობაში ბევრი ადგილობრივი გლეხი მუშაობდა, რომელთაც არ შეიძლებოდა რომ იქ მიღებული ცოდნა-გამოცდილება საკუთარ მეურნეობაში არ გადაეტანათ. მხედველობაში მისაღებია ის ფაქტი, რომ მუხრანბატონების წყალობით ხეობის სოფლებში გავრცელდა უცხოური ვაზის ზოგიერთი ჯიში მაგ., ალიგოტე და სხვ. ამავე მეურნეობამ დანერგა ვაზის შეწამვლისა და შეწამვლის დროის შერჩევა და სხვ.

რაც მთავარია, ქსნის ხეობა არის საქართველოს ერთი იმ კუთხეთაგანი.

---

[12] История Юго-Осетии в документах и материалах, т. III, Цхинвали, 1961, стр. 78.
[13] Там же., стр. 195.

სადაც თავიდანვე მევენახეობა სოფლის მეურნეობის მძლავრ დარგს შეადგენდა. ამ ნიადაგზე ხეობის განსახლებაც ისე იყო წარმოდგენილი, რომ მოსახლეობას მემინდვრეობასთან ერთად მევენახეობაც მაღალ დონეზე ეწარმოებინა. სახელდობრ, ძველი სარწყავი რუები, რომელიც ქსნიდან იყო გაყვანილი (საგლახო რუ, ნასტაგისი და სხვა), სწორედ მევენახეობის მძლავრი აღმავლობის მანიშნებელია.

Г. В. ДЖАЛАБАДЗЕ

## ВИНОГРАДАРСТВО-ВИНОДЕЛИЕ В КСАНСКОМ УЩЕЛЬЕ

Резюме

Ксанское ущелье является одним из перспективных районов развития виноградарства и виноделия. Делится оно на два микрорайона— Мухранский с селениями ниже Ксовриси (400—500 м над уровнем моря) и Ленингорский — от с. Ксовриси, в глубь ущелья, до с. Садзегури. В самих микрорайонах можно выделить несколько микроединиц, продукты виноделия которых характеризует особая ароматичность, сахаристость, игривость и букет. В Мухранском микрорайоне таковыми являются сс. Дампала, Ламискана, Мухрани, Дзалиси и т. д. Помимо этого в самом с. Ламискана, вина из орошаемых и неорошаемых виноградников отличаются друг от друга; последнее, считается особо крепким напитком. В Ленингорском же районе — сс. Коринта, Боли, Цирколи.

В историческую эпоху, зона распространения виноградной лозы достигала сс. Садзегури и Цхавати. На сегодняшний день, верхняя граница распространения виноградной лозы проходит в с. Садзегури (1000 м над уровнем моря), где разводят виноград сорта алиготте, а в с. Цхавати, расположенном чуть выше, виноградарством уже не занимаются.

Жители отдаленных от зоны виноградарства горных селений этого ущелья, до 1921 года, возделывали виноградники в равнинных селениях. Они выполняли все сложные работы в виноградниках, собирали созревший урожай, давили его и сок в больших бурдюках уносили домой, там переливали в глиняные кувшины, в которых вино бродило.

Большинство горных селений имело специальные виноградники для святилищ. Кувшины со священным вином содержались вблизи святилищ под открытым небом.

Использованием вина и уходом за виноградниками руководили служители церкви—мнате.

Использовалось святилищное вино в особые религиозные праздники и пили его из специальных сосудов, которые в Ксанском ущелье назывались м а р а н и, б а д и а, э р к е м а л и. В селении Цирколи, июньский религиозный праздник св. Георгия назывался «Бадиаоба», т. к. здесь, для питья и посвящения, использовалась большая глиняная чаша б а д и а. Прием и посвящение в общину, происходило принятием священного напитка из этого сосуда. Один из ритуальных сосудов, под названием э р к е м а л и, по сей день хранится в фондах Этнографического Музея народов СССР, в Ленинграде. Эта маленькая фигурка барана, отлитая из латуни с надписью: «Для моего благоденствия золотым вратам святой тройцы Алеви, для благословления души моей и моего сына, этого барана преподнесли, Зураб Эристави».

Таким образом, широко развитое в Ксанском ущелье виноградарство, было двоякого рода — лично собственническое и церковное. Последнее было менее перспективным и безусловно препятствовало развитию этого вида хозяйства.

Со второй половины XIX века, в больших селениях Ксанского ущелья, появились торговцы вином и в связи с этим — постройки лавочного типа и большие погреба для хранения и реализации большого количества вина.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. დობროვოლსკი

# სახელმწიფო ერმიტაჟის ზოგიერთი იშვიათი ქართული მონეტა

არავითარ გადაჭარბებას არ ექნება ადგილი, თუ ვიტყვით, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წლებში ნუმიზმატიკურმა მეცნიერებამ მანამდე არნახულ სიმაღლეს მიაღწია. ქართული ნუმიზმატიკის საკითხებით დაინტერესებული მკვლევართა საკმაოდ დიდი რიცხვი მეტ-ნაკლები ინტენსიურობით სწავლობდა საქართველოს სამონეტო მიმოქცევაში არსებულ სხვადასხვა ქვეყნისა და ეპოქის მონეტებს და ბუნებრივია, რომ ძირითად ყურადღებას ქართულ საფასეებს უთმობდა. როგორც სამართლიანად აღნიშნავს დ. კაპანაძე „ქართული ნუმიზმატიკის შესწავლა აუცილებლად უნდა გაგრძელდეს ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეულია იმით, რომ ჩვენი მუზეუმის ყველა ფონდი და კერძო პირების კოლექციები, ჯერ კიდევ არ არის მთლიანად სისტემაში მოყვანილი და ცნობილი. აქედან გამომდინარე, ყველა მონეტა ჯერ კიდევ არ არის გამოქვეყნებული და უცნობი რჩება სპეციალისტებისათვისაც კი“[1].

წინამდებარე მიმოხილვა სწორედ ლენინის ორდენოსან სახელმწიფო ერმიტაჟის ნუმიზმატიკურ განყოფილების აღმოსავლური მონეტების დამუშავების დროს გამოვლენილ და ამავე განყოფილებაში უკანასკნელ წლებში შემოსული რიგი იშვიათი ქართული მონეტების პუბლიკაციას ისახავს მიზნად.

სახელმწიფო ერმიტაჟში ს. სტროგანოვის ყოფილ კოლექციაში, დაცულია ქართლის ერისმთავრის სტეფანოს II დრამა, რომელიც ვარიანტის მითითების გარეშე მოხსენიებულია ე. პახომოვის მიერ ორ სხვა მონეტასთან ერთად[2].

შუბლი — მეფის ბიუსტი და ორსტრიქონიანი ქართული ზედწერილი ასომთავრული შრიფტით — ႱႲ/ႤႴ/ႠႬ/ႭႱ „სტეფანოს“. ასოები Ⴀ და Ⴌ შერწყმულია მონოგრამად, რაც ამ მმართველის მონეტაზე აქამდე ცნობილი არ იყო.

ზურგი — (ჩვეულებრივი ტიპის, დიამეტრი: 28 მმ, წონა 2,88 გ[3]. ტაბ. I, $_1$).

მონეტა შესანიშნავადაა დაცული, უცბათვე იქცევს ყურადღებას მონეტის ზურგზე მოთავსებული სხვადასხვა ჩაღრმავებები. ამ დეფექტების ყურადღებით შესწავლა გვაძლევს საფუძველს ვამტკიცოთ, რომ კონფიგურაციით ისინი შეესატყვისებიან მონეტის შუბლის უფრო მეტად ამობურცულ ადგილებს. ცოტათ თუ ბევრად ანალოგიურ მდგომარეობას ჩვენ ვხვდებით ყველა

---

[1] Д. Г. Капанадзе, Грузинская Нумизматика М., 1955, გვ. 7 (შემდეგში Капанадзе).

[2] Е. А. Пахомов, Монеты Грузии, С.-Петербург, 1910, გვ. 32, № 14 (შემდეგში — Пахомов).

[3] ერმიტაჟის შემოსულობის № 44 476.

ქართულ-სასანურ[4] და ზოგიერთ სხვა მონეტებზედაც, მიუხედავად იმისა, რომ ეს ფაქტი სპეციალურ შესწავლას მოითხოვს, სამწუხაროდ, ის დღემდე მკვლევართა ყურადღების გარეშეა დარჩენილი. ტექნიკური თვალსაზრისით ამ მეტად საინტერესო მოვლენას შეიძლება, სავარაუდო შემდეგი ახსნა მიეცეს. საქმე ისაა, რომ როდესაც სიქა საკმაოდ ღრმადაა ამოჭრილი, ხოლო მონეტის დისკო თხელია (სხვა პირობებთან ერთად — დარტყმის ძალა, ლითონის ხარისხი), მსგავსი დეფექტების გაჩენა დამოკიდებულია თავისუფალი, სხვა ელემენტებით, ამოჭრილი ზედაპირის ზომაზე. სტეფანოზის დრამის შუბლის სიქაზე ასეთად ითვლება სახის ქვედა ნაწილი, გვირგვინის ზედა ნაწილი და მის ზემოთ მოთავსებული სფერო, სწორედ ეს დეტალები აღინიშნებოდა ჩაზნექილობით მონეტის ზურგზე[5].

თბილისში მოჭრილი აბასური დირჰემები, როგორც ეს არაერთხელ იყო აღნიშნული, ძალიან იშვიათია. ჩვენთვის ცნობილი თბილისში მოჭრილი პირველი აბასური დირჰემები გამოშვებულია 210/825—26 წწ., ხოლო უკანასკნელი 331/942—43 წწ. მაგრამ დროის ამ მონაკვეთის ყველა წლით დათარიღებულ მონეტას ჩვენამდე არ მოუღწევია. ამიტომ უკვე ცნობილი წლით დათარიღებულ ყოველი ახალი მონეტის აღმოჩენას, მით უმეტეს იმ წლისას, რომელიც ჩვენთვის ცნობილი არ იყო, საქართველოში აბასური მონეტების ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს[6].

სახელმწიფო ერმიტაჟის კოლექციაში დაცულია თბილისში 287/900 წ. ხალიფა ალ-მუთადიდის სახელით მოჭრილი აბასური დირჰემი[7].

შუბლი — „სახელითა ღვთისაითა მოიჭრა ესე დირჰემი თბილისში წელსა 287-სა“.

დანარჩენი ლეგენდა ჩვეულებრივია.

ზურგი — „ღმერთს /მუჰამედი მოციქული/ ღმერთისა/ ალ-მუთადიდი“. მონეტის ცენტრში წერტილია. გარშემოვლებული ზედწერილი ჩვეულებრივია. დიამეტრი: 25 მმ, წონა 2,88 გ (ტაბ. I, ₂). აუცილებლად უნდა აღინიშნოს თბილისში 311/923—24 წწ., მოჭრილი ალ-მუკდადირის კიდევ ერთი დირჰემი, რომელიც ადრე ყოფილ აზიურ მუზეუმს ეკუთვნოდა[8].

ქართული ნუმიზმატიკისთვის ძალიან საინტერესო ყოფილა აზიური მუზეუმის არა სისტემატიზირებულ მასალაში აღმოჩენილი ჯაფარ იბნ მანსურის სახელით 367/977—78 წწ. დირჰემები[9] (ტაბ. I, ₃).

შ უ ბ ლ ი — „სახელითა ღვთისათა იჭედა ესე დირჰემი თბილისში წელსა 367-სა“. დანარჩენი ზედწერილები ჩვეულებრივია.

ზ უ რ გ ი — „ღმერთს! /მუჰამედ ღვთის /მოციქული/ ატ-ტაი დილაჰი/ ჯაფარ იბნ მანსურ“. გარშემოვლებული ზედწერილი ჩვეულებრივ მონეტას სიქის ორმაგი დარტყმა აქვს მიყენებული. დიამეტრი: 26 მმ, წონა 1,50 გ. ცნობილია, რომ ქართული ვერცხლის მონეტები ბიზანტიური ტიტულებით უდიდეს იშვიათობას წარმოადგენენ. მათ რიცხვს ეკუთვნის გიორგი II-ის მონე-

---

[4] П а х о м о в, დასახ. ნაშრ., ტაბ. I, II; К а п а н а д з е, დასახ. ნაშრომი, ტაბ. II—III.

[5] ქართული მონეტების ტექნიკის საკითხებზე კონსულტაციის გაწევისათვის დიდ მადლობას მოვახსენებთ სახ. ერმიტაჟის აღმ. განყ-ბის მეცნ. თანამშრომელს ა. ვეიმანს.

[6] П а х о м о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 40; К а п а н а д з е, დასახ. ნაშრომი, გვ. 53.

[7] ერმიტაჟი, ინვენტ. № 2397.

[8] ერმიტაჟი, ინვენტ. № 1333; П а х о м о в, გვ. 46.

[9] ერმიტაჟი, ინვენტ. № 3686.

ტაც, რომელიც სახელმწიფო ერმიტაჟში პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტის კოლექციასთან ერთად შემოვიდა. მონეტა ძალიან გაცვეთილია, მაგრამ ტიტული „სევასტოსის“ საფუძველზე თარიღდება 1072—1081 წწ.[10] (ტაბ. I, 4).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ უ ბ ლ ი — ვლაქერნის ღვთისმშობლის გამოსახულება. ზედწერილიდან ΒΛΑΧ ΡΝ ΤΙCΑ, ე. ი. „ვლაქერნის“, შემორჩენილია მხოლოდ მეორე ნაწილი ΝΙΤΙCΑ

ზ უ რ გ ი — გარშემორტყმული ზედწერილი თითქმის გადასულია. ზედწერილიდან:

— „ქრისტე ადიდე გიორგი მეფე აფხაზთა, ქართველთა და სევასტოსი“ შემორჩენილია მხოლოდ რამდენიმე ასო და მისი გაგრძელება ႤႧႠ.... ႣႠ ႵႠ .... ႣႠ ႱႤႥႠႱႲႭႱႨ ე. ი. „ქრისტე ადიდე ... და ქართველთა და სევასტოსი“.

ამ ცალზე, ასევე, როგორც ე. პახომოვის მიერ გამოქვეყნებულ ცალზე ასო Ⴕ შებრუნებულია მარცხნივ. დიამეტრი: 27 მმ, წონა: 1,46 გ.

1965 წ. სახელმწ. ერმიტაჟმა ი. ტოლსტოის[11] ყოფილ კოლექციიდან შეიძინა მონეტების გარკვეული რაოდენობა, რომელთა რიცხვში იყო ორი იშვიათი ქართული მონეტა. ერთი მათგანი რუსუდანის ნახევარდრამიანია.

შ უ ბ ლ ი — ქრისტეს გამოსახულება, სამ ნაწილად გაყოფილი გლუვი შარავანდედით. სახარების ზედა ნაწილი შემკულია ოთხი წერტილით. გვერდებზე — ბერძნული წარწერა: |IC XC. გარშემოვლებული ზედწერილი არ არის.

ზ უ რ გ ი — წარწერაში ႵႱႬ „რუსუდან“. მარცხნივ მარჯვნივ და ასო Ⴕ -სა და Ⴑ შორის სამი წერტილია. მონეტის არე შემოფარგლულია ფიგურული ჩარჩოთი. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ჩარჩოს მსგავსი ორნამენტული ნახატი პირველად გვხდება რუსუდანის ნახევარდრამის რევერსზე![12] გარშემოვლებული ზედწერილიდან „დედოფალი დედოფალთა დიდება ქვეყნისა და სარწმუნოებისა რუსუდან, ასული თამარისა, მესიის თაყვანისმცემელი“ — შემორჩენილია მხოლოდ პირველი და უკანასკნელი სიტყვის ნაწილები.

დიამეტრი: 17 მმ, წონა 1,20 გ, (ტაბ. I, 5).

ე. პახომოვი, აღწერდა რა რუსუდანის ნახევარდრამიანს, აღნიშნავდა, რომ ერმიტაჟის ცალისაგან განსხვავებით, რომელზედაც გარშემოვლებული ზედწერილი არ არის, მისთვის ცნობილ ორ შემოჭრილ ცალზე, ბერლინის კოლექციიდან გარშემოვლებული ზედწერილის ფრაგმენტებია შემორჩენილი, რაც მისი აზრით, არ გამოდგება მათი დრამის ფრაქციად, ე. ი. ნახევარდრამად ჩათვლის საწინააღმდეგო არგუმენტად. ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით და ზემოთხსენებული მონეტის წონისა და ზომის გათვალისწინებით, შეიძლება, ჩვენს ცალში ბერლინის მუზეუმის მონეტის ახალი ვარიანტი დავინახოთ. ამ პარტიის მეორე, არანაკლებ საინტერესო, მონეტას წარმოადგენს 467 ქორონიკონს (1247 წ.) თბილისში მოჭრილი დავით ნარინის დრამა (ტაბ. I, 6).

შ უ ბ ლ ი — მხედრის გამოსახულება მარცხნივ. მარჯვნივ Ⴃ და Ⴇ ასოებისაგან შემდგარი ლიგატურა — „დავით“ მარცხნივ თარიღი ქართული ქორონიკონით ႵႩႭႦ — 467.

---

[10] ერმიტაჟი შემ. 583/141; П а х о м о в, დასახ. ნაშრ., გვ. 68; К а п а н а д з е, დასახ. ნაშრომი, გვ. 55—57.

[11] ერმიტაჟი შემ. 583 1511.

[12] П а х о м о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 122—123; К а п а н а д з е, დასახ. ნაშრომი, გვ. 71.

ზ უ რ გ ი — ოთხსტრიქონიანი სპარსული ზედწერილი: „ძალითა ღვთისათა, მონა გუჲუკ ყაენის წყალობისა დავით მეფე“.

დიამეტრი: 25 მმ, წონა 2,74 გ.

ახასიათებს რა შედარებით იშვიათ დავით ნარინის თბილურ დრამას, პროფ. დ. კაპანაძე განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ამ მონეტაზე ძალიან იშვიათ შემთხვევაში მხედარი გამოსახულია არა მარჯვნივ, არამედ, როგორც ეს მოცემულ ცალზეა — მარცხნივ[13].

სტროგანოვის ყოფილ კოლექციაში არის კიდევ ერთი საინტერესო და საკმაოდ იშვიათი მონეტა, მოჭრილი ორი დავითის — დავით-ულუსა და დავით ნარინის თანამოსაყდრეობის დროს (ტაბ. I, 7).

შ უ ბ ლ ი — ფეხზე მდგარი მეფეთა გამოსახულება. მარცხნივ შემორჩენილია ასო Ⴃ (ႣႴ) — „დავით მეფე“, მარჯვნივ ႫႫႣ — „მეფეთა მეფე დავით“.

ზ უ რ გ ი — ღვთისმშობლის გამოსახულება. მარცხნივ ႣႣႨ; მარჯვნივ შემორჩენილია მხოლოდ ერთი ასო — Ⴖ (ႶႱႨ) — დედაი ღვთისაი.

დიამეტრი: 23 მმ, წონა 2,51 გ.

ზემოაღწერილი ცალი სხვა სიქითაა მოჭრილი, ვიდრე მონეტები, რომლებიც გამოქვეყნებული აქვთ თ. აბრამიშვილსა და დ. კაპანაძეს[14].

დასასრულ, უდავოდ ყურადღებას იმსახურებს სახელმწ. ერმიტაჟის ფონდებში ერეკლე II-ის კიდევ ერთი ოქროს მონეტის აღმოჩენის ფაქტი, რომელიც მოჭრილია თბილისში და ცალი მხრიდან დათარიღებულია ევროპული 1796 წ., ხოლო მეორე მხრიდან ჰიჯ. 1203 წ. 1788/89 წწ.) დიამეტრი: 25 მმ, წონა 7,64 გ[15] (ტაბ. I, 8).

ადრე ცნობილი ცალი (ტაბ. I, 9) და ეს მონეტა ერთი და იმავე სიქითაა მოჭრილი. როგორც სამართლიანად აღნიშნავს დ. კაპანაძე, ტიპოლოგიური თვალსაზრისით ეს მონეტა უცნაურ შთაბეჭდილებას ტოვებს: „ჯერ ერთი, ერთმანეთს არ შეესატყვისება ევროპული და მუსულმანური თარიღი. მეორეც, გაუგებარია სრულიად სხვადასხვა სიქის შეხამება: მონეტის შუბლისათვის გამოყენებულია სიქა, რომელსაც ხმარობდნენ სპილენძის მონეტის მოსაჭრელად, ხოლო ზურგისათვის გამოყენებულია ვერცხლის მონეტის სიქა“[16]. ზემოთქმულს უსათუოდ უნდა დავუმატოთ ისიც, რომ მონეტის მოთეთრო ფერი, განსაკუთრებით მის ამოზნექილ ნაწილებში, ეჭვს იწვევს, ხოლო მონეტის ზურგის ცენტრში არსებული ჩაზნექილობა, შეიძლება გამოწვეული იყოს, სინჯის შემოწმების მიზნით მოგვიანო ხანებში. მეორე მონეტა ყველა დეტალში იმეორებს — პირველს (მონეტის ნამზადის წრიული ფორმა მხედველობაში მისაღები არ არის), მაგრამ მას აქვს ცოტა უფრო ზემოთ მოთავსებული სხვა კონფიგურაციების ჩაზნექილობა.

ორივე მონეტის ანალიზმა ცხადჰყო, რომ ისინი ელექტრუმისაგანაა მოჭ-

---

[13] К а п а н а д з е, დასახ. ნაშრომი, გვ. 75.

[14] თ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ორი დავითის მონეტა, საქ. სახელმწ. მუზეუმის მოამბე XVI—B, 1959, გვ. 139—143; Д. Г. К а п а н а д з е, Так называемые «грузинские подражания», Трапезундским аспрам. «Византийский Временик», т. III, 1950, стр. 204; К а п а н а д з е, стр. 77.

[15] ერმიტაჟი, ინვენტ. № 4171.

[16] К а п а н а д з е, стр. 77, 128.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



რილი[17]. მონეტის ზურგის აღნიშნული დეფექტების შესწავლა და მისი დაპირისპირება მონეტის შუბლთან, საშუალებას გვაძლევს ჩავთვალოთ, რომ რევერსის ჩაზნექილი ადგილები შეესატყვისება ავერსის მეტად ამოზნექილ და მოცულობით უფრო ფართო დეტალებს, სახელდობრ არწივის ტანს. ამრიგად, 1200 წლის შემდეგაც, ერეკლე II მონეტებზე, ჩვენ იმავე ტექნიკურ თავისებურებებს ვხვდებით, რაც ქართულ-სასანური მონეტებისათვის იყო დამახასიათებელი.

ი. სპასკი, რუსულ სამონეტო საქმის ანალოგიით შესაძლებელად თვლის ამ ცვლებში „ნაჩუქი ოქრო“ დაინახოს, მაგრამ აღნიშნული საფასეების მოჭრის მიზეზები ჯერ კიდევ არ შეიძლება ჩაითვალოს საბოლოოდ გამორკვეულად. ჩანს, ანალოგიური აზრისაა ა. კომაროვი, რომელიც წერს: „...რომ ეს ემისია შემთხვევით ხასიათს ატარებდა და განსაკუთრებული პირობებით იყო გამოწვეული“[18]. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ გენერალ-მაიორ ლაზარევის მოწმობა, რომელიც 1801 წ. 6 მარტით დათარიღებულ მოხსენებაში კნორინგისადმი წერდა, რომ „ოქროს მონეტები“ აქ, ე. ი. (საქართველოში) არ არის, არის მხოლოდ ვერცხლი და სპილენძი“[19].

ეს მიმოხილვა სრული არ იქნებოდა, თუ არ აღვნიშნავთ მეტად იშვიათ მედალს, რომელიც მოჭრილია 1804 წ. თბილისის ზარაფხანის გახსნასთან დაკავშირებით.

სახელმწიფო ერმიტაჟის მედლების განყოფილებაში ამ ისტორიული ფაქტისადმი მიძღვნილი ორი მედალია დაცული — ოქროსა და ვერცხლის[20] ზედწერილით „Тбилисский (монетный двор) открыт (15 сентября) 1804“ ამჟამად მედლების კოლექცია შეივსო კიდევ ერთი ვერცხლის მედლით, რომელიც ადრე აზიურ მუზეუმს ეკუთვნოდა. მას იგივე ზედწერილის სხვა ვარიანტი აქვს: „Тифлисский (монетный двор) открыт (15 сентября) 1804“[21].

И. Г. ДОБРОВОЛЬСКИЙ

## НЕКОТОРЫЕ РЕДКИЕ ГРУЗИНСКИЕ МОНЕТЫ СОБРАНИЯ ГОСУДАРСТВЕННОГО ЭРМИТАЖА

Резюме

Труд научного сотрудника Государственного ордена Ленина Эрмитажа Добровольского И. Г. знакомит читателей с некоторыми редкими грузинскими монетами, выявленными при обработке фондов Отделения

[17] ანალიზი ჩაატარა სახელმწ. ერმიტაჟის სარესტავრაციო სახელოსნოს თანამშრომელმა ი. ლ. ნოერმდმა (მონეტის ხვედრითი წონა — დაახლოებით 14; ოქროს წონა 19,3, ვერცხლის ხვედრითი წონა — 10, 14).

[18] П. Камаров, «Чеканилась ли в Грузии золотая монета.» Изв. Кавказского. общества истории и археологии», Тифлис, 1884, стр. 10.

[19] Акты Кавказской Археологической Комиссии, т. I, стр. 516, № 623.

[20] Эрмитаж, инв. № А. 3. 330. Р. М. 2043.

[21] Эрмитаж, инв. № Р. М. 11050; Капанадзе, стр. 160. 134.

восточных монет, а также поступивших в собрание Отдела нумизматики Эрмитажа за последние годы.

В составе бывшей коллекции С. Г. Строганова хранится драма Картлийского эристава Стефаноса II. В труде дано описание монеты, грузинская легенда, исполненная шрифтом асомтаврули и указывается на соединение в монограмму букв а и н. Автор обращает внимание на различной глубины выемки на оборотной стороне монеты, точно соответствующие по конфигурации наиболее выпуклым местам лицевой стороны, причем подчеркивается, что подобное явление наблюдается почти на всех грузинских монетах сасанидского типа и на ряде других монет. Это явление не было отмечено ни одним из исследователей.

Рассматривается также: аббасидский дирхем халифа ал-Мустадида 287/900 г., чеканенный в Тифлисе, монеты этого года до сих пор не были известны, дано краткое описание и расшифровка легенды; аббасидский дирхем чеканный в Тифлисе в 311/923—24 г. (из коллекции Азиатского музея); тифлисский дирхем джафарида Джафара ибн Мансура, чеканный в 367/977—78 г., дана расшифровка легенды.

Далее приводятся данные о монете царя Грузии Георгия II с византийским титулом севастоса, датируемой 1072—1081 гг.; дана расшифровка сохранившейся легенды с необходимыми комментариями.

Приводятся данные о полудраме царицы Русудан. При описании монеты особое внимание обращено на рисунок рамки оборотной стороны монеты, встречающийся впервые. Учитывая размер и вес монеты автор видит в ней новый вариант монет Берлинского музея, описанных проф. Е. А. Похомовым.

Автор публикует интересную монету Давида Нарина, чеканенную в Тифлисе в 467 кроникон (1247 год). Изображение всадника на монете направлено влево.

Тут же приводится монета, чеканенная от имени двух соцарствующих Давидов — Давида Нарина и Давида Улу.

Большой интерес представляет также публикация обнаруженной в фонде Отдела нумизматики гос. Эрмитажа золотой монеты царя Ираклия II, чеканенной в Тифлисе в 1796 году, по хиджре 1203/1788—89, отмечается интересная деталь: для лицевой стороны использован штамп медной монеты, для оборотной штамп серебряной монеты.

Автор приводя мнения И. Г. Спасского и А. Комарова о причинах появления этой (и другой подобной) монеты, и чрезвычайных обстоятельствах, обусловивших их выпуск, отмечает, что нельзя игнорировать свидетельство генерала Лазарева сообщавшего генералу Кнорингу, что «золотых монет здесь нет, а существуют серебряные и медные».

Обзор заканчивается публикацией данных о весьма редких медалях, выбитых в ознаменование открытия монетного двора в Тифлисе в 1804 году, указывается, что в собрании Отдела медалей Гос. Эрмитажа имеются золотая и серебряная медали, выпущенные в честь этого события и приводятся их легенды.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინფორმაციები — ИНФОРМАЦИИ

А. К. СОХАДЗЕ

# ТИПЫ ГРУЗИНСКОЙ ВЕРХНЕЙ ОДЕЖДЫ ЧОХА, АРЕАЛ ИХ РАСПРОСТРАНЕНИЯ И ТЕРМИНЫ

## ТИПЫ

Этнографические материалы второй половины XIX века и первой половины XX века позволяют нам установить три типа грузинской верхней одежды под названием «чоха».

1. Хевсурская чоха (табл. 1). Основные признаки: короткая. Большинство хевсурских чох не имеет застежек (γil — ḳilo), они являются весьма редкими для них элементами. Застежки — узелка ‖ шарики (четыре) и петли — ḳiloebi (четыре), изготовленные из круглой тесьмы (qaitani). Они пришиты по краям разреза «параги» (грудь, нагрудник).

Хевсурскую чоху носили с поясом, или без пояса. Не имеет воротника (только немножко возвышен край шейного разреза сзади). Рукава к плечам приставлены ровно. Они к запястью слегка суженны, а снизу целиком или от середины до подмышек открытые (если открытая часть длинная, края разреза в нескольких местах соединены между собой тесьмой).

Задняя часть чохи ниже талии состоит из нескольких (3, 5, 7, 9, 11, 17) трапецеидальных частей — azγcṭi//azγudi. Средняя часть называется „азготи средней части тела" (šua gvamis azγcṭi), или — šua azγcṭi — „средний азготи".

Азготи в зависимости от их количества расположены направо и налево от среднего «азгота» так: 1—1; 2—2; 3—3; 4—4; 5—5; 8—8.

Полы хевсурской чохи спереди кончаются «языками» (ena, enebi), треугольными, дополнительными частями (iribi načrebi).

На груди по сторонам пришиты газырники—«самасреби», имеющие по 8 гнезд (bude). Они в большинстве случаев без газырей. Если грудь—параги (paragi) украшена цветными аппликациями, газыри и гнезда отсутствуют.

Хевсурская чоха имеет пару «самхедро» или чаки—čaki (ḳaltis šenačeri) — надрезы полы. Некоторые из хевсурских чох «чаки» не имеют (см. коллекцию Гос. Музея Грузии 1929 года в отделе этнографии). Приблизительно до 60-х годов XIX в. «чаки» были необходимыми элементами хевсурской чохи и их длина достигала до талии (они давали возможность джигиту легко садиться на коня и в боевых условиях действовать свободно). В дальнейшем «чаки» постепенно укора-

чиваются, утрачивают свою первоначальную функцию и превращаются в простой украшающий атрибут, а иногда вовсе исчезают[1].

2. Карталино-кахетинская чоха (таб. II). Длинная, спускается ниже колен (доходит до щиколоток). Имеет эллиптический вырез на груди для того, чтобы видна была часть «ахалухи» — бешмета. Без воротника. Не имеет застежки, носили ее без пояса. Рукава широкие, но не одинаковой ширины. Линии их соединения с плечами неровные. В конце имеют короткие надрезы. На груди с обеих сторон к чохе пришиты гнезда (budeebi) без газырей (общее количество—28—32). Талия картлисской чохи сзади имеет складки и сборки, спускающиеся донизу. Верхняя возвышенная часть каждой сборки имеет уголообразную форму и называется «чибухи». Чоха имеет две «чаки» — надрезы полы длиною 15—22 см.

3. Чоха общекавказского типа. Чоха этого типа (таб. III) русские называют «черкеской». Она плотно прилегает к талии. Имеет клинообразный разрез на груди (вырез—открытая часть чохи имеет грушеобразную форму). Застегивается от конца грудного разреза до талии. Застежки (γilebi) делали ручным способом из круглой самодельной тесьмы путем завязывания маленьких круглых узелков — шариков; из той же тесьмы делали петли (ḳiloebi; причем шарики пришивали к правой половине разреза чохи у самого края, а петли — к левому краю разреза. У талии чоха перехвачена поясом. Полы чохи (ḳaltebi) по бокам и с зади имеют особые складки и сборки, спускающиеся донизу.

На груди с обеих сторон к чохе пришиты «самасреби» — гнезда для газырей (газыри — шпульки, трубочки из дерева, камыша или металла). У зажиточных грузин головки этих трубочек были прикреплены к плечу маленькими серебряными цепочками. Чоха имела по бокам прорезы для того, чтобы не поднимая полы, рука могла попасть в карман бешмета. Рукава чохи широкие, легко заварачиваемые так же, как полы чохи, которые в необходимых случаях закладывались за пояс.

Полы чохи, края рукавов и гнезд газырей общиты тесьмой разного цвета (q̣aitani) или же галунами разных цветов (sirma). Обычно употребляли для указанной цели галуны золотистого или серебристого цветов. Галунами золотистого цвета обшивались черкески преимущественно князей, дворян и отдельных зажиточных лиц.

Черкеска, постепенно суживаясь от широких плеч и плотно прилегая к телу, без единой складки спускается к талии, образуя на спине как бы треугольник. У талии по бокам и сзади имеются складки, продолжающиеся до нижнего края чохи и придающие ей особую красоту и изящность.

К низу чоха постепенно расширяется и уже за коленами достигает ширины плеч. Чем тоньше талия, тем изящнее сидит чоха, поэтому грузин затягивал талию (çeli) так туго, что трудно было продеть палец. Тонкая талия считалась высоким показателем красоты и вошла в поговорку: « его тончайшую талию можно ножницами перерезать» или «ее тонкую талию можно пропустить сквозь (золотое) кольцо».

## АРЕАЛ РАСПРОСТРАНЕНИЯ

Ареалом распространения хевсурской чохи являлись Хевсурети (входит в Душетский район) и некоторые населенные пункты в Пша-

[1] Г. Читая, предисловие к книге И. Цицишвили, Материалы к истории грузинской одежды, Тбилиси, 1954, стр. 5 (на груз. яз.).

ви, Гудамакари, Мтиулети, Хеви (Тианетский район; напр. Хевсуртсопели), Кахетии (Цителцкаро, Тетрицклеби и др.) и Картли (Лаше, Арагвиспири, Цхваричамиа). За пределами Хевсурети хевсурская чоха, как и многие другие элементы хевсурского костюма, распространена была только в таких пунктах, где жили хевсуры.

Карталино-кахетинская чоха распространена была главным образом в Картли и Кахети, кое где в горной части Восточной Грузии (Мтиулети, Гудамакари).

Чоха общекавказского типа распространена была по всей Грузии, кроме Хевсурети, особенно в Имерети, Рача, Лечхуми, Сванети, Самегрело и Абхазия. Она сравнительно менее была распространена в Картли и Кахети. В этих краях «черкеску» преимущественно одевали дворяне и князя. Главными центрами ее изготовления были: Тбилиси, Гори, Телави, Сигнахи, Кутаиси, Хони, Кулаши, Сачхере, Зугдиди, Сухуми.

## ТЕРМИНЫ

Грузины термином чоха, предшественником которого является čoqa, уже в XIX веке обозначали только или преимущественно определенный тип мужской верхней одежды. В словаре Саба Орбелиани (XVIII в.) упоминается как «чоха», так и čoqa. Термин čoqa. пока еще сохранился в живом говоре восточно-грузинских горцев. Чоха (چوخا), которая встречается и в афганском языке, на персидском означает шерстяную ткань и верхнюю одежду (переводится как сукно, кафтан, рус. армяк).

Персидская čuxa вообще распространенное слово от Востока до Балкан, так, например, в курдском cŭxa, čōxa, čuka, турец. čuga, араб. jūxa, лаз. čoxe, τcoxa, τσoχενιοx, серб. čȍa, čóha, болг. čoha, словак. čuha, новославянский čoha, венгерский csuha, csoha, пол. czucha, czuha, czuhaj, czujä, czujka, szuja, укр. čuha, čuhápa, встречается также „Цукка".

Слово «чоха» в грузинских источниках встречается с IX века. По мнению Ив. Джавахишвили, «раз čoqa в грузинском появляется IX—X вв., скорее можно думать, что этот термин заимствован с персидского, чем с турецкого, влияние которого становится чувствительным позднее»[2] (не ранее второй половины XV века).

В словаре грузинского языка С. Орбелиани сказано: «чоха шерстяная одежда» (samoseli), но лексиколог ничего не говорит о признаках и месте происхождения «чоха», однако замечает, что «сачохе (ткань для чохи) — грубая или тонкая ткань для платья монахов и монахинь и для одеяния крестьян».

В древности грузинское слово «чоха» обозначало монашескую одежду.

«Он увидел... дочь государя Баграта Шароели, которая носила шеурацхи чоха» — „asuli bagraṭ šaroelisa qelmçipisa rametu samoslad misa iqo šeuracxi čoxai" (Г. Мерчуле, Житье Георгия Ханцтели, источник X в., 56 — 38).

В летописи Грузии (Картлис Цховреба) сказано: «Басили Уджармели оскорбил брачное ложе царя, имел интимную связь с царицей

[2] Ив. Джавахишвили, Материалы к истории материальной культуры грузинского народа III, IV, Тбилиси, 1962, стр. 99 (на груз. яз.).

Есукни, силой присвоил главенство, снял и чоху („čoxanica aγiqada“ — „отказался носит чоху“)[3].

В истории Парсадана Горгиджанидзе отмечено: «Увидя своего брата с выколотыми глазами, жена Роина разошлась с мужем, одела чоху»[4], т. е. стала монахиней.

Мемуарист XVIII века Осе Осешвили писал: «Оставлю этот мир и уйду. Буду служить моей душе. Здесь же, в Сионском храме, облачусь в освященную чоху, здесь же сниму с себя всю гражданскю одежду»[5].

Как видно, все четыре известия, из коих одно — X, второе XIII, третье XVII, а четвертое XVIII века, подтверждают, что слово «чоха» в Грузии означало монашескую верхнюю одежду, как мужскую, так и женскую.

«Чоха» означал также шерстяную ткань (sḳlaṭi// šali). Грузинский историк и географ Вахушти (XVIII в.) пишет: „ṭansa ḳaba larisa, sḳlaṭisa, anu čoxisa“ („Грузины носят каба сшитое из лари, из склаты, или из чохи“).[6]

Из источников видно, что среди грузин термин чоха не всегда и везде обозначал одежду монаха и монахини, он упоминается и для обозначения одежды гражданских лиц:

«Осетины носят рубаху из хами (//рубаху из грубого холста домашнего производства)... шаровары тоже из хами, а сверху короткую чоху» (Вахушти, Геогр., стр. 109).

«Однажды, ночью царица одела тушинскую чоху, вооружилась... стрелой и луком, надела тушинскую шапку из «бохохи» и спустилась из крепости вниз» (П. Горгиджанидзе, 544—545).

В древности в Грузии использование термина «чоха», также как и терминов «катиби (katibi), «каба» и др. для обозначения женской и мужской верхней одежды не было случайным, ибо грузинский мужской и женский костюмы не очень отличались друг от друга. «Каба, катиби, чоха и др. носили и женщины и мужчины. Отличие заключалось в их длине и некоторых особенностях»[7]. В этом отношении весьма интересным является тушинский материал. Цова Тушины (Бацбиицы) шерстяное женское платье, которое одевают поверх белья, называют «ублани чоха» (чоха с пазухой), а Чагма Тушины — «джуба» (ǯuba)[8]; Г. Радде тоже отмечает: «Женское нарядное платье, называемое, как мужское — чоха»[9].

Тот элемент тушинского костюма, который тушинка одевала на платье под именем «каба», называли «чоха» (čoxa). Он похож был на мужскую чоху. Такой же элемент женского костюма до 30-х годов

---

[3] Картлис Цховреба (История Грузии), II, Тбилиси, 1959, $268_6$ (на груз. яз.).

[4] История Парсадана Горгиджанидзе, изд. С. Какабадзе, Тбилиси, 1926, стр. 46 (на Груз. яз.).

[5] Похождение Осе Осешвили, Тифлис, 1913, стр. 71 (на груз. яз.).

[6] Вахушти, Описание Царства Грузинского (география Грузии), 1941, стр. 22 (на груз. яз.).

[7] Ив. Джавахишвили, Указ. труд. стр. 71.

[8] Ц. И. Безарашвили, Тушинский женский костюм-телавари, Материалы для этнографического изучения Тушетии, стр. 159 (на груз. яз.).

[9] Г. Радде, Записки Кавказского отдела русского географического общества, кн. XI, выпуск второй, Тифлис, 1880, стр. 117.

XX века носили и в горной Раче в селах: Глола, Чиора, Геби, Уцера, Шкмери, Цхмори).

Весьма примечательно, что на сванском языке чоху называют «восар» и «каб» (каба). «Восар» более древнее слово чем «каб». Оно первоначально, видимо, означало рубаху. На мегрельском языке синонимом чохи является слово γarti, которое в Верхней Раче означает бурку (Н. Рехвиашвили).

Небезынтересно, что того кто носил черную чоху мегрелы называли učaγartami («uča»— «уча» — черный, γarti — чоха), т. е. «черночохий» (по груз. «шавчохиани»); этим же словом они называли змею, ибо произношение ее настоящего имени среди мегрелов являлось табуированным.

Вместе с этими данными языкового характера для выяснения этимологической и генетической взаимосвязи между чоха, каба, рубахи и накидки, следует предусмотреть и следующее разъяснение Саба Орбелиани: «Сачохе» («ткань для чохи») грубая или тонкая ткань для монашеского каба и для одеяний крестьян». Это разъяснение дает нам право сделать вывод, что уже при жизни Саба заменяющим термином «каба» служила «чоха». Вместе с тем сванский термин «осар», который заменяется словом «каб», несомненно показывает нам генетическую связь чохи с рубахой (вспомним, что мегрелы рубаху называют «осаре»), а мегрельское слово γarti вероятно является показателем связи чохи или каба с более древним, чем рубаха элементом одежды — с накидкой. В пользу этого предположения говорит отмеченный выше факт, что слово γarti в Верхней Раче и Сванети означает бурку.

Таким образом, для той части грузинского костюма которую ныне называют «чоха», грузины имеют четыре наименования: чоха (//čoqa), каб, гарти γarti и восар. Из них «чоха» и «каб» (// каба) не грузинские, а γarti и «восар» грузинские.

Касаясь вопроса о широком распространении у разных народов терминов «чоха», «архалук» и пр., Е. Н. Студенецкая пишет: «Многоязычие населения Кавказа позволяет предполагать богатство терминологии, связанной с одеждой, однако этого не наблюдается. Возможно, это однообразие терминов следствие недостаточно тщательной работы собирателей. Если же термины действительно однообразны, то этот факт может явиться базой для многих интересных выводов»[10].

Предположение — на Кавказе термины связанные с одеждой однообразны, становится весьма сомнительным уже от того, что грузины, как выше было сказано, имеют разные термины для обозначения чохи. Богатство терминологии особенно наблюдается при фиксации названий отдельных частей кавказского костюма (части «чоха», бешмета, грузиноского «халата», «блузы» и т. д.).

## ПОЯСНЕНИЯ СХЕМ

Первая схема указывает, что в грузинском языке существовала три негрузинского происхождения термина для обозначения шерстяной ткани (šalis ķsovili —шалис ксовили): šali, sķlaṭi, «čoxa». Из них «čoxa» приблизительно до конца XVIII в. означала как шерстяную ткань (šali// sķlaṭi), так и шерстянную одежду (maṭqlis samoseli).

Вторая схема указывает, что после появления в грузинском языке терминов ķaba (каба) и ǯuba (джуба) «čoxa» (чоха) постепенно

[10] Е. Н. Студенецкая, Одежда народов Кавказа, СЭ—1967, № 3, стр. 26.

принимала их идентичное значение, т. е. стала общим, собирательным названием шерстяной верхней одежды (zeda samosi). В XIX веке «čoxa» приобрел весьма узкое значение. Крестик над этим словом означает, что «чоха» давно утратил значение широкого термина. Ныне он означает только определенный вид грузинской верхней одежды.

На третьей схеме дается название разных чох.

Четвертая схема отображает следующую идею: термины osar//vosar//osare в самом начале означали только рубаху (perangi — перанги). Потом osar(e) или vosar принимает значение терминов обозначающих верхнюю одежду — «каб» (каба) и «чоха».

Термин γarti означал бурку (nabadi), накидку (mosasxami). В Мегрелии γarti (гарти) принял значение названия верхней одежды — «черкески» («čoxa»).

Из этих терминов γarti (гарти) и vosar грузинские, а «čoxa» и «ḳab» (//ḳаба) не грузинские.

## СЛОВАРЬ

azγoṭi//azγudi — составная часть заднего пола хевсурской чохи
bavšvis čoxa — детская чоха
beči//mxari — плечо
buḍe — гнездо
ena — язык
vosar//osar (сванский) — чоха
zeda samosi//zedsacmeli — Верхняя одежда
zedsacmeli čoxa — тушинское женское народное платье
zurgi — спина
tušuri čoxa — тушинская чоха
iribi naoči — косая складка
ḳab//vosari ḳab (сванский) — бешмет
ḳaba — длинная туникообразная мужская и женская одежда (ист.), ныне обозначает женское — платье
ḳalta — пола
ḳilo — петля
masra//kila — шпулька, газыр
mosasxami — накидка
nabadi — бурка
naoči — складка
osare (мегрельский) — рубаха
perangi — рубаха
sadiaco čoxa — женская чоха
samamakaco čoxa — мужская чоха
samasrebi — гнезда для газырей
samoseli — одежда
samxedro — надрез пола хевсурской чохи
saqelo — воротник
sačoxe — ткань для чохи
sirma — галун
sḳlati — шерстяная ткань (сукно)
saxelo//saxeli — рукав
paragi — нагрудник
katibi — нарядная верхняя женская одежда обшитая по краям мехом
γarti — чоха, в Верхней Раче и Сванети означает бурку
γili — узелок, шарик, пуговица
γil-ḳilo — узелок и петля, застежки
qaitani — тесьма
šali — шерстяная ткань
šeuracxi čoxa — (ист.) низкокачественная чоха
šua gvamis azγoṭi//šua azγoṭi — азготи средней части тела, средний азготи
čaki (ḳaltis senačeri) — надрез пола
čerkezuli čoxa — черкесская чоха, черкеска
čibuxi — верхняя возвышенная, углообразная часть сборки
čoxa — чоха, „черкеска"
ċeli — талия
xami — грубая ткань
xevsuruli čoxa — хевсурская чоха
ǯuba — джуба, вид верхней одежды

ეროვნული ბიბლიოთეკა






А




Б

Хевсурская чоха (А — вид спереди, Б — вид сзади)
1. saxeli, 2. paragi, 3. azyoṭi, 4. šua azyoṭi, 5. čaki.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Таблица II




Карталино-кахетинская чоха (А — вид спереди, Б — вид сзади)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Таблица III




Чоха общекавказского типа (А — вид спереди, Б — вид сзади)
1. yili, 2. samasre, 3. masra || kila, 4. beçi, 5. saxelo,
7. ḳalta, 7. ena, 8. čibuxi, 9. ǯibe, 10. čaki.




Схема 1 и 2




Схема 3




Схема 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

## Карта распространения типов Грузинской сохи



ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. კიკნაძე

# ვერცხლის ნივთების განძი სოფ. მშვიდობიანიდან

1970 წელს აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფეოდალური ხანის განყოფილების ფონდებში შემოვიდა მეტად საინტერესო და მრავალფეროვანი ვერცხლის ნივთების განძი[1]. მისი აღმოჩენის ისტორია ასეთია: 1964 წელს სოფ. მშვიდობიანში (ლაგოდეხის რ-ნი) წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის ეზოში, ეკლესიიდან დასავლეთით 100—150 მეტრის დაშორებით, მიწის სამუშაოების დროს, ტრაქტორმა მიწიდან ამოაგდო საკმაოდ დიდი ზომის სპილენძის ქვაბი, რომელიც გერმეტულად იყო დახურული. ხუფის ახდის შემდეგ (ხუფად გამოყენებული ყოფილა სპილენძის დიდი ზომის თეფში, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია) ქვაბში აღმოჩნდა თოთხმეტი ნივთი, ამათგან ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ცხრამ — ვერცხლის შვიდმა ჭურჭელმა, წნულმა ქამარმა და ხანჯლის ვერცხლის ქარქაშმა[2] (ტაბ. I, 2).

მშვიდობიანის წმ. გიორგის ეკლესია სანახევროდ დანგრეულია. იგი წარმოადგენს ცალნავიან დარბაზულ ნაგებობას. ეკლესიის ძლიერი დაზიანების გამო ყველა დეტალის გარკვევა შეუძლებელია. დარჩენილის მიხედვით მას ჰქონია კონქით გადახურული აფსიდი და კამაროვანი დარბაზი. შესასვლელი დასავლეთით ყოფილა, სარკმელი ჩანს აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით (ცხადია, იქნებოდა სამხრეთითაც). ეკლესია ნაგებია დიდი ზომის ყორე ქვით, კირის ხსნარზე. შენობის შიდა კედლები შელესილი ყოფილა. არ ირკვევა, იყო თუ არა მოხატული (კედლის სისქე 0,60 მ, შენობის შიდა ფართობი 10×4 მ). ეკლესიის თანადროულია მასზე დასავლეთით მიშენებული კარიბჭე, რომელიც სამივე მხრიდან ღია ყოფილა. ეკლესიას არა აქვს მკვეთრად გამოკვეთილი სტილისტური ნიშნები. საერთო მონაცემებით კი იგი მიეკუთვნება გვიან საუკუნეებს. (ტაბ. I, 1).

განვიხილოთ განძის თითოეული ჭურჭელი:

1. თასი ვერცხლის (66—970/1), გადაშლილი პირით, ნაპირშესქელებული, მომრგვალებული დაბალი გვერდით. ჭურჭელს ძლიერ დაბალი, ძირშეღრმავებული ქუსლი აქვს. შიდაპირზე, ძირის ცენტრში შუა წერტილია აღნიშნული, რომელსაც მცირე დიამეტრის მქონე წრე შემოუყვება. მეორე წრეხაზი ამოლა-

---

[1] განძი დაცულია „მიმდინარე“ შემოსულობათა ფონდში.

[2] აწ. განსვ. ისტ. მეც. დოქ. დ. კაპანაძემ ლაგოდეხში ყოფნისას ყურადღება მიაქცია კერძო პირის ხელში ერთ-ერთ წარწერიან ჭურჭელს. მისი დახმარებით ჩვენ შევძელით შემდგომში მიგვეგნო განძის ზოგიერთი სხვა ჭურჭლისთვისაც. მთელი კომპლექტის შეგროვებაში დიდი დახმარება გაგვიწია აგრეთვე ისტ. მეცნ. კანდ. დ. თუშაბრამიშვილმა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

რულია ძირიდან გვერდზე გადასვლის ადგილზე. თასს გარედან ორი ხაზი დაჰყვება: ერთი პირს გამოჰყოფს გვერდისაგან, მეორე კი ქუსლზეა ამოღარული.

თასი ორი ნაწილისაგან შედგება: ქუსლისა და ძირითადი კორპუსისაგან, რომელიც მეტად ოსტატურადაა მირჩილვის წესით ერთმანეთთან დაკავშირებული. ჭურჭელი სრულიად სადაა, ის ჭედვითაა მიღებული, შემდეგ კი შედაპირისათვის სიგლუვის მისაცემად, ჩარხზეა გაპრიალებული. თასის გარე პირზე მოთავსებულია ვრცელი, ოთხსტრიქონიანი მხედრული წარწერა. პირის დმ—13,7 სმ., ძირის დმ 6,5 სმ, სიმაღლე — 3,9 სმ. თასზე მოთავსებული წარწერა შესრულებულია ლამაზი მხედრული ხელით (ტაბ. II, 1–2).

წარწერა იწყება ქანწილით, სიტყვებს შორის გამყოფად სამ-სამი წერტილია ნახმარი. ასოები ოდნავ წაგრძელებული მოყვანილობისაა. წარწერისათვის დამახასიათებელია თავისებური ასო „ო", იგი სწორი ჰორიზონტალური ხაზითაა გადმოცემული. სიტყვის ბოლოს ნახმარი ასო „ი" და „ე" რამდენიმე ადგილას ჩამოტანილია ხაზს დაბლა (მხედრულისათვის ეს დამახასიათებელია). წარწერაში დაქარაგმებულია მხოლოდ ერთი სიტყვა „წმდა", ერთი სიტყვა „პატ" დაუმთავრებელია (უნდა იკითხებოდეს — პატრონის), სიტყვის დაბოლოებისათვის ადგილიც კია დატოვებული. ხოლო სიტყვა „სადღეგრძელო" გაყოფილია ორად სა დე („ღ" გამოტოვებულია) და „გრძელო". „ქ შემოგწირე მე გიორგის გამდელმა სანდომისამან თქვენ ღამკანუხს წმინდას გიორგის თასი ესე[3] მეფისა პატრონისა ალექსანდრეს სადე გრძელოდ და გასამარჯვებლად შევწირე შენ წმ დაო გიორგი მცირე ესე შესაწირავი და წარმართე მეფობა პატ ალექსანდრეს და მის მტერზედ გამარჯვებით ამყოფე" დაუმთავრებელი სიტყვის და ქარაგმის გახსნის შემდეგ წარწერა ასე იკითხება: „ქ შემოგწირე მე გიორგის გამდელმან სანდომისამან თქვენ ღამკანუხს წმინდას გიორგის თასი ესე მეფის პატრონისა ალექსანდრეს სად/ღ/ეგრძელოდ და გასამარჯვებლად შევწირე შენ წმიდაო გიორგი მცირე ესე შესაწირავი და წარმართე მეფობა პატ(რონისა) ალექსანდრეს და მის მტერზედ გამარჯვებით ამყოფე".

2. თასი ვერცხლის (66—970/2), გადაშლილი პირით, ნაპირშესქელებული, მომრგვალებული დაბალი გვერდი, ძირშეღრმავებული დაბალი ქუსლი. ძირზე, შიდაპირიდან, სიმძიმის წერტილის ირგვლივ, ერთი წრეხაზია ამოღებული. თასის პირს გარედან დაჰყვება ერთი ამოღარული ხაზი. ჭურჭელი ორი ნაწილისაგან შედგება: ქუსლისა და ძირითადი კორპუსისაგან. მათ დასაკავშირებლად გამოყენებულია მირჩილვის ხერხი. ჭურჭელი დამზადებულია ჭედვით, შემდეგ კი ჩარხზეა გაპრიალებული, რაზედაც მიუთითებს კონცენტრული წრეხაზების კვალი. ჭურჭელი სრულიად სადაა. მასზე მოთავსებულია ერთსტრიქონიანი მხედრული წარწერა.

ჭურჭლის პირის დმ—13,5 სმ, ძირის დმ—6,8 სმ, სიმაღლე — 4 სმ. (ტაბ. III, 1).

თასზე მოთავსებული წარწერა იწყება ქანწილით. სიტყვებს შორის გამყოფად სამ-სამი წერტილია ნახმარი. პირველი თასის ხელწერის მსგავსად აქაც ასო „ო" ჰორიზონტალური ხაზითაა გადმოცემული. წარწერაც მსგავსი ხელსაწყოთია შესრულებული. წარწერა ასე იკითხება: „ქ არის ესე თასი წმინდის გიორგის ღამკანუხისა".

---

[3] წარწერა ამ სიტყვის ჩათვლით მოთავსებულია ჭურჭლის ძირზე შემდეგ კი გრძელდება გვერდზე.

აღწერილი თასი ზუსტად იმეორებს წინა თასის (1) ფორმა⁴. მათ შორის მხოლოდ ზომებშია უმნიშვნელო განსხვავება.

ორივე თასი (1,2) ფორმით, აგრეთვე ზომითაც მოგვაგონებს მოგვიანო ხანის საქართველოში გავრცელებულ სპილენძ-თითბერის ირანულ ჭურჭელს, თუმცა მათ შორის განსხვავებაც შეიმჩნევა. კერძოდ, ირანული ჭურჭელი, როგორც წესი, გადატვირთულია ორნამენტით და წარწერებით. ამასთანავე, დამზადებულია ჩამოსხმის წესით, რაც უცხოა ქართული წარმოშობის ლითონის ჭურჭლისათვის.

XVI—XVII საუკ. რუსულ მასალებშიც თასი ჭურჭლის გავრცელებული სახეა. აქ ვხვდებით მშვიდობიანის თასის მსგავს (მოყვანილობა-აღნაგობითა და ზომით) ჭურჭელს, მათ შორის განსხვავება მხოლოდ შემკულობაშია[5].

სოფ. მშვიდობიანში აღმოჩენილი ვერცხლის თასები (1 და 2) თავისი ფორმით (დაბალი ქუსლი, გადაშლილი პირი, დაბალი გვერდი) განსხვავდება როგორც ადრინდელ, XII—XIII საუკ. ისე მოგვიანო ხანის XVIII საუკ. თასებისაგან. ჩვენი აზრით, ის გარდამავალი ფორმაა შუაფეოდალური ხანის მეტად პირგადაშლილ, დაბალ უქუსლო ლითონის თასებიდან მოგვიანო ხანის — XVIII საუკ. მაღალ, პირშეკრულ, ქუსლიან თასებზე.

ორივე ვერცხლის ჭურჭელი (1 და 2), რომელიც მასზე მოთავსებულ წარწერაში თასად იწოდება, ქართულ წერილობით წყაროებში დასახელებული ვერცხლის თასების ნივთიერი დადასტურებაა.

3. თასი ვერცხლის (66—970/6) ძლიერ გადაშლილი პირით, დაბალი გვერდით, ძირშეღრმავებული დაბალი ქუსლით. ჭურჭელი ორი ნაწილისაგან — ქუსლისა და ძირითადი კორპუსისაგან შედგება. ჭურჭელი დამზადებულია ჭედვით (ზედაპირზე ორივე მხრივ შეიმჩნევა ჩაქუჩის დამუშავების კვალი). თასის შიდაპირზე, ცენტრში, სიმძიმის წერტილია აღნიშნული. ჭურჭელი, განძის დანარჩენი ნივთებისაგან განსხვავებით, დამუშავებული არ არის ჩარხზე. საერთო იერით თასი ნახევარფაბრიკატის შთაბეჭდილებას ტოვებს. დაუმთავრებელ სამუშაოზე მიგვითითებს ქუსლისა და გვერდის დასაკავშირებლად გამოყენებული მირჩილვა, რომლის გაწმენდა და სპეციალური ხსნარით დაფარვა ხელოსანს რაღაც მიზეზების გამო ვერ მოუსწრია, თუ არ გაუკეთებია. თასი მცირე ზომის ჭურჭელია. პირის დმ—9 სმ, სიმაღლე — 2,3 სმ (ტაბ. IV, $_2$).

ფორმით, ზომით და დამუშავებით თასი სრულიად განსხვავდება ჩვენ მიერ აღწერილი თასებისაგან (1 და 2). მისთვის დამახასიათებელია გადაშლილი პირი, თითქმის სწორი გვერდი, ზომით პატარა ჭურჭელია, ხოლო დამუშავების მხრივ შედარებით მდარე ხარისხისაა.

ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ თასი სასმისი (წყლისა და ღვინის) ჭურჭელია. XVI საუკ. ერთ-ერთ გაყრილობის წიგნში[6] თასი „სახლის ჭურჭელთა" რიცხვშია დასახელებული. ხშირად თასი მისი ღირსება-ღირებულების სპილენძის, ვერცხლის, ოქროსი და სხვ. — მიხედვითაა ჩამოთვლილი. მის სიდიდეზე ან ფორმაზე წყაროებში არაფერია ნათქვამი, მაგრამ ზომით, როგორც სასმელი ჭურჭელი, თასი ძალიან დიდი არ უნდა ყოფილიყო. თასის ფორმის დადგენაში კი გვეხმარება ჩვენს ხელთ არსებული მასა-

---

4 Я. Смирнов, Восточное серебро С.-Петербург, 1909, таб. LXXXI, карт. 146.

5 Т. Гольдберг, Ф. Мишуков, и др. Русское золотое и серебряное дело XV—XX, вв., М., 1967, карт. 34.

ლები. კერძოდ, სოფ. მშვიდობიანის განძის განხილული სამივე თასი ერთი ტიპისაა, მაგრამ მათ შორის არსებული განსხვავების (ფორმა-ზომის) გამო შეგვიძლია დავასკვნათ, რომ XVI—XVII საუკ-ებში არსებობდა ვერცხლის თასის ორი სახეობა: I — გადაშლილი პირით, დაბალი მომრგვალებული გვერდით და დაბალი ქუსლით, და II — ჰურჰელი ძლიერ გადაშლილი პირით, თითქმის სწორი გვერდით და დაბალი ქუსლით.

4. თასი ვერცხლის (66—970/3) დაბალი, უქუსლო, უმნიშვნელოდ გადაშლილი პირით, ნაპირი ოდნავ შესქელებული და გადმოკეცილი აქვს. მრგვალი გვერდი შეუმჩნევლად გადადის ბრტყელ ძირზე. ჰურჰელს ამშვენებს ფართო, რელიეფური კანელურები. რელიეფურობას აძლიერებს ამოღარული ხაზები. ხაზების ერთმანეთთან გადაბმა ჰურჰლის ძირზე რვაქიმიანი ვარსკვლავის გამოსახულებას ქმნის.

ჰურჰლის ძირზე, ცენტრში, ჩვეულებისამებრ სიმძიმის წერტილია აღნიშნული, რომლის ირგვლივ გარე პირიდან წრიულად ამოტვიფრულია ერთმანეთზე გადაბმული ნახევარწრეები და ტოლფერდა სამკუთხედები, რომელიც მცენარეულ ორნამენტს — ყვავილისმაგვარ გამოსახულებას მოგვაგონებს.

ჰურჰელი დამზადებულია ვერცხლის ერთი ფურცლისაგან, გამოყენებულია ჭედვის წესი. გარე პირს დარტყმითი იარაღის კვალი ეტყობა. შიდა პირი ჩარხზეა გაპრიალებული, რასაც ადასტურებს კონცენტრული წრეების არსებობა. ჰურჰლის გარე პირის თავისუფალ არეზე, კანელურებსა და მცენარეულ ორნამენტს შორის, მოთავსებულია ერთსტრიქონიანი წარწერა. მისი ზომებია: პირის დმ—20,7 სმ, სიმაღლე — 4 სმ (ტაბ. III, $_2$).

ჰურჰელზე მოთავსებული წარწერა შესრულებულია ლამაზი მხედრულით, გამოყენებულია წვრილკბილანიანი საწერი იარაღი, ასოთა კონტურები წიწვოვანია. წარწერისათვის დამახასიათებელია ქანწილი, სიტყვებს შორის გამყოფად სამ-სამი წერტილია ნახმარი. წარწერა ასე იკითხება: „ქ არის ესე თასი წმიდის გიორგის ღამკანუხისა“.

აღწერილი ჰურჰელი თავისი შემკულობით, ქართულ სინქრონულ მასალებში ჯერჯერობით ერთადერთია. ფორმით ის ერთგვარ მსგავსებას ამჟღავნებს ნასოფლარ ნოსტეს არქეოლოგიურ მონაპოვარში დაცულ სპილენძის თასთან (53—66/88). ესეც პირფართო დაბალგვერდიანი ჰურჰელია, ცენტრში ამობურცული ნაწილით, თუმცა მას ქუსლიც ჰქონია (ძირზე ქუსლის მირჩილვის კვალია შერჩენილი). ზომითაც ჰურჰლები თითქმის ტოლებია (ნოსტეს ჰურჰლის პირის დმ—18,5 სმ.).

აღწერილი კანელურებიანი თასი ფორმა-ზომით განსხვავდება განძის დანარჩენი თასებისაგან, მიუხედავად ამისა, მასზე მოთავსებულ წარწერაში ჰურჰელი თასად იწოდება. ეს უკანასკნელი ღვინის ან წყლის სასმის თასებისაგან განსხვავებით ზომით დიდი, პირფართო, უქუსლო ჰურჰელია, ამდენად სასმელად საკმაოდ მოუხერხებელიც. ის საშუალო ზომაა სასმის თასს და კიდევ რაღაც მასზე დიდ ჰურჰელს შორის. ჩვენი აზრით, ეს იმ ჰურჰელთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც XVII საუკ. მზითვის წიგნებში ჯამთასად იწოდება[7], თასებთან მსგავსების გამო კი ხელოსანმა მას წარწერაში უბრალოდ თასი

---

[6] ქრონიკები II, გვ. 350.

[7] ლევან დადიანის დის მარიამის მზითვის წიგნი ს. ბარნაველის რედაქ. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე XXIII-B, 1962.

უწოდა. ვერცხლის თასი (4) დანიშნულებით სუფრის ჭურჭელთა რიგს მიეკუთვნება, დეკორატიული ელემენტი — კანელურები და მცენარეული ორნამენტი მას სანადიმო-საზეიმო ელფერს აძლევს. ამდენად, შესაძლოა, თასი იმ ჭურჭელთა ჯგუფს მივაკუთვნოთ, რომელსაც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი სანადიმო ჭურჭელს უწოდებს[8].

მშვიდობიანის განძში აღირიცხება ორი, ზუსტად ერთნაირი, ვერცხლის თეფში. მათ შორის განსხვავება მხოლოდ ზომებშია. ამიტომ ვკმაყოფილდებით ერთი ჭურჭლის აღწერით.

5. თეფში ვერცხლის (66—970/4—5) ძალიან დაბალი, თითქმის ვერტიკალური გვერდით, ბრტყელი ძირით.

ჭურჭლის ძირზე ცენტრში აღნიშნულია სიმძიმის წერტილი. ჭურჭელი გაკეთებულია ჭედვით ვერცხლის ერთი ფურცლისაგან. ზედაპირს ემჩნევა ჭედვის იარაღის კვალი. თეფში სახარატო ჩარხზე არ არის დამუშავებული. ერთი თეფშის ძირის დმ 18 სმ., მეორესი — 13 სმ-ია, თეფში დამუშავების თვალსაზრისით, განძის მესამე თასის მსგავსად, დაუმთავრებელი ჭურჭლის შთაბეჭდილებას ტოვებს (ტაბ. IV, 1).

თეფშები სოფ. მშვიდობიანიდან ზუსტი ანალოგიაა „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი ხელნაწერის მინიატურაზე გამოსახული ჭურჭლისა[9]. ამ უკანასკნელს ბრტყელი ძირი, თითქმის ვერტიკალური გვერდი აქვს, თეფში გადმოცემულია ყვითელ ფერში, რაც ხაზს უსვამს ჭურჭლისათვის გამოყენებული მასალის რაგვარობას. აღნიშნული ხელნაწერის მინიატურული მხატვრობა აკად. შ. ამირანაშვილის მიერ XVII საუკუნითაა დათარიღებული[10].

მშვიდობიანის თეფშები მზითვის წიგნებში მოხსენიებული ვერცხლის თეფშების ნივთიერი დადასტურება.

6. სანელსაცხებლე ვერცხლის (66—970/7). მაღალი, ცილინდრული ყელით და მრგვალი მუცლით. ჭურჭელი დაზიანებულია, შერჩენილია ყელი და მუცლის ზედა ნაწილი. ჭურჭლის პირს, აგრეთვე ყელისა და მუცლის შეერთების ადგილს შემოუყვება ვერცხლისავე რელიეფური წვრილი რგოლები. სანელსაცხებელს აქვს ნახევარსფეროს მოყვანილობის სახურავი, რომელიც მჭიდროდ ჯდება ჭურჭლის ყელში. ჭურჭელს აქვს ბრტყელი ყური, რომლის ერთი ბოლო პირთანაა დაკავშირებული, მეორე კი მუცელზეა დამაგრებული.

ჭურჭელი მიღებულია ჭედვით. ყელი შედარებით სქელფურცლოვანი ფირფიტისაგანაა დამზადებული, მუცელი კი უფრო თხელკედლიანია. სანელსაცხებლის ყველა ნაწილი — ყელი, სახურავი, ყური, გვერდი ცალ-ცალკეა დამზადებული, შემდეგ კი მეტად ოსტატურად და დახვეწილად ერთმანეთთან მირჩილვითაა დაკავშირებული.

ჭურჭლის ზომებია: ყელის სიმაღლე — 3 სმ, მუცლის დმ. 3,5 სმ, პირის დმ. 1,2 სმ (ტაბ. V, 1).

ეს ვერცხლის ჭურჭელი ფორმითა და ზომითაც კი პირდაპირი ანალოგიაა

---

[8] ივ. ჯავახიშვილი, მასალები საქართველოს მატ. კულტურის ისტორიისათვის, II, თბ., 1965, გვ. 45.

[9] ხელნაწერთა ინსტიტუტი, S—5006.

[10] Ш. Я. Амиранашвили, Грузинская миниатюра, М., 1966, стр. 43.

[11] ანა ქსნის ერისთავის ასულის მზითვის წიგნი, საქ. სიძველენი, ტ. II, გვ. 396; ანუკა ბატონიშვილის მზითვის წიგნი, იქვე, გვ. 478 და სხვ.

ძვლის სანელსაცხებლის[12], რომელიც XVII—XVIII საუკუნეებითაა დათარიღებული[13].

აღწერილი ჰურჭელი ფორმით მოგვაგონებს აგრეთვე საქართველოში გავრცელებულ საოჯახო დანიშნულების თიხისა და ვერცხლის დიდი ზომის მაღალყელიან დოქებს. მათგან განსხვავებით აღწერილი მცირე ზომის ჰურჭელი სარიტუალო დანიშნულების — მირონისათვის თუ იყო განკუთვნილი.

მშვიდობიანის განძის შვიდი ვერცხლის ჰურჭელი (ვგულისხმობთ ჩვენამდე მოღწეულს) მოთავსებული იყო სპილენძის დიდ ქვაბში. იგი (66—970/8) დიდი ზომისაა, მრგვალმუცლიანი, მუცელი პირისაკენ ოდნავ ვიწროვდება და შედარებით გამოყვანილ ყელში გადადის, ძირი ბრტყელი აქვს. ქვაბს გარე მხრიდან ორ მოპირდაპირე მხარეს პარალელური, ორ-ორი ბრტყელი სპილენძისავე სალტე აქვს დამოქლონებული. სალტეების ზედა ბოლო კაუჭებში გადადის, რომელშიც, როგორც ჩანს, გაყრილი ჰქონდა სახელური. ცალ კაუჭში შერჩენილია რკინის სახელურის ნაწილი.

ქვაბი სამი, ცალკე, ნაწილისაგანაა დამზადებული: პირის, გვერდისა და ძირისაგან, რომლებიც ერთმანეთთან კბილანების შესმის წესითაა დაკავშირებული. ჰურჭელი გაკეთებულია ჭედვით. ზედაპირზე შერჩენილია იარაღის დარტყმის კვალი. ქვაბის ზომებია: პირის დმ — 32 სმ, სიმაღლე — 23 სმ.

მშვიდობიანის ქვაბის პირდაპირი პარალელია სპილენძის ქვაბი სოფ. ტბისიდან[14], რომელიც თანმხლები მასალით XVII—XVIII საუკუნეებით თარიღდება.

სულხან საბას მიხედვით, ქვაბი სპილენძის სადუღარია და იგი სამზარეულო ჰურჭელთა რიგს მიეკუთვნება[15].

გვიანი ხანის წერილობით წყაროებში, მზითვის წიგნებში და ქონების ნუსხებში მოიხსენიება მრავალგვარი დანიშნულების ქვაბები: საძროხე[16], ფლავის, ყაურმის[17] მოსახარში და სხვ. ასეთ ქვაბებს დღესაც ხმარობენ საქართველოს მთიან რაიონებში.

მშვიდობიანის განძში ვერცხლის ჰურჭელთან ერთად აღმოჩნდა ვერცხლის ქარქაში და წნული ქამარი. არც ერთი მათგანი ჩვენი სპეციალური კვლევის საგანი არ გამხდარა. აღსანიშნავია, რომ ვერცხლის ქარქაში (66—970/9) დამუშავების ტექნიკით (ჭედვითაა დამზადებული ვერცხლის ერთი ფურცლისაგან) სისადავით, დახვეწილი მხატვრული სტილით (ქარქაში დაწახნაგებულია 10 ტოლ ნაწილად, ერთ-ერთ წახნაგზე თასმისათვის ცრემლის ფორმის ფირფიტაა ოსტატურად მირჩილული) და საერთო ხასიათით დიდ მსგავსებას ამჟღავნებს განძის ვერცხლის ჰურჭელთან (ტაბ. V, 2). ამასთანავე, ქარქაში სრულიად განსხვავდება საქართველოში, კერძოდ კახეთში XVII—XVIII საუკ. გავრცელებულ ე. წ. ლეკური ხანჯლების ბუდეებისაგან, რომელთა ზედაპირი სპილოს ძვლით, ძვირფასი თვლებით და სევადითაა დამუშავებული[18]. ეს ფაქ-

[12] საქ. სახ. მუზეუმის ფპმკ-ის განყოფილება, მიმდინარე შემოსულობათა ფონდი, № 49—66 1.

[13] თ. კერესელიძე, ხელოსნობის ისტორიისათვის (ძვლის ნაწარმი) ხელნაწერი.

[14] მუზეუმის მიმდინარე შემოსულობათა ფონდი № 157—64, 6.

[15] ივ. ჯავახიშვილი, მასალები.. გვ. 78.

[16] მ. იაშვილი, ლასახ. ნაშრ., 1667, წ. მზითვის წიგნი.

[17] ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნი, ს. ბარნაველის რედ., მუზეუმის მოამბე X—B 1940.

[18] История Дагестана, I, 1967, стр. 407—408.

ტი თავისთავად, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს განძის თვითმყოფად, ადგილობრივი წარმოშობის ხასიათს.

აქვეა ფიქსირებული ქამარი (66—370/10 მიმდ. შ. ფ.) იგი მეტად წმინდა წნული ჯაჭვისაგანაა დამზადებული. ქამარი ორმაგია, იგი სფეროსებრ თითოთითო ბურთულაშია გაყრილი. ქამრის ბოლოებზე ბალთისმაგვარი შესაკრავებია დამაგრებული. ქამრის სიგრძე 1 მ და 19 სმ.

სოფ. მშვიდობიანის განძის განხილული ყველა ჭურჭელი საოჯახო დანიშნულებისაა, შეწირვის შემდეგ კი საეკლესიო საკუთრებად ქცეული. უმეტესი მათგანი სასმისი ტიპის ჭურჭელთა ჯგუფს — თასებს განეკუთვნება. ოთხი— ერთი ტიპის, მაგრამ ზომა-ფორმით ერთმანეთისაგან განსხვავებული ჭურჭელი, მათზე მოთავსებული წარწერების მიხედვით, იწოდება თასად. მათი აღწერილობა შეესაბამება ქართულ წერილობით წყაროებში ზოგადად დახასიათებულ ამავე ტიპის სასმისებს. არსებული მასალის და წერილობითი წყაროების მიხედვით იქმნება ერთიანი წარმოდგენა XVI—XVII სს. საქართველოში გავრცელებული ჭურჭლის ამ სახეობაზე. თასი მზადდებოდა უმეტესად ლითონისაგან (სპილენძის, ვერცხლის ან იშვიათად ოქროსაგან). თასის ზომებია: პირის დმ — 9 სმ-დან — 20 სმ-მდე, სიმაღლე — 2 სმ-დან 4 სმ-მდე. ფორმის მიხედვით დასტურდება სამი სახის თასი: ა) გადაშლილი პირით, მომრგვალებული დაბალი გვერდით, ქუსლიანი (1,2), ბ) გადაშლილი პირით, თითქმის სწორი გვერდით, ქუსლიანი (3) და გ) პირფართო, ბრტყელძირიანი, უქუსლო ჭურჭელი (4). ეწ. „ჯამთასი".

განძის ორი ვერცხლის თეფში ქმნის XVI—XVII საუკ. საქართველოში გავრცელებულ ლანკანის ტიპის ჭურჭლის ერთ გარკვეულ ჯგუფს, რომლისთვისაც დამახასიათებელია ბრტყელი ძირი და თითქმის სწორი, ვერტიკალური გვერდი.

მცირე ზომის თასი (3), ასევე თეფშები (5), რომელთა ზედაპირი სახარატო ჩარხზე არ არის დამუშავებულ-გაპრიალებული და დაუმთავრებელ შთაბეჭდილებას ტოვებს, აგრეთვე თასის (1) წარწერაში აშკარად დატოვებული ადგილი დაუმთავრებელი სიტყვის „პატრონი"-სათვის, რომელიც ხელოსანს თითქოს შემდეგი სამუშაოსათვის შემოუნახავს, გვავარაუდებინებს ჭურჭლის ადგილობრივ წარმოებას და მიგვითითებს ჩვენთვის ჯერ უცნობი ხელოსნის თუ სახელოსნო ცენტრის არსებობაზე. მითუმეტეს მაშინ, როდესაც აღწერილი განძის ყველა ნივთს ახასიათებს ერთიანი მხატვრული სტილი, სისადავე, დახვეწილი ფორმები და ის განსაკუთრებული თავისებურება, რომელსაც შეიძლება ეწოდოს ფორმა-შინაარსის სისავსე და რომელიც ერთხელ კიდევ უსვამს ხაზს მის ადგილობრივ წარმოშობას.

რა შეიძლება ითქვას იმ წარწერებზე, რომელთა შინაარსი განძის ჭურჭლებს მჭიდროდ აკავშირებს ერთმანეთთან.

განძის სამივე ჭურჭელზე წარწერა შესრულებულია ლამაზი მხედრულით. მათ აერთიანებს წერის ერთი მანერა, ერთი ხელწერა. წარწერისათვის დამახასიათებელია ზოგიერთი ასოს თავისებური მოხაზულობა. მაგ., ასო „ქ" თავი მხატვრულად აქვს გამოყვანილი, „წ" წვეტიანი, წაგრძელებული მუცლითაა, ასო „ო" გადმოცემულია ჰორიზონტალური ხაზით. როგორც თითქმის ყველა მხედრული წარწერისათვის არის დამახასიათებელი, აქაც ასო „ა" ხაზს ზემოთაა ატანილი, ხოლო „ი" ხაზს ქვემოთ. სამივე წარწერა იწყება ქანწილით, ყველგან სიტყვის გამყოფად სამ-სამი წერტილია ნახმარი. წარწერებს შორის

განსხვავებაზე არაფერი შეგვიძლია ვთქვათ, რადგან ის თითქმის არ არსებობს, გარდა მათი მოცულობისა. პირველ ჰურჰელზე ოთხსტრიქონიანი წარწერაა მოთავსებული, ხოლო დანარჩენ ორზე კი — თითოსტრიქონიანი.

პირველ თასზე (66—970/1) მოთავსებული წარწერის[19] შინაარსი შემდეგია: ვინმე გიორგის გამზრდელმა — სანდომისამ ღამკანუხის წმინდა გიორგის ეკლესიას შესწირა თასი პატრონის — ალექსანდრეს მეფობის და მტერზე გამარჯვების საწინდრად.

გამდელის სანდომისას მოხსენიება მიგვითითებს იმაზე, რომ იგი სამეფო კართან ან მაღალი წრის ოჯახთან დაკავშირებული პიროვნებაა[20]. ამ პიროვნების ეკონომიურ შეძლებაზე და შედარებით მაღალ წარმომავლობაზე მიგვითითებს მის მიერ შეწირული ძვირფასი ვერცხლის ჰურჰელი, რაც საზოგადოების ფართო ფენების მოხმარების საგანი ვერ იქნებოდა. როგორც ჩანს, გვიანი საუკუნეების საქართველოში სახელი სანდომისა გავრცელებული სახელია. ამაზე მეტყველებს მზითვის წიგნებიც[21].

წარწერის ტექსტი გვაუწყებს, რომ თასს სწირავენ ღამკანუხის წმინდა გიორგის ეკლესიას. შემწირავი იხსენიებს პატრონ ალექსანდრეს და ავედრებს წმინდა გიორგის მის დღეგრძელ მეფობას და მტერზე გამარჯვებას. უცნობია რომელ ალექსანდრე მეფესთან გვაქვს საქმე.

მეფე ალექსანდრე (ვგულისხმობთ კახეთის სამეფო სახლს, ჰურჰლის აღმოჩენის ადგილის მიხედვით) ორია: ალექსანდრე I (1476—1511 წწ.) და ალექსანდრე II (1574—1605 წწ.).

ალექსანდრე I ორი შვილი ჰყოლია — უფროსი გიორგი, მამის მკვლელობის გამო შემდგომში „ავ-გიორგად“ წოდებული და დიმიტრი.

ალექსანდრე 1503 წ. სიგელში ორსავე შვილს — გიორგისა და დიმიტრის იხსენიებს, ხოლო 1505 წლის სიგელიდან ჩანს, რომ გიორგი პირმშო ძე ყოფილა. აქვე უნდა დავძინოთ, რომ 1479 წ. დავით გარეჯის გუჯარში და არც იმავე წლის მცხეთის სიგელში ისინი ჯერ კიდევ არ იხსენიებიან[22]. თუ დავუშვებთ, რომ ჰურჰელი ალექსანდრეს ძის გიორგის გამზრდელის — სანდომისას საკუთრებაა, მაშინ გიორგის გაჩენამდე მისი, როგორც გამზრდელის პიროვნება, არ იქნებოდა ცნობილი. მაშასადამე, ჰურჰლის დამზადების ქვედა თარიღი XV საუკ. 80-იანი წლებია.

კახთა მეფე ალექსანდრე II მეფობდა და მოღვაწეობდა 1574—1605 წწ. მას ოთხი შვილი ჰყოლია: ერეკლე, დავითი, გიორგი და კონსტანტინე. 1605 წ. ქალაქ ბაზარში კონსტანტინე ჰკლავს მამას — ალექსანდრეს და ძმას გიორგის. აქაც, როგორც ვხედავთ, სახელთა იგივე თანმიმდევრობაა — მამა ალექსანდრე და შვილი გიორგი. და თუ აქაც დავუშვებთ, რომ ალექსანდრე II სამეფო კართან გვაქვს საქმე, მაშინ ჰურჰლის დამზადების თარიღის შესახებ ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ წარწერაში მოხსენიებული პირების — მეფე ალექსანდრე II და მისი შვილის გიორგის ცხოვრებისა და მოღვაწეობის წლების მიხედვით.

---

[19] მთელი წარწერა იხ. ჰურჰლის აღწერილობასთან.

[20] ხელნაწერთა ინსტიტუტში ამჟამად მიმდინარეობს პირთა საძიებლის XV—XVIII სს. საბუთების მიხედვით რედაქტირება. ჩვენ საშუალება გვქონდა გვესარგებლა ნაშრომით, სადაც არ აღმოჩნდა ამ სახელთან დაკავშირებით რაიმე ცნობა.

[21] ლევან დადიანის დის მარიამის მზითვის წიგნი, დასახ. ნაშრომი.

[22] ივ. ჯავახიშვილი, ქარ. ერის ისტორია, IV, თბ., 1967, თბ., გვ. 129.

რადგან მეფის მტერზე გამარჯვების საქმეს ეძღვნება ჭურჭელი, უნდა ვიგულისხმოთ, რომ იგი დამზადებულია მისსავე სიცოცხლეში.

მაგრამ რადგან ჩვენთვის ძნელი დასადგენია ჭურჭლის წარწერაში რომელი ალექსანდრე მეფეა მოხსენიებული, ამიტომ ჯერჯერობით ვკმაყოფილდებით ჭურჭლის დამზადების ზოგადი თარიღით XV ს. ბოლო — XVI საუკ.

სამივე წარწერაში იხსენიება სიტყვა „ღამკანუხი". ერთ-ერთი თასის (66—970/3) წარწერაში პირველი ასო „ღ" ისე გადაბმული „ა"-სთან, რომელიც ვერტიკალური ხაზითაა გადმოცემული, რომ შეიძლება „ლ"-დაც მივიჩნიოთ, მაგრამ დანარჩენ წარწერებში „ღ"-სა და „ა"-ს გადაბმა თითქოს ეჭვს არ იწვევს, რადგან „ა" ყველგან ერთნაირი მოყვანილობისაა, ხოლო „ლ" სხვა სიტყვებში გადაბმის გარეშეა გადმოცემული.

ჩვენთვის უცნობია სიტყვა „ღამკანუხის" ეტიმოლოგია და როგორც ჩანს, ქართულ ენობრივ გარემოში მას ახსნა არ მოეპოვება. თუ ვივარაუდებთ, რომ ეს სიტყვა რთული შედგენილობისაა და პირობითად დავშლით როგორც ღამ-კანუხი, მაშინ გვეძლევა საშუალება „კანუხს" მოვუძებნოთ ახსნა თურქულ და სპარსულ ენებში.

იმის მიხედვით, რა წარმოშობისაა წყარო, იცვლება ამ სიტყვის თანხმოვანი ბგერები. თურქულ-აზერბაიჯანულში ეს სიტყვა იკითხება: კანიფი //კანუკი// კანუხი, ხოლო სპარსულში: ყანიყი //ყანუყი// ყანუხი.

XVII საუკ. თურქულ წყაროში ვკითხულობთ: „986 წელს (1578—1579 წწ.) უფრო ადრე, როდესაც ალექსანდრე ხანი დაგვმორჩილდა, მას (ალექსანდრეს) მიენდო შექის (ნუხის) დაპყრობა... მაგრამ მათ გზაზე მდებარე მდინარე კანუკი ძლიერ ადიდებული და მღვრიე იყო, რისთვისაც რამდენიმე დღეს დაყოვნდნენ"[23]. ან კიდევ, „ძლევამოსილმა სარდალმა აღრიცხა ჯარი და (გზადაგზა) ნადირობით შირვანისაკენ გაემგზავრა. იგი დაბანაკდა მდინარე კაფურსა და მდინარე კანიკს შუა"[24].

XVI საუკუნის დათარიღებული სპარსული წყარო აღწერს რა 1510 წლის კახეთის ისტორიიდან ერთ-ერთი ბრძოლის ეპიზოდს, წერს: „დივ-სულთანმა ღაზიებით ყანუყი და ყაბრი გადაიარა, ზეგამი და გრემი დაარბია"[25].

აკად. ს. ჯიქია მდინარე კანიკთან დაკავშირებით იხილავს რა იბრაჰიმ ფეჩევისა და სხვა თურქი ისტორიკოსების ცნობებს, ასკვნის, რომ მათ მიერ მოხსენიებული მდინარე კანიკი //კანუკი, ხოლო სპარსულ წყაროებში ნახსენები ყანუყი// ყანუხი ერთიდაიმავე მდინარის — ალაზნის — არაქართული სახელია[26]. ეხება რა ამ საკითხს, აკად. ივ. ჯავახიშვილი წერს: „მინადოუს-ის Canas-ს წყალი ჩვენი ყანიხის, ე. ი. ალაზნის წყალია"[27].

ქართველ ისტორიკოსსაც (ფარსადან გორგიჯანიძე) გამოუყენებია მუსლიმანური წყაროების გავლენით ეს სახელები და საქართველოს ისტორიაში წერს: „ჩავიდნენ (თამარ მეფე და დავით სოსლანი) ყანუხს და იქაური მთა და ბარი,

---

[23] იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ს. ჯიქიას რედ., თბ., 1964, გვ. 42.

[24] ი ქ ვ ე.

[25] ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1966, გვ. 54.

[26] იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 122.

[27] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 288.

[28] იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები..., გვ. 123.

ტყე და ჭალები მოინადირეს"[28]. ალბათ ეს ის ღანუხია, რომელიც ალექსანდრე კახთა მეფემ თავის ყმებით 1601 წ. შესწირა სვეტიცხოველს[29].

ღამკანუხი უდავოდ გეოგრაფიული პუნქტის აღმნიშვნელი ტერმინია, რაც ნათლად ჩანს განხილული წარწერებიდან. პირველი თასის (66—970/1) მრავალსტრიქონიან წარწერაში იგი ასეთ კონტექსტშია მოცემული: „შევწირე თქვენ ღამკანუხს წმინდისა გიორგის ეს თასი", ე. ი. შეწირა აღნიშნული ჭურჭელი ღამკანუხის წმინდა გიორგის ეკლესიას.

მსგავსი შინაარსის წარწერებია მოთავსებული, მაგალითად, ერთ-ერთ ჯვარზე: „შევწირე ესე ჯვარი წმიდის გიორგის ალავერდისასა"[30], ან კიდევ, „წმიდას გიორგის შეგიმკობინე ხატი ესე შენი ბოჭორმის ეკლესიისა"[31] და ა. შ.

ამგვარად, ალავერდის თუ ბოჭორმის წმინდა გიორგის მსგავსად არსებობდა ღამკანუხის წმ. გიორგის ეკლესია.

ამავე მოსაზრებას მხარს უჭერს დანარჩენი ორი წარწერაც, რომელიც იუწყება, რომ თასი ღამკანუხის წმინდა გიორგის ეკლესიის საკუთრებაა.

ზემოთქმულის საფუძველზე ჩვენ უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ გვიან შუა საუკუნეებში კახეთში არსებობდა ღამკანუხის წმინდა გიორგის ეკლესია და რომ ღამკანუხი ტოპონიმია.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ღამკანუხის წმ. გიორგი ის წმინდა გიორგის ეკლესიაა, რომლის ეზოშიც განძის სახით ნაპოვნი იყო განხილული ჭურჭელი.

Г. А. КИКНАДЗЕ

## КЛАД СЕРЕБРЯНЫХ ПРЕДМЕТОВ ИЗ СЕЛА МШВИДОБИАНИ

Резюме

В статье исследуется клад, обнаруженный в селе Мшвидобиани (Лагодехский район) (Таб. 1, 2).

Клад состоит из серебряных сосудов бытового назначения (столовая, парадная посуда), по какому-то поводу пожертвованных церкви и тем самым превратившихся в церковную собственность. Он был обнаружен в ста метрах от развалин позднесредневековой церкви зального типа. Возможно эта церковь та самая, которой были пожертвованы сосуды. В надписях помещенных на сосудах она именуется церковью св. Георгия Гамканухского (таб, I, 1).

Четыре однотипных, но различных по форме и размерам сосуда из клада, согласно надписям помещенным на них, именуются «таси» თასი —чаша (таб. I, II).

Материал из Мшвидобиани в согласии с данными письменных источников дает полное представление о разновидностях сосудов этого типа, распространенных в Грузии XVI—XVII вв.

[29] მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, I, თბ., 1964, გვ. 230.

[30] თ. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, თბ., 1962, გვ. 27.

[31] ი ქ ვ ე, გვ. 44.

В составе клада имеется два одинаковых сосуда с совершенно плоским дном и вертикальными бортами (таб. IV—I). Аналогичная посуда изображена в миниатюрах грузинских рукописей XVII века.

По форме и назначению выделяется сферический сосуд небольших размеров с узким цилиндрическим горлышком. Подобные сосуды изображаются на миниатюрах соответствующего периода. Малые размеры сосуда наталкивают на мысль, что он предназначался для хранения духов или миро (таб. $V_{,1}$).

Вся рассмотренная нами посуда изготовлена ковкой с применением пайки при скреплении отдельных частей. За исключением трех сосудов, имеющих вид полуфабрикатов, вся посуда из Мшвидобиани, для полирования с внутренней стороны обработана на станке.

Серебряная посуда из Мшвидобиани характеризуется единным художественным стилем — простотой изобразительных средств, полным отсутствием орнамента, утонченными формами, подчеркивающими их самобытность.

Клад серебряной посуды из Мшвидобиани привлекает внимание своими надписями. На оборотной стороне трех чаш помещены надписи, выполненные красивым светским письмом «Мхедрули». Надписи сообщают, что сосуды воспитателем Георгия Сандомисом жертвуются церкви св. Георгия «Гамканухи», во имя благополучия и побед над врагами царя Александра. Очевидно, подразумевается царь Кахети Александр II (1574—1605 гг.). Анализ надписей и краткий исторический экскурс дает возможность датировать клад XVI в.

Надпись значительна еще тем, что содержит неизвестный топоним «Гамканухи», а также дает возможность заключить, что в позднефеодальную эпоху продолжается традиция дарования посуды церквам.

ეროვნული



1



2

ეროვნული ბიბლიოთეკა





ეროვნული ბიბლიოთეკა





ეროვნული ბიბლიოთეკა



1



2

ეროვნული ბიბლიოთეკა



1



2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯამშიდ გიუნაშვილი

# ქართულ-სპარსული წარწერის ფრაგმენტი სოფელ გრემიდან

სოფელ გრემის (ყვარლის რაიონი) მცხოვრებმა ისაკო გურასპაშვილმა (მეტსახელად — „ჭანჭურა“) 1968 წ. დაშალა ელიზბარაშვილების ნასახლარის ერთი კედელი და ქვის მასალა შეზიდა თავის ეზოში. იქვე მყოფმა 11 წლის ბიჭუნამ, გიორგი ბახსოლიანმა, მიაქცია ყურადღება თეთრი მარმარილოს ქვის ნატეხს, რომელზედაც რაღაც ნიშნები იყო ამოკვეთილი. ქართული ასოები იცნო, მაგრამ სხვა ნიშნები ამოუკითხავი რჩებოდა. გიორგის ბებიამ, ქალბატონმა, თინათინ ალექსის ასულმა ბახსოლიანმა, ეს ქვა ჩვენ გადმოგვცა.

ქვის ზომებია დაახლოებით 15×13×6 სმ. მასზე იკითხება შემდეგი:

ქართულად

...ინX გრძელი Xმგზავრობა
...წX კაც[ნ]იX მაშინX იქX ვც
...სენებთ X [ზე]ნარ Xქკსაxსჟც

სპარსულად

برارباب بصیرتخفی نماند کادم شناخت[ن]...
بن این سه کار آدمی [نمیتواند؟]...

(გამჭრიახთათვის დაფარული არ დარჩება, რომ ადამიანის შეცნობა...)

(ამ სამი რამის გარეშე ადამიანს [არ შეუძლია]...)

ამრიგად, შემორჩენილია საფლავის ქვის ქართული წარწერის ბოლო სამი სტრიქონის დასასრული, ხოლო სპარსული ტექსტის ორი სტრიქონის დასაწყისი. თუ ჩვენ საქმე გვაქვს ორენოვანი წარწერის ფრაგმენტთან, მაშინ თავდაპირველად ამ ძეგლის ზომები დაახლოებით 38×19×6 სმ. უნდა ყოფილიყო.

საეჭვოა, რომ ელიზბარაშვილებს თავის დროზე საშენი მასალა შორი გზიდან მოეზიდათ. საფლავის ქვის ნატეხი ნაქალაქარ გრემის სასაფლაოდან იქნებოდა მოტანილი. ძეგლი თარიღდება 1610 წლით (სჟწ).

XVII ს. დასაწყისში გრემი აყვავებული ქალაქი გახლდათ. ამ პერიოდს ეკუთვნის მათარსას ცნობილი სამენოვანი (სომხურ-ქართულ-სპარსული) წარწერა[1]. როგორც ჩანს, იმდროინდელ გრემში არსებობდა ერთგვარი ტრადიცია რამდენიმე ენაზე ეპიტაფიის დაწერისა. განხილული ორენოვანი წარწერა მხარს უჭერს ამ მოსაზრებას.

---

[1] იხ. ა. შანიძე, ვ. ფუთურიძე.

Дж. Ш. ГИУНАШВИЛИ

# ФРАГМЕНТ ГРУЗИНО-ПЕРСИДСКОЙ НАДПИСИ ИЗ СЕЛА ГРЕМИ

ეროვნული ბიბლიოთეკა

Резюме

Заметка касается фрагмента грузино-персидской эпитафии из села Греми (Кварельский район, Груз. ССР), Памятник датируется 1610 годом.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ. ღოლაბერიძე

# იმირის გორის სამარხი

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქვემო ქართლის გაერთიანებული არქეოლოგიური ექსპედიცია 1965 წლიდან სისტემატურად ატარებს საველე სამუშაოებს შულავერის მიდამოებში (მარნეულის რაიონი).

ექსპედიციის მიზანს შეადგენს ადრესამიწათმოქმედო დასახლებათა გამოვლინება და მათი მეურნეობის შესწავლა. 1966 წ. გათხრის ერთ-ერთ ობიექტად ექსპედიციის მიერ არჩეულ იქნა იმირის გორა, რომელიც მდებარეობს მდინარე შულავერის — ღლეს მარცხენა ნაპირზე (დაახლოებით, 1 კმ დაშორებით იმ ადგილიდან, სადაც იგი უერთდება მდინარე ხრამს, რომლის შენაკადსაც წარმოადგენს). იმირის გორის დიამეტრი 90 მ უდრის, ხოლო სიმაღლე, მის ირგვლივ მდებარე ბარიდან — 4 მ. ეს ამაღლება შექმნილია ბინადარი მოსახლეობის ერთ ადგილზე ხანგრძლივი დასახლების შედეგად[1].

1968 წ. იმირის — გორის თხემისა და მის აღმოსავლეთ ფერდობის ზედა ჰორიზონტზე (Д Д —93, 94, 03, 94 კვადრატები) გამოვლინდა სამაროვანი, რომელიც შეიცავდა გაბნეულად განლაგებულ სხვადასხვა პერიოდის — ადრებრინჯაოს, შუაბრინჯაოს, ელინისტურსა და ფეოდალური ხანის სამარხებს. ფეოდალური ხანის სამარხებს შორის, რომელთა ძირითადი ნაწილი უინვენტარო იყო, ინვენტარის სიმდიდრითა და მრავალმხრივობით გამოირჩევა სამარხი № 10[2].

№ 10 სამარხის პირი გამოჩნდა მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 1,3 მ სიღრმეზე (აბსოლუტური დონე — 2,8 მ), ხოლო ძირი ჩადიოდა 1,8 მ. სამარხი ჩაჭრილი იყო ენეოლითური ხანის ნამოსახლარის ზედა სამშენებლო ჰორიზონტების თიხნარ-ნაცრიან ფენებში.

სამარხი წარმოადგენდა ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიმართულ ვიწრო და მოგრძო ორმოს, ზომით: სიგრძე — 2,45 მ, სიგა-

---

[1] ო. ჯაფარიძე, ალ. ჯავახიშვილი, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის (1965—1966 წწ.) მუშაობის შედეგები, „მაცნე", 3, თბ., 1967, გვ. 292—293; О. М. Джапаридзе, А. И. Джавахишвили, Результаты Квемо-Картлийской археологической экспедиции (1967 г.), საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიშები, თბ., 1969, გვ. 19—20.

[2] სამარხის ინვენტარი დასამუშავებლად გადმოგვცა ძეგლის გამთხრელებმა ო. ჯაფარიძემ და ალ. ჯავახიშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ. მასალას თან ერთვის სამარხის ფოტოები და ექსპედიციის საველე დღიურიდან ამოკრებილი ცნობები, რითაც ჩვენ არაერთხელ ვსარგებლობთ.

ნე — ჩრდილო აღმოსავლეთ მხარეს — 0,8 მ, სამხრეთ-დასავლეთ მხარეს — 0,6 მ, სიღრმე — 0,5 მ. ორმოს ნაპირების გასწვრივ აშკარად შეიმჩნეოდა მიწადქცეული ხის ნაშთები, ალ. ჯავახიშვილის ვარაუდით — ხის კუბოს ნაკვალევი. სამარხში აღმოჩნდა აგრეთვე რკინის ლურსმნები, რომლებითაც ხის კუბო იყო შეკრული. კუბო, როგორც ეს ზომების მიხედვით ჩანს, სამხრეთ-დასავ-



სურ. 1. იმირის გორის სამარხი

ლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, ე. ი. თავის მიმართულებით გაფართოებულ ხის ყუთს წარმოადგენდა.

იმირის გორის სამარხი ინჰუმაციურია, ინდივიდუალური. ჩონჩხი მოზრდილი ადამიანისა ესვენა ზურგზე, გაშოტილი, სხეულის გასწვრივ გაჭიმული ხელებით (სურ. 1).

როგორც აღვნიშნეთ, იმირის გორის სამარხი ორიენტირებულია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ. ამ მხრივ იგი განსხვავდებოდა

მის ირგვლივ მდებარე სხვა სამარხებისაგან, რომლებიც ჩვეულებრივ, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ იყვნენ ორიენტირებული, ზოგჯერ მცირე გადახრებით.

სამარხის დამხრობა აღნიშნულ მიმართულებით უჩვეულოა საქართველოს სამარხეული ძეგლებისათვის, სადაც სამარხთა ორიენტირება დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, მცირე გადახრებით წლის დროის შესაბამისად, ახ. წ. I საუკუნეებიდან მოყოლებული განსაზღვრულ კანონზომიერებას წარმოადგენს[3].

ამ მხრივ იმირის გორის სამარხი ეხმაურება სამხრეთ რუსეთის მომთაბარეთა სამარხების ჯგუფს, კერძოდ, ს. პლეტნევას მიერ ყივჩაყებისადმი მიკუთვნებულ სამარხებს. მათთვის დამახასიათებელია მიცვალებულთა დამხრობა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ (წლის დროის გადახრებით). საინტერესოა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ამ ჯგუფის სამარხებში, იმირის გორის სამარხის მსგავსად, მიცვალებულები ჩასვენებულია ხის კუბოში, ზურგზე გაჭიმული, ტანის გასწვრივ დალაგებული ხელებით[4]. მიცვალებულთა დამხრობა ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ დამახასიათებელია შუა საუკუნეების ალანთა სამარხეული ძეგლებისათვის[5]. აღნიშნული მიმართულებითაა დამხრობილი აგრეთვე ფეოდალური ხანის ზოგიერთი სამარხი მდინარე გილიაჩის პირას გათხრილ სამაროვანზე[6].

იმირის გორის სამარხში ინვენტარი შემდეგნაირად იყო განაწილებული: მიცვალებულის ფეხებთან აღმოჩნდა რკინის უზანგის ფრაგმენტები, ძვლის ვიწრო ორნამენტირებული ფირფიტები და ვარდულები — ალ. ჯავახიშვილის ვარაუდით უნაგირის შემკულობა. სამარხის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ორმოს კედლის გასწვრივ, მიმობნეული იყო მოოქროვილი ბრინჯაოს ფაქიზი ბალთები. მარჯვენა თეძოსთან იდო რკინის მაკრატელი, რომელთანაც ტყავის ბუდის კვალი ჩანდა. მიცვალებულს მარჯვენა ხელის თითებზე ეკეთა ორი ბეჭედი—ერთი ოქროსი, ცისფრად მოჭიქულ ფაიანსის თვლით, მეორე—ვერცხლის, მარცხენა ხელის თითებზე კი ორი ვერცხლის ბეჭედი. ორივე მაჯაზე თითო ვერცხლის თხელფირფიტოვანი ორნამენტირებული სამაჯური ჰქონდა წამოცმული. ჩონჩხის ზემო ნაწილთან, სხვადასხვა ადგილას, კერძოდ გულმკერდისა და მუცლის არეში შერჩენილი იყო ოქროქსოვილის ნაშთები. მიცვალებულის თავთან, მარცხენა ნაწილში, აღმოჩნდა მინის მძივი.

როგორც ვხედავთ, იმირის გორის სამარხეული ინვენტარი შეიცავს მეტად საინტერესო და საყურადღებო ნივთებს. ეს ინვენტარი საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანია: ნივთების დანიშნულების მიხედვით შემდეგი ჯგუფები გამოიყოფა: I. სამკაული — სამაჯურები, ბეჭდები და მძივი; II. მაკრატელი; III. ქსოვილი; IV. ცხენის აკაზმულობის ელემენტები — ბალთები, უზანგი, უნაგირის ძვლის მორთულობა და სხვა.

---

[3] „საქართველოს არქეოლოგია", თბ., 1959, გვ. 293.

[4] С. А. Плетнева, Печенеги, торки и половцы в южнорусских степях, МИА, 62, М.-Л., 1958, стр. 173.

[5] В. Л. Кузнецов, Змейский катакомбский могильник (по раскопкам 1957 г.), Археологические раскопки в районе Змейской Северной Осетии, Орджоникидзе, 1961, стр. 104; А. В. Кузнецов, Исследование Змейского Катакомбного могильника в 1958 г., МИА, 114, М., 1963, стр. 9—37.

[6] Т. М. Минаева, Археологические памятники на р. Гиляч в верховьях Кубани МИА, 23, М.-Л.. 1951, стр. 289.

## I. სამკაული

იმირის გორის სამარხეული ინვენტარის ყველაზე თვალსაჩინო ნივთები სამკაულია. სამკაული წარმოდგენილია ორი ვერცხლის სამაჯურით, ოთხი ბეჭდით (რომელთაგან სამი ვერცხლისაა, ხოლო ერთი ოქროსი) და ერთი მინის მძივით.

სამაჯურები (21—969 : 11,12) სავსებით მსგავსნი არიან (ტაბ. I, 4, 5). ერთი მათგანი მთელია, მეორე კი ფრაგმენტალური (ეს უკანასკნელი შეძლებისდაგვარად აღდგენილია). სამაჯური დამზადებულია ვერცხლის ბრტყელი ფირფიტისაგან, რომელსაც კიდეებზე რელიეფურად გადმოკეცილი ქიმები გასდევს. სამაჯურის ზედაპირი შემკულია გრეხილურით. ორნამენტი გამოსახავს ერთმანეთთან გადაბმული რგოლების მწკრივს (თითოეული რგოლი ღეროზე ცალ-ცალკეა დამაგრებული), რომელიც ორ პარალელურ გრეხილურ ზოლს შორის არის მოქცეული. სამაჯური დაბოლოებულია სახსრებით, რომლებშიც სამანჭვლო ღეროა გაყრილი. შესაკრავი დეკორირებულია შუა მუხლზე მირჩილული ყვავილისებრი მრგვალი ფირფიტით, რომელიც ცენტრიდან გამოსული და წერტილით დაბოლოებული ამოღარული ხაზებითაა შემკული. სამაჯური მცირე ზომისაა, დიამეტრი — 6,2 სმ.

სამაჯურები ფაქიზი ნახელავია. შესრულების მანერა — ზედმიწევნითი სიზუსტით მირჩილული გრეხილი მავთულისაგან შედგენილი ორნამენტი — გამოცდილი ოსტატის ხელზე მეტყველებს. სამაჯურზე გამოყვანილი სახე მარტივი და მსუბუქია, რაც თავის მხრივ, ხელოსნის დახვეწილი გემოვნების მაჩვენებელია.

იმირის გორის სამარხში აღმოჩენილი ბეჭდებიდან ერთი ოქროსია, სამი კი ვერცხლის. საინტერესოა, რომ ვერცხლის ორი ბეჭედი, ისევე როგორც სამაჯურები, ზედმიწევნით მსგავსნი არიან.

ვერცხლის ბეჭედს (21—969/13) ვიწრო, წახნაგოვანი რკალი აქვს, საკმაოდ მკვეთრად გამოხატული კონტურით (ტაბ. I, 1). რკალი მხრების მიმართულებით სამკუთხედისებრად ფართოვდება და ბრტყელდება. ამ ნაწილში რკალი კიდედაკბილულია. ზედაპირზე რელიეფურად გამოყვანილია ორნამენტი, რომელიც მარყუჟებიან ხლართს გამოხატავს. რკალზე დარჩილულია თხელი ფირფიტებისაგან შედგენილი ოთხკუთხა მოყვანილობის საკმაოდ ამაღლებული ბუდე. ბუდეში ჩასმულია ბუდის შესაბამისი ფორმის წითელი მინის თვალი, რომელსაც სარჩულად უდევს ამავე ფორმის სადაფის ფირფიტა. ბეჭდის რკალის დიამეტრია — 2 სმ.

ანალოგიური ფორმის ბეჭედი ჩვენთვის უცნობია. მინის თვლის სარჩულად სადაფის ფირფიტების გამოყენების შემთხვევაც, საქართველოს ფეოდალური ხანის მასალებს შორის, არ შეგვხვედრია.

მესამე ვერცხლის ბეჭედი (21—969/15) რკალითაა წარმოდგენილი (ტაბ. I, 3). მასთან ერთად აღმოჩნდა სადაფის მომრგვალებული ფორმის ფირფიტა, რომელიც, სავარაუდოა, ზემომოყვანილი მაგალითების მსგავსად, მინის თვლის სარჩულს წარმოადგენდა. ბეჭდის რკალი ბრტყელია, თხელფურცლოვანი, მხრებისკენ ფართოვდება და კიდევ უფრო თხელდება. გაფართოებული ნაწილი წერტილისებური ნაჭდევებითაა შემკული. რკალის დიამეტრი — 2,2 სმ.

ოქროს ბეჭდის (21—969/16) რკალი, მსგავსად ზემოგანხილული ვერცხლის ბეჭდის რკალისა, ბრტყელია, მხრებისაკენ გაფართოებული და წერტილისებრი ნაჭდევებით შემკული. მხრებს შორის დარჩილულია მრგვალი მოყვა-

ნილობის, ზედა ნაწილში ოდნავ შევიწროებული, ბუდე. ბუდეში ჩასმულია ნახევარსფერული ფორმის ცისფრად მოჭიქული ფაიანსის თვალი.

მსგავსი ფორმის ბეჭდები ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ცისფრად მოჭიქული ფაიანსის თვლები კი ხშირად გვხვდება დმანისისა და რუსთავის XII—XIII სს. არქეოლოგიურ მასალებს შორის და ამ ხანისათვის არიან დამახასიათებელი[7].

სამკაულთაგან იმირის გორის სამარხში აღმოჩნდა აგრეთვე ერთადერთი მძივი (21—969/17). მძივი მინისაა, ირიზებული (ტაბ. IV, 7). წარმოადგენს ორ, სხვადასხვა ზომის შეტყუპებულ ცილინდრებს. მძივი დამზადებულია მუქი ფერის გაუმჭვირვალე მინისაგან და შემკულია მომწვანო ფერის აგრეთვე გაუმჭვირვალე მინის ზიგზაგებით. დიდი მძივის სიგრძე — 2,3 სმ, მცირესი — 1 სმ. მძივის მდებარეობა თავის არეში გვაფიქრებინებს, რომ ამ შემთხვევაში იგი თავსამკაულს, ან თმისვარცხნილობას უკავშირდება.

ანალოგიური ფორმისა და შემკულობის მძივი აღმოჩნდა დმანისში (ინვ. 81—65/1194), მძივი შავი მინისაა, ინკუსტირებულია თეთრი დახშული მინის ზოლებითა და მათ შორის ზიგზაგისებრი ორნამენტით. ეს მძივი თანმხლები მასალის საფუძველზე XIII ს. თარიღდება.

სავარაუდებელია, რომ ამ ფორმის მძივი, შუა მძივს წარმოადგენდა, რომელიც ორ აცმას აერთიანებდა.

## II. მაკრატელი

საყურადღებოა იმირის გორის სამარხეულ ინვენტარს შორის მაკრატლის აღმოჩენა (ტაბ. II).

მაკრატელი (21—969/10) რკინისაა, მსხვილი, თითებგასაყრელი რგოლებით. ძალზე დაჟანგული, ნაკლული. მაკრატლის სიგრძე უდრის 11 სმ. მასზე შერჩენილი ტყავის ნაშთი მიუთითებს, რომ მაკრატელი ტყავის ბუდეში ყოფილა მოთავსებული.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ფეოდალური ხანის სამარხებში სამეურნეო იარაღები თითქმის არ გვხვდება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რკინის დანის აღმოჩენის ერთეულ შემთხვევებს.

მაკრატლის კუბოში ჩატანება არც საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეშია დადასტურებული, მიუხედავად იმისა, რომ მაკრატელი დღესაც მთიელი ქალების კოსტუმის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტია (მას განუყრელად ატარებენ ქამარზე) და მის სამეურნეო საქმიანობაში წამყვან იარაღს წარმოადგენს.

ნიშანდობლივია, რომ მაკრატლის სამარხში ჩატანების წესი ფეოდალურ ხანაში გაბატონებულია მთელ რიგ ხალხთა ზნე-ჩვეულებებში. მაგალითად, ალანთა ზმეისკის კატაკომბებში რკინის მაკრატელი, ტახის ეშვებთან ერთად, რომლებიც საქსოვ საქმეში გამოიყენებოდა ქალთა თითქმის ყველა სამარხის აუცილებელი ელემენტია[8]. მაკრატელი ხშირად გვხვდება აგრეთვე მომთაბარეთა — პაჭანიკებისა და ყივჩაყების სამარხეულ ინვენტარს შორის[9].

---

[7] რ. ღ ო ლ ა ბ ე რ ი ძ ე, XII—XIII სს. ბეჭდები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXVI —B, თბ., 1967, გვ. 183.

[8] **В. А. К у з н е ц о в**, Змейский Катакомбский могильник, стр. 110; **С. С. К у с а е в а**, Аланский катакомбный могильник XI—XIII вв., у станицы Змейской. Материалы по археологии и древней истории Северной Осетии, т. I, Орджоникидзе, 1961, стр. 56.

[9] **С. А. П л е т н е в а**, დასახ. ნაშრ., ნახ. 3, 4, 16.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ სამხრეთ რუსეთის მომთაბარეები ბასრ იარაღს ავგაროზის მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ისინი მაკრატელს ან პატარა დანას, როგორც ავი სულებისაგან დასაცავ იარაღს, ატანდნენ სამარხში ქალს[10].

იმირის გორის სამარხში ჩონჩხი დაზიანებული აღმოჩნდა და ამიტომ ვერ მოხერხდა დაკრძალულის სქესის განსაზღვრა. სამარხში მაკრატლის აღმოჩენის ფაქტი შეიძლება იმის მანიშნებელი იყოს, რომ დაკრძალული პირი ქალია. ამ მოსაზრებას ერთგვარად ამაგრებს ის გარემოება, რომ მიცვალებულის სამკაული ზომითა და ნაკეთობით უთუოდ სადიაცოა.

## III. ქსოვილი

იმირის გორის სამარხში აღმოჩენილი ქსოვილის ნაშთი ძაფების გროვას წარმოადგენს. ქსოვილის აღდგენა არ მოხერხდა და ამიტომ მასზე სრული წარმოდგენის შექმნა ძნელია. ქსოვილის მასაში დიდი რაოდენობით შესული ოქროს ძაფები მიუთითებენ, რომ საქმე უნდა გვქონდეს ოქროქსოვილთან. თვით ქსოვილის სტრუქტურა თხელი და მსუბუქი ჩანს. საქართველოს ფეოდალური ხანის სამარხებში ქსოვილის ნაშთის აღმოჩენის შემთხვევები ძალზე იშვიათია, ხოლო ოქროქსოვილისა სხვა არ გვაქვს.

ქსოვილის თავმოყრა გროვის სახით, აგრეთვე მისი მდებარეობა ჩონჩხს ზემოთ, გულმკერდისა და მუცლის არეში, საფუძველს გვაძლევს გამოვთქვათ ვარაუდი, რომ აღნიშნული ქსოვილი სუდარას წარმოადგენს.

## IV. ცხენის აკაზმულობა

1. **რახტის სამკაული ბალთები.** იმირის გორის სამარხში აღმოჩენილი ცხენის აკაზმულობა წარმოდგენილია რახტის სამკაულით, რომელიც ბრინჯაოს მოოქროვილი ბალთებისაგან შედგება, უნაგირის ძვლის მორთულობით, აგრეთვე უზანგისა და სხვა რკინის დეტალებით, რომლებიც იმდენად დაჟანგული და დეფორმირებულია, რომ მათი დანიშნულების დადგენა ჭირს.

რახტის სამკაული — დეკორატიული ბალთები, სამარხში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა. ბალთების უდიდესი ნაწილი დაშლილია და ამიტომ მთელი კომპლექტის აღდგენა არ ხერხდება. ამავე მიზეზით შეუძლებელია ბალთების რაოდენობის ზუსტი დადგენა. დაახლოებით კი, მათი რიცხვი 80-მდე უნდა ყოფილიყო.

ბალთები ბრინჯაოსია, მოოქრული. ისინი ნაკეთებია თხელფურცლოვანი ფირფიტისაგან და გამოირჩევიან სიმსუბუქით. ბალთები დამზადებულია ამოტვიფრის ტექნიკით. მათი ფუყე შიდა სივრცე სიმტკიცისათვის ამოვსებული იყო თიხით. ბალთების ქიმიური დამუშავების შემდეგ თიხა დაიშალა და ახლა მხოლოდ მისი კვალია ზოგ მათგანში შერჩენილი. წითლად გამომწვარი თიხა მსხვილმარცვლოვანი, ნასვრეტოვანი სტრუქტურისაა.

ბალთებს შორის, ფორმისა და ორნამენტის მიხედვით, რამდენიმე სახე გამოიყოფა, ბალთების უდიდესი ნაწილი ნახევარწრიული ფორმისაა (21—969/1), ოდნავ შეზნექილი სწორი გვერდით. ორნამენტი რელიეფურია. ზოგან

---

[10] С. А. Плетнева, დასხ. ნაშრ., გვ. 205.

ცენტრიდან ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულებით განლაგებული ნახევარწრეები დაკბილულ კონტურულ ჩარჩოშია ჩასმული; ზომა: 2×1,5 სმ. (ტაბ. III, 1, 2). გვხვდება აგრეთვე ვარდულისებრი მოყვანილობის ბალთები. ერთი მათგანი (21—969/2) მრგვალია, შემკული ცენტრიდანული სხივებით, დიამეტრი — 1,8 სმ (ტაბ. III, 3), მეორე, კიდედაკბილული (21—969/3), ორნამენტირებულია მრგვალი ჩაღრმავებებით; დიამეტრი — 1,6 სმ (ტაბ. III, 4). ამავე კომპლექსში შედის მომრგვალებულკუთხეებიანი ბალთა (21—969/4); ზომა — 2,1 სმ (ტაბ. III, 5).

ბალთები ღვედზე მანჭვლების საშუალებით მაგრდებოდა. ღვედური აკაზმულობა, რომელიც ჩვეულებრივ გამოქნილი ტყავისაგან მზადდებოდა, იმირის გორის სამარხში სამწუხაროდ არ შემორჩა. ბალთები გახვრეტილია რამდენიმე ადგილას. მათში გაყრილია წვრილი მანჭვლები, რომლებიც მრგვალი და ბრტყელი თავით დამაგრებულია ბალთის ზედაპირზე. მანჭვალის მეორე ბოლოზე კი წამოცმულია ოთხკუთხა თხელი ფირფიტა.

იმირის გორის მოოქრული ბალთები დეკორატიულია. ისინი გამოირჩევიან სინატიფით. ბალთების ფორმირება და ორნამენტის მრავალფეროვნება მოწმობს, რომ მათ გამოსაყვანად სხვადასხვა შტამპებია ნახმარი.

უნდა აღინიშნოს, რომ ცხენის აკაზმულობა ან მისი ცალკეული დეტალები შუაფეოდალური ხანის საქართველოს სამარხეულ მასალებს შორის არ გვხვდება. ამ დროის ცხენის რახტის მორთულობა, ჩვენთვის ცნობილია თუშეთის სოფელ შენაქოდან. შენაქოში ცხენის მოსართავი სამკაული საკულტო ადგილზეა მიკვლეული და ამდენად მსხვერპლად შეწირვის რიტუალს უკავშირდება. ბალთები ბრინჯაოსია, მათ შორის გვხვდება როგორც გრავირებული ორნამენტით შემკული ბრტყელი, დისკოსებრი ფირიფიტები, ისე სხვადასხვაგვარი რელიეფური სახეებით შემკული ტვიფრული ბალთები[11]. უკანასკნელები დამუშავების ტექნიკითა და გამოსახულების ხასიათით მსგავსი არიან იმირის გორის ბალთებისა.

იმირის გორის დეკორატიულ ბალთებს ეხმაურება აგრეთვე ბრინჯაოს მოოქრული ბალთები ზმეისკის კატაკომბებიდან, რომლებიც მთელი კომპლექტებითაა აღმოჩენილი, ზოგჯერ ღვედზე ასხმული სახითაც კი[12].

**2. უნაგირის ძვლის დეკორატიული მორთულობა.** იმირის გორის სამარხში აღმოჩენილი ცხენის აკაზმულობის დეტალებიდან განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს ძვლის ნივთების კომპლექტი, რომელიც აღმოჩნდა მიცვალებულის ფეხებთან რახტის მოსართავ ბალთებსა და ცხენის აკაზმულობის რკინის დეტალებთან ერთად. ძვლის დეკორატიულ ბალთებზე შერჩენილი ხის ნაშთები და კომპლექტის მდებარეობა იმის მანიშნებელია, რომ იგი ხის უნაგირის შემკულობა უნდა იყოს.

ძვლის ნივთების მნიშვნელოვანი ნაწილი ორნამენტირებული ვიწრო ფირფიტებია. აქვე შედის რამდენიმე დეკორატიული ბალთა და ერთი კვირისტავისებური მოყვანილობის ღილი.

საქართველოს ფეოდალური ხანის არქეოლოგიურ მასალებს შორის გავრცელებულია ძვლის ფირფიტების ჯგუფი, რომლებიც სხვადასხვა საგნების

---

[11] რ. დ ო ლ ა ბ ე რ ი ძ ე, არქეოლოგიური მასალები სოფელ შენაქოდან, თბ., 1973, გვ. 55, ტაბ. XX, XXI.

[12] В. А. К у з н е ц о в, Змейский Катакомбный могильник, стр. 115—116.

მოსართავად განკუთვნილ დეკორატიულ ელემენტებს წარმოადგენენ. ამ ფირფიტებით ამკობდნენ პატარა ყუთებს, ავეჯსა და სხვ.[13]. სწორედ ამ მოსართავი ფირფიტების ჯგუფს მიეკუთვნება იმირის გორის სამარხში აღმოჩენილი სხვადასხვა მოყვანილობისა და შემკულობის ფირფიტები.

ძვლის ფირფიტების მნიშვნელოვანი ნაწილი ვიწროა, უმთავრესად ფრაგმენტალური, სხვადასხვა სიგრძე-სიგანის. ფირფიტებზე გამოსახული ორნამენტი სხვადასხვაგვარია — რელიეფური ტალღური სახე ან კიდის გასწვრივ ამოჭრილი წვრილი სამკუთხედების მწკრივი (21—969/20, 21). ტალღური სახე რელიეფურად გამოყოფილ კიდეებს შორის ფონის ამოკვეთითაა მიღებული (ტაბ. IV, 10-14). ძვლის მხატვრული დამუშავების ამგვარი ტექნიკა შუაფეოდალური ხანის ქართულ მასალებს შორის არ გვხვდება. ძვლის ფირფიტებს შორის არის ნიმუშები (21—969/19), რომელთა ცალი კიდე დაკბილულია. ზოგი მათგანი წაწვეტებულწვერიანია (ტაბ. IV, 12, 13). ერთი მათგანი, ყველაზე გრძელი ფირფიტა, ოდნავ გაღუნულია (ტაბ. IV, 14). ფირფიტებს შორის არის აგრეთვე ფიგურულად გამოჭრილი მცირე ფირფიტა (21—969/25), რომლის ორ ნახვრეტში რკინის სამაგრების ნაშთებია შერჩენილი (ტაბ. IV, 5).

ძვლის ფირფიტებს შორის გამოირჩევა აჟურული ორნამენტით შემკული ფირფიტები (21—969/22). ფირფიტები განიერია, ცალ მხარეს გაფართოებული. მათი კიდეები, მსგავსად ზემოგანხილული ფირფიტებისა, დეკორირებულია რელიეფური ტალღური ორნამენტით. ცენტრალურ ნაწილში კი ამოჭრილია აჟურული სახე. ფირფიტებზე ამოჭრილი შედარებით მსხვილი, მრგვალი ნახვრეტები სამაგრების გასაყრელად ჩანს განკუთვნილი (ტაბ. IV, 6, 7, 8).

ძვლის ნივთებიდან ყველაზე საინტერესოა დეკორატიული ბალთები (21—969/23); ბალთების კიდედაკბილული ძირი და კვირისტავისებური თავი მთლიანი ძვლისაგანაა გამოჭრილი. ბალთის ძირი აჟურულია, კვირისტავისებური თავი კი კონცენტრული წრეხაზებითაა შემკული. ბალთა სამაგრის საშუალებით იყო დამაგრებული ხის საფუძველზე, რაც მასზედ შერჩენილი ხის ნაშთით დასტურდება. სამაგრი ბრინჯაოსია, წარმოადგენს მოკეცილ, ორმაგად გაყრილ ბრტყელ მავთულს, რომლის ბოლოები წაწვეტებული და გაშლილია (ტაბ. IV, 6, 7, 8).

ამავე კომპლექტში შედის კვირისტავისებური მოყვანილობის ძვლის ღილი (21—969/24), რომელიც ძირთან ორ-ორი მოკლე ირიბი ამოკაწრული ხაზებითაა შემკული. იგი სხვა, ამავე ტიპის ღილებთან შედარებით ბრტყელია (ტაბ. IV, 2).

მსგავსი ძვლის ღილები ფართოდაა გავრცელებული საქართველოს შუაფეოდალური ხანის ძეგლებზე — დმანისში, რუსთავში, განჯისკარში და გუდარეხში. გვხვდება ისინი აგრეთვე სამთავროს ადრეფეოდალური ხანის მასალებს შორის. ძვლის ღილების ნაწილი სადაა, უმეტესობა კი მარტივი ამოკაწრულ-ამოკვეთილი ორნამენტითაა შემკული. მათ შორის გვხვდება აგრეთვე წითლად და მოვარდისფროდ შეღებილი ნიმუშები[14].

კვირისტავისებური ფორმის ღილების გავრცელების არე ფართოა. განვითარებულ საშუალო საუკუნეებში, საქართველოს გარდა, ისინი გვხვდება სომ-

---

[13] თ. კ ე რ ე ს ე ლ ი ძ ე, IV—XIII სს. ძვლის ნაწარმი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXVIII—B თბ., 1969, გვ. 127, 128, ტაბ. IV, 1—3.

[14] თ. კ ე რ ე ს ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 127.

ხეთში, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, ჩრდილო კავკასიაში, სადაც მათი გავრცელების ქრონოლოგიური ჩარჩოები VIII—XIV სს. ისაზღვრება, ძველი რუსეთის ტერიტორიაზე, ბიზანტიაში და სხვ.

იმირის გორის სამარხში აღმოჩენილი უნაგირის ძვლის მორთულობის კომპლექტში შესული ნაკეთობა გამოირჩევა საქართველოში საყოველთაოდ გავრცელებული ძვლის ნაწარმისაგან მხატვრული დამუშავების ტექნიკის სირთულითა და მრავალფეროვნებით. ძვლის ფირფიტების შემკობა რელიეფური ორნამენტით, რომელიც ფონის ამოჭრის საშუალებით მიიღება, აგრეთვე აჟურული სახეები, დამუშავების ბევრად უფრო რთული ტექნიკური ხერხებია, ვიდრე ამოკაწვრა-ამოღარვა, რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა სხვადასხვა ხასიათისა და დანიშნულების ძვლის ნაწარმის შესამკობად შუაფეოდალური ხანის საქართველოში. ნიშანდობლივია, რომ რელიეფური ორნამენტით შემკული ძვლის ფირფიტები მრავლადაა მოპოვებული მომთაბარე ტომთა სამარხებში. ისინი ყივჩაყთა სამარხეული კომპლექსების ერთ-ერთ დამახასიათებელ თავისებურებადაა მიჩნეული. საინტერესოა, რომ ერთ მათგანზე იმირის გორის ძვლის ფირფიტებში ფართოდ გამოყენებული ორნამენტული მოტივი, ტალღური ზოლი აღინიშნება[15].

3. **ცხენის აკაზმულობის რკინის დეტალები.** იმირის გორის სამარხში ცხენის აკაზმულობის ელემენტებიდან აღმოჩენილია აგრეთვე დაჟანგულ-დეფორმირებული რკინის ნაწილების დეტალები.

რკინის ნივთებს შორის გამოირჩევა ნალისებრად მორკალური ელემენტები — უზანგის ნაწილები (ტაბ. V, $_2$); მინიატურული, ქვედა ნაწილში ვიწრო და ზედა ნაწილისაკენ გაფართოებული სასმისებრი ფორმის საგანი; მცირე ზომის, ერთმანეთში გაყრილი ორი რგოლი, რომელთა შორის ერთი ღეროს დაბოლოებას წარმოადგენს; ტრაპეციის მოყვანილობის ბალთა და მისი ფრაგმენტები (ტაბ. V, $_3$); ბევრია ბრტყელი და ვიწრო სხვადასხვა სიგრძის ფირფიტები, აგრეთვე მრგვალგანივკვეთიანი, მოკლე ღეროები. რკინის ფრაგმენტებს შორის გამოირჩევა წაკვეთილთავიანი ნახევარსფეროები — ბალთები თუ ეჟვნისებური საკიდის ნაწილები (ტაბ. V, $_4$). ცხენის აღჭურვილობის სამკაულს მიეკუთვნება აგრეთვე ბრინჯაოს ძირგამოჭრილი ორი ნახევარსფერო (ტაბ. III, $_6$).

აღსანიშნავია, რომ ცხენის აკაზმულობა ან მისი ცალკეული ელემენტები შუაფეოდალური ხანის საქართველოს სამარხეულ მასალებს შორის არ გვხვდება.

ცხენის მთელი აკაზმულობა ზოგჯერ კი მისი ცალკეული ნაწილები განსაკუთრებით ხშირად ვლინდება ალანების ფეოდალური ხანის სამარხეულ ძეგლებზე და დამახასიათებელია მათი კულტურისათვის. ისინი მიკვლეულია ყობანში, ბალთაში, ზემო რუხთაში[16], ქვემო არხიზში, ზელენჩუკის ეკლესიასთან[17]. ცხენის მთელი აკაზმულობის აღმოჩენის ფაქტები ხშირია ზმეისკის სამაროვანზე, XI—XII სს. კატაკომბებში[18]. ცხენის აკაზმულობა, ზოგჯერ კი

[15] С. А. Плетнева, დასახ. ნაშრომი, გვ. 176, ნახ. $8_6$, $15_1$, 17.

[16] П. С. Уварова, Могильники Северного Кавказа, МАК, вып. VIII, М., 1900, стр. 33, 84, 132—133, 369, рис. 285—286.

[17] В. А. Кузнецов, Археологические исследования в верховьях Кубани (1960, 1961 гг.) КСИИМК, 96, М. 1963, рис. 26—8,9.

[18] В. А. Кузнецов, Змейский катакомбный могильник, стр. 115—116, таб. IX, X; С. С. Кусаева, Аланский катакомбный могильник XI—XIII вв. у станицы Змейской, стр. 57; В. А. Кузнецов, Исследование Змейского катакомбного могильника в 1958 г., М., стр. 15—16, рис. 5, таб. II.

ცალკეული დეტალები დამახასიათებელი ინვენტარია პაჭანიგებისა (IX—XII სს.) და ყივჩაყთა (XI—XIII სს.) სამარხებისათვის[19].

იმირის გორის № 10 სამარხის ინვენტარის დაწვრილებითი განხილვა და მათი ანალიზი, ჩვენ მიერ მოყვანილი ანალოგიები, რომელთა შორის კარგად დათარიღებული მასალა გვხვდება, საფუძველს გვაძლევს იმირის გორის სამარხი XII—XIII სს. მივაკუთვნოთ.

როგორც განხილული მასალიდან ირკვევა, იმირის გორის სამარხი საკმაოდ მდიდრულია. სამარხეულ ინვენტარში შესული ვერცხლის ნაკეთობა — სამაჯურები და ბეჭდები, ფაქიზი და დახვეწილი ნახელავია. ამდენად ისინი განვითარებულ შუა საუკუნეთა ოქრომჭედლობის შესანიშნავ და იშვიათ ნამუშევრად შეიძლება მივიჩნიოთ. სინატიფით ხასიათდება აგრეთვე ცხენის რახტის სამკაული — ბრინჯაოს მოოქრული ბალთები. უნაგირის მორთულობა — ძვლის დეკორატიული კომპლექტი, ძვლის მხატვრული დამუშავების რთულ და იშვიათ ნიმუშებს შეიცავს. სამარხის სიმდიდრეზე მეტყველებს აგრეთვე აქ აღმოჩენილი ძვირფასი ოქროქსოვილის ნაშთი.

იმირის გორის სამარხის მდიდრული ინვენტარი აშკარად იმის მაჩვენებელია, რომ აქ საზოგადოების შეძლებული წრის წარმომადგენელია დაკრძალული[20].

ნიშანდობლივია, რომ იმირის გორის სამარხი და მისი ინვენტარი ყველაზე ახლოს დგას სამხრეთ რუსეთის მომთაბარე ტომთა, კერძოდ ყივჩაყთა სამარხებთან. რიგი ნიშნები, რომლებიც ყივჩაყთა სამარხების დამახასიათებელ თავისებურებებადაა მიჩნეული, აღინიშნება იმირის გორის სამარხში. სამარხის ორიენტირება ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ, ხის კუბო და მიცვალებულის პოზა, ცხენის აკაზმულობისა და მაკრატლის ჩატანების ჩვევა სამარხში, აგრეთვე რელიეფური ორნამენტით შემკული ძვლის ფირფიტების აღმოჩენის ფაქტი — საფუძველს გვაძლევს გამოვთქვათ ვარაუდი იმის შესახებ, რომ იმირის გორის სამარხი საქართველოში ჩამოსახლებულ ყივჩაყს ეკუთვნის.

Р. М. ДОЛАБЕРИДЗЕ

## ПОГРЕБЕНИЕ В ИМИРИС ГОРА

Резюме

В 1968 году объединенной археологической экспедицией Государственного Музея Грузии и Тбилисского Гос. Университета (руководители О. М. Джапаридзе и А. И. Джавахишвили) было вскрыто погребение с довольно богатым и разнообразным инвентарем.

Предметы инвентаря по своему назначению классифицируются в следующие группы: 1. Украшения — одно золотое и три серебряных

[19] С. А. Плетнева, დასახ. ნაშრ., ნახ. 3, 4, 8—10, 14—16.

[20] უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში შუაფეოდალური ხანის მდიდრული სამარხები თითქმის შეუსწავლელია. რუსთავის, დმანისის, უჯარმისა და სხვ. ამ ხანის ინვენტარიანი სამარხები, რომლებიც ძირითადად სამკაულს შეიცავენ, საზოგადოების საშუალო ფენას, მოქალაქეებს ეკუთვნის. ასეთ ვითარებაში შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რა ხასიათის ინვენტარს შეიცავდა საქართველოს შუაფეოდალური ხანის მდიდრული სამარხები.

перстня, два серебряных браслета, бусина; 2. Элементы конской сбруи-стремена, бронзовые позолоченные бляшки, костяные пластинки с рельефным орнаментом и др.; 3. Железные ножницы; 4. Златоткань.

Детальный анализ погребения и его инвентаря, а также приведенные аналогии, позволяют датировать погребение XII—XIII вв.

Характерно, что ряд признаков, которые считаются отличительной чертой половецких погребений указанной эпохи, прослеживаются в изученном погребении.

Ориентировка погребения с северо-востока на юго-запад, деревянный гроб, положение покойника — вытянутое на спине с руками вдоль тела, наличие конской сбруи, костяных пластин, а также железных ножниц, позволяют высказать мнение, что погребение из Имирис гора принадлежит одном из половцев (кипчаки), переселенных в Грузию.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტაბულა I




ტაბულა II



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტაბულა III




ტაბულა IV



ტაბული V

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

В. А. ЛЕКВИНАДЗЕ

# БАЗИЛИКА АРХЕОПОЛИСА

Археополис это город, неоднократно упоминающийся Прокопием Кесарийским и Агафием в Лазском царстве, которое существовало в позднеантичную и раннесредневековую эпоху на территории раннеантичной Колхиды, т. е. на территории современной Западной Грузии. Подробное описание самого Археополиса и Лазского царства Прокопием и Агафием[1] уже давно позволило Фредерику Дюбуа де Монперё локализировать Археополис в современном селе Нокалакеви (Цхакаевского района Груз. ССР)[2], где сохранились даже сооружения, конкретно называемые Прокопием, в частности двойная оборонительная стена[3].

Церковь в Археополисе Прокопий конкретно не упоминает, однако Дюбуа полагал, что именно под имеющейся здесь церковью Прокопий подразумевал «бывшую у лазов христианскую церковь, древнюю и уже с разваливающейся стройкой», которую император Юстиниан «перестроил и сделал как новую»[4]. Само же строительство церкви в Археополисе Дюбуа связывал с принятием в Лазике христианства при царе Цате в начале VI в.[5], о чем имеются сведения у Иоанна Малалы, Феофана Летописца и в «Пасхальной хронике»[6]. Все эти соображения по поводу церкви в Археополисе носили у Дюбуа чисто интуитивный характер. Конкретное же ее изучение начато было академиком Г. Н. Чубинашвили, который и установил впервые, что указанная церковь представляла собой раннесредневековую базилику, переделанную позднее в купольную церковь[7].

---

[1] Прокопий, Война с готами — VIII. Перев. С. П. Кондратьева, М., 1950; Агафий, О царствовании Юстиниана — I, II. Перев. М. В. Левченко, М.,-Л., 1958.

[2] F. Dubois de Montpéreux, Voyage autour du Caucase, II, Paris, 1839, стр. 104.

[3] Прокопий, Война с готами, — VIII, 14.

[4] Прокопий, О постройках — III, 7, Перев. С. П. Кондратьева, Вестник древней истории, 1939, № 4.

[5] F. Dubois de Montpéreux, Ук. соч., III, стр. 57.

[6] ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, III, თბილისი, 1937, стр. 264; IV, 1, 1941, стр. 11 и 77.

[7] Статья Г. Н. Чубинашвили о церкви в Археополисе («К вопросу о Нокалакеви») должна была быть помещена в невышедшем XI томе «Вестника Тбилисского Государственного Университета» за 1931 г. Существует, по-видимому, только один корректурный оттиск этой статьи, цитирующийся обычно в качестве опубликованной работы. Совсем недавно же эта статья помещена была в сборнике Г. Н. Чубинашвили, Вопросы истории искусства, т. I. Тбилиси, 1970, стр. 93 сл., на который мы и ссылаемся, ввиду его доступности, несмотря на то, что указанная статья помещеная в этом сборнике без изменения, отражает положение в науке лишь к 1928 г.

Основная часть церкви в Археополисе представляет собой вытянутый в плане прямоугольник с одной пятигранной абсидой, выступающей в середине узкого восточного фасада (см. рис. 1 и табл. I, а, б). Внутри церкви мощными столбами выделен с трех сторон центральный неф с двумя подпружными арками, поддерживающими низкий барабан с куполом. К восточной части северной стороны церкви пристроено снаружи помещение с абсидой, скрытой однако извне во внешнем прямоугольном абрисе этой пристройки. К середине же южного фасада церкви пристроен снаружи притвор.



Рис. 1. План и западный фасад церкви в Археополисе (заштрихованы устанавливающиеся части первоначальной базилики).

Как уже отмечалось, описанная церковь представляет собой переделанную базилику, установлению первоначальных форм которой и была посвящена цитируемая здесь работа Г. Н. Чубинашвили, осмотревшего эту церковь, однако, еще в 1928 г. — тогда, когда она была полностью отштукатурена и побелена, как изнутри, так и снаружи, что, конечно, весьма затрудняло ее обследование. Кроме того, представление о первоначальном виде этой базилики сложилось у Г. Н. Чубинашвили, главным образом, на основании ее сравнения с известными тогда пока только восточногрузинскими базиликами, в частности с базиликами в Цхра-Кара и в Старой Шуамте. После же 1928 г. был выявлен и опубликован целый ряд раннесредневековых базилик и в Западной Грузии[8], в которой, как говорилось, и находился Археополис. Все эти базилики Западной Грузии имеют много общих черт, отличаясь при этом существенно от восточногрузинских базилик. Следова-

[8] Базилика в Питиунте (ი. ციციშვილი, ქართული არქიტექტურის ისტორია, თბილისი, 1955, табл. XVII-5; В. А. Леквинадзе, О некоторых сооружениях древнего Питиунта, Краткие сообщения Института археологии АН СССР, 113, М., 1968, рис. 11 а, базилика в Вашнари (см..В. А. Леквинадзе, Раннесредневековые памятники Вашнари, Советская археология, 1972, № 3, рис. 1, базилика в Сепиети (см. В. А. Леквинадзе, Материалы по монументальному строительству в Лазике, Вестник Гос. Музея Грузии, XXII—В, Тбилиси, 1961, рис. 10), базилика в Гантиади (см. В. А. Леквинадзе, Гантиадская базилика, Советская археология, 1970, № 3, рис. 1—4), базилика в Петре (см. В. А. Леквинадзе, О постройках Юстиниана в Западной Грузии, Византийский временик, Византийский Временник, XXXIV, 1973.

тельно сопоставлять базилику Археополиса можно теперь с аналогичными памятниками Западной Грузии. Кроме того, в настоящее время у рассматриваемого памятника снаружи полностью, а изнутри частично, удалена штукатурка. Таким образом, о переделках в памятнике можно отчасти судить теперь и по самому характеру кладок. Например, в продольной и западной стенах основной части церкви очень хорошо видна сейчас снаружи в нижних частях стен смешанная кладка — opus mixtum (см. табл. II, а), примененная при сооружении почти всех раннесредневековых базилик Западной Грузии (в Вашнари, Сепиети, Питиунте и в Петре), поэтому и в церкви Археополиса ее нужно считать остатками первоначальной базилики.

Хорошо можно судить также по западной стене церкви о том, что центральный неф памятника выступал первоначально над боковыми — здесь снаружи виден стык между первоначальной кладкой выступавшего раньше торца центрального нефа и поздней кладкой надстроенной части северного нефа (см. табл. II, б).

В южной же стене церкви видны снаружи еще две первоначальные детали: в западном конце — остатки дверного проема (см. габл. II, б), а в восточном конце — подобие такого же заложенного, но сохранившегося полностью дверного проема, рассматриваемого нами подробнее ниже (см. табл. III, а). И, наконец, в южном плечике церкви хорошо виден теперь заложенный первоначальный оконный проем, перекрытый кирпичной аркой (см. табл. IV).

Хорошо устанавливается снаружи у рассматриваемого памятника первоначальность его абсиды с отходящим от нее южным плечиком (т. е. восточной стеной южного нефа), кладка которого перевязана с кладкой абсиды, чего, разумеется не могло бы быть, если это плечико было бы позднейшим добавлением, как это предполагалось раньше.

Раскопка Галуатского кургана дала, таким образом, первое раскопанное на территории Юго-Осетии, вполне цельно сохранившееся курганное погребение, синхроничное триалетским курганам цветущей поры, но принадлежащее, по-видимому, родоначальнику небольшого и небогатого рода.

3). Могильники у Терегванского сельсовета, в сел. Дзагина. Место этого могильника было отмечено нашей прошлогодней археологической разведкой, когда сотрудником экспедиции С. Надимашвили были обнаружены здесь в промоине канала черепки посуды энеолитического облика и доставлено сведение о находке по соседству, в сел. Терегвани, каменного шлифованного топора. Проведенные нами разрезы по двум сторонам канала ниже шлюза, обнаружили погребения с энеолитической керамикой по западному берегу и с древнебронзовой — по восточному. Дальнейшая расчистка площади показала, что мы имеем дело с двумя могильниками или скорее разновременными частями одного могильника, перерезанного оврагом. Всего в обоих могильниках было расчищено и отпрепарировано 10 грунтовых погребений по пяти в каждом. Могильные ямы обозначились под сплошным покровом современной почвы, образовавшейся уже явно на последующем наносе, покрывшем слой древней почвы. Когда последняя была освобождена от верхнего покрова, на глубине 60—80 см обозначились могильные ямы, закрытые большею частью небольшими каменными насыпями, хорошо дифференцированными на западном могильнике и сливающимися в сплошные широкие пятна на восточной стороне, где непосредственно под камнями и оказывались костяки, большею частью на правом боку, головой в западную сторону. Плохо сохранившиеся кости в мокрой глине препарировались с трудом. Костяк обычно сопровождался одним-двумя большими сосудами, у ног одной миской (нередко с миниатюрной тонкоствольной ручкой, типа Ташбашской в Триалети)[47], а также, иногда, и каменными зернотерками[48]. Мелкий инвентарь состоял в женских погребениях только из украшений, среди которых существенные для датировки могильника спиральные медные браслеты, близкие по типу сачхерским, полутораспиральные круглые завитки и медная булавка с листовидной головкой, заканчивающейся снизу двумя волютами, как золотая[49] из одного триалетского небольшого курганного погребения (№ XXII) с ингумацией покойника и как медная же, несколько более поздняя, из одного кур-

---

[46] Инв. Гос. музея Грузии, № 44—61:18 (кинжальчик); сопровождающей керамики из данного погребения в фондах Музея не обнаруживается. — Ред.

[47] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, I, 1941, стр. 117, рис. 126-б.

[48] Эти материалы Дзагины составляют коллекцию Гос. музея Грузии, № 32—61. — Ред.

[49] Б. А. Куфтин, К вопросу о ранних стадиях бронзовой культуры на территории Грузии, Кр. сообщ. ИИМК, вып. VIII, М.-Л., 1940, стр. 12, рис. 4.

ганного комплекса в Нальчикском Музее (инв. 487/1925)[50], найденная вместе с прекрасным, очень крупным каменным сверленным топором. К мужскому погребению, костях которого не сохранился, или, скорее, погребение было разрушено, относим небольшой медный клинок кинжала, типа весьма архаичного, без дифференциации насадочного язычка, т. е. того типа погребен [?] на северном склоне Кав[казского] хребта, [который] послужил для исследователей одним из сильных мотивов установки стадии майкопского кургана сравнительно с курганом. . . на основе стратиграфии . . . . Тем самым, определяется, как мне кажется, и место этого могильника, с его до сих пор неизвестным в Грузии культурным обликом может быть придем уже к концу периода древней бронзы, т. е. к следующим этапам за открытыми и описанными нами сачхерскими могильниками. Напротив, погребения на западной стороне Дзагинского канала придется, видимо, отнести к одной из более ранних стадий сачхерской ступени древней бронзы и синхронизовать их с теми погребениями в Сачхере и Корети, которые характеризуются более первоначальной, небольшого размера, формой булавки с окрученной головкой[51]. Эти булавки нам удалось теперь проследить, по находке здесь, на территории Восточной Грузии в сопровождении керамики, непосредственно генетически связанной с керамикой Куро-Аракского энеолита. Это обстоятельство находится в полном соответствии с установленным прошлогодней нашей экспедицией фактом, что узкочеренковые сачхерского типа клинки с отбитой проковкой острой кромки лезвия входят на территории Юго-Осетии в один погребальный комплекс с типичными позднеэнеолитическими сосудами (погребение на базе Квайсастроя в Сталинири). Следовательно, сделанное нами еще в 1939 г., на основании первого добытого керамического материала из Сачхерского погребения предположение[52] о стилистическом и техническом единстве керамического производства эпохи древней бронзы в бассейне Верхней Квирилы и в энеолите Триалети, не только находит с каждой экспедицией все больше подтверждений, но превращается в ключ для решения проблемы об основном этническом субстрате, оформлявшемся в процессе перехода к плужному земледелию и развития металлургического производства на территории Западного и Центрального Закавказья.

Скорченные костяки западной части Дзагинского могильника, в отличие от восточных, помещались в несколько более глубоких ямках, обычно достигавших третьего (по счету сверху) слоя погребальной почвы, и сопровождались всего лишь одним глиняным сосудом в форме широкогорлой кубышки, как в энеолитическом погребении в Гуниа-Озини[53]. Металлического инвентаря, за исключением вышеупомянутой замечательной булавки с окрученной головкой, найдено не было.

Любопытно, что в расстоянии 12,5 м от этого могильника, к северу, были обнаружены нами особые, круглые с вертикальными стенками ямы около 1 м в диаметре, вырытые в ту же эпоху, как могилы на глубину до 2 м, и заполненные в своей нижней части пережжённой

---

[50] Б. Е. Деген, Курганы в Кабардинском парке, г. Нальчик, Материалы и исследования по археологии СССР, № 3, М.-Л., 1941, стр. 249, табл. X—2.

[51] Б. А. Куфтин, Археологические маршрутные экспедиции 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, Тбилиси, 1949, стр. 65, 66 и 80, табл. LXVII, б и LXVIII, б.

[52] Его же, К вопросу о ранних стадиях бронзовой культуры на территории Грузии, Кр. сообщ. ИИМК, вып. VIII, М.-Л., 1940, стр. 14, 34; и цитир. соч., стр. 75—78.

[53] Б. А. Куфтин, Археологические раскопки 1947 года в Цалкинском районе. Тбилиси, 1948, стр. 43, табл. XLIII, б. и XLIV—1,2.

землей, углем, глиняной обмазкой и разбитой посудой энеолитического типа. Такого рода ямы, еще более глубокие, мы ранее встречали близ Бешташенской циклопической крепости[54] и в Кикетах на энеолитическом селище с древним могильником, где мы их склонны были считать какого-то рода культовыми очагами. Раскопка одной из таких ям в Дзагина обнаружила существование на дне, под черепками разбитых сосудов и дисковидных крышек к ним, специального, оформленного на угольной прослойке пола из обожжённого саманного глиняного теста, кладко обмазанного сверху тонким слоем глины, орнаментированной лощением, как мы это наблюдали на «сакральной» энеолитической площадке в с. Гуниа-Озни[55]. При препарировке этого пола можно было ясно заметить его крестообразное строение: как бы плавно выступающие от центра четыре лопасти, расширяющиеся к периферии и упирающиеся там в слегка возвышенный борт. Это наблюдение заставило нас по-новому вспомнить в третий уже раз[56], в связи с энеолитическим слоем в Грузии, крестообразные глинобитные жертвенники, открытые Т. С. Пассек в трипольских жилищах во Владимировке[57], в бассейне Буга.

Только дальнейшими раскопками можно надеяться уяснить значение подобных ям и их взаимоотношение с местами погребений, которые оказываются вблизи к этим ямам, или как частям жилого комплекса, но отмеченной нами уже ранее связи энеолитических погребений с жилищами . . . . или же, напротив, окружаются ими, как жертвенниками погребального пункта.

## IV. БАССЕЙН Р. ЛИАХВИ

1) Культовой холм Кулбакеби. Холм был зарегистрирован как археологический памятник разведкой 1944 и 1945 гг. Археологическая маршрутная экспедиция 1949 года установила, на основе изучения собранного на поверхности холма подъемного материала, существование в холме слоя энеолитической эпохи, что и было выявлено раскопками 1950 года. Была открыта культовая площадка с отпрепарированным полностью круглым жертвенным очагом, общего типа для культуры Куро-Аракского энеолита от Еревана (Шенгавит) через Триалети во внутренней Картли, и с сохранившимися вокруг, частично в целом виде, сосудов, мисок, трехручных кувшинов и кубков, и тут же—полностью глинобытная платформочка с пеплом и сожженными костями человека. В этом году была снята полностью до того же древнего уровня соседняя площадь в 60 квадратных метров в юго-восточном направлении. Культурный слой энеолитической эпохи сохранился лишь в двух пунктах в виде скопления керамических обломков на площади в 3 на 1,5 метра и плохо сохранившегося, сильно скорченного на левом боку человеческого погребения (часть черепа и нижняя кость со ступней) головой на запад, на небольшой подстилке, замощенной плоскими каменными плитами[58]. На всей остальной площади

[54] Его же, Археологические раскопки в Триалети, I, Тбилиси, 1941, стр. 114.

[55] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Цалкинском районе в 1947 году, стр. 30, сл.

[56] Б. А. Куфтин, Цитир. соч., стр. 41; Его же, Урартский «колумбарий», стр. 162.

[57] Т. С. Пассек, Периодизация Трипольских поселений, Материалы и исследования по археологии СССР, № 10, М.-Л., 1949, стр. 83 сл.

[58] Часть этих раскопочных материалов Кулбакеби 1950—1951 гг. хранится в Гос. музее Грузии, колл. 30—61. — Ред.

мы имели культурный мусор среди беспорядочного навала камней с переводимыми уже зольно-углистыми прослойками, содержащими мелкие обломки глиняной обмазки, и в небольшом количестве, отдельные черепки керамики самого конца бронзы, типа общего для верхнего слоя большинства культовых холмов Юго-Осетии и Внутренней Картли. К юго-западу от вышеупомянутого скопления энеолитической керамики, где среди полушарных ручек, обломков крупного пифоса, кусков от дисковидных крышек были найдены фрагменты парадной миски с рельефно моделированной поверхностью, определилась изолированная куча камней, как бы покрывавших погребение. Оказалось, что под этими камнями находилась заваленная камнями и залитой рыхлой землей круглая, воронкообразно расширяющаяся книзу, яма, в полтора метра диаметром наверху, вырытая на глубину 1,5 метра в плотном каменистом делювии. Среди золы попадались кости животных и редкие черепки поздне-бронзовой и древне-железной эпохи. Принадлежала ли эта яма энеолитическому комплексу, трудно сказать, во всяком случае, она была уже порожней, когда начала заполняться мусором в урартскую эпоху.

Общая, вскрытая нами в прошлом и в этом году, площадь на Кулбакеби слишком еще мала, чтобы решить в целом вопрос о характере всего памятника и его истории, но нашей задачей было предварительное выявление в доступном нам пока масштабе, по возможности, наиболее разносторонних проявлений производственно-хозяйственной деятельности и культуры населения Грузии в эпоху мощного подъема производительных сил с появлением плужного земледелия и освоения выплавки металла, особенно из сернистых... руд.

Как показывает предложенный материал, нам это удалось в значительной степени осуществить работой маршрутной экспедиции 1951 года.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამუზეუმო საქმე — МУЗЕЙНОЕ ДЕЛО

ს. გოლქვაძე

## აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპოზიციები

ქართველი და რუსი საზოგადოების პროგრესული ნაწილის ინიციატივით საიმპერატორო რუსული გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიურ განყოფილებასთან 1852 წელს დაარსდა მუზეუმი; იგი ფართო საზოგადოებისათვის გაიხსნა 1855 წლის სექტემბერში. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო შემოწირულების გზით შემოსული ბოტანიკური, ზოოლოგიური, ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური, დაქსაქსული მასალები. 1861 წელს რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიური განყოფილების ხელმძღვანელობაში მომხდარმა ცვლილებებმა გამოიწვია მუზეუმის თანდათანობითი ლიკვიდაცია, ხოლო 1864 წელს იგი დაიხურა. მუზეუმის მიერ ჩატარებულ მუშაობას უკვალოდ არ ჩაუვლია. მასში დაგროვილი მასალა გადაეცა კავკასიურ მუზეუმს. ეს მასალა დღესაც ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში, მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, როგორც მუზეუმში შემოსულ პირველ ექსპონატებს.

1867 წლის 2(14) იანვარს, თბილისში სერგიევის ქუჩაზე (ამჟამად მაჩაბლის ქუჩა) კერძო სახლის სამ ოთახში, ოფიციალურად გაიხსნა კავკასიური მუზეუმი. ამ დროიდან მუზეუმს საქმიანობა არ შეუწყვეტია და ამჟამად ცნობილია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სახელწოდებით.

კავკასიურ მუზეუმს მისი დაარსების დღიდან 39 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა დოქტორი გუსტავ ივანეს ძე რადე, ტომით გერმანელი ქ. დანციგიდან, პროფესიით ბუნებისმეტყველი. 1864 წლიდან მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს დავალებით იგი აწარმოებდა კავკასიის მხარის ბუნების შესწავლას. მეცნიერული მოგზაურობების და მოკლევადიანი ექსკურსიების შედეგად მან, საკმაო რაოდენობით შეკრიბა ბოტანიკური, ზოოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალა. ამ მასალების დასაცავად დაქირავებული იყო ბინა, სერგიევის ქუჩაზე, ცოვიანოვის სახლში. უახლოეს დროში საზოგადოების ინტერესი დაგროვილი მასალისადმი იმდენად გაიზარდა, რომ კვლავ დაისვა საკით-

ხი მუზეუმის დაარსების შესახებ. მეფისნაცვალმა 1865 წლის 2 ივლისს დაამტკიცა კავკასიური მუზეუმის დაარსების პროექტი. მუზეუმი მნახველთათვის, როგორც აღვნიშნეთ, გაიხსნა 1867 წლის 2(14) იანვარს, იგი წარმოადგენდა კომპლექსური პროფილის სამხარეთმცოდნეო მუზეუმს. რეფორმის შემდგომ პერიოდში ასეთი მუზეუმები მრავლად იყო რუსეთის იმპერიაში. გახსნის დღეს მუზეუმში ნაჩვენები იყო გეოლოგიური, ბოტანიკური, ზოოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალები. ეს იყო ჩვენება ფონდებისა და არა სამუზეუმო ექსპოზიციისა. მუზეუმი მნახველთათვის ღია იყო კვირაში სამჯერ.

1868 წლის აგვისტოდან დაიწყო ახალი სამუზეუმო შენობის მშენებლობა, რომელიც დასრულდა 1869 წელს; ამის შემდეგ ერთი წლის განმავლობაში მუზეუმი აწესრიგებდა ფონდებს და გასახსნელად ამზადებდა ახალ გამოფენას. 1870 წლის 1 სექტემბერს მუზეუმის გამოფენები გაიხსნა ახალ შენობაში. ეს შენობა მოთავსებული იყო მუზეუმის დღევანდელ ტერიტორიაზე. ახალ შენობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მუზეუმის საერთო წინსვლისათვის და კერძოდ საექსპოზიციო სამუშაოთა გაშლისათვის.

1875 წლის მოკლე მეგზურის მიხედვით მუზეუმის ექსპოზიცია შედგებოდა 5 განყოფილებისაგან. იგი წინა გამოფენასთან შედარებით მნიშვნელოვნად გამდიდრებული იყო მასალებით, ხოლო ექსპოზიციის მოწყობის მხრივ დიდად არ განსხვავდებოდა წინამორბედი ექსპოზიციისაგან. მხოლოდ ზოოლოგიურ განყოფილებაში გაჩნდა მისწრაფება ცხოველთა ბიოჯგუფებად გაერთიანებისა, ე. ი. მათი წარმოდგენისა ცხოველებისათვის დამახასიათებელ გარემოში.

მუზეუმი ღია იყო კვირაში სამჯერ.

ზემოაღნიშნული ექსპოზიცია, არსებობდა 1878 წლამდე. ამ ხნის განმავლობაში ხდებოდა მისი შევსება ახალი მასალებით, მაგრამ მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განუცდია.

1881 წლის სექტემბრისათვის თბილისში დანიშნული იყო მეხუთე საერთაშორისო არქეოლოგიური კონგრესი. მუზეუმის დირექტორმა ისარგებლა ამ შემთხვევით და ადვილად მიიღო ნებართვა არსებულ შენობაზე სართულის დაშენებისა, არქიტექტორ ზალცმანის პროექტით. დაშენებასთან და ახალი ექსპოზიციების მოწყობასთან დაკავშირებით მუზეუმი დახურული იყო 1879 წლის ოქტომბრიდან 1881 წლის სექტემბრამდე. ადრე მოწყობილი ექსპოზიციები მშენებლობის დროს ხელუხლებლად დარჩა.

«Как раз к назначенному сроку в Музее было все готово, чтобы торжество при открытии конгресса 9 сентября 1881 года, закончить торжественным открытием Музея» [2]. აღნიშნავდა რადე.

მუზეუმის ექსპოზიცია კონგრესის მონაწილეთა წინაშე წარსდგა მნიშვნელოვნად გაფართოებული და შევსებული სახით. ნაცვლად სამი ოთახისა, რომელშიც მოთავსებული იყო მუზეუმი 1867 წელს, ახლა მის განკარგულებაში იყო დიდი შენობა, 17 საექსპოზიციო დარბაზით.

„საზოგადოებამ დაათვალიერა მუზეუმი და დარწმუნდა, რომ ამდენი შრომა და ხარჯი უბრალოდ არ ყოფილა თურმე გაწეული, რომ ესეთი მუზეუმი, როგორც აქვს ეხლა ჩვენს ქალაქს, ბევრ ევროპის ქალაქს დაამშვენებდა... მართლა საუცხოვოდ მორთული და მდიდარი მუზეუმი აქვს ჩვენს ქალაქს“ — წერდა გაზ. „დროებაში“ ი. მეუნარგია.

იმ დროს ექსპოზიციები და ფონდის საცავები ერთმანეთისაგან არ იყო გამოყოფილი, ეს ჩანს განსაკუთრებით გეოლოგიისა და ბოტანიკის განყოფი-

ლებებში. გარდა ზოოლოგიისა და ეთნოგრაფიის განყოფილებებისა, ექსპოზიციების მოწყობის მხრივ ცვლილებები არ მომხდარა.

გეოლოგიის განყოფილება მნიშვნელოვნად იყო შევსებული ახალი კოლექციებით. მასალა წინანდებურად განლაგებული იყო რაიონების, ზოგ შემ-



სურ. 1. ბოტანიკური განყოფილება, ს აერთო ხედი.



სურ. 2. ზოოლოგიის განყოფილება, საერთო ხედი.

თხვევაში კი, სტრატიგრაფიის მიხედვით: ცალკე იყო გამოყოფილი ის სასარგებლო ნამარხები, რომლებიც გამოიყენებოდა კავკასიაში. უხვად. იყო წარ-

მოდგენილი აგრეთვე დამხმარე მასალა, რუკები, პრილები, კატალოგები, სურათები, ტაბულები და სხვ....

ბოტანიკური განყოფილებაც შევსებული ჩანდა ახალი მასალებით. დამახასიათებელი მცენარეულობა წარმოდგენილი იყო სარტყლების მიხედვით, ქვედა სარტყლიდან ალპურ ზონამდე. მასალების განაწილებაში ზოგ შემთხვევაში გამოყენებული იყო ჯერ კიდევ დაუხვეწავი. ბუნებრივი სისტემა — უმდაბლესიდან (სპოროვანები), უმაღლესამდე (ყვავილოვანი). აქაც დამხმარე მასალა ფართოდ იყო გამოყენებული.

გზამკვლევისა და ფოტოსურათების მიხედვით გეოლოგიისა და ბოტანიკის განყოფილება უფრო ფონდის საცავს ემსგავსება, ვიდრე ექსპოზიციას (სურ. 1).

ზოოლოგიის განყოფილებაში ბიოჯგუფები თანდათან უმჯობესდებოდა და ბოლოს ერთი ჯგუფი — ლენქორანის ჭაობის ფრინველები, წარმოდგენილი იყო სრული დიორამის სახით. ცხოველები (ხერხემლიანები) გაერთიანებული იყო მრავალ ბიოჯგუფში. ცხოველთა ფიტულები უმეტესად განლაგებული იყო ვერტიკალურად, ბუტაფორულ კლდეებზე (სურ. 2). ამ ხერხის გამოყენებით მიღწეული იყო ორი მიზანი, ცხოველთა ჩვენება ბიოჯგუფში და საექსპოზიციო ფართობის ეკონომია.

პირველად ამ გამოფენაზე იყო წარმოდგენილი ცხოველთა ენდემური სახეები მაგ., კავკასიური დომბა, როჭო და სხვ...

ამ დროისათვის რუსეთში უკვე რამდენიმე ეთნოგრაფიული მუზეუმი არსებობდა, ამის გარდა სხვადასხვა პროფილის მუზეუმებსაც ჰქონდათ ეთნოგრაფიის განყოფილებები, მათ შორის კავკასიურ მუზეუმსაც. ეთნოგრაფიული ფონდის შევსება არ იყო გეგმაზომიერი და ხდებოდა უმთავრესად კერძო შემოწირულებებით, ამიტომ ის შედგებოდა დაქსაქსული კოლექციებისაგან. მასალის დაქსაქსულობა და ხალხების სიჭრელე თავს იჩენდა ექსპოზიციაშიც.

ეთნოგრაფიის განყოფილებაში ექსპონატები განლაგებული იყო დანიშნულების მიხედვით, მაგ., იარაღი, მუსიკალური ინსტრუმენტები, ქალის სამკაული, თავსამკაული, ჭურჭელი და სხვ... ეს საგნები არ წარმოადგენდა, მხოლოდ კავკასიის ხალხების კუთვნილებას, ერთმანეთის გვერდით გამოფენილი იყო თურქული, სპარსული, ქურთული, ქართული, დონის კაზაკებისა და სხვათა კუთვნილი საგნები.

ამ დროის ფოტოებიდან ჩანს, რომ ეთნოგრაფიული მასალა, მაგ., კერამიკული ჭურჭელი, სპარსული სპილენძის ჭურჭელი, ხისგან დამზადებული საოჯახო ნივთები, დარბაზებში განლაგებული იყო პირამიდულად (სურ. 3). ცხადია, რომ ექსპონატების ასეთი კომპოზიცია, ექსპოზიციის მომწყობთ უკარნახა ზოოლოგიური მასალის ვერტიკალურმა განლაგებამ. ეს ხერხი აქაც საექსპოზიციო ფართობის ეკონომიის მიზნით იყო გამოყენებული, რაც ძლიერ ტვირთავდა ექსპოზიციას.

80-იანი წლების დამლევს და 90-იანი წლების დასაწყისში პრესაში დაიბეჭდა ორი წერილი, ერთი მოსკოვში და ერთი თბილისში, რომელთა ავტორები ბრალს დებდნენ გ. რადეს, საჩვენებელი კოლექციებით ზედმეტად გატაცებაში, სისტემატიკური ჩვენების საზიანოდ. მათ საპასუხოდ რადე სწერდა: «После удовлетворения научных требований... для возбуждения интереса... я охотно украсил бы все свободные места на стенах и потолках, соответственной живописью» [7] და მართლაც ჭერი და კედლები ეთნო-

გრაფიისა და სიძველეთა განყოფილებაში მთლიანად მოხატული იყო კავკასიური ორნამენტებით, იატაკი მოფენილი იყო ხალიჩებით, ვიტრინების ვერტიკალური სიბრტყეები დაფარული იყო ქსოვილებითა და ქარგულობით. ჭერის და კედლების მოხატულობის ორნამენტები ზუსტად იყო გადმოღებული კავ-



სურ. 3. ეთნოგრაფიული განყოფილება, საერთო ხედი.

კასიური ხალიჩებიდან და ჰქონდა ექსპონატების პრეტენზია, მაშინ როდესაც დარბაზები უკიდურესად გადატვირთული იყო პირველხარისხოვანი დედანი ექსპონატებით.

ამ განყოფილებაში შეტანილ იქნა მნიშვნელოვანი ცვლილება — კავკასიის ხალხების საჩვენებლად, ექსპოზიციაში გამოტანილი იყო ანტროპოლოგიური ტიპები — დედან კოსტუმებში ჩაცმული მანეკენების სახით. მანეკენებს როგორც ჩანს დიდი გამოყენება ჰქონდა რუსეთის მუზეუმებში მაგალითად რუმიანცევის მუზეუმში, 1867 წლის სრულიად რუსეთის ეთნოგრაფიული გამოფენის დახურვის შემდეგ შემოსულა მანეკენების მთელი არმია — 288 ცალი [4]. ექსპოზიციაში მანეკენები წარმოდგანილი იყო ცხრა ჯგუფად: ბარის ქართველები ცეკვავენ ლეკურს (სურ. 4), თუშები, ხევსურები, ფშავები, აბაძეხები და ყაბარდოელები, ჩეჩნები, ლეკები და ყუმიხები, აფხაზები, ქურთები, სპარსელები და თურქმენები, ქალაქის ტიპები მუშა და კინტო, სულ გამოტანილი იყო 50 მანეკენი. ჯგუფები გამოხატავდნენ ყოფის დამახასიათებელ სხვადასხვა სცენებს. მათ გარშემო დაჯგუფებული იყო ამა თუ იმ ხალხის მეურნეობის და წეს-ჩვეულებათა ამსახველი დედანი მასალები, რომლებიც წინათ კარადებში იყო მოთავსებული. ჯგუფები წარმოდგენილი იყო კედლებზე დახატული დამახასიათებელი პეიზაჟის ფონზე. ფიგურები შესრულებული იყო მოქანდაკე ფელიქს ხოდოროვიჩის მიერ, ხოლო პეიზაჟები ეკუთვნოდა მხატვარ გელვიგს. როგორც მითითებულია მუზეუმის 1881 წლის მეგზურში, ჯგუფების შექმნისას მხედველობაში იყო მიღებული, რომ «Во всех других

жизненных отношениях они сходны... потому что они существуют при одинаковых условиях природы» [6], როგორც ჩანს უკვე ჩაისახა ექსპოზიციებისადმი ეთნოგრაფიული მიდგომა — მასალების გაერთიანება ეთნიკური ნათესაობის ნიშნით.

ორნამენტებისა და სიძველეთა განყოფილება იწყებოდა ნუმიზმატიკით, რომელიც წარმოდგენილი იყო ცალკე ოთახში. მონეტების დიდი ნაწილი გან-



სურ. 4. ეთნოგრაფიული განყოფილება, მანეკენების ჯგუფი — ქართველები ცეკვავენ ლეკურს.

საზღვრული იყო სპეციალისტების მიერ. შემდეგ ოთახში გამოფენილი იყო ორნამენტების, წარწერების დედნები და პირები, ეკლესიების ფოტოები, საფლავის ქვები და სხვა. მომდევნო ოთხ ოთახში კი ნაჩვენები იყო არქეოლოგია. მასალები დალაგებული იყო გეოგრაფიული ნიშნით, ოთხი მდინარის ყუბანის, თერგის, რიონისა და მტკვრის აუზების მიხედვით. მათ შიგნით კი მასალები წარმოდგენილი იყო აღმოჩენის ადგილების ან შემომწირველთა მიხედვით. მისი ქრონოლოგიური რიგით წარმოდგენა, როგორც რადე აღნიშნავდა შეუძლებელი იყო იმის გამო, რომ მუზეუმს არ ჰყავდა არქეოლოგი.

მეორე სართულზე ასასვლელი კიბის უჯრის კედლები, ეთნოგრაფიის განყოფილებაში შესასვლელის წინ, მოხატული იყო ხუთი ფრესკით. უმთავრესად ბერძნული მითოლოგიიდან, რომლებიც ეხებიან კავკასიას — პრომეთეოსის დატირება ოკეანიდების მიერ, არგონავთების მოსვლა კოლხიდაში, იაზონი და მედეა ჰეკატეს ტაძარში და სხვა.

ფრესკები შესრულებული იყო მაშინ ცნობილი მხატვრის ფრანც ზიმის მიერ, რომელმაც კონკურსში გაიმარჯვა. კონკურსზე წარმოდგენილი რამდენიმე ესკიზი დღესაც ინახება მუზეუმში. ეს ფრესკები წარმოადგენდა ერთგვარ შესავალს, რომელიც ხაზს უსვამდა ექსპოზიციაზე წარმოდგენილი ხალხების უძველეს კულტურას.

1881 წლის სექტემბერში გახსნილი გამოფენები 28 წლის განმავლობაში მოქმედებდა, მნიშვნელოვანი ცვლილებების გარეშე. 1909 წლიდან ექსპოზიციების ნორმალური მუშაობა შეფერხდა, შენობის ავარიული მდგომარეობის გამო.

ამით მთავრდება რევოლუციამდელი პერიოდი მუზეუმის საექსპოზიციო საქმიანობისა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეიქმნა ხელსაყრელი პირობები ეროვნული კულტურის აყვავებისათვის. მთავრობის მიერ ჩატარებულ ღონისძიებათა შედეგად მუზეუმმა, რომელსაც 1919 წლიდან ეწოდებოდა საქართველოს მუზეუმი, დიდი სამუშაოები ჩაატარა და მსხვილ სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებად იქცა. განახლდა დაუმთავრებელი სამუზეუმო შენობის მშენებლობა და რეკონსტრუქცია. მუზეუმი რომელიც წინათ მოწყვეტილი იყო ქართულ მოწინავე საზოგადოებას, შეივსო ეროვნული კადრებით. მუზეუმის მუშაკები დიდი ენთუზიაზმით შეუდგნენ საქმეს. მიღებულ იქნა ზომები სამუზეუმო ფასეულობათა შესაკრებად და მუზეუმში დასაუნჯებლად. შესაძლებელი შეიქნა სამუზეუმო საქმიანობის და მასთან ერთად საექსპოზიციო მუშაობის გარდაქმნა მეცნიერულ საფუძველზე.

გაიშალა საექსპოზიციო მუშაობა. პირველი ექსპოზიცია მოწყობილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, იყო „ზოოლოგიური ექსპოზიცია“, რომლის პირველი ნაწილი გაიხსნა 1923 წელს. ეს ექსპოზიცია, რომელიც დღევანდლამდე არსებობს, მოეწყო ზოოლოგიის განყოფილების გამგის ი. ჩხიკვიშვილის ხელმძღვანელობით, ტაქსიდერმისტის კ. კრელისა და ამჟამად საქართველოს სახალხო მხატვრის ი. ვეფხვაძის მონაწილეობით.

ექსპოზიცია შედგება ათი ბიოჯგუფისაგან, რომლებშიც გამოტანილია, კავკასიის ფაუნის მთავარი წარმომადგენლები. დიდ დიორამებში ცხოველები



სურ. 5. ზოოლოგიის განყოფილება, 1923 წ., „ბიოჯგუფი — მგლები ხაფანგთან“.

წარმოდგენილია ბუნებრივ ეკოლოგიურ გარემოში. ეს ექსპოზიცია წარმოადგენს, გაფართოებულ და გაუმჯობესებულ გაგრძელებას იმ მუშაობისა, რომელიც ჩატარებული იყო წინამორბედ ექსპოზიციებში, ბიოჯგუფების შექმნის ხაზით. ცალკეა წარმოდგენილი ზოოლოგიური მასალა სისტემატიკური რიგით.

ექსპოზიციაში ახლაც იქცევს ყურადღებას მაღალი ოსტატობით შესრულებული ტაქსიდერმული და სამხატვრო სამუშაოები. ცხოველთა ფიტულები, დამახასიათებელი მოძრაობითა და გამომეტყველებით, განლაგებული ხელოვნურ ლანდშაფტზე, კედელზე დახატულ პეიზაჟის ფონზე იძლევა ცხოველთა ცხოვრების ბუნებრივი სურათის შთაბეჭდილებას და მუზეუმის დამთვალიერებელთა დიდ მოწონებას იმსახურებს (სურ. 5).

ექსპოზიციას მაღალ შეფასებას აძლევდნენ, როგორც სპეციალისტები, აგრეთვე სხვა მნახველები, მათ შორის აკად. ფ. კომაროვი, პროფ. მ. გილიაროვი, პროფ. ნ. გლადკოვი და სხვ... დიდი რუსი მწერალი მ. გორკი, რომელმაც 1928 წ. დაათვალიერა ეს ექსპოზიცია, წერდა: «Я видел только отдел зоологии и должен сказать, что его организуют образцово по наглядности, по красоте... Задние стены каждого отделения расписаны пейзажами неплохим художником, на фоне пейзажа умело размещены флора и фауна и все вместе дает вполне точную картину условий, в которых живет разнообразное и обильное кавказское зверье» [8].

გარდა აღნიშნული სტაციონარული ექსპოზიციისა ზოოლოგიის განყოფილების მიერ მუზეუმში სხვადასხვა დროს მოწყობილი იყო დროებითი, თემატური გამოფენები: „საქართველოს და მეზობელი რესპუბლიკების ფაუნა“ (1922 წ.), „სოფლის მეურნეობის მავნებლები და მათთან ბრძოლა“ (1932 წ.), „ტყის და სოფლის მეურნეობის მავნებლები და მათთან ბრძოლა“ (1944 წ.), „საქართველოს სარეწველო იხტიოფაუნა“ (1948 წ.), „მარცვლეული კულტურების ძირითადი მავნებლები და მათთან ბრძოლა“ (1952 წ.), „ქერქიჭამიების ზოგიერთი სახე საქართველოში“. ეს გამოფენები ეხმაურებოდნენ სოფლის მეურნეობის აქტუალურ საკითხებს და პრაქტიკულ საქმიანობას.

შემდეგი ექსპოზიცია მუზეუმში მოაწყო გეოლოგიის განყოფილებამ 1931 წელს, სახელწოდებით „საქართველოს მინერალური რესურსები“ აკად. ალ. თვალჭრელიძის ხელმძღვანელობით და მხატვარ ი. შარლემანის მონაწილეობით.

1937 წელს XVII საერთაშორისო გეოლოგიურ კონგრესთან (მოსკოვი) დაკავშირებით, გეოლოგიურმა საზოგადოებამ მუზეუმში მოაწყო უფრო ფართო მასშტაბის, იმავე სახელწოდების, ექსპოზიცია; მის მოწყობას ხელმძღვანელობდნენ აკად. ალ. ჯანელიძე და პროფ. კ. გაბუნია.

ექსპოზიციაში წარმოდგენილი იყო, იმ დროს, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილი ყველა საბადო; საბადოს მარაგისა და გეოლოგიური აგებულების შესახებ წარმოდგენას იძლეოდა დამხმარე მასალა: ჭრილები, ნახაზები, რუკები, პროფილები, ცხრილები და სხვ. (სურ. 6).

პარალელურად მოეწყო ექსპოზიციები — „დინამიკური და ისტორიული გეოლოგია“ და „თბილისის მიდამოების გეოლოგია“. პირველი ასახავდა, მიწაზე მოქმედი ეგზოგენური და ენდოგენური პროცესებით გამოწვეულ შედეგებს როგორც ისტორიულ, ისე გეოლოგიურ ხანაში და სიცოცხლის განვითარებას დედამიწაზე, მეორე კი თბილისის მიდამოების გეოლოგიური აღნაგობის სურათს. აღნიშნულ ექსპოზიციებს კონგრესის მონაწილეებმა და სხვა მნახველებმა მაღალი შეფასება მისცეს. „საქართველოს მინერალური რესურსების“ და „თბილისის მიდამოების გეოლოგიის“ ექსპოზიციები არსებობდა 1949 წლამდე.

აღნიშნული ექსპოზიციების ბაზაზე 1955 წელს მუზეუმის გეოლოგიის გან-

ყოფილებამ (ხელმძღვანელი მ. კაჭარავა) მოაწყო დღემდე არსებული ექსპოზიცია — „საქართველოს სასარგებლო ნამარხები“, მასში წარმოდგენილია საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილი ყველა სასარგებლო ნამარხი, რომელიც გამოიყენება სახალხო მეურნეობაში. განსაკუთრებით მდიდრადაა წარმოდგე-



სურ. 6. საქართველოს მინერალური რესურსები, 1937 წ. საერთო ხედი.

ნილი ძირითადად ბარიტისა და დარიშხანის მადნებისაგან შემდგარი ქიმიური ნედლეული, ტექნიკური და სანახელაო ქვები, მათეთრი თიხები, საშენი და დეკორაციული ქვები, მადნეული და სხვ..

ამ ექსპოზიციის შესავალს წარმოადგენს „დინამიკური და ისტორიული გეოლოგიის“ ექსპოზიცია. პარალელურად მოეწყო აგრეთვე პალეონტოლოგიური ექსპოზიცია — „ხერხემლიანთა და უხერხემლოთა ფაუნა“.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში შეიქმნა პირობები ეთნოგრაფიული მეცნიერების განვითარებისათვის. იგი ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ მეცნიერულ დისციპლინად. სხვადასხვა მუზეუმში გაბნეულმა ეთნოგრაფიულმა მასალებმა თავი მოიყარა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ჩატარდა რიგი ეთნოგრაფიული ექსპედიციები. საველე სამუშაოები რარიტეტული მეთოდის საპირისპიროდ, ახალ კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდის საფუძველზე დამყარდა, გაიშალა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა საქართველოს ეთნოგრაფიის ძირითადი პრობლემების დასამუშავებლად; ამან საშუალება მისცა მუზეუმს 30-იანი წლების დასაწყისში, აეღო გეზი საქართველოს ცალკეული კუთხეების ჩვენებისა, ეთნოგრაფიული ექსპოზიციების საშუალებით. 1931 წლის მარტში გაიხსნა ექსპოზიცია — „ხევსურეთის ეთნოგრაფია“ (სურ. 7), ხოლო 1932 წლის ბოლოს — „სვანეთის ეთნოგრაფია“ (სურ. 8), რომლებიც მომზადებული იყო პროფ. გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით და მხატვარ ი. შარლემანის მონაწილეობით.

ეს ექსპოზიციები, ასახავდნენ საქართველოს მთიანეთის ძველი ყოფისა და კულტურის თავისებურებას, თანმიმდევრულად და კომპლექსურად იყო წარმოდგენილი, მატერიალური კულტურა, მეურნეობა, რელიგიური და სო-

ციალური გადმონაშთები და მათი სპეციფიკა. ექსპონატები დაჯგუფებული იყო საცხოვრებელი თავდაცვითი და სამეურნეო ნაგებობათა დიორამების გარშემო. ვრცლად იყო წარმოდგენილი ახალი ყოფა და კულტურა, ეგრეთვე



სურ. 7. ხევსურეთის ეთნოგრაფია, 1931 წ. სამეურნეო იარაღები და საკულტო ნაგებობანი.



სურ. 8. სვანეთის ეთნოგრაფია, 1932 წ. დიორამა—მაჩუბი.

ცვლილებები, რომლებიც სოციალიზმის მშენებლობის პროცესში ხდებოდა სვანეთისა და ხევსურეთის კულტურასა და ყოფაში. ექსპოზიციები დიდ შთაბეჭდილებას ახდენდნენ მნახველებზე და პოპულარობითაც სარგებლობდნენ. ისინი წარმოადგენდნენ საქართველოში მეცნიერულ საფუძველზე აგებულ პირველ ეთნოგრაფიულ ექსპოზიციებს.

მომდევნო წლებში ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიის ფართო განვითარების შედეგად გადაიჭრა რიგი მნიშვნელოვანი პრობლემა. გაიშალა საექსპედიციო მუშაობა და დაგროვდა დიდძალი საექსპოზიციო მასალა. ამის შედეგად აუცილებელი გახდა ეთნოგრაფიული თემატიკის შესწავლის დონეზე მდგარი, ექსპოზიციის შექმნა.

1952 წლიდან დაიწყო მუშაობა „ე რ თ ი ა ნ ი ე თ ნ ო გ რ ა ფ ი უ ლ ი ე ქ ს პ ო ზ ი ც ი ი ს" მოწყობაზე, მასში მუზეუმის თანამშრომლებთან ერთად მონაწილეობდნენ ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების თანამშრომლები. ექსპოზიციის შექმნაში ისევე, როგორც საქართველოს ეთნოგრაფიის განვითარებაში, ხელმძღვანელი როლი ეკუთვნოდა პროფ. გ. ჩიტაიას.

ექსპოზიციის მოწყობა დამთავრდა და მნახველთათვის გაიხსნა 1954 წელს. ექსპოზიციის პირველ ნაწილში, სამუზეუმო ხერხებით ნაჩვენები იყო ქართველი ხალხის ძველი ყოფისა და კულტურის თვითმყოფადი ხასიათი, საქართველოს მატერიალური კულტურისა და მეურნეობის ძირითადი, დამახასიათებელი დარგები. მოვლენები წარმოდგენილი იყო ურთიერთდაპირისპირებაში, რაც ხაზს უსვამდა უთანასწორობას და წარმოაჩენდა ბურჟუაზიულ ურთიერთობათა კლასობრივ ხასიათს (სურ. 9). ახალი სოციალისტური ყოფისა და კულტურის



სურ. 9. ერთიანი ეთნოგრაფიული ექსპოზიცია, 1954 წ. ძველი ყოფის განყოფილება, დიორამა—გლეხის დარბაზი.

ნაწილში, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განყოფილებებში ასახული იყო მშრომელთა საწარმოო, სოციალური და საოჯახო ყოფა (სურ. 10).

ეთნოგრაფიული მოვლენები ექსპოზიციაში წარმოდგენილი იყო სხვა საზოგადოებრივ მოვლენებთან მჭიდრო კავშირში და განიხილებოდა ისტორიულ ასპექტში. დამაჯერებლად იყო ნაჩვენები, რომ ყოფაში შემონახული კულტურის ელემენტები შექმნილია ხანგრძლივი საწარმოო გამოცდილების საფუძველზე.

ექსპოზიცია აგებული იყო ახალი და ძველი ყოფისა და კულტურის ურთიერთდაპირისპირების პრინციპით. ასეთი დაპირისპირება ხელს უწყობდა სოციალისტური ყოფისა და კულტურის უპირატესობის თვალნათლივ წარმოჩენას, ამავე დროს ექსპოზიციას ანიჭებდა იდეურ სიმახვილეს.



სურ. 10. იგივე ექსპოზიცია, ახალი ყოფის განყოფილება, საერთო ხედი.

მხატვრულმა გაფორმებამ (მხატვარი ნ. ბრაილაშვილი), რაც გამოიხატა სადა და ექსპოზიციისათვის მეტად შესაფერი ავეჯისა და დიორამების შექმნაში, საექსპოზიციო კომპლექსებში მასალის მკაფიო განაწილებაში, გააადვილა როგორც ექსპოზიციაში გამოტანილი ცალკეული თემების სწორი აღქმა, ისე მთლიანი ექსპოზიციის მთავარი იდეის წარმოჩენა.

ექსპოზიციამ მაღალი შეფასება მოიპოვა როგორც პრესაში, ისე დამთვალიერებელთა შორის. საბჭოთა კავშირის ეთნოგრაფთა სესიაზე (მოსკოვი — 1955) იგი მიჩნეულ იქნა ქართული ეთნოგრაფიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევად.

მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილება გარდა ზემოაღნიშნული ექსპოზიციებისა სისტემატურად აწყობდა თემატურ გამოფენებს. 1932 წელს მოეწყო „ქართული ნაქარგობის გამოფენა“, 1938 წ. — „კავკასიური ხალიჩები“, 1939 წ. — „ქართული ტანსაცმელი“ და „ქართული ჩუქურთმა ხეზე“, 1941 წელს — „ქართული საჭურველი“ და სხვ... ეს გამოფენები დამთვალიერებელთა დიდ მოწონებას იმსახურებდა.

1964 წელს ეთნოგრაფთა და ანთროპოლოგთა VII საერთაშორისო კონგრესთან დაკავშირებით ორგანიზებული იყო ორი გამოფენა—ერთი, „ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშები“ — მოსკოვში და მეორე, „კავკასიის ხალხთა შინამრეწველობის ზოგიერთი დარგი“ — თბილისში (ხელმძღვ. გ. ჯალაბაძე). ამ გამოფენაზე გამოტანილი იყო კავკასიური ხალიჩა, ჭედური ხელოვნების ნიმუშები, კერამიკა, კავკასიური ტანსაცმელი. ეს იყო ეთნოგრაფიული გამოფენის, მუზეუმში უკვე მიღებულ, ახალ პრინციპზე მოწყობის ცდა. მასალების შეზღუ-

დული რაოდენობის გამოტანით, ფონებისა და განათების შერჩევით მიღწეულ იქნა სათანადო ეფექტი. ამ გამოფენამ მნახველთა მოწონება დაიმსახურა. კარგი შთაბეჭდილება მოახდინა აგრეთვე მოსკოვში მოწყობილმა გამოფენამ, რომელიც კონგრესის მონაწილეთა გარდა რამდენიმე ათასმა დამთვალიერებელმა ნახა.

მუზეუმში, მისი არსებობის მანძილზე დაგროვდა მეტად მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მასალა, თუმცა როგორც ზემოთ იყო აღნიშნული მისი მოპოვება და შესწავლა ყოველთვის არ იყო დამყარებული მეცნიერულ საფუძველზე. მხოლოდ 1925 წლიდან იწყება, ერთი მხრით, ფონდებში დაცული მასალის სისტემატიზაცია და მეორე მხრით, ახალი მასალების მოპოვება არქეოლოგიური გათხრების საშუალებით. მასალების ახალი მეცნიერული მეთოდებით შეკრების, საფონდო მასალების მოწესრიგების და შესწავლის შედეგად, შესაძლებელი გახდა უძველესი დროიდან ჩვენება ბრინჯაოს კულტურის ადგილობრივი ლოგიკური განვითარების. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობის ფაქტად უნდა ჩაითვალოს მუზეუმში პირველი არქეოლოგიური ექსპოზიციის მოწყობა 1934 წელს. ექსპოზიციას ეწოდებოდა — „წინაკლასობრივი საზოგადოება ამიერკავკასიაში“ (სურ. 11), უკვე ამ დასახელებაში და თემატურ სტრუქტურაში ჩანს ექსპოზი-



სურ. 11. წინაკლასობრივი საზოგადოება ამიერკავკასიაში, 1934, საერთო ხედი.

ციის ორგანიზატორების — პროფესორების გ. ნიორაძისა და ბ. კუფტინის, იმდროისათვის სრულებით ახლებური მიდგომა მატერიალური კულტურის ისტორიისადმი. აქ მოძველებული რარიტეტული ჩვენების ნაცვლად არქეოლოგიური მასალები პირველად იყო განლაგებული საზოგადოების სამეურნეო, სოციალური და კულტურული განვითარების, ე. ი. თვითონ ისტორიული პროცესის საჩვენებლად. ეს ექსპოზიცია იყო დიდი წინსვლის მომასწავებელი საქართველოს არქეოლოგიის, როგორც ისტორიული მეცნიერების განვითარებაში. ამ ექსპოზიციაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მხატვრულ გაფორმებას (მხატვრები — პროფ. ი. შარლემანი, ცნობილი ანიმალისტი ვ. ვატაგინი და

მხატვ. დ. ციციშვილი), რომელიც ნაწილობრივ აგრძელებდა ძველ ტრადიციებს (დიორამა) და ამავე დროს შეიცავდა ახალ ელემენტებს, მასალების მნახველთათვის მიწოდებაში — ექსპონატების ურთიერთ დამოკიდებულების მკაფიო გადმოცემა, მხატვრული ფონები და სხვ., რამაც შემდგომი არქეოლოგიური ექსპოზიციების მოწყობისას დიდი როლი შეასრულა.

30—40-იან წლებში დიდი მასშტაბის არქეოლოგიური კვლევა-ძიება გაიშალა რესპუბლიკაში, ზოგი მათგანი წარმოებდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მონაწილეობით. ასეთი იყო თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიცია პროფ. ბ. კუფტინის ხელმძღვანელობით, რომლის შედეგებმა შესაძლებელი გახადა რიგი კარდინალური საკითხების ახლებურად გაშუქება; მაგალითად, მუზეუმში დამუშავდა საქართველოსა და მთლიანად ამიერკავკასიის არქეოლოგიური ძეგლების ახალი პერიოდიზაცია. იმავე მყარ საფუძველზე გადაიჭრა საკითხი ქართული კულტურის ავტოხტონობის შესახებ კავკასიაში.

ექსპოზიცია — „ქართული კულტურის უძველესი კერები — თრიალეთი და მცხეთა“, რომელიც ორგანიზებული იყო 1941 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტთან ერთად, აკად. ს. ჯანაშიას და პროფ. ბ. კუფტინის ხელმძღვანელობით, წარმოადგენდა რესპუბლიკაში გაშლილი არქეოლოგიური სამუშაოების შეჯამებას და ასახავდა, იმ დროისათვის, ყველა ახალ მიღწევას მეცნიერების ამ დარგში (სურ. 12).



სურ. 12. ქართული კულტურის უძველესი კერები — თრიალეთი და მცხეთა 1941 წ., საერთო ხედი.

ამ ექსპოზიციაში პირველად, სრული სახით წარმოდგა ქართული კულტურის განვითარების ორი უძველესი პერიოდი — შუაბრინჯაოს ხანა, როდესაც მოხდა დიდი ტომობრივი გაერთიანებების კონსოლიდაცია — თრიალეთის ბრწყინვალე კულტურის კერის მაგალითზე და ანტიკური ხანის იბერიის ძლიერების პერიოდი, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მონაპოვართა მიხედვით. ექსპოზიციები აგებული იყო მონოგრაფიულ პრინციპებზე. ერთი მხრივ ნაჩვენები იყო არქეოლოგიური კომპლექსები, ხოლო მეორე მხრივ—მათი კულ-

ტურულ-ისტორიული მნიშვნელობა. ამ ექსპოზიციის მნიშვნელობა მდგომარეობდა იმაში, რომ პირველად გახდა ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის საქართველოს ისტორიის მანამდე თითქმის სრულიად უცნობი ფურცლები.

დიდი ყურადღება ჰქონდა დათმობილი მეურნეობის სხვადასხვა დარგებს, ხელოსნობას, მათ შორის ოქრომჭედლობას. ხაზგასმული იყო საქალაქო ცხოვრების განვითარება ანტიკური ხანის იბერიაში, ნაჩვენები იყო მნიშვნელოვანი სოციალური მოვლენები საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

აღნიშნულ ექსპოზიციებს საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა; მათი შექმნის შედეგად, წარმოდგა საქართველოს ისტორიის მეტ-ნაკლებად ერთიანი სურათი უძველესი დროიდან ახალი ერის V—VI საუკუნემდე.

1937 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი მონაწილეობდა შ. რუსთაველის 750 წლის იუბილესთან დაკავშირებული „შოთა რუსთაველი და მისი ეპოქის“ გამოფენის მოწყობაში. ეს გამოფენა სამი სექტორისაგან შედგებოდა: 1. ლიტერატურის სექტორი (ხელმძღვანელი პ. ინგოროყვა), 2. ხელოვნების სექტორი (ხელმძღვანელი პროფ. გ. ჩუბინაშვილი), 3. ყოფა-ცხოვრების და მეურნეობის სექტორი. ეს უკანასკნელი სექტორი, რომელიც მოწყობილი იყო ივ. ჯავახიშვილის უშუალო ხელმძღვანელობით, 1938 წლიდან დატოვებულ იქნა მუზეუმში, როგორც სტაციონარული ექსპოზიცია, სახელწოდებით: „XI—XIII სს. საქართველოს მატერიალური კულტურა“.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ამ დროის თითქმის ყველა დარგი. ყოფა-ცხოვრებისა და მეურნეობის საჩვენებლად გამოტანილი იყო როგორც ნივთიერი ექსპონატები, აგრეთვე საკმაო რაოდენობის დამხმარე მასალებიც.

I დარბაზში ნაჩვენები იყო სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების ამსახველი მასალები — კერძოდ, მემინდვრეობა, მევენახეობა, მეცხვარეობა; წარმოდგენილი იყო აგრეთვე ალაზნის სარწყავი სისტემა და სხალტბის წყალსადენი.

II დარბაზში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი ქსოვილებსა და ტანსაცმელს, რაც ნაჩვენები იყო სოციალური ფენებისა და საქართველოს პროვინციების მიხედვით. ამასთან ერთად გამოფენილი იყო პირისსაფარეშო ნივთები, ქართული ავეჯი და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები, აგრეთვე დმანისის აბანოები.

შემდეგ, დახასიათებული იყო სახელმწიფოს ეკონომიური მდგომარეობა— სავაჭრო გზების, ხიდებისა და ფუნდუკების მნიშვნელობა, ფულის მიმოქცევა და სხვ... აქვე გამოფენილი იყო ამ პერიოდის სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული ჭურჭელი, როგორც ადგილობრივი ასევე იმპორტული; შედარებით მცირე ადგილი ჰქონდა დათმობილი სამშენებლო კერამიკას და ზოგიერთ სხვა მასალებს, რომლებიც ახასიათებდნენ მშენებლობის დონეს. გამოფენას აგვირგვინებდა XI—XIII სს. საქართველოს დიდი პოლიტიკური რუკა, რომელზედაც ნაჩვენები იყო ყველა მნიშვნელოვანი ქალაქი, ციხე-ქალაქი, სიმაგრეები და სხვა (სურ. 13).

ნივთიერი მასალა უმთავრესად მოპოვებული იყო სპეციალურად მოწყობილი არქეოლოგიური გათხრების შედეგად. დედანი ექსპონატების გვერდით წარმოდგენილი იყო ისტორიული ხასიათის კედლის მხატვრობის და მინიატურების პირები, აგრეთვე ნახაზები და ნახატები.

ამ გამოფენამ ნათლად წარმოაჩინა XI—XIII სს. საქართველოს უმნიშვნელოვანესი როლი ამ ხანის საერთაშორისო ცხოვრებაში.

თუმცა ექსპოზიცია არ ისახავდა მიზნად ეჩვენებინა ისტორიული პროცესი, იგი დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებელზე.

მუზეუმის ბოტანიკის განყოფილებამ 1948 წელს მოაწყო გამოფენა „საქართველოს ტყეები“. მასზე ნაჩვენები იყო საქართველოს ძირითადი ხის ჯიშები და მათი საწარმოო მნიშვნელობა. ეს გამოფენა 1949 წლამდე არსებობდა.



სურ. 13. „XI—XIII სს. საქართველოს მატერიალური კულტურა“, 1937 წ., საერთო ხედი.



სურ. 14. სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების მიღწევები, 1952 წ., ქართული პურეული მცენარეების მთავარი ჯიშები.

1952 წელს ამავე განყოფილებას დაეკისრა ექსპოზიციის შექმნა, რომელშიც ნაჩვენები იქნებოდა — „საქართველოს სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების მიღწევები“ (ხელმძღ. ვ. პაპავა, მხატვარი კ. ჭანკვეტაძე, კონსულ-

ტანტი აკად. ნ. კეცხოველი). ექსპოზიციის მოწყობაში მონაწილეობდნენ ზოოლოგიის განყოფილების თანამშრომლებიც (სურ. 14).

მანამდე, 1950 წლიდან მუზეუმში არსებობდა იმავე სახელწოდების უფრო მცირე მასშტაბის გამოფენა, რომლის ბაზაზე შეიქმნა ახალი ექსპოზიცია. ექსპოზიციაში წარმოდგენილი იყო: ჩაი, ციტრუსები, თამბაქო, მევენახეობა-მეღვინეობა, მემინდვრეობა, მებაღეობა, ზეთოვანი და ტექნიკური კულტურები, მეცხოველეობა და სხვა დარგები. ექსპოზიციაში ჩართული იყო დიორამები და შესაბამისი მასალა განლაგებული იყო მეურნეობის ამა თუ იმ დარგის ბუნებრივი სურათის გარშემო [12] მიუხედავად ექსპოზიციაში გამოტანილი მრავალი ნივთიერი ექსპონატისა, მაინც ჭარბობდა ბრტყელი მასალა, მხატვრული გაფორმება საგამოფენო-დეკორაციული იყო. თუმცა ექსპოზიცია პროფილით არ იყო სამუზეუმო მაგრამ იმ პირობებში, როდესაც რესპუბლიკაში არ არსებობდა სახალხო მეურნეობის მიღწევების გამოფენა, მან შეასრულა დადებითი როლი, სოფლის მეურნეობის მიღწევათა პოპულარიზაციის მხრივ. ექსპოზიცია დაიხურა 1958 წელს.

მუზეუმი პერიოდულად აწყობდა თემატურ და სხვადასხვა მოვლენებთან ან საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებულ გამოფენებს. 1934 წლის სექტემბერში საქართველოში გადახდილ იქნა ფირდოუსის იუბილე. იუბილესათვის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა და ხელოვნების მუზეუმმა „მეტეხმა“ საქართველოს მუზეუმის პალეოგრაფიული განყოფილების გამგის პ. ინგოროყვას ხელმძღვანელობით მოაწყეს დიდი გამოფენა „ფირდოუსი და ქართულ-ირანული ურთიერთობა ლიტერატურასა და ხელოვნებაში“ გამოსაფენი მასალების შერჩევა და მათი მეცნიერული დამუშავება შეასრულეს პ. ინგოროყვამ და ალ. ბარამიძემ, მხატვრულ გაფორმებაში მონაწილეობდნენ მეტეხის მუზეუმის დირექტორი დიმიტრი შევარდნაძე და იმავე მუზეუმის თანამშრომლები შალვა აბრამიშვილი და გიორგი ერისთავი.

1955 წლის ოქტომბერში მუზეუმში გაიხსნა დიდი გამოფენა — „დავით გურამიშვილის ცხოვრება და შემოქმედება“, რომელიც მიძღვნილი იყო პოეტის დაბადების 250 წლისთავისადმი. მის მოწყობაში გარდა მუზეუმისა მონაწილეობდა საქართველოს მწერალთა კავშირი და რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი. გამოფენის მოწყობას ხელმძღვანელობდა აკად. ალ. ბარამიძე, მხატვრულად გააფორმა საქ. სახ. მხატვარმა ლ. გუდიაშვილმა.

გარდა ამისა მუზეუმმა ორიენტალისტთა XXV საერთაშორისო კონგრესისათვის 1960 წელს მოსკოვში მოაწყო გამოფენა, სადაც ნაჩვენები იყო ქართული კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლები: არქეოლოგიური, ისტორიული, ეთნოგრაფიული; გამოფენილი იყო აგრეთვე აღმოსავლეთმცოდნეობასთან დაკავშირებული ქართული წიგნები.

ამ გამოფენის მომწყობთ კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტმა მადლობა გამოუცხადა.

სხვადასხვა დროს მუზეუმში მოეწყო აგრეთვე რამდენიმე დახურული ტიპის მუდმივი გამოფენა — „ხელნაწერი წიგნები“, „ძვირფასი ნივთების სეიფი“, „ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები“ (1952 წ.). ძვირფასი ნივთების სეიფი ახლაც არსებობს და მრავალ მაყურებელს იზიდავს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მუზეუმში არსებული მეცნიერულ-ათეისტური მეთოდური კაბინეტის მიერ 1960—1967 წწ. მოწყობილი იყო რამდენიმე ანტირელიგიური ხასიათის მოძრავი გამოფენა.

1960 წელს მოეწყო გამოფენა — „მეცნიერება უარყოფს რელიგიურ თქმულებებს სამყაროს წარმოშობისა და აგებულების შესახებ"; 1962 წელს ორგანიზებულ იქნა მეორე გამოფენა — „მეცნიერება რელიგიის შესახებ", რომელიც არსებობდა 1964 წლამდე. 1964 წელს მოხდა ამ გამოფენის სრული რეექსპოზიცია — იგი შეივსო ახალი თემებითა და მასალებით. ეს გამოფენა დემონსტრირებული იყო ქ. თბილისის მსხვილ საწარმოო-დაწესებულებებში, კალინინის სახ. რაიონის კულტურის სახლებსა და სკოლებში, სულ 25 ობიექტზე. 1966 წელს კი იგი სამუდამო სარგებლობაში გადაეცა თბილისის საავიაციო ქარხანას, სადაც ამ გამოფენის ბაზაზე მოეწყო ათეიზმის სახლი.

1966 წელს მუზეუმმა მოაწყო ორი გამოფენა — ერთი კიროვის სახ. რაიონის კულტურის სახლში და მეორე თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ფილოსოფიის კათედრის დარბაზში. კიროვის რაიონულ კულტურის სახლში მოწყობილი გამოფენის ბაზაზე შემდეგში შეიქმნა რაიონული ათეიზმის სახლი.

1967 წელს ზემდგომი ორგანოების დავალებით მუზეუმმა ორჯონიკიძის სახ. კულტურისა და დასვენების პარკში მოაწყო ანტირელიგიური გამოფენა თემაზე — „მეცნიერება რელიგიის შესახებ", მის საფუძველზე თბილისის პარტიის საქალაქო კომიტეტმა დააარსა საქალაქო ათეიზმის სახლი.

ცნობილია რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის დამკვიდრების შედეგად დიდი ცვლილებები მოხდა მეცნიერული კვლევის მეთოდებსა და ფორმებში. ამ მოვლენამ ძირფესვიანად შეცვალა მუზეუმის საქმიანობაც. ცალკეული, იზოლირებული, იშვიათი ნივთების ჩვენების ნაცვლად წარმოიშვა თემატური მიდგომა ექსპოზიციის მოწყობისადმი. ამის მაგალითად, სხვა მუზეუმებთან ერთად, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმიც შეიძლება იყოს დასახელებული.

ახალი მეთოდის მოშველიების შედეგად თაროებზე მშვიდად მთვლემარე ექსპონატებმა შეიძინა შინაგანი ძალა და დინამიკურობა, ისინი აღმოჩნდა ურთიერთკავშირში და ამით შესძლეს მოეცათ იმ მოვლენათა ფართო სურათი, რომელთა მოწმეები თვითონ იყვნენ. მნახველები მუზეუმში უკვე მოდიოდნენ არა იშვიათი ნივთების, არამედ მეცნიერული შინაარსით სავსე ექსპოზიციების სანახავად.

მეცნიერების განვითარების, ცოდნის და მასალების დაგროვების გარკვეულ ეტაპზე, აუცილებელი ხდება არსებული ექსპოზიციების რეკონსტრუქცია, ამასთან ერთად ყოველი ეტაპი მოითხოვს ახალ, თანამედროვეობისათვის შესაფერ მიდგომას ექსპოზიციის მოწყობისადმი, როგორც შინაარსის, ისე მხატვრული გადაწყვეტის მხრივ.

ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში მუზეუმი პირველად დადგა — „საქართველოს ერთიანი ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპოზიციის" შექმნის ამოცანის წინაშე. ამ დროისათვის არსებული „არქეოლოგიური გამოფენა დიდად ჩამორჩა ამ დარგის მიღწევებს; ამასთანავე დაირღვა გამოფენის თემატიკური და ქრონოლოგიური თანმიმდევრობა და რაც მთავარია, მოძველდა თვით ექსპოზიციის პრინციპი. ამრიგად არქეოლოგიური გამოფენის გადახალისების საჭიროება, რაც უკვე კარგა ხანია იგრძნობოდა, დღეს აუცილებლობად იქცა" [13].

საკითხის ასეთი დაყენება გულისხმობდა ფართო გეგმების დასახვას ერთიანი გამოფენის შესაქმნელად. 1952 წლიდან მუზეუმის სამუშაო გეგმაში შეტანილი იყო თემატურ-საექსპოზიციო გეგმების დამუშავება. ამიერიდან მატე-

რიალური კულტურის ისტორიის განყოფილებების ყველა ექსპოზიცია განიხილებოდა, როგორც ერთიანი ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპოზიციის ნაწილი.

პირველი ექსპოზიცია, რომელიც შეიქმნა ერთიანი ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპოზიციის საერთო ამოცანის შესაბამისად იყო — „ბურჟუაზიული საქართველოს ექსპოზიცია“ (ხელმძღვ. შ. ხანთაძე, მხატვარი კ. ჭანკვეტაძე). ამ ექსპოზიციის მოწყობით მუზეუმი პირველად შეეხო გვიანი პერიოდის მოვლენების ასახვას სტაციონარულ ექსპოზიციაში. ექსპოზიცია იწყებოდა საქართველოს რუსეთთან შეერთებით. შემდეგ წარმოდგენილი იყო ქართველი ხალხის ეკონომიური, სოციალური და კულტურული განვითარება XIX ს. რეფორმამდელ ხანაში. ეს პერიოდი მთავრდებოდა რეფორმის მემამულური მძარცველური ხასიათის ჩვენებით. რეფორმის შემდგომდროინდელ ხანაში ნაჩვენები იყო კაპიტალიზმის შეჭრა სოფლის მეურნეობაში, მრეწველობის განვითარებაში, აგრეთვე ბურჟუაზიული კულტურის, იდეოლოგიის და ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის გაჩენა. შემდეგ ნაწილში წარმოდგენილი იყო მუშათა კლასის წარმოშობა, მარქსიზმის გავრცელება, პოლიტიკური ბრძოლის დასაწყისი და 1905—1907 წლების რევოლუცია. ბოლო ნაწილში ნაჩვენები იყო მენშევიკური საქართველოს მძიმე პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა. გამოფენა მთავრდებოდა დიდი პანოთი, რომელიც გამოხატავდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას. ასეთი მრავალთემიანი და რთული პერიოდის წარმოსადგენად მუზეუმში მაშინ მოიპოვებოდა მეტად მცირე ნივთიერი მასალა. ამან გამოიწვია ბრტყელი მასალის მოზღვავება ექსპოზიციაში. მხატვრული გაფორმება უმთავრესად ბრტყელი მასალის — სურათების განლაგებაში გამოიხატა. ამის გამო მისი ზემოქმედების ძალა ძლიერ სუსტი იყო. ამ გამოფენამ მუზეუმის მუშაკებს შესძინა გვიანი პერიოდის ექსპოზიციის მოწყობის გამოცდილება. ექსპოზიცია გაიხსნა 1958 წლის სექტემბერში და დაიხურა 1966 წლის მარტში.

1961 წელს გაიხსნა „ერთიანი ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპოზიციის პირველი ნაწილი — უძველესი დროიდან ახ. წ. ა. IV საუკუნემდე“ (ხელმძღვანელი ალ. ჯავახიშვილი, მხატვარი ა. ვარაზი). ექსპოზიციაზე ასახულია საქართველოს მიწა-წყალზე მოსახლე ტომების სამეურნეო საქმიანობის. კულტურისა და სოციალური ცხოვრების უმთავრესი საფეხურები, უძველესი დროიდან ადრეფეოდალურ ხანამდე.

ექსპოზიციის ავტორები არ ისახავდნენ მიზნად თვითონ ისტორიის ჩვენებას, მაგრამ ცალკეული თემების ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გაშლის შედეგად ისტორიულობა მიღწეულ იქნა. ექსპოზიცია წარმოდგენილია ოთხ განყოფილებად, ქვის ხანა, ლითონის წარმოების ადრეული ეტაპი — შუა ბრინჯაოს ხანა, გვიანბრინჯაო — ადრეული რკინის ხანა, ანტიკური ხანა.

„საქართველოში არქეოლოგიური კვლევა-ძიების დაწინაურების ყველაზე მკაფიო ილუსტრაციას წარმოადგენს საქართველოს აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში მოწყობილი ახალი არქეოლოგიური გამოფენა. რომელიც არსებითად მონოგრაფიული შეჯამებაა ქართველ არქეოლოგთა მიერ ორმოცი წლის მანძილზე განხორციელებული დიდი საველე და სამეცნიერო კვლევითი მუშაობისა“, წერდა პროფ. ა. აფაქიძე ექსპოზიციის გახსნის დღეებში [16].

ავტორები ახლებურად მიუდგნენ ექსპოზიციის მოწყობის საქმეს, ეს გამოიხატა მასალების დამთვალიერებელთათვის მიწოდებაში და მხატვრულ გადაწყვეტაში, რამაც ამ ექსპოზიციას საეტაპო მნიშვნელობა მიანიჭა.

საგამოფენო მასალა გამოტანილია მაქსიმალურად შეზღუდული რაოდენობით. მუზეუმის ფონდებში თავმოყრილი დიდძალი პირველხარისხოვანი არქეოლოგიური მასალიდან შერჩეული იქნა მხოლოდ თემის იდეის გასახსნელად საჭირო — ტიპური და უნიკალური ექსპონატები. ექსპოზიცია თითქმის მთლიანად განხორციელებულია დედანი ექსპონატების საშუალებით, რაც მის დიდ ღირსებად უნდა ჩაითვალოს, რასაკვირველია ამის საშუალებას დედანი ნივთების სიუხვეც იძლეოდა. მასალების ასეთმა მკაცრმა შერჩევამ ხელი შეუწყო მათ თავისუფლად განლაგებას (სურ. 15).



სურ. 15. ერთიანი ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპოზიცია. პირველი ნაწილი — უძველესი დროიდან ახ. წ. ა. IV საუკუნემდე — 1961 წ., ადგილზე მოჭრილი ადრებრინჯაოს ხანის საცხოვრებელი შენობის ფრაგმენტი.

შეიქმნა სრულებით განსხვავებული საერთო შთაბეჭდილება წინამორბედ ექსპოზიციებთან შედარებით. ვიტრინები დალაგდა მხოლოდ კედლების გასწვრივ, რის გამოც გათავისუფლდა დარბაზების შუა სივრცე, შეიქმნა ექსპოზიციის მთლიანი აღქმის საშუალება. ბოლო მოეღო მაყურებელთა შეჯგუფებას. დარბაზებში დამკვიდრდა სიმშვიდისა და მყუდროების განწყობილება. ამ განწყობილებას აძლიერებს აგრეთვე განათება. ექსპოზიციას ანათებს მხოლოდ ვიტრინის შიგნიდან მომდინარე სინათლე. იგი მთლიანად იპყრობს მაყურებლის ყურადღებას და იტაცებს ექსპონატებისაკენ. ამ ხერხით სრულებით მიჩქმალულია ავეჯის და ინტერიერის არქიტექტურა, რელიეფურად წარმოჩენილია ექსპონატები და თემების შინაარსი (სურ. 16).

როგორც ცნობილია, არსებობს ორი აზრი იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ექსპონატების გარემო ექსპოზიციაში. ერთნი ემხრობიან მაქსიმალურად სადა გარემოს შექმნას, რომ მან არ შეუშალოს ხელი ექსპოზიციის შინაარსის აღქმას, მეორენი კი იცავენ იმ აზრს, რომ საჭიროა ისეთი გარემო, რომ-

ლის სტილი შეესაბამება ექსპონატების შექმნის ეპოქას [17]. ამ ექსპოზიციის შემქმნელნი მართებულად იზიარებენ პირველ მოსაზრებას.

ცნობილია, რომ ისტორიული ექსპოზიცია წარმოადგენს თანამედროვე თვალსაზრისით ახსნილი ისტორიული მოვლენების ჩვენებას, ნივთიერი მასა-



სურ. 16. ერთიანი ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპოზიცია, პირველი ნაწილი — ადრეანტიკური-ელინისტური ხანა, 1961 წელი, საერთო ხედი.

ლის საშუალებით. დღევანდელობის დონეზე მდგარი მხატვრული გადაწყვეტა, ხაზს უსვამს თანამედროვე თვალსაზრისის გატარებას ექსპოზიციის შინაარსში: ამავე მიზეზით გამოიყურება ეს უძველესი მასალა ასე ახლებურად.

ყოველი ვიტრინა ამ ექსპოზიციაში წარმოადგენს მხატვრულად დასრულებულ ერთეულს. იშვიათი მხატვრული ალღოთია შექმნილი, პირველხარისხოვანი ექსპონატებისაგან კომპოზიციები და შერჩეული ფერადი ფონები, რაც ხელს უწყობს საექსპოზიციო კომპლექსების შინაარსის გადმოცემას.

მთელი ექსპოზიცია მაყურებელს წარმოუდგება მეცნიერული შინაარსით სავსე, ერთ მთლიან ნაწარმოებად. ალბათ ამაშია ძალა მისი ზემოქმედებისა მაყურებელზე, რომელიც ამ ექსპოზიციაზე არა მარტო ცოდნას იძენს, არამედ ემოციურად დატვირთული ტოვებს დარბაზს. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ნაწყვეტს ლეონიდ ვოლინსკის სტატიიდან: «... Три года тому назад в Тбилиси я видел археологическую выставку-вероятно, лучшую из всех, какие мне приходилось видеть. Ее устроители проявили большой вкус и такт, закрыв наглухо в этих залах окна и обтянув стены узловатой суровой тканью, похожей на первые сотканные человеком на первом станке... А вдоль стен светились каким-то собственным внутренним светом прозрачные стеклянные призмы, они сразу же поглащали ваше внимание и вели вас по ступеням тысячелетий издалека, из тех правремен, когда на этих землях еще только начинался процесс формирования человека.

Понадобилось бы много времени, чтобы рассказать, как наглядно и впечатляюще передан был путь человеческого развития в строго отобранных и на редкость умело размещенных экспонатах» [18].

ამ ექსპოზიციას მოჰყვა ერთიანი ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპოზიციის მეორე ნაწილი, რომელიც მოიცავს საქართველოს ისტორიის ძირითად ეტაპებს ადრეფეოდალური ეპოქიდან განვითარებული ფეოდალური ხანის დასასრულამდე — IV—XIII სს. (ხელმძღვანელი პროფ. პ. ზაქარაია, მხატვრები ა. ვარაზი, ა. ჩიქოვანი, ვ. დავითაია). ექსპოზიცია გაიხსნა 1963 წელს. იგი შედგება ორი განყოფილებისაგან — ადრეფეოდალური ხანა (IV—X სს.) და განვითარებული ფეოდალიზმის ხანა (XI—XIII სს.), თითოეული განყოფილება წარმოდგენილია თემებით — ეკონომიკა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილება და კულტურა. ამ ექსპოზიციის მოწყობის ამოცანა გართულებული იყო, ერთი მხრით, ისტორიული პროცესის სრული ჩვენების მოთხოვნით და მეორე მხრით, დედანი ექსპონატების სიმცირით; ამის გამო ზოგიერთი თემის წარმოსადგენად უხვადაა ჩართული ფოტომასალა. მხატვრული გაფორმება განხორციელებულია იმავე პრინციპებით, რომლებიც გამოყენებულია ექსპოზიციის პირველი ნაწილის მოწყობის დროს. მიუხედავად აღნიშნული სიძნელისა ექსპოზიციის ავტორებმა სამუზეუმო ხერხებით და მხატვრული გაფორმების მოშველიებით მიაღწიეს შინაარსის მკაფიოდ წარმოჩენას (სურ. 17).



სურ. 17. ერთიანი ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპოზიცია, მეორე ნაწილი — ადრეფეოდალური ეპოქიდან გვიანფეოდალურ ხანამდე, 1963 წ., საერთო ხედი.

„ბურჟუაზიული ხანის საქართველოს ექსპოზიცია“ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაიხსნა 1958 წელს, ხოლო დაიხურა 1966 წელს, ამავე პერიოდის ახალი ექსპოზიციის მოწყობასთან დაკავშირებით. ახალი ექსპოზიცია შეადგენს ერთიანი ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპოზიციის ნაწილს, რომელიც მოიცავს პერიოდს საქართველოს რუსეთთან შეერთებიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე (1801—1921 წწ.). ექსპოზიცია მოწყობილია ბურჟუაზიული ხანის საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიის განყოფილების მიერ, (ხელმძღვანელი შ. ლომსაძე) (სურ. 18, 19). მასში თანმიმდევრულად ასახულია თემები: საქართველოს რუსეთთან შეერთება, რუსეთ-თურქეთის, რუსეთ-სპარსეთის ომები, ხელოსნობა, იდეოლოგია და კულტურა, სოფლის

მეურნეობა, მრეწველობა და მათში კაპიტალიზმის თანდათანობითი შეჭრა, მუშათა კლასის წარმოშობა, მარქსიზმის იდეების გავრცელება, რევოლუციური მოძრაობის დასაწყისი და მისი გაძლიერება; საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში. თემებს შიგნით მასალა დალაგებულია პერიოდების მიხედვით და მიღწეულია თანმიმდევრული გადმოცემა ისტორიული მოვლენებისა. ახალი ექსპოზიციის მოწყობისას ავტორებმა გაითვალისწინეს ადრინდე-



სურ. 18. ერთიანი ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპოზიციის მესამე ნაწილი — ბურჟუაზიული ხანის საქართველო (1801—1921) 1967 წ., საერთო ხედი.

ლი ექსპოზიციის გამოცდილება. იგი როგორც შინაარსის ისე მხატვრული გადაწყვეტის მხრივ განსხვავდება ადრე არსებული ექსპოზიციისაგან. ექსპოზიციაში წარმოდგენილი თემები გამსხვილებულია, ნაცვლად ძველ ექსპოზიციაში წარმოდგენილი 32 თემისა, გამოტანილია 8 თემა, ამით თავიდან აცილებულია ექსპონატების დუბლირება. პრინციპულად უარყოფილია არადოკუმენტური მასალის ჩართვა ექსპოზიციაში. მუზეუმის მიერ ექსპოზიციისათვის დაკვეთით შესრულებულმა ფერწერამ, წინათ არსებულ ექსპოზიციაში მიზანს ვერ მიაღწია: იგი სათანადო შთაბეჭდილებას ვერ ახდენდა მაყურებელზე, ვერ უწყობდა ხელს თემის გახსნას. მუზეუმმა საერთოდ უარი თქვა ასეთი სურათების შექმნაზე და შეეცადა ნივთზე და ფოტოდოკუმენტურ მასალაზე გაემახვილებინა დამთვალიერებლის ყურადღება, თუმცა ექსპოზიციის ავტორები ცდილობდნენ თემები გახსნილიყო, ნივთიერი მასალით და წინა ექსპოზიციასთან შედარებით ბრტყელი მასალის რიცხვი მკვეთრად იქნა შემცირებული, მაინც იგრძნობა მათი სიმრავლე. აქ ისევე როგორც წინა პერიოდების ექსპოზიციებში უარყოფილია დარბაზების ტიხრებით დანაწევრება და შექმნილია ერთიანი საექსპოზიციო სივრცე. საექსპოზიციო მასალა გამოტანილია არა უშუალოდ კედელზე, არამედ მოცულობით ფარებზე, რითაც მასალა კედლიდან წინაა წამოწეული. ცალკეული დიდი თემების მიხედვით ფარებს მიცემული აქვს სხვადასხვა ფერი. ბრტყელი მასალის ერთსახეობის დასარღვევად მოწყობილია გა-

ნათებული ნიშები, რომლებშიც გამოფენილია ნივთიერი მასალა. განწყობილებას ქმნის თემების გარეთ გამოტანილი სვეტებს შორის ფრიზზე ექსპონირებული დიდი ზომის განათებული დიაპოზიტივები, დამზადებული უნიკალური და ეპოქისათვის მეტად დამახასიათებელი ფოტოებიდან. ჭერიდან დაშვებულ ფა-



სურ. 19. იგივე ექსპოზიცია. სოფლის მეურნეობა, ქალაქები, ვაჭრობა.

რზე დამაგრებული ხუფიანი ნათურებით მიღწეულია მხოლოდ საექსპოზიციო სარტყლის განათება, რაც ქმნის სიმყუდროვეს და მუზეუმის მაყურებლის ყურადღებას ამახვილებს ექსპოზიციაში წარმოდგენილ მასალებზე.

დიდი ხნის განმავლობაში მუზეუმს არ გააჩნდა საბჭოთა ხანის ექსპოზიცია, თუმცა თანამედროვეობის ამსახველი თემები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველად 30-იან წლებში იყო ჩართული ხევსურეთის და სვანეთის ეთნოგრაფიულ ექსპოზიციებში. 1952—1954 წლებში მუზეუმში მოეწყო მთლიანად თანამედროვეობისადმი მიძღვნილი ექსპოზიცია — „საქართველოს სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების მიღწევები“. საბჭოთა სინამდვილის თემა ფართოდ იყო წარმოდგენილი აგრეთვე „საქართველოს ერთიანი ეთნოგრაფიული ექსპოზიციის“ ახალი ყოფის ნაწილში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლის თავს მიეძღვნა 1961 წელს რკინიგზის ვაგონში მოწყობილი, დროებითი, მოძრავი გამოფენა, „საბჭოთა საქართველოს 40 წელი“, რომელმაც შემოიარა საქართველოს ქალაქები და საბჭოთა სომხეთსაც ეწვია.

საბჭოთა საქართველოს ისტორიის განყოფილება მუზეუმში შეიქმნა 1960 წელს, მაგრამ მასალების შეკრება და სტაციონარული ექსპოზიციის მოწყობაზე მუშაობა ფაქტიურად დაიწყო 1965 წელს. საბჭოთა საქართველოს ისტორიის განყოფილების თანამშრომლებმა (ხელმძღ. ნ. შველიძე), ორი წლის დაძაბული შრომის შედეგად, მოაწყვეს ექსპოზიცია, რომელიც ისტორიული პერიოდების მიხედვით ასახავს საქართველოს სახალხო მეურნეობის და კულტურის განვითარებას საბჭოთა ხელისუფლების წლებში (1921—1966 წწ.). ექს-

პოზიცია წარმოადგენს ერთიანი ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპოზიციის დამამთავრებელ ნაწილს, იგი შედგება ოთხი ნაწილისაგან: საქართველო სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში (1921—1941 წწ.) საქართველოს სოციალიზმის მშენებლობის დამთავრების პერიოდში და საქართველო შვიდწლედში. ცალკე ნაწილადაა წარმოდგენილი საბჭოთა საქართველოს კულტურა და მეცნიერება. ნივთიერი და დოკუმენტური მასალის საშუალებით ექსპოზიციაში ნაჩვენებია, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თუ, როგორ გადაიქცა საქართველო ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან, მოწინავე განვითარებული ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის ქვეყნად, ამის საჩვენებლად ფართოდაა გამოყენებული დაპირისპირების მეთოდი, ნაჩვენებია თუ როგორი იყო წარმოება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წლებში და როგორ განვითარებას მიაღწია მან ამჟამად. მაგალითად,: პირველ განყოფილებაში ნაჩვენებია, რომ საქართველოს 20-იან წლებში ჰქონდა პრიმიტიული წარმოება, რომლისთვისაც მანქანა-იარაღები სხვა ქვეყნებიდან შემოჰქონდათ, ამჟამად კი საქართველოში დამზადებული მანქანა-იარაღები მოძმე რესპუბლიკებში და უცხოეთშიც კი გადის და მას ექსპორტში დიდი ადგილი უჭირავს, ან მეორე — ნაჩვენებია რუსთავის ტრიალი მინდორი და შემდეგ კი იგივე ადგილი მასზე აღმართული გრანდიოზული ქარხნით და ქალაქით, რომელიც მძლავრ ინდუსტრიულ



სურ. 20. ერთიანი ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპოზიციის დამამთავრებელი ნაწილი — საბჭოთა საქართველო, 1967 წ., საერთო ხედი.

ცენტრს წარმოადგენს. ასეთი ჩვენება მუზეუმის მაყურებელს თვალნათლივ წარმოუდგენს იმ დიდ მიღწევებს, რომლებიც მოიპოვა საქართველომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების დარგში.

ავტორებმა მრავლად დააგროვეს და ექსპოზიციაში გამოიტანეს ნივთიერი მასალა, როგორც მემორიალური ისე წარმოების იარაღები და პროდუქცია, მაგრამ აქაც იგრძნობა ფოტოებისა და სხვა ბრტყელი მასალის სიმრავლე.

ფოტომასალას დიდი მნიშვნელობა ენიჭება გვიანი პერიოდის ექსპოზიციებში, როგორც ისტორიულ წყაროს, მის გარეშე ასეთი ექსპოზიციის მოწყობა არც შეიძლება, მაგრამ საჭიროა მათი მკაცრი შერჩევა და მაქსიმალურად შეზღუდვა. ექსპოზიციაში მასალები ძალდაუტანებლად და უპრეტენზიოდაა განაწილებული, შექმნილია საექსპოზიციო კომპლექსები, რითაც თემის გახსნის ამოცანა გადაწყვეტილია. ავტორები სწორად მოიქცნენ, რომ მთელი ექსპოზიცია გადაწყვიტეს ღია ნეიტრალურ ფერში და დარბაზები მთლიანად გაანათეს, რითაც ხელი შეუწყვეს საზეიმო განწყობილების შექმნას (სურ. 20).

ერთიანი ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპოზიციის ორი უკანასკნელი ნაწილი, რომელიც ასახავს პერიოდს 1801 წლიდან 1966 წლამდე, გაიხსნა მუზეუმის დაარსების 100 წლის იუბილეს დღეებში და მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს.

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ მუზეუმი თავის არსებობის პირველივე დღიდან ეწეოდა დიდ საექსპოზიციო მუშაობას, რითაც იგი ამყარებდა დამოკიდებულებას ხალხთან.



სურ. 21. იგივე ექსპოზიცია, მრეწველობა და სოფლის მეურნეობა.

ყოველი საბჭოთა მუზეუმის ამოცანაა, რომ მის ფონდებში დაცული მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები გახადოს ხალხის მასების საკუთრებად, რაც შეიძლება მიზანშეწონილად მოაწყოს ექსპოზიციების დათვალიერება, რომ უკეთ იყოს გახსნილი და ათვისებული მათი შინაარსი. კარგად მოწყობილი მასობრივი მუშაობა ხელს უწყობს მოწინავე საზოგადოებრივ და სამეცნიერო იდეების პროპაგანდას და ხალხის აღზრდას კომუნისტური სულისკვეთებით.

მუზეუმში ზემოაღნიშნულ მუშაობას ეწევა მეცნიერული პროპაგანდის განყოფილება. განყოფილებაში მუშაობენ კვალიფიციური ექსკურსიის მძღოლი — მეცნიერი მუშაკები, რომლებიც გამოფენებზე ეწევიან პოლიტიკურ და სამეცნიერო ცოდნის პროპაგანდას.

განყოფილება ასრულებს მუზეუმის საქმიანობის პოპულარიზაციის და დამთვალიერებელთა მოზიდვის სამუშაოებს. მას მჭიდრო კავშირი აქვს დამყარებული ქალაქის განათლების განყოფილების მეთოდურ კაბინეტთან, რომლის საშუალებით ხდება მოსწავლეთა მოზიდვა მუზეუმში. მოსწავლეებთან ტარდება სპეციალური საუბრები, სასკოლო პროგრამების გათვალისწინებით და წინასწარ მომზადებული ღია გაკვეთილები. მას ატარებენ როგორც მუზეუმის ექსკურსიის მძღოლები, ისე სკოლის მასწავლებლები. მუზეუმს წელიწადში ათვალიერებს 100—120 სკოლის 4—5 ათასი მოსწავლე.

მუზეუმი ასევე მჭიდროდაა დაკავშირებული რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელთან. ექსპოზიციებზე სტუდენტებისათვის ტარდება ლექციების ციკლი მუზეუმცოდნეობის საკითხებზე; აქ გადიან აგრეთვე სამუზეუმო პრაქტიკას. მუზეუმში დასათვალიერებლად მოსულ სტუდენტთა რიცხვი 3—4 ათასია.

ექსპოზიციების გასაცნობად მოდიან ა/კავკასიის სამხედრო ოლქის მებრძოლები, მათ მუზეუმში უკითხავენ ლექციებს ციკლიდან — „გვიყვარდეს ჩვენი სამშობლო“.

მუზეუმის სისტემატური დამთვალიერებლებია ტურისტები ტურბაზიდან და ტურისტული სამოგზაურო ბიუროდან, ისინი დამთვალიერებელთა 60—65% შეადგენენ.

ექსპოზიციების სტუმრებია აგრეთვე უცხოელი ტურისტული ჯგუფები და ინდივიდუალური დამთვალიერებლები.

წლის განმავლობაში მუზეუმის დამთვალიერებელთა საერთო რიცხვი საშუალოდ შეადგენს 100—120 ათასს.

მუზეუმში მოდის და კონსულტაციას ღებულობს ამა თუ იმ საკითხზე მრავალი სხვადასხვა პროფესიის სპეციალისტი.

თუმცა მაყურებელთა ინტერესი ექსპოზიციისადმი უკეთესი საზომია მისი ხარისხისა, მაინც შესაძლებელია კარგმა ექსპოზიციებმა არ მოგვცეს სასურველი შედეგი თუ კი არ იქნება გაშლილი მუშაობა მისი პოპულარიზაციისათვის. ამ მხრივ მუზეუმი ატარებს რამდენიმე ღონისძიებას.

რამდენჯერმე მოეწყო მუზეუმის გამოფენების გადაცემა რადიოთი და ტელევიზიით. ექსპოზიციებზე ეწყობა შეხვედრები სამამულო ომის ვეტერანებთან, ძველ რევოლუციონერებთან, აგრეთვე შეხვედრები სხვადასხვა თარიღებთან და დღეებთან დაკავშირებით. გამოცემულია ექსპოზიციების გზამკვლევები, ბუკლეტები, ღია ბარათები, რამდენიმე სახის სარეკლამო პლაკატი და აფიშა.

როგორც აღვნიშნეთ, მასობრივ მუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს მომსვლელთა რიცხვის გაზრდის მხრივ, რაც ხელს უწყობს მუზეუმის წინსვლას და მისი ავტორიტეტის ზრდას, ამ მხრივ მუზეუმმა კიდევ უნდა გააფართოოს და გააუმჯობესოს მუშაობა.

ამით არ მთავრდება მუზეუმის საექსპოზიციო საქმიანობა. მუზეუმი ამჟამადაც დგას ახალი ამოცანების წინაშე, იგი კვლავ გამოიყენებს თავის დიდ გამოცდილებას მომავალი ექსპოზიციების შექმნისას.

С. С. БОЛКВАДЗЕ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ЭКСПОЗИЦИИ ГОСУДАРСТВЕННОГО МУЗЕЯ ГРУЗИИ ИМ. АКАД. С Н. ДЖАНАШИА

Резюме

По инициативе прогрессивной части русской и грузинской общественности, в 1852 году был основан Музей при Кавказском отделении императорского Русского Географического Общества; он функционировал до 1864 года, когда в результате изменений, происшедших в руководстве вышеуказанного Общества, музей был ликвидирован.

В 1867 году 2(14) января, в Тбилиси был официально открыт Кавказский музей. С тех пор музей не прекращал своей деятельности и сегодня известен под названием Государственного Музея Грузии им. акад. С. Н. Джанашиа. В день открытия, в трех комнатах были выставлены собрания по зоологии, ботанике и этнографии.

1870 году выставки музея открылись в новом здании и просуществовали без изменений до 1878 года, когда дирекция музея, воспользовавшись тем, что на 1881 год в Тбилиси было назначено проведение пятого международного археологического съезда легко получила разрешение на надстройку этажа, над существующим зданием. В сентябре 1881 года была открыта новая экспозиция, которая состояла из отделов: геология, ботаника (рис. 1), зоология (рис. 2), этнография (рис. 1, 2), орнаменты и древности и археология.

Эта экспозиция по сравнению с предшествующими была значительно обогащена. Она функционировала в течение 28 лет и закрылась в 1909 году ввиду аварийного состояния здания.

После установления Советской власти в Грузии, создались благоприятные условия для расцвета национальной культуры. В результате проведенных правительством мероприятий, музей по настоящему развернул работу и превратился в крупное научно-исследовательское учреждение. Стало возможным поставить на прочной научной основе всю деятельность Музея, в том числе и экспозиционное дело.

Первой экспозицией, созданной после установления Советской власти в Грузии, явилась «Зоологическая экспозиция» (Рук. И. Д. Чхиквишвили, таксидермист К. Крель, худ. И. М. Вепхвадзе), первая часть которой была открыта в 1923 году. Экспозиция существующая поныне состоит из десяти биогрупп. Отдельно представлен зооматериал в систематическом порядке. Экспозиция в свое время получила высокую оценку (рис. 5).

В связи с XVII международным Геологическим конгрессом в 1937 году в Музее были организованы экспозиции «Минеральные рессурсы Грузии» (рис. 6), «Динамическая и историческая геология» и «Геология окрестностей Тбилиси». (Руководители акад. А. Джанелидзе и проф. К. Габуния). В экспозиции были представлены все известные тогда месторождения полезных ископаемых на территории Грузии.

В 1955 году на базе вышеуказанной экспозиции была устроена экспозиция «Полезные ископаемые Грузии». (Рук. М. В. Качарава).

В годы Советской власти этнография Грузии превратилась в самостоятельную науку, началась разработка ее основных проблем и по мере накопления материала, под руководством проф. Г. С. Читая развернулись работы по организации экспозиции. В 1931 г. открылась экспозиция — «этнография Хевсурети» (рис. 7), а 1932 году «Этногра-

фия Сванети» (рис. 8); на них были представлены как старый, так и новый быт и культура. Было показано проникновение нового быта и культуры в горные районы Грузии.

С 1952 года началась работа по организации «Единой этнографической экспозиции», которая была открыта для посетителей в 1954 г. На экспозиции был показан своеобразный характер как старого, так нового быта и культуры грузинского народа (рис. 9, 10).

Экспозиция была признана одним из значительных достижений этнографии Грузии.

В Музее на протяжении его существования сосредоточился весьма значительный археологический материал, это позволило организовать первую археологическую экспозицию в 1934 году под названием «Доклассовое общество в Закавказье». Руководители проф. Г. К. Ниорадзе и проф. Б. А. Куфтин (рис. 11). Археологические материалы впервые здесь были развернуты для показа хозяйственного, социального и культурного развития общества, т. е. для показа самого исторического процесса. Это был первым большим практическим шагом вперед, знаменующим наступление нового этапа в развитии археологии Грузии.

В 30—40-ые годы в республике развернулись систематические большие археологические экспедиции, которые позволили по-новому осветить ряд кардинальных вопросов и нашли отражение в экспозиции «Древнейшие очаги грузинской культуры Триалети и Мцхета» организованной в 1941 году, под руководством акад. С. Н. Джанашиа и проф. Б. А. Куфтина (рис. 12).

Вышеуказанные две археологические экспозиции отражали более или менее последовательную картину развития культуры на территории Грузии с древнейших времен до V—VI вв. н. э.

В 1937 году Государственный Музей Грузии участвовал в организации выставки — «Шота Руставели и его эпоха» посвященной 750 летнему юбилею Шота Руставели (руков. акад. И. А. Джавахишвили).

С 1938 года часть указанной экспозиции была оставлена в Музее в качестве стационарной экспозиции, под названием — «Материальная культура Грузии XI—XIII вв.», в которой были представлены почти все отрасли культуры той эпохи. Эта экспозиция наглядно показала значительную роль Грузии в международной жизни того времени (рис. 13).

Экспозиция, созданная отделом ботаники в 1950 году под названием «Достижения основных отраслей сельского хозяйства» (руков. В. И. Папава), хотя и не была музейной, но все же, при отсутствии в республике выставки достижений народного хозяйства сыграла положительную роль в деле популяризации достижений сельского хозяйства (табл. VII, рис. 2).

К началу пятидесятых годов Музей впервые стал перед задачей создания — «Единой историко-археологической экспозиции Грузии с древнейших времен до наших дней».

Первой экспозицией, созданной по указанному плану явилась — «Экспозиция буржуазной Грузии» (руков. Ш. Г. Хантадзе). Это был первым шагом музея по направлению организации исторической экспозиции позднего периода. В нем последовательно были раскрыты темы, от присоединения Грузии к России в 1801 году до установления Советской власти в 1921 году.

Существующие к этому времени археологические экспозиции слишком отстали от достижении этой науки, устарел и сам принцип экспозиции, вследствие чего обновление археологической экспозиции стала необходимостью.

В 1961 году открылась — первая часть единой историко-археологической экспозиции — с древнейших времен до IV века н. э. (руков. Ал. И. Джавахишвили, худ. А. В. Варази). В экспозиции отображены главные ступени хозяйственной деятельности, культуры и социальной жизни племен, населявших территорию Грузии, с древнейших времен до раннефеодальной эпохи. Авторы по-новому подошли к своей задаче; это выявилось в художественном офоромлении и подаче материалов зрителю, придавшие экспозиции этапное значение (рис. 15, 16).

Вторая часть единой историко-археологической экспозиции охватывает основные этапы истории Грузии, от раннефеодальной эпохи до конца развитого феодализма IV — XIII вв. (Руков. П. П. Закарая художники А. В. Варази, А. В. Чиковани, В. А. Давитая). Художественное оформление осуществлено с применением тех-же принципов, что и на предыдущей экспозиции (рис. 17).

Следующая экспозиция организованная музеем была новая «Экспозиция буржуазного периода Грузии» (руков. Ш. В. Ломсадзе), охватывающая период от присоединения Грузии к России, до установления Советской власти в Грузии (1801 — 1921 гг.) (рис. 18, 19).

Экспозиция Советского периода представляет собой завершающую часть единой историко-археологической экспозиции, отображающую развитие народного хозяйства и культуры Грузии в годы Советской власти (1921 — 1966 гг.). Посредством вещественных и документальных материалов в экспозиции показано превращение Грузии из отсталой аграрной страны, в страну передовой и развитой индустрии и сельского хозяйства (Руков. Н. Швелидзе). Созданы экспозиционные комплексы, путем которых решена задача раскрытия тем. Авторы поступили правильно, решив экспозицию в светло-нейтральном цвете и осветив залы полностью, чем достигается торжественность (рис. 20, 21).

Кроме вышеуказанных стационарных экспозиции музей после установления Советской власти организовал большое количество тематических выставок, связанных с разными датами, конгрессами и событиями.

Как видно из вышесказанного, музей с первых же дней своего существования проводил большую работу по созданию экспозиции и выставок, посредством которых устанавливал связь со зрителями.

Как известно хорошо организованная массовая работа способствует пропаганде передовых общественных и политических идей и воспитанию народа в духе коммунистического строительства.

В Государственном Музее массовую работу проводит отдел научной пропаганды, который организует связь со школами и институтами, с турбазой и пр.

В течение года музей посещают 100—120 тысяч посетителей.

Проводится значительная работа по популяризации музейных экспозиции, но в будущем эту работу следует расширить.

Этим не кончается экспозиционная деятельность Музея. Музей и в настоящее время стоит перед новыми задачами, и он вновь использует свой большой опыт при создании будущих экспозиции.

## ლიტერატურა


1. გ. ყორღანია, კავკასიური მუზეუმის დაარსება, თბილისი, 1951.
2. Г. И. Радде, Краткий очерк истории развития Кавказского Музея в первые 25 лет существования, с 1-го января 1892 года, Тифлис, 1891.
3. К. Ф. Ган. Биография Г. И. Радде. Museum kaucasicum, т. VI, Тифлис, 1912 г.

4. А. М. Разгон, Этнографические Музеи в России (1861—1917 гг.), Очерки истории Музейного дела в России, 1961, 231.
5. Г. И. Радде, Краткий путеводитель Кавказского Музеума, Тифлис, 1875.
6. Г. И. Радде, Краткий путеводитель Кавказского Музеума, Тифлис, 1881.
7. Кеппен, Несколько слов о Кавказском Музее, С.-Петербург, 1896.
8. М. Горький, По Союзу Советов, собр. сочинении в 30-ти томах, Москва, 1952, т. 17, стр. 129.
9. გ. ჩაჩაშვილი, საქართველოს ერთიანი ეთნოგრაფიული გამოფენა, მეგზური, თბილისი, 1958.
10. ივ. ჯავახიშვილი, შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის გამოფენა, გაზ. „კომუნისტი“, № 55, 1937, 9 მარტი.
11. სასოფლო-სამეურნეო გამოფენა საქართველოს მუზეუმში, გაზ. „კომუნისტი“, № 202/9978, 1954, 26 აგვისტო.
12. А. И. Джавахишвили, Краткий обзор прошлой и будущей деятельности Государственного Музея Грузии им. акад. С. Н. Джанашиа, «Известия», Академии Наук Армянской ССР, № 8, 1959, стр. 111—113.
13. ავტორთა კოლექტივი, საქართველოს ერთიანი ისტორიულ-არქეოლოგიური გამოფენა, გამოფენის პირველი ნაწილის (უძველესი დროიდან ადრეფეოდალურ ხანამდე) თემატიკურ-საექსპოზიციო გეგმა, თბილისი, 1954 (ხელნაწერის უფლებით).
14. შ. ხანთაძე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, გაზ. „კომუნისტი“ № 223 (11227), 1938, 26 სექტემბერი.
15. არქეოლოგიური გამოფენა მოკლე გზამკვლევი, თბილისი, 1967, გვ. 2.
16. ა. აფაქიძე, დარბაზები მოგვითხრობენ ერის წარსულს, გაზ. „კომუნისტი“. № 75, (11988), 1961, 31 მარტი.
17. А. И. Михайловская, Музейная экспозиция, Москва, 1964.
18. Л. Волынский, Кижи, журн. «Знание-Сила», № 6, 1965, стр. 30.
19. ნ. ქანთარია, საქართველოს ისტორიულ-არქეოლოგიური გამოფენა IV—XIII სს. მეგზური, თბილისი, 1967.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

Д. Г. КАПАНАДЗЕ

# НУМИЗМАТИЧЕСКИЕ ФОНДЫ МУЗЕЯ ГРУЗИИ И ИХ ЗНАЧЕНИЕ ДЛЯ ГРУЗИНСКОЙ ИСТОРИОГРАФИИ

Вместе с другими памятниками материальной культуры Государственный музей Грузии наследовал от бывшего Кавказского Музея и нумизматическую коллекцию, начало которой было заложено уже при основании музея. Известно например, что первые монеты были приобретены для музея по специальному заданию еще Байерном.

Сбор нумизматической коллекции сначала производился от случая к случаю, в результате чего к началу текущего столетия, она насчитывала около 2600[1] экземпляров. Такую скудость материала следует объяснить тем, что музей не располагал тогда соответствующим аппаратом и поступления носили случайный характер.

Рост нумизматических фондов начался лишь после Революции, особенно же после установления в Грузии Советской власти. В 1924 году по инициативе покойного акад. И. А. Джавахишвили при Тбилисском Государственном Университете создается кабинет нумизматики, который вскоре передается Музею Грузии. Здесь уже другой выдающийся грузинский ученый и деятель акад. Г. Н. Чубинашвили берет на себя заботу о дальнейшей судьбе кабинета, заведывание которым 29. VI.1931 г. возлагается на доцента Т. Н. Ломоури.

Первые годы работы целиком ушли на сбор, учет и приведение в относительный порядок тех нумизматических коллекций, которые до этого были разрознены и хранились в различных учреждениях и организациях (Общество распространения грамотности среди грузин, грузинское этнографическое общество, церковный музей, коллекция тифлисского дворянства и т. д.). Таким образом к 1930 году в Музее Грузии скопилось свыше 30 000 экземпляров.

С этого времени количество монетных поступлений неуклонно растет, постепенно возрастает штат работников нумизматов, повышается их квалификация и совершенствуется методика работы. В 1940—1943 гг. проводится коренная реорганизация системы хранения и учета имеющегося в наличии материала, монетные фонды приводятся в полный порядок и распределяются по новому принципу; выделяется особый фонд «монетных кладов и отдельных находок по Грузии», являющийся самым многочисленным и содержательным.

Основным принципом, объединяющим монеты этого фонда служит справка о месте, времени и обстоятельствах их находки на территории Грузии. В этот фонд вносятся все монеты независимо от их принадлежности той или иной стране или времени их выпуска. В этом фонде

[1] Г. Радде, Краткий путеводитель по Кавказскому Музею, Тифлис, 1895, стр. 77—78.

нашли себе место не только грузинские монеты, которые конечно, преобладают, но монеты и тех стран с которыми на протяжении многих веков своего существования Грузия постоянно имела тесные экономические и культурно-политические сношения. Научная ценность этого фонда неоценима, так как, расположенная на перекрестке больших торговых путей и, являясь важным стратегическим плацдармом в извечной борьбе Востока с Западом, Грузия постоянно привлекала к себе пристальное внимание сильных соседей, неизменным спутником которых являлись и монеты.

Давая отчетливое представление о происходивших здесь событиях, этот материал стал неисчерпаемым источником для исследовательской работы, очень способствовал повышению квалификации личного состава и оказался крайне полезным для решения ряда кардинальных вопросов.

Не умаляя значения и ценности и других фондов (монеты Грузии, России, древнего Ирана, эллинистического мира и Рима, Византии и Трапезунда, восточных и европейских стран), где также имеется немало интереснейших, а подчас уникальных монет, способных украсить витрины крупнейших музеев мира, основное свое внимание работники отдела уделяют именно этому фонду, аналогии которого, насколько нам известно, в других музеях Союза не имеется.

В результате регулярных поступлений фонд этот из года в год растет и к настоящему времени насчитывает свыше 20 000 экземпляров, т. е. примерно четвертую часть всего наличия. Кроме множества отдельных находок, этот фонд содержит свыше 80-ти монетных кладов большинство которых (93%) поступило в музей лишь после установления в Грузии Советской власти.

Одним из основных источников пополнении этого фонда являются археологические экспедиции, которые за последние 30 лет получили небывало широкий размах. Материал поступающий этим путем является наиболее надежным и достоверным потому, что сведения о каждой добытой монете фиксируются с максимальной точностью и тщательностью.

Множество монет в виде отдельных экземпляров, а нередко и целых кладов поступает в музей и в результате земляных работ, которые за последние десятилетия тоже достигли необычайных масштабов. Огромное большинство этих монет поступает в виде пожертвований, что следует объяснить общим культурным подъемом. Если ранее такие находки часто шли на сплав, переделывались на украшения, или же в лучшем случае скупались предприимчивыми антикварами, для перепродажи, то теперь, сознавая их значение и научную ценность, население выполняет свой гражданский и патриотический долг, сдает их в музей, обогащая их фонды все новыми и новыми материалами. Все это является показателем того, что, став распорядителем своей судьбы, народ бережнее относится к памятникам прошлого.

Считаю непременным своим долгом особо отметить бесценный дар, принесенный Музею Грузии покойным проф. Е. А. Пахомовым. Но, к сожалению, время поступления в музей этих кладов, не всегда совпадает с временем находки и промежуток между этими двумя моментами, иногда исчисляется годами. В таких случаях сведения об обстоятельствах и месте находки не всегда отличаются точностью да и состав клада не всегда оказывается нетронутым. В таких случаях осложняется и научная обработка материала.

Большая часть кладов содержит монеты местной чеканки, другая часть — монеты ввозившиеся сюда из других стран в ту или иную эпо-

ху; немало и смешанных кладов, состоящих из местных монет с большим или меньшим процентом примеси иноземных. Значительно реже попадаются и т. н. — «денежно-вещевые» клады, которые, кроме монет содержат какие нибудь вещи или украшения.

Для захоронения кладов пользовались самой различной тарой,— чаще всего глиняными сосудами различной величины и формы; встречаются сосуды и металлические, — например, клад колхидок из Дабла Гоми был помещен в серебряной фиале, колхидки кобулетского клада в бронзовом кувшинчике, а свыше 8-ми килограмм европейских монет XVI — XVII вв. найденных в гор. Махарадзе были в медном котелке. Пользовались и кисетами или матерчатыми мешочками; после чего, как такой клад попадал в землю, кисет плотно прилегал к поверхности монет и, постепенно пропитываясь металлическими солями, консервировался так прочно, что теперь имеется возможность судить о качестве многовековой ткани и способах ее изготовления.

Такие фрагменты ткани сохранились от следующих кладов:

1. Колхидок из Дабла Гоми . . . . VI в. до н. эры.
2. Медных монет трапезундской чеканки . III в. до н. э.
3. Монет тбилисского эмира Али Ибн Джафарта. XI в.
4. Медных монет грузинской царицы Русудан. XIII в.
5. Серебрянных тбилисских монет начала . XVIII в.

Очень интересна техника захоронения последнего клада, — перед тем как захоронить его, владелец засыпал монеты в матерчатый мешок, который поместил в глиняный горшочек, а последний залил пчелиным воском. Колхозник Николайшвили, доставив этот клад в музей, сохранил таким образом для науки около пятисот монет XVII — XVIII вв., керамику того же времени и фрагменты ткани и воска двухсотпятидесятилетней давности. Любопытно, что воск до сих пор сохранил аромат мёда.

В состав клада иногда попадают экземпляры, по которым можно судить о технике чеканки, или делать какие либо иные выводы. Так например, некоторые монеты Тамары из клада, найденного в сел. Веджини носят следы напильника, применявшегося при изготовлении штемпеля. Детали, едва сохранившиеся на монетах перечеканных Джеледином дали возможность установить предельный срок применения надчеканок конца XII начала XIII вв.

Каждый клад, независимо от его состава непременно дает что нибудь новое «монеты клада» могут быть самыми заурядными не представлять никакой новизны, а клад из них может оказаться очень важным по месту ли своей находки, по комбинации ли монет дающей возможность делать некоторые выводы о существовании той или иной денежной системы, или о датировке, найденных в кладе вещей... или же, хотя бы, о приурочении неопределенных до того монет»...[2].

Результаты сравнения и анализа этого крайне содержательного материала не раз приводили к выводам, представляющим интерес не только для нумизматики. По материалам отдела нумизматики в республиканских, союзных и зарубежных печатных органах на грузинском, русском, немецком, польском, чешском языках опубликовано около сотни трудов. Среди них несколько монографий.

Установлено например, что на протяжении всего своего прошлого Грузия регулярно выпускала свои монеты, выяснены и причины кажущегося их исчезновения в те или иные моменты. Случалось, что ввозная монета, получив широкое распространение натурализировалась в Гру-

---

[2] Е. А. Пахомов, Монетные клады Азербайджана и Закавказья, 1926, стр. 10.

зии так прочно, что продолжала чеканиться здесь уже как собственная, сохраняя все детали прототипа, затем только постепенно воспринимая индивидуальные черты. На протяжении долгого времени такие монеты принято было считать «подражаниями», или «чеканенными для Грузии» — подразумевалось, что их чеканили для Грузии те или иные иноземные династы. Но, чем упорнее идет работа над изучением памятников прошлого, чем обильнее и шире поступает материал, тем очевиднее становится самобытность грузинского народа и в этой области.

В результате изучения 12-ти кладов колхских монет поступивших в музей главным образом за последние 30 лет, выявлены новые монетные типы, варианты и номиналы, установлено их подлинно местное происхождение и дана попытка хронологизации этих древнейших монет Грузии. (С. И. Макалатия, А. Н. Зограф, Д. Г. Капанадзе, К. В. Голенко).

Наличие в Музее Грузии семи десятков так называемых «варварских» подражаний золотым статерам Александра Македонского и Лисимаха в то время как во всех остальных музеях мира вряд ли наберется и половина этого количества уже само по себе говорят о грузинском их происхождений, можно было бы привести для этого и другие доводы, но здесь мы сошлемся лишь на статер «базилевса Аки», давший возможность включить в историю Грузии имя одного из древнейших царей Колхиды неизвестного по другим источником (Д. Г. Капанадзе).

Выяснилось также, что выпуск золотой монеты производился в Иберии и в римское время, самые поздние их экземпляры доходят до рубежа III—IV вв. н. э. (А. Н. Зограф, Д. Г. Капанадзе).

О многовековых экономических и культурно-политических связьях Грузии с Византией имеется не мало свидетельств. Но, пожалуй наиболее достоверным и убедительным следует считать наличие в музее семи кладов и многих сотень золотых, серебряных, медных византийских монет, найденных на территории Грузии. Можно считать, что этот материал почти целиком введен в научный обиход (Т. Я. Абрамишвили).

Успешно ведется изучение сасанидских и арабских монет, найденных в виде кладов и отдельных экземпляров на территории Грузии (И. Л. Джалагания). Топография находок этих монет отчетливо намечает существующие в « IX вв. торговые пути (Т. Н. Ломоури).

Особый интерес привлекает клады, содержащие монеты эмиров из рода Джафаридов, — они помогли установить генеалогию тбилисских владетелей X — XI вв., (М. Д. Лордкипанидзе), уточнили сроки начала на территории нашей страны, так называемого серебряного кризиса и внесли существенные поправки в определение неясных до этого монет (Д. Г. Капанадзе).

Хранящийся в фондах музея нумизматический материал дал возможность установить, что правом выпуска монеты в древней Грузии пользовались не только цари, но и отдельные крупные феодалы. Выявлен чекан владетелей Сомхити, Одиши, Самцхе-Месхети и др. (Д. Г. Капанадзе). Выяснилось, что кроме тбилисского монетного двора функционировали и другие, — в Дманиси, Ахалцихе, Аниси, Кара-Агач и в других городах (Г. В. Церетели, Т. Н. Ломоури, Д. Ленг).

Грузинские монеты XIV—XVI вв. на протяжении долгого времени встречались в таком незначительном количестве и представляли такую редкость, что их существование ставилось даже под сомнение — предполагалось, что в эти мрачные для Грузии времена ей было не до чеканки собственной монеты. Но клады этого времени из Ленингори, Али,

Мна, Гори и Патара Джихаиши опровергли эти представления, осветили истинное положение дел и помогли установить наличие целых групп и серий национально-грузинских монет с самобытными чертами. Монеты этих кладов с полной очевидностью подчеркивают жесточайший экономический упадок и культурный регресс, наступивший в Грузии в результате нескончаемых нашествий иноземных угнетателей (Т. Н. Ломоури, Д. Г. Қапанадзе, Г. Р. Дундуа).

В Музее Грузии хранится несколько кладов европейский монет XV — XVIII вв. и немалое количество отдельных их экземпляров, найденных на территории Грузии. До последнего времени ими по существу никто не занимался и причины их появления в Грузии, пути их проникновения сюда, интенсивность обращения и другие крайне интересные вопросы оставались невскрытыми. Положение теперь изменилось и можно уже утверждать, что и этот пробел в работе отдела заполнен и причины политико-экономических связей Грузии с европейскими странами стали более ясными (Р. В. Қебуладзе).

В настоящее время отдел вплотную приступил к изучению турецких монет, имевших в свое время в Грузии очень широкое распространение. Работа только началась, но почин, как говорится положен и две статьи, посвященные этим монетам уже в производстве (М. Антадзе).

Крайне ценным оказался нумизматический материал для освещения вопроса и русско-грузинских отношений (Р. В. Қебуладзе).

Пользуясь случаем приношу глубокую благодарность коллегам из Эрмитажа за ценную помощь, оказанную ими в деле подготовки научных кадров.

Неуклонный рост фондов Музея Грузии и регулярное повышение квалификации его научных кадров следует объяснить неустанной заботой нашего Правительства и Партии, повседневным вниманием уделяемым музею Президиумом АН.

Наличие же в фондах разнообразного и богатейшего фактического материала, возлагает на всех нас почетную задачу неустанно заполнять все еще существующие пробелы и чаще вводить в научный обиход поступающий материал, предоставляя этим грузинской историографии все новые и новые данные. Коллектив отдела нумизматики делает все от него зависящее, для того, чтобы бережно передать следующим поколениям вверенные ему национальные сокровища.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილ. აბულაძე

# ხელნაწერთა განყოფილება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში

თითქმის 30 წლის მანძილზე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა ხელნაწერთა განყოფილება, ამ განყოფილების ბაზაზე 1958 წლის ივნისის დასაწყისში შეიქმნა ხელნაწერთა ინსტიტუტი, რომელსაც 1962 წლიდან აკადემიკოს კ. კეკელიძის სახელი მიენიჭა.

ხელნაწერთა განყოფილება საქართველოს მუზეუმის შემადგენლობაში შეიქმნა 1929 წლიდან. ამ განყოფილებაში თავმოყრილ იქნა იმ დროისათვის არსებული, ქართული ხელნაწერთა ძირითადი ფონდების შემცველი, ყველა საცავები. ამ საცავების ჩამოყალიბება დაიწყო ჯერ კიდევ წარსული საუკუნის 80-იანი წლებიდან სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებებთან. ასეთები იყვნენ: 1879 წ. დაფუძნებული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა საცავი, 1888 წ. დაარსებული საეკლესიო მუზეუმი და 1907 წ. დაარსებული საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან, კულტურის ეს კერები თავმოყრილ იქნა თბილისის უნივერსიტეტის კედლებში. აქ ისინი ემსახურებოდნენ ქართული მეცნიერების აღორძინების საქმეს, რომელიც წამოიწყო ქართულმა უნივერსიტეტმა, დაარსებულმა 1918 წ. დასაწყისში ქართველ მეცნიერთა ჯგუფის მიერ ივ. ჯავახიშვილის მეთაურობით. ახალ პირობებში მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული საცავების თანდათანი გაერთიანება: ეს გაერთიანება დაწყებული იყო ჯერ უნივერსიტეტში, ხოლო მთლიანად დასრულდა 1929 წ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. ამ დროისათვის საქართველოს მუზეუმში შეიქმნა ხელნაწერთა განყოფილება, რომელსაც ზოგჯერ პალეოგრაფიის განყოფილებასაც უწოდებდნენ.

ქართულ ხელნაწერთა ძირითად ფონდების საცავების საქართველოს მუზეუმის შემადგენლობაში თავმოყრის შემდეგ იწყება ამ საცავების ისტორიის ახალი ეტაპი. წინარე ეტაპთან შედარებით ახლა უფრო ფართოდ გაიშალა როგორც ხელნაწერთა შეგროვება-შენახვა, ასევე მათი მეცნიერული შესწავლა. განსაკუთრებით აღინიშნება ეს მას შემდეგ რაც დაარსდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია (1941 წ.), რომლის სისტემაშიც შევიდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი თავისი ყველა განყოფილებით.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში გაერთიანებული ხელნაწერთა საცავები დაცულ იქნენ თითოეული ცალკე ფონ-

დად, თავ-თავისი სააღრიცხვო სისტემის შენარჩუნებით. ამავე დროს შეიქმნა ქართულ ხელნაწერების და ისტორიულ დოკუმენტების კიდევ ერთი ფონდი, რომელსაც ეწოდა „ახალი ფონდი“ (ზოგჯერ — „მუზეუმის ფონდი“) შემოკლებით ფონდი Q. ამ ფონდში ჩაირიცხა და გატარდა საკუთარი ნუმერაციით ყველა ის ხელნაწერთა კოლექციები, რომლებიც შემოვიდნენ 1929 წლის შემდეგ ან შემოსული იყვნენ უფრო ადრე, მაგრამ დარჩენილი იყვნენ დაუმუშავებელი. ახლად შეიქმნა უცხოენოვანი ფონდები. ამ ფონდებში წარმოდგენილი იყვნენ მანუსკრიპტები და დოკუმენტები, როგორც აღმოსავლურ, ასევე დასავლურ ენებზე. სხვებთან შედარებით ყველაზე მდიდარია არაბულ ხელნაწერთა ფონდი, რომელშიც თავმოყრილია ერთი მხრივ ქართულ ხელნაწერთა სხვადასხვა კოლექციებიდან გადმოტანილი არაბული ხელნაწერები, ხოლო მეორე მხრივ, ახლად შეძენილი ხელნაწერები ადგილობრივი და არა ადგილობრივი წარმოშობისა — უმთავრესად შუააზიური და ჩრდილოკავკასიური. აღსანიშნავია აგრეთვე, სპარსული, სომხური, ოსმალური, აზერბაიჯანული და ებრაული ხელნაწერები და საბუთები. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს რუსულ ხელნაწერთა ფონდიც, რომელიც შეიცავს საყურადღებო მასალებს კერძოდ კავკასიაზე.

1941 წლამდე, ე. ი. მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში საქართველოს მუზეუმის შეყვანამდე ხელნაწერთა განყოფილებაში ფონდების დამუშავების პარალელურად მიმდინარეობდა დიდი მუშაობა ხელნაწერთა და ისტორიული საბუთების გამოცემაზე.

ამ მუშაობაში მონაწილეობდნენ პირველ რიგში ხელნაწერთა განყოფილების თანამშრომლები. განყოფილებაში იმდროისათვის მუშაობდნენ: გამგედ — პ. ინგოროყვა, მეცნიერ თანამშრომლებად ალ. ბარამიძე, ნ. ბერძენიშვილი, გ. ბოჭორიძე, გ. ჯაკობია და სხვ. ერთ ხანს, გარკვეულ გარემოებათა გამო, განყოფილების მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ კონსულტანტებად დანიშნულები — დამსახურებული პროფესორი გრ. წერეთელი და პროფ. ივ. ჯავახიშვილი. თითოეული მათგანის მოღვაწეობამ ღრმა კვალი დასტოვა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიაში.

ივ. ჯავახიშვილმა გამოსაცემად მოამზადა რიგი ძველი ისტორიული ძეგლებისა. ზოგიერთი მათგანი გამოცემულ იქნა ჯერ კიდევ მის სიცოცხლეშივე, როგორც მაგალითად: 1. ეგნატაშვილი ბერი — „ახალი ქართლის ცხოვრება“ (გამომცემლის მიერ აღმოჩენილი 1923 წელს „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ ხელნაწერში), რომელიც ეკუთვნოდა ერაჯ ჴალაშვილს (გამოიცა 1940 წ.), 2. ბასილი ეზოსმოძღვარი — მეფეთა-მეფის თამარის ცხოვრება, აღმოჩენილი ზემოხსენებულ ხელნაწერში, გამოიცა 1944 წ. და 3. გიორგი მთაწმინდელი — იოანეს და ექვთიმეს ცხოვრება, უძველესი ნუსხების მიხედვით (გამოიცა 1946 წ.).

გრ. წერეთელმა სპეციალური მონოგრაფია უძღვნა ქორიდეთის ოთხთავს — ბერძნულ სახარებას, დაწერილს კლარჯეთში პერგამენტზე და დათარიღებულს IX საუკუნით: „ქორდიეთის ხელნაწერი და მისი ბერძნული მინაწერები“ თბილისი, 1937 წ.

პავლე ინგოროყვამ იუსტინე აბულაძესთან, ალ. ბარამიძესთან, კ. კეკელიძესთან და ა. შანიძესთან ერთად გამოსცა 1934 წ. რიგი ხელნაწერთა მიხედვით „შაჰ-ნამეს ქართული ვერსიების“ II ტომი. 1938 წ. რამდენიმე ნუსხის მიხედვით გამოიცა, პ. ინგოროყვას, ა. ბარამიძის და კ. კეკელიძის ერთობლივი

რედაქციით ქართული ლიტერატურის კლასიური პერიოდის ნაწარმოები „ვის-რამიანი“.

ალ. ბარამიძე მეტ ყურადღებას უთმობდა ე. წ. აღორძინების პერიოდის ლიტერატურულ ძეგლებს და გამოსაცემად მოამზადა შემდეგი: 1. თეიმურაზ I-ის თხზულებათა სრული კრებული, გ. ჯაკობიასთან ერთად (გამოიცა 1934 წ.); 2. მეფე არჩილის თხზულებები ორ ტომად; გამოსცა ნ. ბერძენიშვილთან ერთად 1936/37 წლებში; 3. დავით გურამიშვილის თხზულებათა სრული კრებული, ს. იორდანიშვილთან ერთად (გამოიცა 1931 წ.) და 4. ბესიკის თხზულებათა სრული კრებული, ვ. თოფურიასთან ერთად (გამოიცა 1932 წ.).

ნ. ბერძენიშვილმა ნარატიულ ისტორიული წყაროების შესწავლასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ისტორიული საბუთების დამუშავებას და გამოცემას. მის მიერ მომზადებულ იქნა ქართული ისტორიული საბუთების ხუთი ტომი, რომლებიც მან სხვადასხვა წლებში გამოსცა. ორი მათგანი შეიცავს საქართველოს სოციალური ისტორიის მასალებს, ხოლო სამი ტომი საქართველოს ეკონომიური ისტორიის მასალებს.

ნ. ბერძენიშვილმა და თ. ლომოურმა გამოაქვეყნეს 1941 წ. ვახუშტი ბაგრატიონის ისტორიული გეოგრაფია („აღწერა სამეფოსა საქართველოსა“) — შრომა, რომელიც არასოდეს არ დაკარგავს მნიშვნელობას კავკასიათმცოდნეობისათვის.

ე. წ. აღორძინების პერიოდის ქართულ ლიტერატურულ ძეგლების გამოცემის საქმეში ნაყოფიერად იღვწოდა ქართულ-სპარსული ფილოლოგიის მკვლევარი გიორგი ჯაკობია. მისი რედაქტორობით გამოიცა: 1. ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის ომანიანი (1934 წ.), 2. თეიმურაზ II-ის თხზულებები (1939 წ.) და 3. სულხან თანიაშვილის მიერ ლექსად დაწერილი „ამირანდარეჯანიანი“ (1941 წ.).

